# კვირის პალიტრა

№ 5 (466) ◆ 2 – 8 თებერვალი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


საჩუქარი ჩვენი კვირის პალიტრა მკითხველისათვის

გვ.22

## დროშა-„სტიკერები“

გამოჭერით და გააკარით




## როგორი დროშები ჰქონდათ ქართველებს...



მიტაცებული ქონებისა და გაფლანგული სახსრების სახელმწიფოსთვის დაბრუნების მიზნით, ვფიქრობ, გამართლებული უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტისა თუ პრეცედენტის შექმნა, როდესაც ესა თუ ის მოხელე ან ჩინოსანი საჯაროდ აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამ ქონებას ნებით დააბრუნებს. ასეთი მონანიების შემთხვევაში ალბათ საკმარისი იქნება, თუ ამ ჩინოსანს, ვთქვათ, 10 წლის მანძილზე საჯარო სამსახურში მუშაობა აეკრძალება. სხვაგვარად, შევარდნაძის რეჟიმის დროინდელი კორუფცია ახალ ფესვებს გაიდგამს...

გვ.3



## „ამის შემდეგ სირცხვილით თავი ვერ უნდა გამოეყოთ გარეთ“

— მერწმუნეთ, მართლა არ ვიცი, რა ხდება მათ ბანაკში...

გამოდის, რომ სახელმწიფო არ გვქონია, თორემ რომ გვქონოდა, კერძო პირი გვაკადრებდა, თქვენს მინისტრებს ხელფასს გადავუხდიო?

გვ.7

## „გაახსენდა ბაბუაჩემს, სტალინს რომ მალავდა და მისწერა წერილი“

გვ.12

„თქვენ წარმეიდგინეთ, სტალინმა გერმანიიდან გამეისყიდა ჩემი ტყვე ბიძა...“



თუ აფერი არ შეგვიძლია, რაფერ მევედით აქამდე?

## რას მოგვიტანს ე.წ. „ჩაშვების“ ინსტიტუტის დაკანონება

„უნდა აღიაროს ჩადენილი დანაშაული, უნდა გამოთქვას საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი და მიაწოდოს გამოძიებას უტყუარი ინფორმაცია სხვა, უფრო მაღალი თანამდებობის პირის უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ, რაც შექმნის უფრო დიდი დანაშაულის გახსნის წინა პირობას. ზერელე მტკიცებულებები არ ჩაითვლება და შეიძლება განმცხადებლის საწინააღმდეგოდაც იქნეს გამოყენებული.“

გვ.5

## 15.000 ყოველდღიურად(?!)

### სად მიდიოდა გარემოვაჭრეებისგან აკრებილი ფული...



**— *ვის უხდით ამ ფულს?***

**— პოლიციას ვაძლევდი ყოველ საღამოს... სულ პირველად რომ დავდექი, 2 ლარს ვიხდიდი, დღეისათვის ეს თანხა 6 ლარამდე გაიზარდა(!).**

თუ გავითვალისწინებთ, რომ გარემოვაჭრეთა რაოდენობა რამდენიმე ათასია, სერიოზულ თანხებზე უნდა იყოს საუბარი, დღეში დაახლოებით 12-15.000 ლარზე, რაც ყოველთვიურად დაახლოებით 400.000 ლარს შეადგენს. დაგვეთანხმებით, დიდი ფულია, რისი დაკარგვაც, ცხადია, ნებისმიერი ჩინოვნიკისათვის მტკივნეული იქნება.

გვ.5



გვ.7,13

## „მივმართავ ახალგაზრდა გენპროკურორს“

### ყველაზე გახმაურებული საქმეები — „ისეთი ეპიზოდებია, რომ ჭკუაზე შეიშლება კაცი“

ბევრი დამნაშავეა იმ ხალხში, რომელიც დღეს მის გვერდზეა და გამარჯვებას ზეიმობს. ის გამარჯვებულიც უნდა გასამართლდეს, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი.

„გამსახურდიას მკვლელობა მოწყობილი ამბავია“

## რომელი სახელმწიფო უწყებაა კორუფციაში ჩაფლული ყველაზე მეტად — „საპატიო ხუთეული“ ასე გამოიყურება:

პოლიცია; საბაჟო; ენერგეტიკა; პროკურატურა; საგადასახადო.

მკითხველის ოლიმპიადა

გვ.35

სპეციალურად „კვირის პალიტრისათვის“ ვაშინგტონიდან

## ქართველებზე უფრო ქართველები ვერ გავხდებით, — აცხადებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

ჩვენი პრობლემების მოგვარების სრულ რეცეპტს აშშ-ის ხელისუფლება არ იძლევა, თუმცა გვირჩევს...

გვ.9

## „ეს კაცი ყველას ეჭიმება, დაგიჭერთო“(!)

გვ.8



# გმადლობთ, რომ კითხულობთ! — „კვირის პალიტრა“

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## „ჟვანია აუცილებლად პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს“

ქვეყანაში მოსალოდნელ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ბერლინიდან და ლონდონიდან ერთდროულად დაბრუნებულმა სააკაშვილმა და ბურჯანაძემ კონსულტაციები გამართეს, რომლებსაც არ ესწრებოდა სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია. თუმცა, სააკაშვილმა კონსულტაციების შემდეგ კატეგორიულად განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი აუცილებლად ზურაბ ჟვანია უნდა იყოს. ორ-სამ დღეში საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებლად განხორციელდება. ჟვანია უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი და დროზე უნდა დაიწყოს მთავრობის მუშაობა. დღეს მთავრობის გარეშე ყოფნა ნიშნავს საბოტაჟს ქვეყანაში სასიცოცხლო ცვლილებების მიმართ. საქართველოში წარმოუდგენელი რამ ხდება — პრაქტიკულად ერთი-ორი მინისტრი მუშაობს. დანარჩენები კი ნაცარქექიაობით სხედან და არაფერს აკეთებენ, რადგან არ არსებობს მთავრობის პროგრამა და პოლიტიკა, რომ ჩემი გეგმების განხორციელება ქვეყნის სასიკეთოდ დაიწყოს — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. მისი თქმით, ამ კვირაში საბოლოოდ შედგება მინისტრთა კაბინეტი და სახელისუფლებო ყველა აღმასრულებელ სტრუქტურას თავისი პატრონი ეყოლება. და რომ დიდი ძალაუფლება ექნება პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტი კი იქნება ცოტათი უფრო ძლიერი, ვიდრე დასავლეთის ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიის და სხვა პარლამენტები. წინა პარლამენტს, რამდენიც არ უნდა ეჩხუბა და ედავა საჭირბოროტო საკითხებზე, მისი გამოსვლა ყველას ემახსოვრებოდა, ახალ პარლამენტს კი სერიოზული უფლებამოსილება ექნება და შეეძლება მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადება. პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება ექნება, გადააყენოს პრემიერ-მინისტრი, — განაცხადა სააკაშვილმა, რომელმაც უკვე დანიშნა ცესკოში თავისი 5 წარმომადგენელი, რომელთაგან 2 ახალია.

## ვინ იქნება შემდეგი?

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ჩახნაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ამ გადაწყვეტილებას დაკავებულის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა უსაფუძვლო უწოდა და აღსაკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით იგი საოლქო სასამართლოს მიმართავს. ვახტანგ ჩახნაშვილი სპეცოპერაციის შედეგად 28 იანვარს საგადასახადო დეპარტამენტში დააკავეს. მას ბრალი ედება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და იარაღის შენახვაში. პროკურატურაში აცხადებენ, რომ ძიების პროცესში შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს ჩახნაშვილის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა სპექტრი და დანაშაულებრივ ქმედებებში მასთან ერთად მონაწილე პირთა რიცხვიც, რაც ალბათ სპეცოპერაციების შედეგად აყვანილთა რაოდენობასაც გაზრდის და დაჭერების სერიები კიდევ ერთი ხნით გაგრძელდება. ამ ეტაპზე დაკავებული ჩახნაშვილი კი მის მიმართ განხორციელებულ აქციას უსამართლობად აფასებს და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

## მამალაძის დედა პროკურატურაში დაიბარეს

ქვემო ქართლის ექსგუბერნატორის, ლევან მამალაძის დედას ვერიკო პაიჭაძეს თბილისის პროკურატურიდან უწყება გაუგზავნეს, მაგრამ იგი არ გამოცხადდა, რის მიზეზადაც ოჯახის წევრები მის შეუძლოდ ყოფნას ასახელებენ. ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა გადაწყვიტა თვითონ ეწვიოს მამალაძების ოჯახს და ვერიკო პაიჭაძე მოწმის სახით დაკითხოს. როგორც ირკვევა, პროკურატურაში ვერიკო პაიჭაძე მხოლოდ იმისთვის დაიბარეს, რომ გაერკვიათ მისი ქონების წარმომავლობის საკითხი, რაც პროკურატურის წარმომადგენელთა თქმით, პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც ეხება ლევან მამალაძეს. გავრცელებული ინფორმაციით, ვერიკო პაიჭაძე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება და მაღალი წნევის გამო მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ლევან მამალაძის ოჯახის სხვა წევრების განცხადებით, მამალაძეების ოჯახის მიმართ ხორციელდება ფსიქოლოგიური ტერორი. ახალი ხელისუფლება მათგან ქმნის ხალხის მტრის ხატს. მასმედიის საშუალებით ლევან მამალაძეზე ისეთ ინფორმაციებს ავრცელებენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ ქუჩაში ხალხი თვალს გვარიდებს. ეს ჩვენი დისკრედიტაციის მცდელობაა — აცხადებს ექსგუბერნატორის მეუღლე.

## ლობჟანიძესაც ინტერპოლით მოძებნიან?

ინტერპოლით ძებნილ ქართველ ექსჩინოსანთა რიცხვი შეიძლება კიდევ გაიზარდოს. ქვემო ქართლის ექსგუბერნატორის, ლევან მამალაძის მსგავსად, დაკავების საფრთხე შესაძლოა სააქციო საზოგადოება „ეკოლოგიის“ გენერალურ დირექტორსა და სს „მადნეულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ზურაბ ლობჟანიძესაც დაემუქროს. გენერალური პროკურატურის კულუარებიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლობჟანიძის ძებნა ამ კვირაში გამოცხადდება. ვარაუდობენ, რომ ზურაბ ლობჟანიძე საზღვარგარეთ იმყოფება შვეიცარიაში, სადაც ინტერპოლის საოცარი ოფისი და შტაბბინა მდებარეობს. ინტერპოლს ლობჟანიძის დაკავება არ უნდა გაუჭირდეს, თუ რა თქმა უნდა, ძებნილი არ დატოვებს ბოლოდროინდელ თავშესაფარს და სხვა ქვეყანაში არ გადასახლდება.

## გარემოვაჭრეები ისევ უკმაყოფილოები არიან

წერეთლის გამზირზე მოძრაობა აღდგა. გარემოვაჭრეები, რომლებიც 31 იანვარს კანცელარიასთან საპროტესტო აქციებს მართავდნენ, პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა. 1-ელ თებერვალს მომიტინგეები „დეზერტირების“ ბაზარში უკვე ადგილებს ინაწილებდნენ და მორიგ პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ ბაზარში ადგილები არ ჰყოფნიდათ. დილიდან ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვითარებას სპეცდანიშნულების რაზმი აკონტროლებდა. ყოფილი გარემოვაჭრეების განცხადებით, ბაზარში მათ განსაზღვრული ძალები ჩაგრავენ. ჩატარდა აღწერა იმის გასარკვევად, ვინ არის ჩამოსული და ვინ — ადგილობრივი მცხოვრები. ამის მიხედვით დაიწყო გარემოვაჭრეთათვის ბაზარში ადგილების გამოყოფა. „რაიონიდან ჩამოსულებს ადგილები აღარ მოგვცეს. დირექციამ ხელმოცარულები დაგვტოვა. ვითხოვთ პრეზიდენტ სააკაშვილის თანადგომას, თორემ 300 კაცი ულუკმაპუროდ ვრჩებით“, — აცხადებენ გარემოვაჭრეები. გავრცელებული ხმებით, პრობლემებს ქმნის ის, რომ ყველა გარემოვაჭრეს ადგილი აუცილებლად „დეზერტირების“ ბაზარში უნდა და არა სხვაგან. თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლების განცხადებით, ამ კვირაში დაიწყება გარეუბნების გაწმენდაც. პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, ბაზარში სავაჭროდ შესული გარემოვაჭრეები ერთი წლის მანძილზე დღგ-ს არ გადაიხდიან და მათ მაგივრად ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს.

## მიტინგებს პოლიციელები დაარბევენ?

ახალგაზრდული მოძრაობა, ყოფილი „დაუმორჩილებლობის კომიტეტი“, აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით ახალ კამპანიას იწყებს — აცხადებს მოძრაობის ლიდერი დათო მესხიშვილი, რომლის თქმით, თბილისში არსებული ახალგაზრდული მოძრაობები გაერთიანდებიან და აბაშიძის საწინააღმდეგო კამპანიას მთელ საქართველოში განახორციელებენ. რეგიონებში გამოსვლები ამ კვირაში ქუთაისიდან დაიწყება. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ბათუმში საგანგებოდ შეიქმნა სპორტსმენებით დაკომპლექტებული მიტინგებისა და დემონსტრაციების დამრბევი ჯგუფები. აჭარის შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის, დავით გერგედავას განცხადებით, ამგვარ ინფორმაციებს ინტრიგანები ავრცელებენ. არანაირი სპეციალური ჯგუფების შექმნის შესახებ დავალება არ არსებობს და თუ მიტინგების დარბევის საჭიროება წარმოიქმნება, ამ საქმეს პოლიცია შეასრულებს. რაც შეეხება მიტინგების დარბევის პრობლემას, ამის საშიშროება ბათუმში არ არსებობს, რადგან მას ბათუმის ქუჩებში არავინ მართავს. არსებობს შეთანხმება, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა შეკრებები დარბაზებში ჩაატარონ, სადაც შევარდნას და მათ დარბევას არავინ აპირებს, — აცხადებს გერგედავა. თუმცა, ყველამ მშვენივრად იცის, რომ ბათუმში მიტინგები თითქმის განუწყვეტლივ მოიმდინარეობს და თანაც ღია ცის ქვეშ.

## ოპტიმიზაცია-რეორგანიზაცია

საქართველოს მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციისთვის ემზადება. იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია აღმასრულებელი ხელისუფლების ოპტიმიზაცია-რეორგანიზაცია. კერძოდ, გაუქმდება ორი სამინისტრო და შეიქმნება ერთი — ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო. თუმცა, რომელი სამინისტროები გაუქმდება, ამას იუსტიციის მინისტრი ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს. დაგეგმილია ასევე სახელმწიფო დეპარტამენტების სამინისტროების შემადგენლობაში შეყვანა. ადეიშვილის თქმით, კარდინალურად შემცირდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, რაც ქვეყანაში უმუშევართა არმიის სწრაფ ზრდას დააჩქარებს. ადეიშვილი მოსალოდნელ ცვლილებებს ოპტიმალურს უწოდებს და აცხადებს, ეს ყველაფერი იმისათვის ხორციელდება, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარალელური სტრუქტურები აღარ იყოს და ბიუჯეტის ხარჯები მაქსიმალურად დაიზოგოსო. კულუარებში კი შეშფოთებას გამოთქვამენ ამის გამო და ვარაუდობენ, რომ ბიუჯეტის ამგვარი სახის ეკონომია და განთავისუფლებული ხალხის უმუშევრად და უსახსროდ დარჩენა ვერც ქვეყანას და ვერც ბიუჯეტს სიკეთეს ვერ მოუტანს.

## პარლამენტი თავშესაფარი აღარ იქნება

იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის თქმით, პარლამენტი არ უნდა იყოს იმ პირთა თავშესაფარი, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად იუსტიციის სამინისტრო მუშაობს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც, პარლამენტის წევრთა იმუნიტეტი გაუქმდება ან შეიზღუდება. ამ შემთხვევაში, გამოძიებას უფლება ექნება, ეჭვმიტანილის სტატუსით დაჰკითხოს პარლამენტარი და თუ სასამართლო მას დამნაშავედ მიიჩნევს, გენერალური პროკურატურა დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით პარლამენტს მიმართავს.

## ხანძარი ბათუმში

კვირას, საღამოს, ბათუმში საქართველოს საპატრიარქოს ბათუმი-სხალთის ეპარქიის ადმინისტრაციულ შენობას, რომელშიც ბერებიც ცხოვრობენ, ხანძარი გაუჩნდა. ოპერატიულად იმუშავა ადგილობრივმა სახანძრო რაზმმა, რომლის წევრებმაც მოკლე დროში მოახერხეს ხანძრის ლოკალიზება. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. დაიწვა შენობის ზედა სართული, რომელშიც განთავსებული იყო ბერების სენაკები. სამწუხაროდ, ხანძარმა გაანადგურა სენაკებში არსებული მდიდარი საეკლესიო ლიტერატურა და ხატები. შენობის პირველი სართული კი, სადაც ხუთი ოჯახი ცხოვრობს, არ დაზიანებულა.

ხანძრის მიზეზი სავარაუდოდ, მოუწესრიგებელი ელექტროგაყვანილობა უნდა იყოს.

## „ქორწინება“ ვერ მოასწრეს...

28 მარტს, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ცესკოს რეგისტრაციისთვის ცალ-ცალკე მიმართეს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და გაერთიანებულმა დემოკრატებმა დამოუკიდებელი სუბიექტების სახით. განცხადებების შეტანის ვადა ცესკოში 31 იანვარს, 18 საათზე, ამოიწურა. ნაციონალებმა და დემოკრატებმა ერთ პოლიტიკურ ორგანოდ ჩამოყალიბება ვერ მოასწრეს, თუმცა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ერთი საარჩევნო ბლოკით აპირებენ.

ცესკოში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის განაცხადი 53-მდე პოლიტიკურმა ორგანიზაციამ წარადგინა, ცესკომ რეგისტრაციაში უკვე გაატარა 30 პოლიტიკური პარტია. დანარჩენებს კი, მაქსიმუმ 5 დღის განმავლობაში დაარეგისტრირებს ან უარს ეტყვის არჩევნებში მონაწილეობაზე. რეგისტრირებული პარტიების მიერ საარჩევნო ბლოკების შექმნისა და ბლოკის წესდების წარდგენის ვადა 14 თებერვალს იწურება.

## აბაშაში ხელახალ არჩევნებს ითხოვენ

აბაშის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, თენგიზ კალანდაძის მხარდამჭერები საპროტესტო აქციებს აწყობენ და ახალი ხელისუფლებისაგან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარული სისტემის შედეგების ბათილად ცნობას და ხელახალი არჩევნების დანიშვნას მოითხოვენ.

აქციის მონაწილეთა მტკიცებით, მაჟორიტარულ არჩევნებში ბლოკის „ახალი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა თენგიზ კალანდაძემ გაიმარჯვა. თუმცა, რაიონული და საოლქო სასამართლოების შესაბამისი დადგენილებების მიუხედავად, ცესკომ გამარჯვებულად „მრეწველების“ კანდიდატი პაატა ქურდოვანიძე მიიჩნია. კალანდაძის მომხრეთა მტკიცებით, ქურდოვანიძის მომხრეებმა აბაშის რამდენიმე სოფელში საარჩევნო უბნები დაარბიეს და ბიულეტენები მოიპარეს.

კალანდაძის მომხრეთა მოთხოვნას არჩევნების ხელახლა დანიშვნის შესახებ მხარს უჭერენ რაიონის გამგეობაშიც, რომელიც მთლიანად ნაციონალებით არის დაკომპლექტებული. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კალანდაძის მხარდამჭერები ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან.

## „ვარდების რევოლუცია“ არძინბასთვის?

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ლიდერს, ვლადისლავ არძინბას იმპიჩმენტს უმზადებენ. ამის შესახებ კანონპროექტის მომზადება სოხუმის ხელისუფლების, სახალხო კრების, პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ არსინბას და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის, ვლადიმირ ნაჩაჩ-ოღლის დაევალა.

არძინბას იმპიჩმენტისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხს გასული წლის მანძილზე აყენებდნენ აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აიდაირა“, აფხაზ ვეტერანთა გაერთიანება „ამცაჰარა“ და სხვა პოლიტიკური გაერთიანებები. იმპიჩმენტის აუცილებლობას ისინი არძინბას ჯანმრთელობის მდგომარეობას და მისი მხრიდან უფლებამოსილების შეუსრულებლობას უკავშირებენ.

## წალკაში სიტუაცია დღითი დღე იძაბება

წალკაში ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის დაპირისპირება გრძელდება. როგორც ქვემო ქართლის საოლქო პროკურორმა მამუკა ცაავამ განაცხადა, 29 იანვარს, სოფელ გუმბათში 14-მა სომეხმა 3 ქართველი: პაატა და ფრიდონ მახარაძეები და ბადრი გურგენიძე სცემეს და დაამსხვრიეს ავტომანქანებისა და ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის მინები. დაზარალებულებს სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურორისთვის ცნობილია ეჭვმიტანილთა სავარაუდო ვინაობა და მათ დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები უკვე მიმდინარეობს. თუმცა საეჭვოა, საქმე ასე იოლად მოგვარდეს. კონფლიქტი თანდათან მწვავდება და დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, არ არის გამორიცხული, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ წალკაში შინაგანი ჯარების შეყვანა მოითხოვოს. თუმცა მამუკა ცაავას განცხადებით, წალკაში ჯარის შეყვანაც და სპეცღონისძიებაც დროებითი მოვლენა იქნება და პრობლემა ვერ მოგვარდება. საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს.

## ეჭვმიტანილი დააკავეს

შიდა ქართლის პროკურატურამ მკვლელობის ბრალდებით რეგიონული უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ვაჟა მელქაძე დააკავა. მას ბრალად ედება გორელი ნოდარ ტალახაძის მკვლელობა, რომელიც ძალოვანების ინფორმაციით, ნოემბერში მოხდა. მათი განცხადებით, მკვლელი დანაშაულის თვითმხილველებმა ამოიცნეს. უშიშროების თანამშრომელი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება, მის შესახებ მასალები კი უკვე სამხედრო პროკურატურას გადაეცა. მელქაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი თქმით, ეს ბრალდება მის საწინააღმდეგოდ შეთითხნეს, არ აკონკრეტებს ცილისმწამებლებს, თუმცა ამბობს, რომ ამ საქმეში სამართალდამცველები არ ურევიან.

## გატაცება 24 საათით

გავრცელებილი ინფორმაციით, პარლამენტარი, ფრაქცია თავისუფლების წევრი თამაზ გელაშვილი 24 საათის მანძილზე გატაცებული იყო. იგი 1-ელ თებერვალს. საღამოს, სახლში დააბრუნეს. ჯერჯერობით, უცნობია გატაცების მიზეზები, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ დანაშაული ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა. გამტაცებლებმა დეპუტატს მობილური ტელეფონი წაართვეს. ყოფილი მძევალი გატაცების დეტალებზე ჯერ არ საუბრობს.




## ჰაჯი მსხვერპლით დამთავრდა

საუდის არაბეთის ქალაქ მექაში, სადაც მუსლიმანთა რელიგიური რიტუალი ჰაჯი მიმდინარეობდა, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. მილიონობით მუსლიმანი პილიგრიმი ჯამარათის ხიდზე შეიკრიბა, სადაც რიტუალი მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე პოლიციის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების უამრავი მანქანა იმყოფებოდა, მათ სიტუაციას გაკონტროლება ვერ შეძლეს და ბოლო მონაცემებით, ჭყლეტაში 50 კაცი მოჰყვა. შარშან მექაში იმავე მიზეზით 14 ადამიანი დაიღუპა.

## ტერორი ინტერნეტქსელში

მსოფლიო კომპიუტერული ქსელი ახალი ვირუსის — „მაი დაუნის“ — გამო სერიოზულ საფრთხეშია. ვირუსის გააქტიურება 1-ელ თებერვალს, თბილისის დროით, 20 სთ-სა და 9 წუთზე დაიწყო. ამ დროიდან ვირუსით დაზიანებული კომპიუტერებიდან მილიონობით წერილი გაიგზავნა, რამაც ქსელის პარალიზება გამოიწვია. ავტორების ჩანაფიქრით, ვირუსი „მაიკროსოფტსა“ და სხვა მსხვილ კორპორაციებს 12 თებერვლამდე შეუტევს.

ექსპერტების შეფასებით, ვირუსმა უკვე 600 ათასი კომპიუტერი დააზიანა და მიყენებულმა ზარალმა 2 მლნ დოლარს გადააჭარბა. „მაი დაუნს“ ვირუსების ისტორიაში ყველაზე სერიოზული ინციდენტი უწოდეს. არ გამორიცხავენ, რომ „მაი დაუნი“, რომლის ავტორის მპოვნელი 200 ათასი დოლარით დაჯილდოვდება, რუსეთშია შექმნილი. სპეციალისტების მტკიცებით, უკანასკნელ პერიოდში შექმნილ ვირუსებს ქსელის პარალიზების გარდა სხვა დანიშნულებაც აქვთ. ინტერნეტ-ტერორისტები ქსელური ვირუსების საშუალებით კომპიუტერიდან საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებას ახერხებენ, რაც არალეგალური შემოსავლის წყარო გახლავთ.

# „მოსახლეობას სოციალური სამართლიანობის გრძნობა უნდა ჩამოუყალიბდეს“

**ვერ წარმომიდგენია, რომ აჭარაში უკვე გააქტიურებული საზოგადოების დაშინება, მოთვინიერება ან დაპირებით გაჩერება მოხერხდეს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების პოზიციას ექნება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილს ვერ ექნება ისეთივე შეურიგებელი დამოკიდებულება „აღორძინებისადმი“, როგორიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მას ერთადერთი გამოსავალი რჩება — პროცესები აბსოლუტურად გამჭვირვალე გახადოს და შევარდნაძის „გამონაკლისების“ პოლიტიკა მიუღებლად გამოაცხადოს.**



**„ბევრმა ძველი პოზიციების შენარჩუნება მოახერხა, ბევრიც უფრო მაღლა „აცოცდა“**

ახალი საქართველოს ცხოვრებაში პირველი ეტაპი წარმატებით შედგა.

უკვე არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც მტკიცდება, რომ შევარდნაძის ეპოქა დასრულდა — როდესაც არავის არაფერი მოეკითხებოდა და ყველას ყველაფრის გაკეთება შეეძლო. თუმცა, საზოგადოებაში ერთგვარ ირონიას იწვევს ჩინოსნების დასაპატიმრებლად სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზება და ისეთი სცენების გამართვა, იტალიური სერიალის, „რვაფეხას“, რეჟისორსაც რომ შეშურდებოდა, მაგრამ ალბათ ესეც გამართლებულია — უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საზოგადოების თვალში სამართალდამცავი ორგანოები იმ ქალამნად იქცა, ნებისმიერ გარეწარს რომ შეეძლო უცერემონიოდ მოერგო ფეხზე. სპეცრაზმების თუნდაც თეატრალიზებულმა მანევრებმა ჩვენს სამართალდამცველებს შეურიგებლის და დაუნდობლის იმიჯი უნდა შეუქმნას — ეს ნამდვილად საჭიროა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „შეურიგებელთან“ და „დაუნდობელთან“ სიტყვა „სამართლიანსაც“ ვიხმართ. რამდენად სამართლიანი იყო გარემოვაჭრეების დაშლა ხელკეტებით, სხვა საკითხია. ისიც საკითხავია, აუცილებელი და საჩქარო იყო თუ არა ამის გაკეთება მაშინ, როდესაც ახალ ხელისუფლებას ბევრად უფრო საშური და არაპოპულარული რეფორმების გასატარებლად პოზიციების მაქსიმალური განმტკიცება და ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. საეჭვოა, ამგვარმა ქმედებებმა ახალი მთავრობისადმი ხალხის მხარდაჭერა გააძლიეროს. ვარდების რევოლუცია სწორედ ამ ხალხისთვის მოხდა და არა იმ ვაიხელისუფალთათვის, ათასი მაქინაციით ქალაქის ცენტრში ბაზრობები, სუპერმარკეტები და სავაჭრო ცენტრები რომ წამოჭიმეს. როგორც არ უნდა გვაღიზიანებდეს „დინამოს“ სტადიონთან გავლა, ფაქტია, იქ მდგომი ხალხი პურის ფულს შოულობს და მისგან „ხარკის“ ამკრეფი — მილიონებს.

რასაკვირველია, კორუფციასთან ბრძოლა აუცილებელი და გარდაუვალია, თუ მართლაც სახელმწიფოს შენება გვაქვს განზრახული. თუმცა, აქ ერთი დიდი „მაგრამ“ არსებობს — შევარდნაძის მმართველობის (კომუნისტური წყობიდან მოყოლებული) დროს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ დიდი და პატარა სახელმწიფოს ქურდად ქცეულიყო — ვინ 5 ლარს იპარავდა, ვინ — 5 ათასს... ჩინოსანი ქურდობდა იმიტომ, რომ დაუჯერებლად მცირე ხელფასი ჰქონდა, ბიზნესმენი იმიტომ, რომ არარეალურად მაღალი გადასახადები უნდა გადაეხადა (რომელიც, სხვათა შორის, დღესაც იგივეა). გამოდის, რომ მთელი ქვეყანა დასაჭერი იქნება, მათ შორის, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, რადგან მათივე მტკიცებით, საქართველოში პატიოსანი შრომით თავის რჩენა არავის შეეძლო... ყველაფერი კი, საბოლოოდ, შეიძლება გადაიზარდოს „საბრალდებო ქაოსში“, სადაც ნემსის ქურდების გამო ატეხილ აყალმაყალში შეიძლება აქლემის ქურდებმა თავს უშველონ, ბიზნესმა კი, უბრალოდ, აზრი დაკარგოს, რადგან მათი დაჭერა-დაშანტაჟების საშუალება ნებისმიერ, თუნდაც „წარსულში კორუმპირებულ“(?) რიგით პროკურორსაც ექნება...

ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით იურისპრუდენციის ექსპერტს **დავით უსუფაშვილს**:

— ნებისმიერი სრულყოფილი სახელმწიფო, გარკვეულწილად, სწორედ სიმბოლოებს ეყრდნობა. იმპროვიზება, თუ გნებავთ, მოვლენათა თეატრალიზება, უპირველესად იმისთვის არის საჭირო, რომ საზოგადოებამ სამართლიანობისა და წესრიგის არსებობა გააცნობიეროს. სხვაგვარად, რასაკვირველია, სასამართლოც თეატრალიზებულ სანახაობად შეიძლება ჩაითვალოს და პოლიციის მიერ ჩატარებული ესა თუ ის ოპერაციაც. ნუ დაგვავიწყდება, თუ რა სასტარტო პოზიციები მიიღო ახალმა ხელისუფლებამ — ჩვენს ქვეყანაში ხომ ფასეულობათა ტოტალურ გაყალბებას ჰქონდა ადგილი. მექრთამეობა და მაქინაციები ცხოვრების წესად იყო ქცეული. ამიტომაც, თუნდაც დაპატიმრების დროს სპეცრაზმების გამოყენება და ამ გზით სამართალდამცველთა მიერ „კლანჭების“ გამოჩენა საჭიროდ და მართებულად მიმაჩნია. ვფიქრობ, ლოგიკური უნდა იყოს ისიც, რომ რევოლუციის შემდეგ პროკურატურის ბადეს თავდაპირველად სწორედ ის ოდიოზური ფიგურები ამოჰყვა, რომელთა გარშემოც ამდენი მითქმა-მოთქმა იყო. თუმცა, მუდმივად ასე არ უნდა გაგრძელდეს. საქართველოში კორუფციის აყვავებას ხელს უმთავრესად ისეთი პირები უწყობდნენ, დღეს რომ ჩრდილში დგანან და ჩვენ მათი სახელები, სხვების მსგავსად, პრესის ფურცლებიდან არ ვიცით. ასეა თუ ისე, სულ რაღაც 6 თვეში უკვე თვალნათლივ გამოჩნდება — ახალი ხელისუფლების მიერ წამოწყებული ანტიკორუფციული ბრძოლა ნამდვილად ანტიკორუფციული ბრძოლაა, თუ პოლიტიკური. შესაბამისად, უფრო კონკრეტულ დასკვნებსაც შემდეგ გამოვიტანთ. აქ პრობლემები მრავალმხრივად არის გაშლილი — ერთი საკითხია თავად პროკურატურა. რა უნდა გააკეთოს გენერალურმა პროკურორმა? არის მოსაზრება, რომ სანამ, ზოგადად, კორუფციულ კლანებს შეუტევდეს, პროკურატურის ხელმძღვანელ პირთა უმრავლესობა სწორედ იმ სპეცრაზმელების მიერ არის დასაპატიმრებელი და კონკრეტულ დანაშაულებზე გასასამართლებელი, რადგან, მნიშვნელოვანწილად, ქვეყანაში კორუფცია სწორედ მათი აქტიური მონაწილეობით ვითარდებოდა. მაგრამ თუ გენერალური პროკურორი ამ გზით წავა, გამოდის, რომ ძველის დანგრევას ისე დაიწყებს, ახალი დაწყებულიც არ ექნება. დამეთანხმებით, გამოცდილი იურისტი და კვალიფიციური პროკურორი ან გამომძიებელი — სრულიად სხვადასხვა ცნებებია. გამოცდილ, ახალ კადრებს კი ვერსაიდან ვერ მოიყვან. პოლიციაში ანალოგიური და უარესი ვითარებაა. ასე რომ, რჩება მეორე გზა — მანევრირება. შესაძლოა, ზოგიერთ პროკურორს გენერალური პროკურატურის შეფი თავადაც არ ენდობოდეს, მაგრამ მათი მეშვეობით იწყებს მსხვილი მაფიოზური კლანების გამოვლინებას. პარალელურად კი სისტემის შიგნით პრევენციულ დარტყმებსაც განახორციელებს და სისტემის გაფილტვრაზეც იმუშავებს. სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს აღძრული საქმეებიც ობიექტურად ჩატარებულ გამოძიებას თავად მიიყვანს მსხვილ სამართალდამცველ ჩინოსნებამდე, რადგან საქართველოში კორუფციას პოლიტიკურზე არანაკლებ ძლიერი ძალოვანი მფარველები ჰყავდა. ამგვარად, ეს პრობლემა, მთელი თავისი სიმწვავითა და სერიოზულობით, იმისდა მიუხედავად არსებობს, გენპროკურორი კარგი პროკურორია თუ ცუდი. რაც შეეხება პროკურატურის გარეთ არსებულ სიტუაციას — ალბათ სადავო არ უნდა იყოს, რომ შევარდნაძის დროს კორუფცია ცხოვრების წესი გახლდათ და ამას ვერც ერთი ჩინოსანი, ვერანაირი პატიოსნებით, გვერდს ვერ აუვლიდა — ეს სისტემა თავის რიგებში პატიოსან მოხელეებს, ცხადია, არ ითვალისწინებდა. მაგრამ აქ ჩემს წარმოდგენაში ერთგვარი წყალგამყოფი მოქმედებს. იყვნენ ადამიანები — განყოფილების უფროსები, რიგითი მოხელეები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, ვთქვათ, ცნობის გაცემაში 3 ან 5 ლარი აეღოთ და ამგვარი და სხვა მაქინაციებით თვეში 300-400 ლარი ეშოვათ (ასეთი ძალიან ბევრია) — ეს გახლდათ ობიექტური საჭიროებით გამოწვეული თანხის ოდენობა ოჯახის შესანახად. ამავე დროს, იყო მეორე კატეგორიაც, რომელიც კორუფციაში არა თავის გადასარჩენად, არამედ განსაკუთრებული ფუფუნების შესაქმნელად იყო ჩართული და თანამდებობას იმისთვის იყენებდა, რომ სახელმწიფოს (ხალხის) ფული ეჭამა და სასახლეები აეშენებინა. ამიტომ, როდესაც ასეთი ტოტალური დამნაშავეობის პირობებში ვიმყოფებით, სახელმწიფომ სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა ჩამოაყალიბოს — განსაზღვროს მკვეთრი პრიორიტეტები და კრიტერიუმები მის განსახორციელებლად. ერთი მხრივ, არსებული სისტემა უნდა მოისპოს, მეორე მხრივ კი, მოსახლეობას სოციალური სამართლიანობის გრძნობა ჩამოუყალიბდეს — არ უნდა იყოს განცდა იმისა, რომ წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის ვიღაცა დაისაჯა, ვიღაცას კი თავზე ხელი გადაუსვეს. ამისთვის კი ხელისუფლება, პირველ რიგში, მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული. წარსულში მომხდარი დანაშაულის გამოვლინებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ მომავალში ამ დანაშაულის ჩადენის ყველა ობიექტური და სუბიექტური გარემოება მოისპოს. რასაკვირველია, მნიშვნელობის დეფინიცია იმას არ ნიშნავს, რომ დანაშაულის გამოვლენა საჭირო არ არის. მიტაცებული ქონებისა და გაფლანგული სახსრების სახელმწიფოსთვის დაბრუნების მიზნით, ვფიქრობ, გამართლებული უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტისა თუ პრეცედენტის შექმნა, როდესაც ესა თუ ის მოხელე ან ჩინოსანი საჯაროდ აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამ ქონებას ნებით დააბრუნებს. ასეთი მონანიების შემთხვევაში ალბათ საკმარისი იქნება, თუ ამ ჩინოსანს, ვთქვათ, 10 წლის მანძილზე საჯარო სამსახურში მუშაობა აეკრძალება. სხვაგვარად, შევარდნაძის რეჟიმის დროინდელი კორუფცია ახალ ფესვებს გაიდგამს — ამას გვერდს ვერ ავუვლით. თუ დააკვირდებით, 2 ნოემბრიდან 23 ნოემბრამდე თანდათან დაიწყო სახელმწიფო ჩინოსნების „ფრონტის მეორე“ მხარეზე გადასვლის პროცესი. 23 ნოემბრის შემდეგ კი ამან მასობრივი ხასიათი მიიღო. ბევრმა მათგანმა ძველი პოზიციის შენარჩუნება მოახერხა, ბევრი უფრო მაღლაც „აცოცდა“. დღეს, თუ გავბედე და სააკაშვილი გავაკრიტიკე, ეს ხალხი ისეთ აღშფოთებას გამოთქვამს, თითქოს თავის დროზე მე ვიყავი კორუფციული ელიტის წარმომადგენელი და ისინი კი, მუდამ შევარდნაძის რეჟიმს ებრძოდნენ...

**მიტაცებული ქონებისა და გაფლანგული სახსრების სახელმწიფოსთვის დაბრუნების მიზნით, ვფიქრობ, გამართლებული უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტისა თუ პრეცედენტის შექმნა, როდესაც ესა თუ ის მოხელე ან ჩინოსანი საჯაროდ აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამ ქონებას ნებით დააბრუნებს. ასეთი მონანიების შემთხვევაში ალბათ საკმარისი იქნება, თუ ამ ჩინოსანს, ვთქვათ, 10 წლის მანძილზე საჯარო სამსახურში მუშაობა აეკრძალება. სხვაგვარად, შევარდნაძის რეჟიმის დროინდელი კორუფცია ახალ ფესვებს გაიდგამს — ამას გვერდს ვერ ავუვლით.**

**— კონსტიტუცია ნებისმიერ სახელმწიფოში ხელშეუხებელია და სწორედ სახელმწიფოებრიობის ნომერ პირველ გარანტად ითვლება. საქართველოში კი, რატომღაც, ყოველი ახალი ხელისუფლება თავის მოვალეობად თვლის, კონსტიტუცია საკუთარი საჭიროებისა და შეხედულებისამებრ შეცვალოს. ცივილიზებულ სახელმწიფოში ალბათ ადამიანი უნდა ერგებოდეს კონსტიტუციას და არა პირიქით.**

— პირველი სიგნალი, ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით, მისადმი ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებამ გამოიწვია. სახელისუფლებო წრეებში საკმაოდ სერიოზულად მიმდინარეობდა და, შესაძლოა, ახლაც მიმდინარეობდეს, მსჯელობა, რომ დღეს მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებები 2001 წელს, შევარდნაძის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი დოკუმენტის სახეცვლილ ვარიანტად გასაღდეს.. შესაბამისად, მისი ხელახალი, ერთთვიანი საზოგადოებრივი განხილვა საჭირო აღარ იქნება და ცვლილებებს პარლამენტი ფორსირებული წესით მიიღებს. სანამ იმაზე ვიმსჯელებდეთ, ეს ცვლილებები კარგი იქნება თუ ცუდი, უკვე ასეთი ნაბიჯი ხალხის ანდა თავად კონსტიტუციისადმი უპატივცემულობის გამოხატულებას ნიშნავს. არა მგონია, კონსტიტუციისა და საკანონმდებლო აქტებისადმი რევოლუციურმა დამოკიდებულებამ დადებითი შედეგი გამოიღოს. რაც შეეხება შინაარსს, მასზე დეტალურად მსჯელობა, ცოტა არ იყოს, ნაადრევია და ძნელია, რადგან ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს საბოლოო ვარიანტი არ არის. თუმცა, რაც არის, აქ პარლამენტის როლი შემცირებული და დასუსტებულია. როგორც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ეს იმიტომ კეთდება, რომ პარლამენტში ახალი, რეფორმისტული იდეებისა და წინადადებების დამუხრუჭება არ მოხდეს. მაგრამ არა მგონია, დამუხრუჭებულ რეფორმებზე მისაღები — უუნარო პარლამენტი იყოს. უნდა გვახსოვდეს: იმავე რევოლუციაზე და მოვლენათა პროგრესულ განვითარებაზე პარლამენტმა ძალიან დიდი გავლენა იქონია. სხვა საქმეა, თუ მაშინდელი ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა მისი დისკრედიტაცია.

**— პრეზიდენტის ბოლო განცხადებით, პარლამენტს არათუ შესუსტებული, პირიქით, გაზრდილი უფლებები ექნება, ვიდრე ჰქონდა, რაც მისი თქმით, დასავლურ ევროპული მოდელის ანალოგი იქნება...**

— როგორც იურისტი, სანამ კონკრეტულ ახალ დოკუმენტს არ ვნახავ, მის ავკარგიანობაზე დეტალურად ვერ ვისაუბრებ.

**— აჭარასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია ვრცელდება — არის მოსაზრება, რომ აბაშიძე შევარდნაძისნაირი ლიბერალი არ იქნება რევოლუციასთან დამოკიდებულებაში და შესაძლებელია მოვლენათა ესკალაცია ტრაგიკული შედეგით დასრულდეს. არის ვერსიაც, რომ ცენტრი რეგიონთან ურთიერთობას კვლავაც მოლაპარაკებების გზით გააგრძელებს, ოღონდ ამ შემთხვევაში აღორძინებას პარლამენტში უკვე გაცილებით მეტი ადგილების დათმობა მოუწევს...**

— ორიოდე დღის წინ „აჭარის“ არხით ტრანსლირებულ გადაცემას ვუყურებდი. ვცადე, გამეგო როგორი იყო დამოკიდებულება მოვლენებისადმი იმ ხალხისა, ვინც სტუდიაში იჯდა — ესენი იყვნენ ადგილობრივი ჟურნალისტები, აღორძინების წარმომადგენლები და ა.შ. გადაცემას მთავარ ლეიტმოტივად ის აზრი გასდევდა, რომ სააკაშვილი და აბაშიძე საერთო ენას აუცილებლად გამონახავენ, რომ არა ბერძენიშვილები, სურმანიძეები, მოძრაობა „ჩვენი აჭარა“ და სხვა, აბაშიძისადმი შეურიგებლად განწყობილი ძალები. მაგრამ საქმე ხომ მოლაპარაკებაში არ არის. ვფიქრობ, დროა „აღორძინების“ ლიდერებმა გააცნობიერონ, რომ დასრულდა ეპოქა, როდესაც ერთი რომელიმე პარტია ხალხის ნაცვლად, ხალხის სახელით ლაპარაკობდა და გადაწყვეტილებაც ერთპიროვნულად გამოჰქონდა. ხელისუფლებაში ყოფნის გარანტია ცენტრიდან კი არ უნდა მოდიოდეს, არამედ რეალური მხარდაჭერიდან. ვერ წარმომიდგენია, რომ აჭარაში უკვე გააქტიურებული საზოგადოების დაშინება, მოთვინიერება ან დაპირებით გაჩერება მოხერხდეს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების პოზიციას ექნება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სააკაშვილს ვერ ექნება ისეთივე შეურიგებელი დამოკიდებულება „აღორძინებისადმი“, როგორიც ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ მას ერთადერთი გამოსავალი რჩება — პროცესები აბსოლუტურად გამჭვირვალე გახადოს და შევარდნაძის „გამონაკლისების“ პოლიტიკა მიუღებლად გამოაცხადოს. საქართველოს პრეზიდენტს აჭარის მმართველთანაც, იმერეთის გუბერნატორთანაც და სამცხე-ჯავახეთის გამგებელთანაც დამოკიდებულების განმსაზღვრელი ერთადერთი პლატფორმა უნდა ჰქონდეს — საქართველოს კონსტიტუცია, რომლის დარღვევასაც არც თვითონ იკადრებს და არც სხვას აკადრებინებს, ვინც არ უნდა იყოს იგი.

**ბევრმა ძველი პოზიციის შენარჩუნება მოახერხა, ბევრი უფრო მაღლაც „აცოცდა“. დღეს, თუ გავბედე და სააკაშვილი გავაკრიტიკე, ეს ხალხი ისეთ აღშფოთებას გამოთქვამს, თითქოს თავის დროზე მე ვიყავი კორუფციული ელიტის წარმომადგენელი და ისინი კი, მუდამ შევარდნაძის რეჟიმს ებრძოდნენ...**

***დაჩი გრძელიშვილი***

# გენური პომიდორი საქართველოში „მოგზაურობს“...

ამ კვირაში თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე უზარმაზარი წითელი პომიდორი გამოჩნდა, რომელიც თავისი აგრესიული იერისა და არაორდინარული გაბარიტების გამო ნებისმიერი გამვლელის ყურადღებას იქცევდა. ეს, ერთი შეხედვით სახალისო სანახაობა მწვანეთა მოძრაობამ გლობალურ პრობლემას — გენური ინჟინერიით გამოყვანილ კვების პროდუქტებს მიუძღვნა. თითქმის ყველასათვისაა ცნობილი, რომ ამ მეთოდით მიღებული პროდუქტი, სასარგებლო არ არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის. „კბილი კბილის წილ: მსო, ხელები შორს ჩვენი საკვებისაგან!“ — ეწერა პომიდორს. საქართველოს მწვანეთა მოძრაობას და გარემოს დაცვის ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელს „დედამიწის მეგობრები“ მიაჩნიათ, რომ ყველა ქვეყანას აქვს კანონიერი და სუვერენული უფლება, თავად გადაწყვიტოს, რა სახის საკვები მიიღოს და რომელი კულტურა მოიყვანოს. ამერიკის ადმინისტრაციის მცდელობა — მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) საშუალებით დაგვაძალოს ისეთი საკვები, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და გარემოს, ყოვლად ლილება გამოიწვიოს. მაგალითად, მოსპოს მწერების რომელიმე სახეობა.

**— შეიძლება დღეს საქართველოს ბაზარზეც იყოს გენური ინჟინერიით მიღებული საკვები პროდუქცია?**

— ძალიან უსიამოვნო ინფორმაცია მაქვს. ამერიკული და არგენტინული სოიას პროდუქტები გენური ინჟინერითაა მიღებული. ეს შეიძლება იყოს: ზეთი, შოკოლადი... განსაკუთრებით საშიშია იაფი დამატკბობელი ასპარტამი, რომელიც გენური მანიპულირებითაა მიღებული და გამოიყენება ლიმონათის, ნამცხვრის დამატკბობლად... ეს საშიში პროდუქტი 30 გრადუსამდე თუ გაცხელდა, მავნე ნივთიერებად გარდაიქმნება. როცა გამაგრილებელ სასმელს ვსვამ, უკვე ვიცი, რომელია ასპარტამზე დამზადებული... მას სხვანაირი სიტკბო აქვს. მოკლედ, შაქარი სანატრელი გაგვიხდა. დიდი კორპორაციები ცდილობენ გენმოდიფიცირებული საქონელი მეცნიერების დახმარებით შემოიტანონ ჩვენს ქვეყანაში. დაიწყეს მეცნიერთა დაფინანსება... კორპორაცია „მონსანტომ“, რომელმაც თავის დროზე კარტოფილის თესლი შემოიტანა და



გაუმართლებელია (მოგეხსენებათ, 2003 წლის მაისში აშშ-ის ადმინისტრაციამ ევროკავშირის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში).

საპროტესტო აქცია ევროპის ფარგლებში გაიმართა. გიგანტურმა გასაბერმა პომიდორმა გამოიარა ბრიუსელი, პარიზი, მადრიდი, ბარსელონა, ამსტერდამი, კოპენჰაგენი, ვარშავა, ბუდაპეშტი, ზაგრები, ვენა... საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, როგორც გავიგეთ, პომიდორს, რომელიც 53 კილოგრამს იწონის, პრობლემები „შეექმნა“. როდესაც მესაზღვრეებს აცნობეს, თუ რას ემსახურებოდა ეს წითელი გოლიათი, დაუყოვნებლივ გაატარეს საზღვარზე.

როგორც მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელმა დირექტორმა **რუსუდან სიმონიძემ** გვითხრა, პომიდორი თბილისიდან უკრაინაში გაემგზავრა, იქიდან მოლდავეთში გადავა და ასე მოივლის მთელ ევროპას.

**— ქართველი მეცნიერები რას ფიქრობენ ამ პრობლემის ირგვლივ?**

— 1994 წელს საქართველოში შემოიტანეს გენმოდიფიცირებული კარტოფილი და საცდელად დათესეს. ჩვენი მცდელობით ამ სახის კარტოფილის შემდგომი შემოტანა აიკრძალა, თუმცა თესლი მაინც გაიბნა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ბიოლოგების უმრავლესობას მიაჩნია, რომ გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტი საკვებად მიუღებელია. გარემოს დაცვის სამინისტროში მუშავდება კანონი ბიოუსაფრთხოების დაცვის შესახებ.

**— კერძოდ, რა უარყოფითი გავლენა შეუძლია იქონიოს ამ სახის პროდუქტებმა?**

— იგი საშიშია, როგორც გარემოსათვის, ისე ჯანმრთელობისათვის. მის მიერ მოტანილი ზიანი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და გამოკვლეული. უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობაზე: იწვევს ალერგიას, სხვადასხვა სერიოზულ დაავადებას... ისიც არასასურველია, რომ მარხვაზე მყოფმა ადამიანმა თევზის გენგადანერგილი პომიდორი მიირთვას(!).

**— რითი ამართლებენ გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების არსებობას?**

— ძირითადი მიზეზი იაფი პროდუქციის წარმოებაა. მწარმოებელი ცდილობს მასზე დამოკიდებული გახადოს ფერმერები, ქვეყნებიც კი. არადა, ეს პროდუქცია შეიძლება გაიფანტოს ბუნებაში და ბევრი უარყოფითი ცვამხელა წინააღმდეგობას წააწყდა, ვერაფრით მოინელა, რომ პატარა ქვეყანამ — საქართველომ აიძულა, უკან წასულიყო. მას რომ ფეხი მოეკიდებინა, დღეს ჩვენი მდგომარეობა ძალიან რთული იქნებოდა... ეს კარტოფილიც ტრიალებს ბაზარზე, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც...

**— მისი გამოცნობა თუ შეიძლება?**

— არსებობს მეთოდი, მაგრამ ჩვენთან არ არის დანერგილი. ბევრი ბიოლოგი ამ კარტოფილს ცნობს.

**— რამდენი ხელმოწერა შეგროვდა გენმოდიფიცირებული პროდუქტების წინააღმდეგ თბილისში?**

— ერთი დღის განმავლობაში 2.000 ხელმოწერა შევაგროვეთ. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ აქციას.

ბიოლოგმა **ირაკლი გულედანმა** აგვიხსნა, რომ როცა ერთი ორგანიზმიდან მეორეში შეჰყავთ გენეტიკური კოდი, მათ შორის გამოიყენება შუამავალი — ვირუსის აქტივიზატორი, რომელიც ააქტიურებს უცხო გენეტიკური კოდის რეალიზებას... ეს გენი შეიძლება უკონტროლო გახდეს და სიმსივნედ იქცეს... მეორე მთავარი პრობლემა ჩვენი გენეტიკური კოდის დაბინძურებაა. საერთოდ ეს უარყოფითი მხარე გასაიდუმლოებულია... ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან: ჩვენთანაც და ამერიკაშიც დაავადებად იქცა სიმსუქნე, მაგრამ ამერიკაში სულ სხვანაირი სიმსუქნეა, ჩვენთან სხვანაირი — უფრო ჯანსალი. მთავარია, ვიცოდეთ, რომ არსებობს გენმოდიფიცირებული პროდუქტის საშიშროება, ავირჩიოთ კვების ჯანსალი პროდუქტები.

საქართველოში ისედაც რთული ეკოლოგიური მდგომარეობაა. მოზღვავებულმა გაუმართავმა მანქანებმა დააბინძურა ჰაერი, მშენებლობისას არ ითვალისწინებენ ეკოვენტილაციას, საახალწლოდ იჩეხება ნაძვები, ბზობის წინ — ბზა, მტკვრის სანაპიროზე აშენებული ბენზინგასამართი და ავტოტექმომსახურების სადგურებიდან ნარეცხი წყალი, მანქანის ზეთისა და ბენზინის დაღვრილი მასა პირდაპირ მტკვარში ჩაედინება... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ?! ამას დაუმატეთ გენმოდიფიცირებული პროდუქტები... ქართველ გლეხს რომ უთქვამს, „ერთი აკლდა ცხრასაო“, სწორედ ასე გვემატება გენმოდიფიცირებული პროდუქტები. ამიტომ დროზე უნდა გავაკეთოთ ჩვენი საკეთებელი და სხვის იმედად არ დაველოდოთ კეთილ შედეგს.

***ლელა ჯიყაშვილი***

# ამ ქალაქს მოვლა არ უნდა?..

ხშირად გაიგონებთ, თბილისი ის აღარ არის, რაც იყო — თბილი ურთიერთობების ქალაქი გაუფერულდა და გაუხეშდაო. აღარც მის სისუფთავეზე იწუხებენ თავს. ცენტრალური ქუჩები კოტე ყუბანეიშვილის ორიგინალურწარწერიანმა ურნებმაც ამაოდ „დაამშვენა“. თუმცა როგორც საერთოდ ხდება, არც თბილისში წვიმს ისე, როგორც ქუხს...



არადა, შეიძლება უჩვეულოდაც მოგეჩვენოთ, რომ დედაქალაქს ისეთი ადამიანებიც უვლიან, თავად რომ სჭირდებათ მოვლა და დახმარება. ჩემმა რესპონდენტმა, დეიდა ნინამ, რომელსაც მეტეხის ეკლესიის ეზოში ხელი სამოწყალოდ აქვს გაწვდილი, ამ ტაძრის ეზოს მოვლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა იქ ქვა-ღორღის მეტი არაფერი ეყარა. დაიწყო და აღარც მიუტოვებია. ახლა ტაძრის ეზო მოვლილ-დასუფთავებულიცაა და ყვავილების ბაღით დამშვენებულიც...

**— დეიდა ნინა, როგორ მოხვდით ამ ტაძარში, უფრო სწორად მის ეზოში?**

— მატყლის ფაბრიკაში ვმუშაობდი, ფაბრიკები რო დაინგრა, დავრჩი მარტოკა და უპატრონო. აღარც შეშა მქონდა, აღარც ნავთი, არც ფული და აღარც საჭმელი... სხვა რა გზა მქონდა, მივედი, დავჯექი სიონთან. იქ კიდევ მათხოვრები წამეჩხუბნენ — ჩვენი ადგილიაო. ადგილი ყველას გვეყოფა-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა... გამომაგდეს. იმ ღამეს ტირილით დავიძინე. ჰოდა, რო დავიძინე, მოვიდა წმინდა ნიკოლოზი და მითხრა, სიონში კი არ არის შენი ადგილი, მეტეხში უნდა წახვიდეო...

**— როგორ იცანით, რომ წმინდა ნიკოლოზი იყო...**

— არა, ნინა გენაცვალოს, მაშინ არც ვიცოდი, ვინ იყო... შემოვედი ამ ეკლესიაში და ერთი ხატი ვნახე, ვნახე და თვალს არ დავუჯერე: მე რომ სიზმარში ვნახე, ზუსტად ის კაცი იყო... ვიკითხე, ვისი ხატია-თქო. ეგრე მითხრეს, ეგაა წმინდა ნიკოლოზი, ღარიბთა შემწე და მფარველიო...

**— აქაც ხომ არიან მათხოვრები, აქ არავინ წაგეჩხუბათ, არ დაგჟდეო?**

— აქა? არა, მაგათაც ეგრე მოვუყევი, სიზმარი ვნახე-მეთქი. დამიჯერეს... ამ ეზოში მაშინ აყრილ-დაყრილი იყო ყველაფერი. ეს რო დავინახე, დავიწყე გასუფთავება. რაღა არ ეყარა, ათასი ხარახურა, ფანერები, ქვა-რკინა...

**— ეს ყვავილნარი როგორღა გააშენეთ?**

— ყვავილების თესლი და ნერგი ვიშოვე და მოვიტანე. ეს ზამბახიო, ეს ყაყაჩოო, ეს კიდევ ვარდები, სულ ნაირ-ნაირები. ბევრი ხომ მე დავრგე და გავახარე, ბევრი კიდევა მრევლის მოტანილია.

**— მარტო თქვენ უვლით?**

— მარტო მე რათა. ჩვენი გოგოც უვლის, მარიამი, ეკლესიის მსახური...

**— ბავშვებს რატომ უჯავრდები ხოლმე, ტაძრის ეზოში?**

— მაგათ კი არ ვუყვირი, მაგათ მშობლებს ვუყვირი, მა არ უნდა იცოდნენ, რომ ამისთანა ლამაზი ეზო არ უნდა გააფუჭებინონ ბავშვსა?

**— ამდენი ხანია ეკლესიის ეზოს უვლით, თანაც ტაძრის მრევლი მოწყალებას არ იშურებს თქვენთვის. როგორ გგონიათ, აქ არის თქვენი ადგილი?**

— მა სად უნდა წავიდე, შვილო... ეზოს ვუვლი, სანთელს ვუნთებ ხატებს, უფალს ვუმადლი, რომ განსაცდელში არ მტოვებს...

**— აქ როდემდე აპირებთ ყოფნას?**

— ამ ეზოს გარეშე ერთი დღეც ვერ გავძლებ. თანაც, აბა, გადაიხედე, აქედან თბილისი რა ლამაზია, შეხედე, რამდენი ეკლესიაა. მა, ამ ქალაქს მოვლა არ უნდა?..

***ეთერ ერაძე***

# ძველთბილისური სიმღერის გაცოცხლება

ლამარა ჯაფარიძის ქალაქურ სიმღერებში ერთდროულად ძველთბილისური სულიც ცოცხლდება და აშუღური ცეცხლიც იწვის.

ლამარა ჯაფარიძის სიმღერასთან შეხვედრისას მსმენელი თანდათან იძირება „მუხამბაზის“ მოტივებში, „ნაზი ხარ, ნარნარი“, მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით, ძველ ქალაქში გაბრუნებს თითქოს, ამას მოჰყვება „ჩემი გმირი გიწოდე“, „გენაცვალე“...

ჯადოსნურ ხმებს გამოსცემს ბაფთიანი გიტარა ქალბატონი ლამარას ხელში. ვირტუოზულად მოძრაობენ გაწაფული თითები და გატარის სულში ჩამწვდომ მელოდიას მოჰყვება გასაოცარი სიმღერა. ეს არის სევდის, ღელვის, ტანჯვისა და სიყვარულის საგალობელი...

**— ქალბატონო ლამარა, თქვენზე ამბობენ, ახალგაზრდობაში ნაკლებად ჩანდაო...**

— სცენაზე ხშირად გამოსვლას ვერიდებოდი. მართალია, ყოველთვის ამბობდნენ, რა ტკბილი ხმა აქვსო, ტაშითაც მანებივრებდნენ, მაგრამ მაინც ჩრდილში ყოფნას ვარჩევდი...

**— როგორ ფიქრობთ, მომღერლისთვის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

— პირველ რიგში, არტისტიზმი, გარეგნობა, ხმა და რაც მთავარია, ნიჭი... და კიდევ, იცით რა არის აუცილებელი? ზომიერების გრძნობა! აი, ახალგაზრდა მომღერლები რომ „არემიქსებენ“ ძველ სიმღერებს... ბუბა კიკაბიძემ უკვე იმღერა „მე რა მამღერებს“, ჯანო ბაგრატიონმა (მამამ) კიდევ „ყვავილების ქვეყანა“... ასეთ სიმღერებს გადაკეთება არ უხდება...

**— თქვენ ხალხურ სიმღერებსაც მღეროდით...**

— „დაიგვიანეს“, „ურმული“, „ოროველა“... ჩემი საყვარელი სიმღერებია. განუმეორებელი მარო თარხნიშვილის ქალიშვილი, ანა მეუბნებოდა, დედაჩემის შემდეგ „დაიგვიანეს“ თქვენსავით ვერავინ ასრულებსო. თუმცა, მე ჰამლეტ გონაშვილს ვანიჭებდი უპირატესობას...

**— მრავალ საკრავზე შეუძლია დაკვრაო, თქვენზე მითხრეს...**

— ერთი ხანობა ცხინვალის სახელმწიფო ანსამბლში ვმღეროდი. ერთხელ, დალაფანდერი (ოსების ეროვნული საკრავია) მომცეს. ავიღე და... ავამღერე. გაგიჟდნენ, ხელში არასოდეს გჭერია და როგორ უკრავო...

**— თანამედროვე ესტრადაზე რას იტყვით?**

— ჩემი შვილები, მაკა და დათო მჭედლიძეები, მღერიან, ჩემი რძალიც მღერის... ასე რომ, ჩემთვის უცხო არ არის თანამედროვე ესტრადა. თუმცა, გული მწყდება, რომ ჩვენმა მომღერლებმა თბილისური სიმღერები თითქმის მიივიწყეს. აი, ნატო გელაშვილზე ვერ ვიტყვი ამას. მართლა ახალ საგალობლებს უმღერის თბილისს...

**— თქვენი თაობის ადამიანებისათვის განუმეორებელ საგიტარო რომანსს „შუსტარი“, მართლაც ძველებური, რომანტიკული ხიბლით ასრულებთ... საიდან მოდის ეს მუსიკა?**

— როგორც ძველი თბილისის მეხოტბე პოეტი იოსებ გრიშაშვილი წერდა, „შუსტარი“ ძველებური, ბოჰემური ნაწარმოებია, აღმოსავლურ მოტივებზე შექმნილი. უსმენ გიტარის ტკივილს და თითქოს გესმის გრიშაშვილის სიტყვები: „სიცოცხლე მხოლოდ



ლამარა ჯაფარიძე პოეტებთან თემურ ჩალაბაშვილთან და ეკა ბაქრაძესთან ერთად

ტანჯვაა და მაინც მშვენიერი, საოცნებო. იმიტომ რომ შენთან ვარ“...

...დგას სცენაზე მშვენიერი ქალბატონი, რომლის ქალური მომხიბვლელობისთვის რვა ათეულ წელს ბევრი ვერაფერი დაუკლია და კიდევ ერთხელ აჯადოებს მსმენელს საკუთარი სტრიქონებით:

*არც ვნაღვლობ, არც მედარდება*
*ჩემი ჭაღარა ხნულისა,*
*სიბერემ მისწროო, მერე რა?*
*გული მაქვს გაზაფხულისა...*

***ეთერ ყამბეგაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ამ თვის თქვენი წილი მოგართვით, ბატონო გენერალო“ — 139 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ძალად ყაჩაღი“ — 86
3. **იზო რიკაძე** — „ახალმა ვითარებამ არაერთი ყვარყვარე დაგვანახა“ — 35
4. **დიანა ჭანკოტაძე** — „სიყვარული და ძალაუფლება“ — 34
5. **მარინა ბაბუნაშვილი** — „თქვენ ახლა ჩემს წერილს კითხულობთ, არა? ე.ი. მე უკვე ცოცხალი აღარა ვარ...“ — 22

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა ჟურნალისტ **ზვიად ჩაკვეტაძეს.**



***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 437-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# 15.000 ყოველდღიურად(?!)

## სად მიდიოდა გარემოვაჭრეებისგან აკრებილი ფული...



„დეზერტირების“ ბაზრისა და „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული გარემოვაჭრეები კანცელარიიის შენობას საპროტესტო აქციით მიადგნენ. მოვაჭრეები პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას ითხოვდნენ. ანალოგიური აქცია თბილისის მერიის წინ მათთვის უშედეგოდ დასრულდა. ქალაქის ხელმძღვანელობა შეუდგა ქუჩების გარემოვაჭრეებისაგან გაწმენდას და როგორც ჩანს, უკან დახევას არ აპირებს.

თავის მხრივ მოვაჭრეები ცოცხალი თავით არ აპირებენ დახლების ალაგებას და არც მერიის წინადადებას თანხმდებიან, რომლის მიხედვითაც, მოვაჭრეებს ახლომდებარე ბაზრებში გამოეყოფათ ადგილი და ბაზრის ადმინისტრაცია სამი თვის მანძილზე ვაჭრობის ქირას არ გადაახდევინებს

წარსულს თუ გავიხსენებთ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ხელისუფლება ცდილობს „ვაგზლის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლებას. მაშინ ამ მცდელობებს მხოლოდ დროებითი კამპანიის ხასიათი ჰქონდა და იგი გარემოვაჭრეებისათვის მხოლოდ ბეგარის გაზრდით მთავრდებოდა.

— „უკვე ხუთი წელია, აქ ვვაჭრობ — გვეუბნება ერთ-ერთი გარემოვაჭრე ინგა ებრალიძე, — ამ საქმიანობით ვარჩენ ოჯახს. სად უნდა წავიდე? მომცეს სახელმწიფომ ნორმალური სამუშაო. აქ წვიმასა თუ სიცხეში დგომა არავის გვეხალისება.

**— მაგრამ ხომ გეუბნებიან, რომ ბაზარში შეგიძლიათ ვაჭრობა?**

— ბაზარში ისეთ ადგილებს გვთავაზობენ, მყიდველი რომ არასოდეს მოვა. უფრო მეტს გადავიხდი, ოღონდ აქედან ნუ გაგვყრიან. ადრე რომ პოლიციელებს შემოგვისევდნენ, უნდა წახვიდეთო, გადასახადს ვზრდიდით და ამით ვიშორებდით თავიდან. სულ პირველად რომ დავდექი, 2 ლარს ვიხდიდი, დღეისათვის ეს თანხა 6 ლარამდე გაიზარდა(!).

**— ვის უხდით ამ ფულს?**

— პოლიციას ვაძლევდი ყოველ საღამოს...

როგორც შევიტყვეთ, გარემოვაჭრეების მიერ დაკავებული ტერიტორია კონტროლდება დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს მიერ. შესაბამისად, გარემოვაჭრეებისგან შემოსული ყოველდღიური თანხაც აქ ილექებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გარემოვაჭრეთა რაოდენობა რამდენიმე ათასია, სერიოზულ თანხებზე უნდა იყოს საუბარი (დღეში დაახლოებით 12-15.000 ლარი, რაც ყოველთვიურად 400.000 ლარს შეადგენს, დაგვეთანხმებით დიდი ფულია. — დ.დ.), რისი დაკარგვაც, ცხადია, ნებისმიერი ჩინოვნიკისათვის მტკივნეული იქნება. ამიტომ ვარაუდობენ, რომ გარემოვაჭრეთა „ამბოხში“ შეიძლება პოლიციის რომელიმე მაღალჩინოსნის ხელიც ურევია.

გარემოვაჭრეთა მართვის შესახებ ისაუბრა საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ **ზაზა ბეგაშვილმაც**: „გარემოვაჭრეების მიმართ მაქსიმალურად პრინციპულები ვიქნებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათი ინტერესები შეილახება, მაგრამ არც იმ თბილისელთა ინტერესები უნდა შეიბღალოს, რომლებიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ. გარევაჭრობა ეტაპობრივად უნდა აიკრძალოს. ჩვენ ძველი დამბლადაცემული ხელისუფლება არ ვართ, იქით რომ გადავიხაროთ, საიდანაც ქარი დაუბერავს. დამუშავებული იყო სქემა, რომლის მიხედვითაც, გარემოვაჭრეები უმტკივნეულოდ უნდა შესულიყვნენ ბაზრობებზე, მაგრამ „ვილაცებმა“ იმუშავეს და გარემოვაჭრეები მერიას მიადგნენ“.

ალბათ საინტერესოა, ვინ უნდა იგულისხმებოდეს „ვილაცებში“ — სარჩოს დაკარგვით შეშინებული ჩინოვნიკები თუ რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამჟამად წყდება ერთი მხრივ ათასობით ადამიანის შემოსავლის საკითხი, ხოლო მეორე მხრივ ლაპარაკია ქალაქის იერსახის დაბრუნებაზე. იმედია, ახალი ხელისუფლება ოქროს შუალედს გამონახავს და არც მოვაჭრეებს წაერთმევათ საარსებო წყარო და თბილისის ქუჩებიც ერთხელ და სამუდამოდ გასუფთავდება ანტისანიტარიისა და საეჭვო ხარისხის პროდუქციისგან.

# ავადმყოფობის მიზეზით გამოძიება აღარ შეჩერდება

## რას მოგვიტანს ე.წ. „ჩაშვების“ ინსტიტუტის დაკანონება



გენპროკურატურის მიერ დაკავებული მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ვახტანგ ჩახნაშვილი გამოძიებასთან თანამშრომლობას დათანხმდა. იმის მიუხედავად, რომ აყვანის პირველ დღეებში დაკავებული დუმილის უფლებას იყენებდა, ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა და ალაპარაკება ამჯობინა. ახალი გენპროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, ჩახნაშვილს ბრალად ედება თანამდებობის ბოროტად გამოყენება. კერძოდ, ლაპარაკია საპენსიო ფონდში მაქინაციების შედეგად დაკარგულ დიდ თანხებზე. თუმცა ოქრუაშვილისავე ინფორმაციით, მხოლოდ ვახტანგ ჩახნაშვილი არ არის ამ საქმეში ბრალდებული. აქ სხვა ბევრი პირიც არის გარეული და მათ მიმართაც შესაბამისი ზომებია გასატარებელი.

ვინ შედის „სხვა პირების“ სიაში, ამაზე ალბათ სწორედ ჩახნაშვილმა უნდა გასცეს ამომწურავი პასუხი. ყოველ შემთხვევაში, გამოძიებას ამის დიდი იმედი აქვს. როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. პროკურატურის კულუარებში ჩურჩულებენ, რომ ჩახნაშვილის გარშემო სკანდალი მწიფდება. რა გაგრძელება მოჰყვება ყოველივე ამას, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიით, გამოძიებაში უკვე ამოტივტივდა შემოსავლების სამინისტროს ყოფილი პირველი პირების, მიხეილ მაჭავარიანისა და ლევან ძნელაძის სახელები. მათ გვერდით ფინანსთა ყოფილი მინისტრი მირიან გოგიაშვილიც დასახელდა. რა კავშირი აქვთ მათ ფინანსურ მაქინაციებთან, ამაზე ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობს, მაგრამ პროკურატურაში ირწმუნებიან, რომ გვარები მომავალ კვირაში დასახელდება. ერთი სიტყვით, ყოფილი ჩინოვნიკებისათვის უძილო ღამეების ხანა დგება.

რატომ გადაწყვიტა ვახტანგ ჩახნაშვილმა გამოძიებასთან თანამშრომლობა? როგორც „კვირის პალიტრას“ სანდო წყარომ აცნობა, ამის მიზეზი შეიძლება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ახალი კანონპროექტი იყოს. ამბობენ, რომ კანონპროექტმა (რომელსაც პარლამენტი, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში დაამტკიცებს) ჩახნაშვილს სულზე მიუსწრო; ანუ რა დანაშაულშიც უნდა ედებოდეს მას ბრალი, თუკი იმ ზემდგომ პირებს დაასახელებს, რომლებიც ამავე დანაშაულში არიან გარეულნი, პროკურატურამ მას შეიძლება ბრალი მოუხსნას და თანამშრომლობის სანაცვლოდ თავისუფლება აჩუქოს. ჩახნაშვილის ზემდგომი პირები კი მხოლოდ მინისტრები არიან...

პროკურატურას, რომელსაც ამავე კანონპროექტით უფლებამოსილებანი ეზრდება, იმედი აქვს, რომ თავისუფლების სანაცვლოდ, კორუფციასა თუ სხვადასხვა მაქინაციაში ბრალდებული ბევრი პირი ალაპარაკდება და თავის ზემდგომებს, „ბობოლა“ დამნაშავეებს დაასახელებს.

ეს პირველი პრეცედენტია საქართველოში, როცა სამართალი უფლებას ანიჭებს დამნაშავეს, რომ „ჩაშვების“ შემთხვევაში, მასზე სამართლებრივი დევნა აღარ განხორციელდეს. ქართული მენტალიტეტისათვის ეს სრულიად ახალი ხილია. მანამდე, დაწყებული საბჭოური პერიოდით, სავსებით სხვა მექანიზმი მუშაობდა. სხვადასხვა საწარმოში დაბუდებულ კორუფციულ ჯგუფს, თუკი თავს პროკურატურა დაადგებოდა, ამ შემთხვევაში ციხეში მიდიოდა არა მთლიანად დამნაშავეთა ჯგუფი, არამედ დანაშაულს თავზე იღებდა მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელიც ციხეში ჩაჯდომის სანაცვლოდ, სოლიდურ ფინანსურ გარანტიებს იღებდა. „ამ შემთხვევაში დაპატიმრებული კაცი ბევრად უფრო კარგად გრძნობდა თავს, — გვითხრეს პროკურატურაში, — ვიდრე გარეთ დარჩენილები. წესი ასეთი იყო: დაპატიმრებულის ოჯახს ჩიტის რძეც კი არ უნდა მოჰკლებოდა“.

როგორც ჩანს, დღეიდან ყველაფერი პირიქით იქნება. ერთმა კაცმა თავისუფლების სანაცვლოდ შეიძლება მთელი ჯგუფი გაუშვას ციხეში.

სხვათა შორის, ამ კანონპროექტზე ჯერ კიდევ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში ლაპარაკობდნენ. სააკაშვილის ოპონენტები მაშინ ხმამაღლა გაიძახოდნენ, რომ სააკაშვილი საქართველოში ჩაშვების ინსტიტუტს აკანონებდა. ეს მითქმა-მოთქმა მალევე მიწყნარდა, რადგან პარლამენტმა კანონპროექტი არ მიიღო. მას შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. კანონპროექტსაც კიდევ რამდენიმე მუხლი დაემატა და ახალი სახით წარედგინება პარლამენტს. ალბათ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ერთხელ უკვე დაწუნებული კანონპროექტი ამჯერად პრობლემების გარეშე დამტკიცდება.

რას წარმოადგენს კანონპროექტი, რომელსაც ასეთი ვნებათაღელვა მოჰყვა? ამ საკითხზე „კვირის პალიტრას“ იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების, რეგისტრაციისა დეპარტამენტის უფროსი **ვალერი ცერცვაძე** ესაუბრა:

**— კანონპროექტის შექმნაში იუსტიციის სამინისტროს გარდა, კიდევ ვინმე თუ მონაწილეობდა?**

— ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდა გენერალური პროკურატურა. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წინადადებებიც გავითვალისწინეთ. ძველი პროექტისაგან განსხვავებით, დამატებული გვაქვს ერთი მთავარი დეტალი — სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს პირზე მის დაუსწრებლადაც, თუ ეს არის თანამდებობის პირი და ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო თავს არიდებს გამოძიებას ან მიმალვაში იმყოფება.

**უნდა აღიაროს ჩადენილი დანაშაული, უნდა გამოთქვას საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი და მიაწოდოს გამოძიებას უტყუარი ინფორმაცია სხვა უფრო მაღალი თანამდებობის პირის უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ. მის ამ ჩვენებებს ბრმად არავინ ენდობა. მტკიცებულებები უტყუარი უნდა იყოს, რაც შექმნის უფრო დიდი დანაშაულის გახსნის წინა პირობას. ზერელე მტკიცებულებები არ ჩაითვლება და შეიძლება განმცხადებლის საწინააღმდეგოდაც იქნეს გამოყენებული.**

**— საზოგადოებაში კანონპროექტმა ყველაზე უფრო იმით გამოიწვია დაინტერესება და ერთგვარი შეშფოთებაც, რომ უნდა ამოქმედდეს „ჩაშვების“ ინსტიტუტი. რა მექანიზმია ეს?**

— თქვენ რომ ახსენეთ „ჩაშვება“, ეს არის თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან. უფრო ზუსტად, გარიგებითი მართლმსაჯულების პრინციპი, რომელიც აპრობირებულია როგორც ამერიკაში, ასევე ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, შვეიცარიასა და გერმანიაში.

**— რას გულისხმობს გარიგებითი მართლმსაჯულების პრინციპი?**

— იგი გულისხმობს პირის მიმართ გამარტივებულ სასამართლო წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: პირმა უნდა აღიაროს ჩადენილი დანაშაული, უნდა გამოთქვას საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი და მიაწოდოს გამოძიებას უტყუარი ინფორმაცია სხვა უფრო მაღალი თანამდებობის პირის უფრო მძიმე დანაშაულის შესახებ. მის ამ ჩვენებებს ბრმად არავინ ენდობა. მტკიცებულებები უტყუარი უნდა იყოს, რაც შექმნის უფრო დიდი დანაშაულის გახსნის წინა პირობას. ზერელე მტკიცებულებები არ ჩაითვლება და შეიძლება განმცხადებლის საწინააღმდეგოდაც იქნეს გამოყენებული.

თუ სერიოზული ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას და ბევრად უფრო მსხვილი დანაშაული გაიხსნა, პროკურორს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა მისი გათავისუფლების შესახებ.

**— მაშინაც კი, თუ მკვლელობა ჩაიდინა?**

— ეს არ ეხება მკვლელებს. ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის პირზე, რომელიც არის კორუფციის შესახებ კანონის სუბიექტი და ჩადენილი აქვს კორუფციული სამართალდარღვევა: გადასახადების თავიდან აცილება, მითვისება და სხვა ამ ტიპის დანაშაულები.

ერთი სიტყვით, პრინციპი ძალზე მარტივია. წვრილ დამნაშავეს, რომელიც შეიძლება სისტემის მსხვერპლი იყოს, არ უნდა შეექმნას პრობლემა, რომ დაასახელოს ის პირები, ვინც ეს სისტემა შექმნა. ვთქვათ, რიგით საგზაო ინსპექტორს, რომელსაც ოჯახი ჰყავს შესანახი და მძღოლებისაგან იღებს 2 ან 5 ლარს, ეს არ ჩაეთვლება დანაშაულად, რადგან მას ხელმძღვანელი სთხოვს ფულის აღებას და მიტანას. ინსპექტორი თუ დაასახელებს მაღალი თანამდებობის პირს, სახელმწიფომ მის მიმართ ლოიალობა უნდა გამოიჩინოს და საშუალება მისცეს, ახალი ცხოვრებით იცხოვროს.

**— როგორ ფიქრობთ, გაამართლებს ასეთი მექანიზმი?**

— ჩემი სუბიექტური აზრი რამდენად საინტერესო იქნება არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, ესა თუ ის პირი ვალდებულია, გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

**— მე თქვენი ობიექტური აზრი მაინტერესებს.**

— ჩვენთან, გამოძიებასთან თანამშრომლობა სამარცხვინოდ მიიჩნევა. ეს ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარეობს, მაგრამ ეს საკითხი ხომ სახელმწიფოს მომავალს ეხება და მე მგონია, გაამართლებს. გამომძიებელი შეისწავლის გარიგებას, რომელსაც უშუალოდ პროკურორი გააფორმებს. შემდეგ პროკურორი მიმართავს სასამართლოს, თუმცა სასამართლო არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს გარიგება.

**— ანუ შეიძლება „გარიგება“ სასამართლომ ჩაშალოს? მაშინ სად არის გარანტია, რომ ალაპარაკებულ პირს გაათავისუფლებენ?**

— გარანტია არის რეფორმირებული სასამართლოს სისტემა, რომელიც მიუკერძოებლად უნდა მიუდგეს ამ საკითხს. ვიმეორებ, ეს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობს...

P. S. ერთი სიტყვით, ახალი კანონპროექტის სულისჩამდგმელებს დიდი იმედი აქვთ, რომ გარიგების მექანიზმის წყალობით კორუფციულ „რვაფეხას“ მისწვდებიან და მოსპობენ. იმის მიუხედავად, რომ „რვაფეხამდე“ ჯერ საკმაოდ შორსაა, სამართალდამცველები ფიქრობენ, რომ ახალი მექანიზმი უთუოდ გაამართლებს. საკუთარი უსაფრთხოებისთვის ბევრი დამნაშავე გადაწყვეტს მსგავსი ნაბიჯის გადადგმას. თუმცა, ჯერ ეს მაინც თეორიული აზრია და იქცევა თუ არა იგი ჩვენი საზოგადოებისათვის პრაქტიკად, ამას ალბათ უახლოესი მომავალი დაამტკიცებს. რაც შეეხება „გარიგებულის“ ფიზიკურ უსაფრთხოებას, როგორც იუსტიციის სამინისტროში განგვიმარტეს, ამაზე აუცილებლად სახელმწიფომ და სამართალდამცავებმა უნდა იზრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი „თანამშრომლობის“ მოსურნე არ ეყოლებათ.

*გვერდი მოამზადა*
*დავით დევიძემ*

**სადაც ჯაშუშებს ჯილდო ეძლევათ, იქ ბრალიანნი ყოველთვის მრავლად იქნებიან...**

*მილერამი*

# რა მექანიზმებით კეთდებოდა შავი ფული საავტომობილო გზების დეპარტამენტში

ორიოდე კვირის წინ სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამმართველოს ერთ ყოფილ, ამჟამად პენსიონერ მაღალჩინოსანს ჩემთან საუბარში შემთხვევით თუ შეგნებულად წამოსცდა: გუშინ რუსმა სამშვიდობო ძალების ოფიცრებმა საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის უკვე ყოფილი ხელმძღვანელი ბორის სარალიძე აფხაზეთის გავლით რუსეთში გადაიყვანესო. ბუნებრივია, ამ ინფორმაციით დავინტერესდი და ვთხოვე, დაწვრილებით მოეთხრო ყველაფერი. აი, რა მიამბო მან: „სამშვიდობო ძალების რამდენიმე რუს ოფიცერს ვიცნობ. ორი დღის წინ ზუგდიდის ბაზართან ერთი ნაცნობი რუსი ოფიცერი შემხვდა და სადილზე დამპატიჟა. უარი არ მითქვამს. ნახევარლიტრიანი არყის ბოთლი რომ გამოვცალეთ, ჩემი მასპინძელი აჭიკჭიკდა: — კარგია, რომ შენი გამასპინძლების შემთხვევა მომეცა. სამი დღის წინ თქვენი გზების მინისტრი ბორისი (გვარს ვერ ვიხსენებ), აფხაზეთით რუსეთში გადავიყვანეთ და სოჭში დავტოვეთ. სასაცილო ის იყო, რომ ყაზარმაში მისი სარგო სამხედრო ფორმა ვერ ვიშოვეთ. ბოლოს რაღაც-რაღაცები ჩავარღვიეთ, გადავაკეთეთ და რუსი ოფიცრის კამუფლაჟით გადავიყვანეთ. როგორც ოფიცერმა მითხრა, ბორის სარალიძე გვარიანად შეშინებული ყოფილა. ღამით მგზავრობა სწორედ მას დაუჟინია. არა მგონია, ოფიცერი ცრუობდეს, მაგრამ იქნებ თქვენც გადაამოწმოთ ეს ინფორმაცია“.

ასეც მოვიქეცი. ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ადგილსამყოფლის დადგენას. ყველა რესპონდენტი მპასუხობდა, სარალიძე საქართველოში არ იმყოფებაო. ჩვენდა გასაკვირად, იგი არც ძმის დაკრძალვას დასწრებია.

რატომ გაიქცა საქართველოდან ბორის სარალიძე? ეს კითხვა დავუსვით საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის შპს „გასამხედროებული დაცვის“ უფროსის თანაშემწეს, **ზელიმხან კუდუხაშვილს:**
— სარალიძეს გასაქცევად საქმე მართლაც ჰქონდა. რაც მაგან დეპარტამენტის ხელმძღვანელობისას ფული ხვეტა, შერჩებოდა? დეპარტამენტში კორუფცია ყვაოდა. თუნდაც „გასამხედროებული დაცვის“ სამსახური ავიღოთ. ამ სამსახურს გზებზე არსებული რთული საინჟინრო ნაგებობების, მაგალითად, ხიდების, გვირაბებისა და სხვა მისთანების დაცვა ევალებოდა. ჩვენი სამმართველოს ხელმძღვანელები პირწავარდნილი ყაჩაღები იყვნენ. ისეთი შავბნელი საქმეები აქვთ ნაკეთები, რომ თავზე ხელაღებული კაცი თუ გაბედავდა. უამრავი მკვდარი სული ჰყავდათ გაფორმებული, ატარებდნენ უსაქონლო ოპერაციებს, ყალბ ჩამოწერებს და ვინ იცის, კიდევ რას. თითოეული მაქინაცია მხოლოდ ერთ მიზანს — უკანონოდ ფულის გაკეთებას — ემსახურებოდა. სამმართველოს დოკუმენტაციის უმნიშვნელო შემოწმებითაც კი აეხდებოდა ფარდა ყველაფერს, მაგრამ შემმოწმებელიც და მაკონტროლებელიც იქრთამებოდა. ამ გზით ეს საბიუჯეტო ორგანიზაცია ფინანსურ კრახამდე მივიდა და დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბორის სარალიძემ ერთი ხელის მოსმით გააუქმა, ულუკმაპუროდ დატოვა 270-კაციანი კოლექტივი. სამაგიეროდ, შპს „გასამხედროებული დაცვის“ გაუქმებით სარალიძემ და მისმა „თანამებრძოლებმა“ დიდი მოგება ნახეს.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, როგორ?**

— გზებზე არსებული ხიდები, გვირაბები და თვით დეპარტამენტის შენობა დაცვას მოითხოვდა. გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა არ მიგვაღებინეს, თუმცა ჩვენი კოლექტივი პროფესიონალებით იყო დაკომპლექტებული. ტენდერში დაცვის ერთ კომერციულ სამსახურს გაამარჯვებინეს და ხელშეკრულებაც მასთან გააფორმეს, რომელიც რეალურად ფიქციურია და ობიექტების დაცვისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები კერძო დაცვის ხელმძღვანელებსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შორის გაიყო...

უფრო კატეგორიული იყო სიღნაღის რაიონის საგზაო სამმართველოს ყოფილი უფროსი **ტუზო ქადაგიშვილი:** — კარგა ხნის წინ საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთიდან 110 ვაგონით 5 ათასი ტონა გუდრონი მიიღო. ამდენის მიღება სიღნაღის ბაზას არ შეეძლო. ვაგონების მოცდენაზე კი ჯარიმა იწერებოდა. ამიტომ სასწრაფოდ ახალი საცავები გავაკეთეთ და საქონელი დავაბინავეთ. მერე ქალაქ პიატიგორსკიდან ჩამოვიყვანე სპეციალისტები და ვამაყობ, რომ საქართველოში მე დავნერგე გუდრონიდან ბიტუმის მიღების ტექნოლოგია. ერთი სიტყვით, 5 ათასი ტონა გუდრონიდან 4,6 ათასი ტონა ბიტუმი მივიღეთ. დეპარტამენტის ხელმძღვანელს ჩემთვის საქებარი სიტყვები არ დაუშურებია და მას შემდეგ, გვერდიდან არც მოვუცილებივარ. ბიტუმს, რომელიც ასფალტის მასის ძირითადი კომპონენტია, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი და ერთ გრამს არ ვიძლეოდი უსაბუთოდ. ალბათ ამის გამო იყო, რომ სამსახურიდან დამითხოვეს. გავიდა ხანი და სიღნაღის რაიონის გამგებლის რეკომენდაციით თანამდებობაზე დამაბრუნეს. უკვე გამქრალიყო 3.500 ტონა ბიტუმი, ალბათ დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მალულად გაყიდა და მერე ჩამოწერა. როგორც გავიგე, ბიტუმის ღირებულების 30% დეპარტამენტს სიღნაღის საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელებისთვის მიუგდია, დანარჩენი 70% კი დეპარტამენტის ხალხმა ჩაიჯიბა.

**— ბიტუმის ფინანსური მაქინაციებით თანხობრივად რამდენი იზარალა სახელმწიფომ?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ერთი ტონა მაღალხარისხოვანი ბიტუმი 300 ლარი ღირს, დეპარტამენტმა კი სულ ცოტა 3 ათასი ტონა ბიტუმი ყალბი საბუთებით ჩამოწერა, გამოდის, რომ სახელმწიფომ სულ მცირე 900.000 ლარი იზარალა. ეს მხოლოდ მიახლოებითი ციფრია... მათი მაქინაციები რომ არ გამომეაშკარავებინა, საქმე შემითითხნეს და პროკურატურაში მარბენინეს, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს. ბოლოს ასეთ კორუმპირებულ სისტემაში მუშაობას გაცლა ვამჯობინე და ახლა უმუშევარი ვარ...

როგორც შევიტყვეთ, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაობას რამდენიმე თვის განმავლობაში ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის თანამშრომლები შეისწავლიდნენ. ჩვენ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ თანამშრომელს, გზების ექსპერტს, **ევგენია უნანიანცს** გავესაუბრეთ:


რომან დალაქიშვილი



— საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტში კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია, თუმცა საქართველოს ენერგეტიკაში არსებულ კორუფციას მაინც არ შეედრება.

**— რა მექანიზმი არსებობს საავტომობილო გზების დეპარტამენტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მისათვისებლად?**

— ფულის მითვისების მექანიზმი მარტივია. მაგალითად, დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს რომელიმე გზის მონაკვეთის გასარემონტებლად ან გასაყვანად. ტენდერში მონაწილეობენ ისეთი კერძო კომპანიები, რომელთა სპეციფიკა გზების რემონტს ან გზებზე სხვადასხვა სამუშაოს ჩატარებას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ტენდერის უმთავრესი პირობით, კომპანიებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანქანა-დანადგარებიც, ჰყავდეთ კვალიფიციური კადრები და უნდა გაიმარჯვოს იმან, რომელიც შედარებით იაფად და ხარისხიანად შეასრულებს სამუშაოებს. რეალურად კი იმარჯვებს ის კომპანია, რომელიც დეპარტამენტს ე. წ. „ატკატის“ თანხას დაუბრუნებს. ეს უკანონო ფინანსური ოპერაციაა და ჩვეულებრივ ენაზე მას „ქრთამი“ ჰქვია. თანხის ოდენობა შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულების 10-დან 30%-მდე მერყეობს. კომპანია, რომელიც უფრო მეტ „ატკატის“ პროცენტს შესთავაზებს დეპარტამენტს, ტენდერშიც ის გაიმარჯვებს. ჩვენ დეპარტამენტში არსებული კორუფციის მთავარ მიზეზსაც მივაკვლიეთ. საქმე ის არის, რომ სატენდერო კომისიას დეპარტამენტი აკომპლექტებს. მის განკარგულებაშია საგზაო ფონდი, საიდანაც ფინანსდება სამუშაოები, მასვე ემორჩილება დამოუკიდებელი ექსპერტი და თვითონვე აკონტროლებს სამუშაოებსაც. როდესაც კომპანია შეასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს, მას დეპარტამენტის კომისია იბარებს. არავინ აქცევს ყურადღებას ჩატარებული სამუშაოების ხარისხს. ერთი სიტყვით, ყველა პირობაა საიმისოდ, რათა ორგანიზაციაში კორუფციამ მოიკიდოს ფეხი. აღმოვაჩინეთ აბსურდული დოკუმენტებიც. მაგალითად, დადებულია ხელშეკრულება დეპარტამენტსა და კერძო საგზაო კომპანიას შორის, რომელშიც არ არის მითითებული საგზაო კომპანიის სახელწოდება და სამუშაოების მოცულობა. ასფალტის ნაცვლად, ზოგჯერ გზაზე თხევადი ბიტუმის ფენას ასხამენ, დოკუმენტში კი ფიქსირდება, რომ თითქოს ასფალტის სქელი ფენა დაიგო.

სტატიის მომზადების პროცესში დაგვიკავშირდა ერთი მოქალაქე, რომელიც **გიორგი ცნობილაძედ** გაგვეცნო და ასეთი რამ გვიამბო: „შემთხვევით გავიგე დეპარტამენტის ერთი თანამშრომლისაგან, რომ იქ გამეფებული მექრთამეობის შესახებ მამხილებელი სტატიის დაწერას აპირებთ. ალბათ ჩემი ისტორიაც დაგაინტერესებთ. რამდენიმე წლის წინ დავაარსე გზების მშენებელ მეგობარ ინჟინრებთან ერთად საგზაო-სარემონტო შპს „გზათა სერვისი“. მერიამ გამოგვიყო სათანადო ტერიტორია საქმიანი ეზოსა და ავტოფარეხისთვის. განზრახული გვქონდა ასფალტ-ბეტონის მცირე წარმადობის ქარხნის ყიდვაც. შემთხვევით გავიგეთ, რომ მცხეთაში გერმანული ასფალტის მასის დამამზადებელი ქარხანა „ტენომატი“ იყიდებოდა. ქარხნის ხელმძღვანელობამ თითი დეპარტამენტისკენ გაიშვირა, მათი ქარხანაა და ფასზე მათ მოელაპარაკეთო. დეპარტამენტში პირდაპირ გვითხრეს — ქარხანას 300 ათას დოლარად მოგყიდით, ოღონდ ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებში 50 ათას დოლარზე მეტი არ უნდა დავაფიქსიროთო. თანაც აგვიხსნეს, რომ სამუშაოების მიღება და დროულად ფულის გადარიცხვა თუ გვინდოდა, „ატკატის“ წესებს უნდა დავმორჩილებოდით და პირდაპირ 30% მოგვთხოვეს. იმ მიზერული თანხებით, რომელსაც საგზაო ფონდი გზების გასარემონტებლად გამოყოფდა, შეუძლებელი იყო ხარისხიანი რემონტის ჩატარება. ამას კიდევ აკლდებოდა „ატკატის“ 30 პროცენტი. ყველაფერ ამასთან ერთად მარაგნაწილები, საწვავი, ღორღი და საბურავებიც კი იმ ფირმებში უნდა გვეყიდა, რომლებსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი გვირჩევდა. ამ გზით დამატებით თანხებს „გვაწერდნენ“. ასეთი დახარკვით მოგება აღარც კი დაგვრჩებოდა. იძულებული გავხდით, სასწრაფოდ გაგვეყიდა ყველაფერი, რაც კი საგზაო-სარემონტო შპს-ისთვის შევიძინეთ“.

გადავწყვიტეთ რესპონდენტის მონაყოლი შეგვემოწმებინა და ექსპერიმენტი ჩავატარეთ. დავუკავშირდით ერთ-ერთ საგზაო-სარემონტო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს მთავარ ინჟინერს. თავი ერთი ორგანიზაციის მენეჯერად გავაცანი და ოფისთან მისასვლელი გზის გაფართოება და მისი ასფალტის ფენით დაფარვა ვთხოვე. მთავარმა ინჟინერმა გულდასმით მომისმინა, მერე ჩემი თანამდებობით დაინტერესდა და პირდაპირ მითხრა: — ყველა სამუშაოს უმაღლეს დონეზე შეგისრულებთ. სამუშაოების ღირებულებაზე კი ვერაფერს გეტყვით. თავდაპირველად უნდა ვნახო, რა მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი და თანხის ოდენობას მხოლოდ შემდეგ დაგისახელებთ. თუმცა გააჩნია იმასაც, თქვენი ორგანიზაცია საბიუჯეტოა თუ არა. უნდა ვიცოდეთ, როგორც შემკვეთი რამდენ პროცენტს მოითხოვთ წილად?

**— როგორი „სტავკაც“ არსებობს დეპარტამენტში, იმაზე მეტს ნამდვილად არ მოგთხოვთ.**

— დეპარტამენტივით 30% „ატკატი“ თუ მომთხოვე, ნამდვილად არ დავიჭერ საქმეს შენთან. 15%-ს მოგცემ და სამუშაოს ხუთიანზე ჩაგაბარებ(?!).

**— ჯანდაბას, 15% იყოს, მაგრამ გზა უნაკლო უნდა იყოს — ყასიდად დავთანხმდი და შევეცადე საუბარი ჩემთვის საინტერესო მიმართულებით წამეყვანა, — ზოგი ამბობს, დეპარტამენტის უფროსი სარალიძე გაიქცა და მილიონებიც თან წაიღოო?**

— მაგას რა უჭირს, ახლა კარლოვი-ვარში ნებივრობს ჩვენგან წაღლეტილი ფულით. ჭკვიანი კაცია, დროზე გაასწრო. თუმცა მხოლოდ ეგ კი არ სცოდავდა დეპარტამენტში, ყველა თავისას ითხოვდა — კომისიის თავმჯდომარე, ექსპერტი, კონტროლიორი, ტენდერების განყოფილების უფროსი, საგზაო ფონდის ხელმძღვანელი, რომელი ერთი ჩამოგითვალო...

„ექსპერიმენტის“ შემდეგ ჩვენ საქართველოს პარლამენტის წევრს, ცაგერის რაიონიდან მაჟორიტარ დეპუტატს, კარლო მუშკუდიანს დავუკავშირდით. ბატონი კარლო რამდენიმე წლის განმავლობაში საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში აღმოსავლეთ საქართველოს გზების გაერთიანებას ედგა სათავეში, მაგრამ დეპარტამენტის ხელმძღვანელთან დაპირისპირების გამო თანამდებობა დატოვა.

**კარლო მუშკუდიანი:** — დღეს გზა სახელმწიფოს კუთვნილებაა და მისი მოვლა-პატრონობის და შეკეთების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. სამუშაოებს უმეტესად კერძო სტრუქტურები ასრულებენ. სწორედ აქ არის დარღვევები. შეგიძლიათ კონტროლის პალატის მასალებს გაეცნოთ.

**— გასაგებია. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. დავუშვათ, თქვენ ჟურნალისტი ხართ. რა კითხვებს დაუსვამდით საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს?**

— ვკითხავდი, რატომ ყიდულობდნენ საგზაო კომპანიები ერთ ლარად დიზელის საწვავს, როდესაც მისი ყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა გაცილებით ნაკლებად. კერძოდ, ლიტრის 70 თეთრად. რატომ ახდენდა ანგარიშსწორებას საწვავის და სხვა მარაგნაწილების ღირებულების ანაზღაურებისას საგზაო დეპარტამენტი და არა უშუალოდ საგზაო კომპანია? ვინ ხელმძღვანელობს შპს „მიმოს“? სად გააქრეს ასფალტის მასის დამამზადებელი მინიქარხნები, რომელიც მე ჩამოვიტანე გერმანიიდან და რამდენად სწორია, რომ ადგილობრივის ნაცვლად, გზის სამუშაოებს ცაგერის რაიონში ქუთაისის საგზაო სამუშაოთა კომპანია ასრულებს...

**— იქნებ ამ კითხვებს თქვენვე უპასუხოთ? დარწმუნებული ვარ, ამომწურავ პასუხს გაგვცემთ.**

— ბორის სარალიძემ დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს ბაზაზე კომერციული, თავის კონტროლს დაქვემდებარებული შპს-ები გახსნა. როდესაც გზების სარემონტო სამუშაოებისათვის ან გზების მშენებლობისათვის ტენდერში გამარჯვებულ კერძო საგზაო კომპანიას მასალები სჭირდება, იგი ვალდებულია მხოლოდ იმ შპს-ებისგან იყიდოს მასალა, საწვავი, ბიტუმი და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპარტამენტი ფულს არ გადაურიცხავს. ამ გზით დიდ მოგებას ნახულობს ზოგიერთი პირი. ასეთი ერთი შპს-ის ხელმძღვანელი ბორის სარალიძის ძმისშვილია, ხოლო მეორესი დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი გახლავთ. ასფალტის მასის დამამზადებელი სამი ქარხანა მე თვითონ ჩამოვიტანე გერმანიიდან. დანამდვილებით ვიცი, ორი ჩალის ფასად გაყიდა დეპარტამენტმა. ერთი ქარხანა მცხეთიდან გაქრა, მეორე — ახალქალაქიდან. იმის გამო, რომ არ ვეთანხმებოდი სარალიძის მუშაობის სტილს, დეპარტამენტიდან წამოვედი.

საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი უფროსი **რომან დალაქიშვილი:** — კორუფცია საგზაო დეპარტამენტში არსებობდა, მაგრამ მე თანამდებობის პირი ვარ და რომელიმე დანაშაულზე რომ ვილაპარაკო, აუცილებლად უნდა მქონდეს ხელთ დამამტკიცებელი საბუთი, რაც ამჟამად არ გამაჩნია.

**— რა თქმა უნდა, თვე-ნახევარი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ დეპარტამენტის დოკუმენტაციას საფუძვლიანად გაეცნო, მაგრამ ვიცით, რომ ბევრი ობიექტი შეამოწმეთ, მათ შორის ხიდები და გვირაბები. იცავს თუ არა საინჟინრო ნაგებობებს ვინმე?**

— იცავს, მაგრამ 70-80 წლის მოხუცები... საერთოდ, გარდა რიკოთის გვირაბისა, საჭირო არ არის გზებზე საინჟინრო ნაგებობების გასამხედროებული დაცვა და ამისათვის ბიუჯეტის თანხების ხარჯვა.

**— რის გაკეთებას აპირებთ დეპარტამენტში კორუფციის აღმოსაფხვრელად?**

— როგორც იცით, დეპარტამენტში თავმოყრილი იყო ტენდერის, საგზაო ფონდის და დაფინანსების, კონტროლის ყველა მექანიზმი. სწორედ ამ მექანიზმებზე გავაუქმე კონტროლი და დეპარტამენტის მუშაობა გამჭვირვალე გავხადე. ვფიქრობ, ეს და სხვა ღონისძიება ჩვენს სისტემაში კორუფციას თუ არ აღმოფხვრის, მნიშვნელოვნად შეამცირებს.

*P.S. უფლება არა გვაქვს რომან დალაქიშვილის დანაპირებში ეჭვი შევიტანოთ. ალბათ უპირველესად საქართველოს გზებს დაეტყობა, თუ რამდენად პირნათლად შეასრულებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი პირობას. იქნებ მართლაც დადგეს დრო, როცა ავტომობილით მგზავრობა საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების მომტანი იქნება. ღმერთმა ქნას!*

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# „მივმართავ ახალგაზრდა გენპროკურორს“

## ყველაზე გახმაურებული საქმეები — „ისეთი ეპიზოდებია, რომ ჭკუაზე შეიშლება კაცი“



**ბევრი დამნაშავეა იმ ხალხში, რომელიც დღეს მის გვერდზეა და გამარჯვებას ზეიმობს. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო — ამ აზრს არ უნდა მიჰყვეს ახალი გენპროკურორი. ის გამარჯვებულიც უნდა გასამართლდეს, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. ჯერჯერობით მომწონს სააკაშვილის საკადრო გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველას არ უნდა ენდოს. სააკაშვილის გარემოცვა უნდა გაიწმინდოს, იქ ბევრი საეჭვო პირია და მათი მხილება ოქრუაშვილისა და ბარამიძის საქმეა.**

ბევრისთვის მოულოდნელი იყო საქართველოს ახალი გენერალური პროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება — მინდა პროკურატურა ისეთი გახდეს, როგორიც ვახტანგ რაზმაძის გენპროკურორობის დროს იყოო (თუმცა ბევრის აზრით, „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმე დიდი ლაქაა გენპროკურორის ბიოგრაფიაში. რით გამოიჩინა თავი ამჟამად ასლან აბაშიძის თანაგუნდელმა ვახტანგ რაზმაძემ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პერსონისთვის გახდა მისაბაძი, მის დროს გამოძიებულ რომელ საქმეებს მიიჩნევდა ყველაზე მნიშვნელოვნად პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი **ვახტანგ რაზმაძე** და რას ურჩევს ის ახალ ხელისუფალთ, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— საქართველოს გენერალურ პროკურატურას 1985-1992 წლებში ვხელმძღვანელობდი. მაშინ პროკურატურას გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდა. ძირითადად, სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეებზე ვმუშაობდით. პროკურატურა იმდენად ძლიერი იყო, ქვეყნის პირველ პირს უნიათოდ რომც ემუშავა, ისეთი უკანონობა მაინც არ იქნებოდა, რაც დღეს გვაქვს. შევარდნაძემ და ჯაბა იოსელიანმა პროკურატურის როლის დაკნინება და მისთვის ძირითადი უფლებების ჩამორთმევა განიზრახეს და მიზანმიმართულად დაასუსტეს ის ძალა, რომელიც ადრე თუ გვიან, უთუოდ გააკონტროლებდა მათ საქმიანობას.

შს მინისტრობისას ედუარდ შევარდნაძე მიღებული თუ მიუღებელი ხერხებით ებრძოდა დამნაშავეობას. თუმც, ის არასდროს გამოირჩეოდა კანონის პატივისცემით. კანონის დარღვევით აპატიმრებდა ზოგიერთ თანამდებობის პირს, რათა მოსკოვისთვის ეჩვენებინა, დამნაშავეებს დაუნდობლად ვებრძვიო. არაერთი პირი გაწირა უსამართლოდ. მაგალითად, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი პეტრე გელბახიანი. შესაძლოა, იგი ქრთამს იღებდა კიდეც, მაგრამ სანამ ადამიანს ქრთამის აღებას არ დაუმტკიცებ, დამნაშავედ ვერ ცნობ. შევარდნაძემ ეს პრინციპი უგულებელყო. საგამოცდო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ჩვენება მისცა — ქრთამი რომ ავიღე, გელბახიანს გავუყავიო. სხვა ანგარებითი დანაშაული რექტორს ვერ მოუძებნეს. გელბახიანს ედავებოდნენ, ნაცნობობით იღებს ინსტიტუტში ხალხსო. შესაძლოა, ავტორიტეტული ხალხის შვილები მართლაც ხვდებოდნენ სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ პეტრე გელბახიანი არ იყო ისეთი კაცი, ზემოდან წამოსული ყველა მითითება შეესრულებინა. ნამდვილად არ უნდა გაეწირათ 15-წლიანი პატიმრობისთვის. მასზე გაცილებით ბევრს იღებდნენ სხვები, მაგრამ პეტრე გელბახიანი საჩვენებლად დაისაჯა. ის შევარდნაძის კარიერას შეეწირა.

როდესაც შევარდნაძე ცკ-ის მდივანი გახდა, საქართველოში მყარად მოიკიდა ფეხი, ე.წ. „მიწერებმა“. ამ გზით დიდძალი ქონება მიიტაცა ცალკეულმა პირმა. გეგმები ქაღალდზე სრულდებოდა. დოკუმენტი იქმნებოდა ვითომ შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყოფილ თანხებს ითვისებდნენ. მიწერების წყალობით გახდა საქართველო „მოწინავე“ რესპუბლიკა.

— **რამდენად ერეოდა შევარდნაძე პროკურატურის საქმიანობაში?**

— ჯერ კიდევ თბილისის პროკურორი ვიყავი, როცა საქართველოს გენერალური პროკურორი გამოცდილი იურისტი ლერი თალაკვაძე იყო. დედაქალაქში ბინათმშენებლობის საქმის შესწავლა დავიწყეთ და უცნაური რამ აღმოვაჩინეთ — ხალხს ბინის ორდერები ჰქონდა კონკრეტულ მისამართებზე აღებული მაშინ, როდესაც სახლების საძირკვლებიც არ იყო ჩაყრილი. როდესაც ამაზე პროკურატურა ალაპარაკდა, შევარდნაძემ გენპროკურორი ლერი თალაკვაძე მოხსნა. ცკ-ს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა და შევარდნაძემ ეს კარგად გამოიყენა.

— **ცკ-ის და პროკურატურის ორთაბრძოლაში ყოველთვის ცენტრალური კომიტეტი იმარჯვებდა?**

— ერთხელ პროკურატურამაც გაიმარჯვა. ხაბეიშვილის საქმეს ვგულისხმობ. სოლიკო ხაბეიშვილი ცკ-ის მდივანი იყო, მაგრამ დავიჭირეთ და გავასამართლეთ. მაშინ იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ დიდი მხარდაჭერა მქონდა საკავშირო პროკურატურისგან და არც ცკ-ის მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს შეუძლია ხელი ჩემთვის...

— **ალბათ იმიტომ, რომ მას პიროვნული დაპირისპირება ჰქონდა ხაბეიშვილთან.**

— ამ საქმის შესწავლა შევარდნაძის დროს დაიწყო. მან პირადად მთხოვა, დამეწყო ხაბეიშვილის საქმიანობის გამოძიება, მაგრამ როდესაც დანაშაული გამოიკვეთა, შევარდნაძე განზე გადგა. ალბათ იმიტომ, რომ მასზე ხაბეიშვილმა მოახდინა გავლენა.

— **რატომ გადგა განზე შევარდნაძე, დანაშაულის კვალი მისკენ ხომ არ მიდიოდა?**

— კვალი სად მიდიოდა, ღმერთმა იცის. შევარდნაძე მაშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და მის ავტორიტეტს ვუფრთხილდებოდით. ის საქართველოდან წავიდა როგორც წარმატებული პოლიტიკოსი და ჩვენ ვერ დავუშვებდით, რომ მის მიმართ ეჭვი გაჩენილიყო. ამ საქმის ძიებაში პატიაშვილი არ ჩარეულა, ჩვენთვის ხელი არ შეუშლია და რაკი ასე მოიქცა, აურზაური ატყდა, — პატიაშვილი ამ საქმით დაინტერესებული იყოო.

— **რომელ ცნობილ, გახმაურებულ საქმეებს გაიხსენებდით?**

— 1978 წელს თბილისის შამპანურის ქარხნის შემოწმება დაიწყო და აღმოვაჩინეთ, რომ ქარხნის ერთ-ერთი საწყობის გამგეს, მარო ბიბილეიშვილს სახელმწიფო საკუთრების დატაცების მარტივი, მაგრამ მეტისმეტად შედეგიანი მეთოდი შეემუშავებინა — თბილისის სასურსათო მაღაზიებთან აფორმებდა ხელშეკრულებას, თითქოს მათგან შამპანურის ბოთლებს იბარებდა. ამის შემდეგ იქმნებოდა დოკუმენტაცია, რომ ბოთლები მიზეზთა გამო იმსხვრეოდა. ამ გზით ბიბილეიშვილი დიდ თანხებს იღებდა შამპანურის ქარხნიდან და მაღაზიის გამგეებთან ერთად იყოფდა. ამ გზით რამდენიმე მილიონი მანეთი დაიტაცეს. მარო ბიბილეიშვილი დავაპატიმრეთ, მაგრამ სოფელ გლდანში, მის სახლში ვერაფერი ვიპოვეთ. მერე აღიარა — სიმდიდრე ნორიოში, ნათესავის სახლში მაქვს გადამალულიო. ნათესავის სახლში, ტახტის ფსკერზე, საბნების ქვეშ 4 ჩემოდანი ვიპოვეთ. 3 ჩემოდანში 762 ათასი მანეთი აღმოჩნდა, მეოთხეში კი 450 ათასი მანეთის ღირებულების ბრილიანტის ბეჭდები და ოქროს ნაკეთობები. ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმე იყო, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიტაცებული ქონება ასეთი ოდენობით არავის ამოუღია. დაახლოებით 100 კაცი მიეცა მაშინ პასუხისგებაში. ბიბილეიშვილს 15 წელი მიუსაჯეს. როგორც თანამოსაქმე, დავაპატიმრეთ მისი ქმარიც. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალისთვის მარო ბიბილეიშვილის ქონება დავაყადაღეთ და შემდგომში მისი რეალიზაცია მოხდა. საინტერესო იყო თბილისის სანეპიდსადგურის საქმეც, რომელიც შემდეგ „თაგვების საქმით“ გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# „ამის შემდეგ სირცხვილით თავი ვერ უნდა გამოეყოთ გარეთ“



*ქართული პოლიტიკური სპექტრი მოვლენებზე ფლეგმატურად რეაგირებს (ყველა ხელისუფლებას ეკედლება). ახალი ხელისუფლება მომხრეებს ვეღარ ითვლის და ოპონენტების აშკარა ნაკლებობას განიცდის. ეს კი მას მეტისმეტად საბედისწერო პერსპექტივას უქადის. „მრგვალი მაგიდა“ და „მოქალაქეთა კავშირი“ თავის დროზე უოპონენტობამ დაანგრია და თუ ხელისუფლებას დროულად არ გამოუჩნდა სპარინგპარტნიორი, მალე თვით სახელისუფლებო ბანაკში დაერევიან ერთმანეთს. ისე, ხელისუფლებაში კონფლიქტის პირველ ნიშნებს უკვე ხედავენ. ნინო ბურჯანაძეს გაოპოზიციონერებას უწინასწარმეტყველებენ, იმავეს ამბობენ აჭარაში სურმანიძის შესაძლო „გამეფებით“ შეურაცხყოფილ დავით ბერძენიშვილზეც, რომელიც კიდევ იმითაც ყოფილა თანამებრძოლებზე გულაცრუებული, რომ არჩევნებისთვის რესპუბლიკელებს 100-კაციან სიაში მხოლოდ 4 ადგილი არგუნეს.*

*რას ამბობს ხელისუფლების პირველ ნაბიჯებზე სანთლით საძებარი ოპოზიცია? ამის გარკვევა ედპ-ტრადიციონალისტების ლიდერთან,* ***აკაკი ასათიანთან*** *ვცადეთ, რომელსაც მიუხედავად მწვავე განცხადებებისა, რატომღაც მაინც „ხელოვნურ ოპოზიციონერს“ უწოდებენ:*

— ახალი ხელისუფლების გაკეთებული, გარდა დაჭერებისა და კონცერტებისა, ჯერ არავის არაფერი უნახავს. კონკრეტული ნაბიჯები არც ერთი მიმართულებით არ გადადგმულა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ უბედურებაა, როდესაც ხელისუფლებაში მოდის ხალხი, რომელთაც კონკრეტული მოქმედების გეგმა წინასწარ არ აქვთ შედგენილი. ასეთ ხელისუფლებას ისღა დარჩენია, სპეცეფექტებზე იმუშაოს. 4 იანვრამდე სააკაშვილი გარემოვაჭრეებს შეხვდა და უთხრა, — მთავრობაში თქვენ იქნებით მინისტრებადო. ეს თავიდანვე საკამათო ფორმულირება იყო, მაგრამ დღეს ამ ხალხს გარევაჭრობაც აუკრძალეს და ისინი უკვე მანიფესტაციებს მართავენ. ეს თვალნათელი მაგალითია იმისა, რა პრინციპებითა და ხერხებით მოქმედებს ეს ხელისუფლება. როდესაც ისეთ ადამიანს ირჩევენ, რომლის პროგრამა უცნობია, ეს ტომის ბელადის არჩევნებია და არა — პრეზიდენტის. დამნაშავეების დაჭერა კამპანიურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, მათ ყოველთვის უნდა იჭერდნენ. ეს ხელისუფლება რომ ახალს არაფერს აკეთებს, თავად დარწმუნდებით, თუ საჯარო ბიბლიოთეკაში 1972-73-74 წლების გაზეთ „კომუნისტს“ ნახავთ და გაეცნობით ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებს, მოქმედებებსა და ინტელიგენციასთან არშიყობას.

— **ახალი ხელისუფლება ჩვეულებრივ ვითარებაში არ მოსულა ქვეყნის სათავეში. შესაძლოა, იმისთვის, რაც მოხდა, იგი ჯერ მზად არ იყო.**

— პოლიტიკოსს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მზაობა, უნდა იცოდეს, რა გააკეთოს, თორემ კაბინეტში დაჯდომას ყველა მოახერხებს. არ შემინიშნავს, რომ ჟვანიას, სააკაშვილს ან ბურჯანაძეს დასახული ჰქონდეთ, რა აქვთ გასაკეთებელი. საშიში არიან ისეთი პოლიტიკოსები, რომლებსაც თანამდებობრივი წარმატების გარდა, არაფერი ამოძრავებთ. ვწუხვარ, რომ საზოგადოების ნაწილიც ვერ იქცევა ისე, განვითარებულ საზოგადოებას რომ ეკადრება და იმას ელოდება, ვინ უფრო ხმამაღლა დაიყვირებს, ვინ უფრო მაღლა შეხტება და ა.შ. მაგრამ იმედს ის მაძლევს, რომ ამ ეიფორიაში საზოგადოების ერთი ნაწილი ინარჩუნებს საღ გონებას.

— **კონკრეტულად, რომელ ნაბიჯს უწუნებთ ხელისუფლებას?**

— სოროსის ნათქვამი, საქართველოში წარმატებული ექსპერიმენტი ჩატარდა და იმავეს კამერუნსა და სენეგალშიც განვახორციელებო, ან კიდევ — მინისტრების ხელფასებს მე გადავიხდიო, მიკვირს, რატომ არ იყო შეურაცხმყოფელი ახალი ხელისუფლებისთვის. ამის შემდეგ სირცხვილით თავი ვერ უნდა გამოეყოთ გარეთ. გამოდის, რომ სახელმწიფო არ გვქონია, თორემ რომ გვქონოდა, კერძო პირი გვაკადრებდა, თქვენს მინისტრებს ხელფასს გადავუხდიო? მიკვირს, რომ საზოგადოების ნაწილმა ასეთ შეურაცხყოფაზე რეაგირების ნაცვლად იკითხა, — დანარჩენებს რატომ არ უხდისო.

— **ნაციონალური მოძრაობისა და დემოკრატების გაერთიანებას როგორ შეაფასებდით, რა იყო ამ გაერთიანების მიზანი?**

— არ გვინდა არშიყობა და კეკლუცობა. პირდაპირ ვთქვათ — „მოქალაქეთა კავშირი“ აღდგა. მის სათავეში შევარდნაძე იქნება, სააკაშვილი, ჟვანია თუ ბურჯანაძე, ამას მნიშვნელობა არ აქვს. რაც „მოქალაქეთა კავშირმა“ დაძართა ქვეყანას, ესენი იმაზე უარესს ჩაიდენენ. გინდ ერთად ყოფილან, გინდ — ცალ-ცალკე. ეს ხალხი ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანს, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი უკვე ხედავს ამას. კარგია, რომ ახალი ხელისუფლება მეტისმეტად ღორმუცელა აღმოჩნდა და თანამდებობებზე სხვებს არ ნიშნავს. ამით ბევრი ნიჭიერი და უნარიანი ადამიანის დისკრედიტაცია და გაუფასურება მოხდებოდა, ტყუილად გაიტეხდნენ სახელს.

— **მოსალოდნელია თუ არა ნინო ბურჯანაძის გადასვლა ოპოზიციაში და არის თუ არა შესაძლებელი, რომ ის თქვენს გაერთიანებაშიც აღმოჩნდეს?**

— მერწმუნეთ, მართლა არ ვიცი, რა ხდება მათ ბანაკში. ნინოს ვაფასებ, შესანიშნავი თვისებები აქვს, მაგრამ არავის შევეხვეწები. ჩვენი გაერთიანების კარი ყველა ღირსეული ადამიანისთვის ღიაა. ნინო არის ის ადამიანი, რომელსაც განსაკუთრებულად ვცემ პატივს. ვაფასებ ნინოსნაირ ადამიანებს, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში საკუთარ თავსაც უწევენ კონტროლს და ვითარებასაც აკონტროლებენ.

— **ეროვნული თანხმობისაკენ გადადგმულ ნაბიჯებზე რას იტყოდით?**

— პოპულისტური ნაბიჯია, მაგრამ კარგი. აუცილებელია ეს პრობლემა მოიხსნას. საზოგადოებაში ასეთი ბზარი და გაყოფა არ უნდა არსებობდეს. ვფიქრობ, შერიგება ქალბატონი მანანა არჩვაძითა და ძველი უზენაესი საბჭოთი უნდა დაწყებულიყო, თორემ აბსანძე ისედაც ხელისუფლებასთან არის, მასთან შერიგება რად სჭირდებოდათ?

— **როგორც პროკურატურაში ამბობენ, ზვიად გამსახურდიას საქმეში 13 ბრალდებაა ჩამოთვლილი, თქვენ, გამსახურდიას ხელისუფლების მეორე პირს, ობიექტურად მიგაჩნიათ ეს ბრალდებები?**

— 1992 წელს, როდესაც თბილისში ჩამოვედი (ქობულეთში ზვიად გამსახურდიას სურვილით ვიმყოფებოდი და განგებ გამოაბეს შემდეგ ზოგიერთებმა ამას სხვა კუდები), შევხვდი იოსელიანს, კიტოვანსა და სიგუას. ჩვენს საუბარს ელდარ შენგელაიაც და გოგა ხაინდრავაც ესწრებოდნენ. მითხრეს, პარლამენტი აღვადგინოთ, ოღონდ გამსახურდია გადავაყენოთო. რა ბრალდებით გადააყენებთ-მეთქი — ვიკითხე. მათ არ უხსენებიათ სამშობლოს ღალატი. არადა, პრეზიდენტის იმპიჩმენტი მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლებოდა... ამით დასრულდა ეს ლაპარაკი.

სოხუმის დაცემის შემდეგ, როდესაც გამსახურდია საქართველოში ჩამოვიდა, რუსებმა პირდაპირ შესთავაზეს, ან სცანი აფხაზეთის დამოუკიდებლობა (მერე ისევ შემოგიერთებთ ამ ტერიტორიასო) და თბილისში ჩაგიყვანთ, ან სიკვდილი გელისო. ზვიადმა სიკვდილი არჩია. ალბათ წარმოგიდგენიათ, რას იზამდა მის ადგილზე ზოგიერთი პოლიტიკოსი. აი, ასეთი „მოღალატე“ იყო ზვიად გამსახურდია. მან სიკვდილი არჩია სამშობლოს ღალატს, დროებით კომპრომისს.

როგორც ამტკიცებენ, ზვიად გამსახურდიამ საქართველოდან ტომრებით გაიტანა ფულიო. მან ისეთ ვითარებაში დატოვა საქართველო, ხაზინის გატანა შეუძლებელი იყო. ხაზინა კი არა, მან არქივი გაიტანა, რომელიც, სამწუხაროდ, გროზნოს აღების შემდეგ რუსებს ჩაუვარდათ ხელთ. დიდი ცოდვაა ზვიადის დაკავშირება ფულსა და თანხების გაფლანგვასთან. ამ საკითხში ის არაამქვეყნიური კაცი იყო. თუ მის გარშემო ვინმე რამეს აკეთებდა, ეს უნდა გაირკვეს, ზვიადზე კი ამის თქმა შეუძლებელია. ისე, ჩვენი ხელისუფლებისთვის კორუმპირებულობა აქამდე არ დაუბრალებიათ, ჩვენ უფრო სხვა ტიპის შეცდომები გვქონდა.

დღეს ზვიად გამსახურდიას გამართლება არ სჭირდება, ის გმირია, მაგრამ ალბათ ეს ფორმალური მხარე (საქმის შეწყვეტა) მაინც უნდა მოგვარდეს.

ჩემთვის აბსურდულია ზვიადისთვის წაყენებული ბრალდებები, მაგრამ სანამ ისინი მაინც არსებობს, გამსახურდიას გადმოსვენება ფარისევლობა იქნება. ჯერ უნდა მოიხსნას ბრალდებები, გაირკვეს ყველაფერი და მერე დაარქვან ქუჩებს მისი სახელი.

— **28 მარტის არჩევნებში სახელისუფლებო ძალების ტრიუმფალურ გამარჯვებას ელიან. ამბობენ, ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოხვდებაო.**

— სიცრუეა. ახალ პარლამენტში უთუოდ მოხვდება ოპოზიცია. მხოლოდ ედპ-ტრადიციონალისტები 10-15%-ს მაინც ავიღებთ. ასეთი ჭორების გავრცელება არჩევნების გაყალბებისთვის საზოგადოების შემზადებას ემსახურება.

— **მაგრამ ედპ-სა და თქვენ საარჩევნო ბარიერის გადალახვის სერიოზული პრობლემა გქონდათ ბოლო დროს და ასე იმედიანად რატომ ხართ?**

— ამჯერად ხმებს ავიღებთ... ბარიერის გადალახვის პრობლემა ამ არჩევნებზე არ გვექნება; ხოლო თუ თანხებიც გამოვძებნეთ, 15%-მდე ავალთ. საკუთარი თვალით ნახავთ, რაც მოხდება 28 მარტს. მე იმ ხალხის იმედი მაქვს, რომლებიც ამ ეიფორიას არ არიან აყოლილები, იმ ხალხის იმედი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენნაირი ხალხი უნდა იყოს პარლამენტში.

დღესდღეობით მოლაპარაკებები გვაქვს „ახლებსა“ და „მრეწველებთან“. ჩვენ ხვეწნა-მუდარას არავის დავუწყებთ. ვინც მიხვდება, რომ მემარჯვენე ძალების გაერთიანება აუცილებელია, ასეთ ხალხთან ღირს და შეიძლება დიალოგი...

***იზო რიკაძე***

CMYK

ფოთში ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნულ მერს ქალაქის საკრებულოში იმპიჩმენტით ემუქრებიან და ქვეყნის პრეზიდენტისაგან მის სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვენ. მერი ვახტანგ ალანია კი, რომელმაც ქალაქის საკრებულოსა და მერიის ყოფილი ჩინოსნების დარღვევების კვლევა დაიწყო, „კვირის პალიტრასთან“ შეხვედრის დროს შეცბუნებული მოგვეჩვენა. ალანია გენერალური პროკურატურისთვის გადასაცემ დოკუმენტებს თურმე ვერც შინ ტოვებს და ვერც მერიაში ანდობს თავის სამუშაო სეიფს. გატაცების შიშით თან დაატარებს. ფოთში უკვე ხმები დადის ახალი მერის შესაძლო ლიკვიდაციის თაობაზეც, რაზეც მას თურმე სატელეფონო ზარებით აფრთხილებენ. ჩვენთან საუბარში ალანია ამის თაობაზე შეკითხვას უპასუხოდ ტოვებს. თუმცა, ფოთში მოარული ხმების მსგავსად ქალაქის მერიც თვლის, რომ საქართველოს ახალ პრეზიდენტს ქართულ მაფიასთან ყველაზე სერიოზული ბრძოლა ამ ქალაქში მოუწევს, სადაც დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებულ კორუმპირებულთა ბანდას თურმე ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. და იმაშიც მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ახალ პრეზიდენტს თვალში ნაცარს შეაყრიან და კვლავაც უდრტვინველად გააგრძელებენ საკუთარ ჯიბეებზე ზრუნვას. „კვირის პალიტრა“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ფოთის მერთან **ვახტანგ ალანიასთან**, რომელმაც დასახელებულ კონკრეტულ ფაქტებთან და ბრალდებებთან ერთად გენერალური პროკურატურისთვის გადასაცემი დოკუმენტებიც წარმოგვიდგინა.

# „ეს კაცი ყველას ეჭიმება, დაგიჭერთო“(!)


ვახტანგ ალანია

**„მიხედონ ფოთს, თორემ სერიოზულ დარტყმას მიიღებენ ამ ქალაქიდან“**

— საკრებულოში გამაგრებული აღორძინებისა და ძველი მოქკავშირის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცდილობს, ხელი შეუშალოს ახალ ხელისუფლებას. საკრებულო მას შემდეგ დამიპირისპირდა, როცა ფოთში სატრანსპორტო სამსახურების, მშენებლობის, მუნიციპალიტეტის ფინანსური საქმიანობის შესწავლა დავიწყე და დარღვევები აღმოვაჩინე. ბრალად მდებენ სასწავლებლებზე დაფინანსების შეწყვეტას, არადა საქმე შემდეგშია: ფოთში არსებული ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 150 ათას ლარს იღებდა. ახლა 250 ათასი მოინდომეს. მე გადავხედე საქმეს. შესაბამის ორგანოებს დაევალათ სიტუაციის შესწავლა და სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, არც ერთი თეთრის გაცემა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ამ ფილიალის რექტორი საკრებულოს წევრია, არ მინდა ვინმეზე უსაფუძვლო ეჭვი მქონდეს, მაგრამ მგონია, რომ ეს ფული ვილაცის ჯიბეში მიდიოდა. საკრებულოში მარტო ამის გამო არ არიან განაწყენებულები. თუმცა ორ-სამ დღეში მასალებს ირაკლი ოქრუაშვილს გადავცემ და ის იტყვის ძირითად სათქმელს, მანამდე კი დოკუმენტები პირადად დამაქვს, სამსახურში რომ დავტოვო, მოიპარავენ და გაანადგურებენ.

**— რა დოკუმენტებს ინახავთ ასე გულმოდგინედ?**

— ფოთში თბოელექტროსადგურის ასაშენებლად ბიუჯეტიდან 150 ათასი დოლარია გადარიცხული და მშენებლობისთვის ბარიც არ არის დაკრული. ხელთ მაქვს დოკუმენტები, რომლებიც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს. მაგალითად, ფოთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე მოგელი ტყებუჩავა, რომელიც ამჟამადაც საკრებულოშია, დღევანდელი თავმჯდომარე წურწუმია და ყოფილი მერი დარჯანია შეთანხმდნენ და ხელი მოაწერეს დადგენილებას თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, რისთვისაც ბანკიდან გამოიყო — 150 ათასი დოლარი და გაქრა. ყოველთვიურად 20-20 ათასი, ბოლოს კი 30 ათასი გადაირიცხა მშენებელი ფირმის ანგარიშზე. აშკარაა ამ ფულს ვილაცები ხელფასივით იდებდნენ ჯიბეში. აი, კიდევ დოკუმენტი, აქაც ტყებუჩავა აწერს ხელს ფოთში ქიმიური ნივთიერების ტოფსილას შეძენის განკარგულებას. თურმე ეს ტოფსილა ასფალტის შემცვლელი ყოფილა, მაგრამ იგი ქალაქში თვალით არავის უნახავს. არადა ამისთვის 31 ათასი დოლარი გამოიყო ბიუჯეტიდან და გაქრა. ახლა ამას დავუმატოთ გაფლანგვები მუნიციპალიტეტში. თუ მაცალეს, მე ბევრ დოკუმენტს დავდებ.

**— რას გულისხმობთ დაცდაში, ვინმე გემუქრებათ ლიკვიდაციით?**

— რა გასაკვირია, საბოლოოდ საქმე იმხელა თანხების დატაცებასთან მივა, რომ...

**— თუ უბრალოდ ეცდებიან თქვენს ხელისუფლებიდან მოშორებას? როგორც ვიცი, საკრებულომ თქვენ მიერ წარდგენილი მთავრობის წევრების დამტკიცებაზე უარი თქვა და თქვენი გადადგომის საკითხს კვლავ დღის წესრიგში ტოვებენ.**

— საკრებულოს მხრიდან ჩემ მიერ წარდგენილ კადრებზე უარის თქმა, გასაგებია. ფოთის ხელისუფლებაში ხელს არ აძლევთ ჯანსაღი ძალების მოსვლა, მაგრამ ვერ გავიგე, ჩემ მიერ ვიცე-მერის პოსტებზე კანდიდატებად წარდგენილმა ბურჯანაძე-დემოკრატების წევრმა გოჩა ტუღუშმა და ნაციონალმა დათო შურღაიამ თავად რატომ განაცხადეს უარი თანამდებობაზე.

**ალანია ნინო ბურჯანაძემ დანიშნა. მე პატივს ვცემ ქ-ნ ნინოს, მაგრამ არ ვიცი, რა მოტივით იხელმძღვანელა. ალანია საკრებულოშიც კი გაყალბებული ხმებით მოხვდა. მაგის ყოფნა საკრებულოშიც და მერიაშიც სამარცხვინოდ მიმაჩნია.**

**— არ ჰკითხეთ მოტივი?**

— ისინი საკრებულოს ბრალდებებს იზიარებენ ჩემს საწინააღმდეგოდ. რაც მაეჭვებს, ისაა, რომ ახალ ხელისუფლებას ჩვენს ქალაქში საკუთარ მხარდამჭერებშიც შეიძლება გამოუჩნდნენ მოღალატეები. იმდენად აქვს ყველას მოწამლული სისხლი, რომ აღარ გამიკვირდება, პირადი ინტერესები ვინმემ საერთოზე წინ დააყენოს. აქ მე კი არ მებრძვიან, ვინც არ უნდა ჩაჯდეს ამ სავარძელში, თუ მათ ინტერესებს შეეწინააღმდეგება, ბრძოლას აუცილებლად დაუწყებენ. თქვენი გაზეთის საშუალებითაც მივმართავ ახალ ხელისუფლებას, რომ დროზე მიხედონ ფოთს, თორემ სერიოზულ დარტყმას მიიღებენ ამ ქალაქიდან.

ვახტანგ ალანიასთან საუბრის შემდეგ ნაციონალების წარმომადგენელ **დათო შურღაიას** დავუკავშირდი და ვეცადე გამეგო მისი ფოთის ხელისუფლებაში მოსვლაზე უარის მიზეზი. მან კი შემდეგი განაცხადა:

— ჯერ ერთი, ჩემი ამ პოსტზე წარდგენა არც ჩემთან ყოფილა შეთანხმებული, არც ნაციონალური პარტიის სამდივნოსთან და არც გაერთიანებული დემოკრატების ფოთის ოფისის თავმჯდომარე გოჩა ტუღუშთან, რომელიც ასევე წარდგენილი იყო ამ თანამდებობაზე. გარდა ამისა, გავარკვიე, რომ ალანია ჩაის კომბინატის თანამშრომლებით აკომპლექტებ- და ფოთის მთავრობას, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო, ამიტომ უარი ვთქვი ამ სიბინძურეში გარევაზე.

**— რას გულისხმობთ სიბინძურეში?**

— ფოთის ხელისუფლებაში უსახური პირების მოყვანის მცდელობას. სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი, „მაგთის“ წარმომადგენელი — აი, ალანიას კადრები. თვითონ კი ნუგზარ შევარდნაძის ბიზნესპარტნიორია და ჩემთვის გაუგებარია მისი მერად დანიშვნა. სურვილი არა მაქვს მისი მხარდაჭერით შევარდნაძის კლანის ბიზნესინტერესებს გავუკეთო რეანიმაცია.

**— ალანია ახალმა ხელისუფლებამ არ დანიშნა მერად?**

— ნინო ბურჯანაძემ დანიშნა. მე პატივს ვცემ ქ-ნ ნინოს, მაგრამ არ ვიცი, რა მოტივით იხელმძღვანელა. ალანია საკრებულოშიც კი გაყალბებული ხმებით მოხვდა. მაგის ყოფნა საკრებულოშიც და მერიაშიც სამარცხვინოდ მიმაჩნია.

**— თუ ახალი ხელისუფლება მისი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პროტესტს როგორ გამოხატავთ?**

— მაშინ შევხვდებით ახალ ხელისუფლებას და ამ საკითხზე დაველაპარაკებით. ეს კაცი ყველას ეჭიმება, — დაგიჭერთო. პირადად მე არა, მაგრამ საკრებულოს წარმომადგენლებს ემუქრება.

**— ამბობს, საკრებულოს წინააღმდეგ ბრალდებები მაქვსო.**

— ძველი საკრებულოს წინააღმდეგ შეიძლება ჰქონდეს, ახლის — არა.

**— ახლებზეც დებს დოკუმენტებს. და ამბობს, ამ ყველაფერს ოქრუაშვილს გადავცემო.**

— არ ვიცი, რა დოკუმენტები აქვს, საკრებულოს მე ადვოკატად ვერ დავუდგები.

*ეკა ლომიძე*




*სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის“ ვაშინგტონიდან*

# ქართველებზე უფრო ქართველები ვერ გავხდებით, — აცხადებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში

ამერიკაში პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს და ყველა წამყვანი ტელეარხი თუ გაზეთი უმთავრესად ამ თემაზე ლაპარაკობს. მიუხედავად ამისა, 25-26 იანვარს დრო და ადგილი მაინც დაეთმო ინფორმაციას საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შესახებ.

აშშ-ის ხელისუფლება დადებითად აფასებს საქართველოში ბოლო ხანს მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ მისმა ოპოზიციამ, დემოკრატიული პარტიის წევრებმა, სხვა მომენტს მიაქციეს ყურადღება, რაც შეიძლება ახალ სკანდალად აზვირთდეს აშშ-ში და პრეზიდენტობისთვის მებრძოლი დემოკრატი კანდიდატების კოზირად იქცეს.

მიხეილ სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის მისალოცად თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, — ამერიკამ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინაო. მოგეხსენებათ, სწორედ ეს იარაღი გახდა თავის დროზე იქ ომის დაწყების მთავარი საბაბი.

„კვირის პალიტრასთან“ საუბარში აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დემოკრატ ჰოვარდ დინის საარჩევნო კამპანიის წარმომადგენელმა, ნიუჰემფშირის შტატიდან, განაცხადა, — კოლინ პაუელს ეს რომ აშშ-ში ეთქვა, ჟურნალისტები „შეჭამდნენ“, ამიტომაც დრო იხელთა და შორეულ საქართველოში სცადა აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის მთავარი პრობლემის მიფუჩეჩებაო.

რესპუბლიკურ პარტიას გადაწყვეტილი აქვს, პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით კვლავ ჯორჯ ბუში-უმცროსი წარადგინოს, ამიტომაც დიდად არ იწუხებს თავს წინასაარჩევნო კამპანიებით. სამაგიეროდ, ამ უმაღლესი პოსტისთვის დემოკრატიულ პარტიას ოთხი რეალური კანდიდატი ჰყავს. ამჟამად მათ შორის მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა, რადგან ივლისის ბოლოს დემოკრატიულმა პარტიამ ერთი კანდიდატი უნდა წარადგინოს საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც ნოემბრის დასაწყისში გაიმართება.

შესაძლებლობა მოგვეცა, დავსწრებოდით პრეზიდენტობის კანდიდატების — ედვარდსის, დინისა და კერის წინასაარჩევნო გამოსვლებს ნიუჰემფშირში. როგორც ჩანს, მათ შორის გაიმარჯვებს ჯონ კერი, რომელიც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ჯორჯ ბუშს შეეცილება. ერთ დეტალს მივაქციე ყურადღება: ამომრჩევლების წინაშე გამოსვლისას კანდიდატები ისეთი სიტყვებით აკრიტიკებდნენ და ლანძღავდნენ დღევანდელ პრეზიდენტს, როგორიც განრისხებულ სააკაშვილსაც არ უკადრებია შევარდნაძისთვის!

მიუხედავად დემოკრატების მხრიდან გამუდმებული კრიტიკისა, აშშ-ის რესპუბლიკური ადმინისტრაცია აგრძელებს თავის პოლიტიკას და დარწმუნებულია, რომ ჯორჯ ბუშ-უმცროსს მეორედ გაამარჯვებინებს.

რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი მიგვიწვიეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც საინტერესო შეხვედრები გვქონდა, მათ შორის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბატონ ლინ პასკოსთან. სახელმწიფო დეპარტამენტმა გვთხოვა, არ მოგვეხდინა ამ საუბრების დაწვრილებითი ციტირება, ამიტომ იმასღა გეტყვით, რომ აშშ-ის ოფიციალური წარმომადგენლების გამონათქვამების დედააზრი ასეთი გახლდათ:

„ამერიკელები ვერ გავხდებით ქართველებზე უფრო ქართველები, ანუ საქართველო თვითონვე უნდა აღადგინოთ და გააძლიეროთ, აშშ კი ყოველნაირად დაგეხმარებათ ამ საქმეში“.

ჩვენი პრობლემების მოგვარების სრულ რეცეპტს აშშ-ის ხელისუფლება არ იძლევა, თუმცა გვირჩევს, — უპირველესად უნდა მიხედოთ კორუფციას, რათა ხალხმა ნახოს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა ცოტათი მაინც იცვლება, გადასახადები უნდა მოხმარდეს მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესებას, ახალმა მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის განვითარებას შემდეგი პრინციპით: „მთავარია, როგორი ბიზნესმენი ხარ და არა ის, ვის იცნობ ხელისუფლებაში!“ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ყველა მისი კუთხისთვის უნდა იყოს მიმზიდველი.

აშშ-ის ადმინისტრაციის მაღალი წარმომადგენლები პირად საუბრებში არ მალავენ აღფრთოვანებას საქართველოს მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც უსისხლოდ შეძლეს ახალ ცხოვრებაში ახალი იმედის გაჩენა, თუმცა იმასაც ამბობენ, — რევოლუციის შემდეგ მოსული ხელისუფლება ჯერ კიდევ გამარჯვების ეიფორიაშია, საიდანაც, რაც შეიძლება მალე უნდა გამოვიდეს და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევას შეუდგესო.

# ახალ პრეზიდენტს ახსოვს?!.



*აფხაზეთის ომის შემდეგ საქართველოს სამიოდე ასეთი დამტვრეული Ми-24 ტიპის შვეულმფრენიღა დარჩა, მაგრამ ისინი მეოთხე წელია, იძულებით „ემიგრაციაში“ იმყოფებიან. დააბრუნებინებს თუ არა საქართველოს ახალი პრეზიდენტი მათ?..*

## უპატრონოდ მიტოვებული ქართული შვეულმფრენების საქმე შეიძლება დაიძრას

მკითხველს მოეხსენება, რომ ოთხი წლის წინ 7 ქართული სამხედრო შვეულმფრენი სარემონტოდ გაიტანეს უკრაინაში და უპატრონოდ მიყარეს. ამის თაობაზე არაერთგზის დაგვიწერია და დასამატებელი აღარაფერი გვაქვს. ერთადერთი სიახლე მხოლოდ ის არის, რომ შვეულმფრენების ნაწილობრივად გარემონტებისათვის დაგროვილმა ვალმა 2 მლნ დოლარს გადააჭარბა, თანაც კვლავ მოვიდა მათი რეგლამენტური რემონტის დრო! თუმცა ამ საკითხზე სათქმელი, და თანაც მნიშვნელოვანი, მაინც არის.

2003 წლის 30 დეკემბერს, თავდაცვის სამინისტროში გაიმართა დახურული სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზეც მინისტრმა თევზაძემ დიდსულოვნად მიიწვია მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი. მას ისე შეხვდნენ, როგორც უკვე ქვეყნის მეთაურს და შეკითხვებიც წინასწარ მოუმზადეს, რადგან ასე იქცეოდნენ ყოფილი პრეზიდენტის დროს...

მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა ვარსკვლავებით მხრებდახუნძლული გენერლები და პოლკოვნიკები გააწბილა — კითხვებს არც კი ჩახედა. არც სჭირდებოდა — თუ რა ხდება თავდაცვის სამინისტროში, ისედაც კარგად იცოდა და თანაც ისეთი ინფორმაციები ჰქონდა, რომელიც წინა რიგში მსხდომ გენერლებს გულზე მალამოდ ნამდვილად არ მოეცხებოდა. ბევრი პრობლემის წარმოქმნაში ხომ თავიანთი უმოქმედობით თუ დანაშაულებრივი ქმედებით მათ მიუძღვით ლომის წილი.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სააკაშვილმა წამოჭრა, უკრაინაში სამარცხვინოდ მიტოვებულ ქართულ შვეულმფრენებს შეეხებოდა.

— რა გახდა ამ შვეულმფრენების საქართველოში დაბრუნება. გამოვყოთ ცალკე მიზნობრივი მუხლი ბიუჯეტში და ავიღოთ შვეულმფრენების რემონტის დავალიანება სახელმწიფო ვალად, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი კანონიერი ქონება! — შესთავაზა მომავალმა პრეზიდენტმა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს.

დახურულ სხდომაზე აბა, ჟურნალისტს ვინ შეუშვებდა, მაგრამ საინტერესო იქნებოდა მიხეილ სააკაშვილის ამ სიტყვების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს იმ ხელმძღვანელი პირების სახეების ნახვა, რომელთა გამოისობითაც 7 ქართული შვეულმფრენი სევასტოპოლში ფინანსურ ტყვეობაში აღმოჩნდა.

ვერ ვიტყვით, საქართველოს პრეზიდენტი მაინცდამაინც „კვირის პალიტრის“ ფურცლებიდან ეცნობა შვეულმფრენების „ტყვეობის“ პერიპეტიებსო, მაგრამ ძალზე სასიამოვნოა, რომ ქვეყანაში ძლივს გამოჩნდა ერთი კაცი, თანაც პირველი პირი, რომელსაც გული შესტკივა ამ შვეულმფრენებზე.

იმედია, მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად მრავალრიცხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისა, არ დაივიწყებს უკრაინაში მიტოვებული ქართული არმიის სიძლიერეს.

P.S. დღეისათვის ერთადერთი რეალური საშუალება, რისი მეოხებითაც ქართულ არმიას შეუძლია ფრონტის ხაზზე საჰაერო დარტყმა — არის ის 7 ერთეული Су-25-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი. თუმცა ამერიკელი სამხედრო ექსპერტები დაჟინებით მოითხოვენ, ქართულმა არმიამ უარი თქვას ამ მოიერიშეებზე, რადგან პილოტების სათანადო დონეზე მოსამზადებლად საჭირო თანხები არ გამოიყოფა. რამდენად არიან მართლები ამერიკელი ექსპერტები, ცალკე მსჯელობის თემაა.

მხოლოდ ერთს ვიტყვით: სევასტოპოლში მიტოვებული შვეულმფრენებიდან 3 — საბრძოლო, დამრტყმელი Ми-24-ის ტიპისაა. თუკი ამერიკელებმა თავისი გაიტანეს და Су-25-ები ჯართში ჩაგვაბარებინეს, ხოლო Ми-24-ები კვლავ სევასტოპოლში დაიჟანგება, ქართულ არმიას აღარაფერი დარჩება მოწინააღმდეგისთვის ეფექტიანი საჰაერო დარტყმის მისაყენებლად.

სატირალი ის კი არ არის, რომ ქართულ არმიას არ გააჩნია თანამედროვე, ეფექტიანი საბრძოლო ტექნიკა, არამედ ის, რომ რაც გვაქვს, არ ვუფრთხილდებით...

**არსენალი**

# მცურავი „კუნძულები“

## ავიამზიდი — თანამედროვე ომების მოგების გარანტია



*რუსულ ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვს“ ერთ დროს „თბილისი“ ერქვა*

გასული საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა სამხედრო ხომალდების ახალი კლასი — ავიამზიდი, რომელიც ცოტა ხანში ყველაზე მრისხანე საბრძოლო საშუალებად იქცა.

მან დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომში, „ცივი ომის“ პერიოდში; ჩვენს დღეებშიც თანამედროვე ავიამზიდების გარეშე წარმოუდგენელია მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების დაწყება არა მარტო ზღვისპირა ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ მატერიკის სიღრმეში.

ავიამზიდების თემა ძალიან საინტერესო და ამასთანავე დიდი მოცულობისაა, ამიტომაც ჩვენს რუბრიკა „არსენალში“ მხოლოდ თანამედროვე ავიამზიდებს შევეხებით.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ავიამზიდების კლასს მიეკუთვნება აშშ-ის ატომურძრავიანი ავიამზიდები: „ენტერპრაიზი“, „ნიმიცი“, „ეიზენჰაუერი“, „რუზველტი“, „ლინკოლნი“, „ვაშინგტონი“ და სხვები.

მაგალითად, „ეიზენჰაუერის“ სრული წყალწყვა 91 ათას ტონას აღემატება. მისი კორპუსი წყალში 11 მ-ის სიღრმეშია ჩაშვებული, რის გამოც თანამედროვე ავიამზიდები მსოფლიოს ბევრ პორტში ვერ შევლენ.



*ამერიკული ატომური „ენტერპრაიზი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მრისხანე სამხედრო ხომალდია.*

ამასთან, „ეიზენჰაუერის“ ასაფრენი გემბანის სიგრძე 333 მ-ია, რითაც მცურავ „კუნძულს“ წააგავს, ხოლო სიგანე — 80 მ-ს აღწევს, რაც საშუალებას იძლევა, ავიამზიდიდან ერთდროულად ოთხ წყებად აფრინდნენ რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავები. ბომბებითა და რაკეტებით აღჭურვილ დამძიმებულ გამანადგურებელ ან მოიერიშე თვითმფრინავს გემბანიდან უსაფრთხოდ ასაფრენად გარბენის მანძილი არ ჰყოფნის, ამიტომ მის ქვეშ დამონტაჟებულია ოთხი კატაპულტი. კატაპულტის თასმა წამოეცმება თვითმფრინავის წინა შასს და მასზე დიდი ძალის მიწოლით, ძრავებჩართულ თვითმფრინავს დამატებით სიჩქარეს ანიჭებს.

ამერიკულ ატომურ ავიამზიდზე მოწყობილია ოთხი უზარმაზარი ლიფტი ტრიუმიდან ზემო, ასაფრენ გემბანზე თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ასაყვანად. თანამედროვე ამერიკულ ავიამზიდზე კი არანაკლებ 90 ერთეული საფრენი აპარატი — გამანადგურებელი, მოიერიშე, რადიოდაზვერვის, რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავი და წყალქვეშა ნაგებობიანი მებრძოლი შვეულმფრენი ინახება.

ფრენის დაწყებამდე ავიამზიდიდან ჯერ სამძებრო-სამაშველო შვეულმფრენი აფრინდება, რომელიც ავიამზიდის გვერდზეა „ჩამოგდებული“ იმ შემთხვევისთვის, თუკი აფრენის ან დაჯდომის მომენტში რომელიმე პილოტმა ავარია განიცადა და წყალში ჩავარდა. არადა ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია, რადგან ავიამზიდიდან აფრენა და, მით უმეტეს, მის გემბანზე დაჯდომა დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

მოკლე გემბანიდან მრავალტონიან საბრძოლო თვითმფრინავს აფრენაში სპეციალური კატაპულტი ეხმარება, ხოლო დაჯდომას აჩქარებს — ასაფრენ-დასაფრენი გემბანის პერპენდიკულარულად გაბმული ზემტკიცე ბაგირები. სულ გემბანზე ერთმანეთისგან ათ-ათ მეტრში გაბმულია ოთხი ასეთი ბაგირი, თვითმფრინავის კუდში კი დამონტაჟებულია სპეციალური კაუჭი, რომლითაც იგი ოთხიდან ერთ-ერთ ბაგირს მაინც უნდა „წამოედოს“. ბაგირი იჭიმება და აჩერებს თვითმფრინავს.

იდეალურად ითვლება მეორე ან მესამე ბაგირით გაჩერება, რადგან თუკი პილოტი მეოთხე, ბოლო ბაგირით აჩერებს თვითმფრინავს, მაშინ შეიძლება ისე გასცდეს გემბანს, რომ დამუხრუჭება ვერ მოასწროს და წყალში ჩავარდეს (თუმცა, ბოლო ხანს, თვითმფრინავს უყენებენ სპეციალურ „ჭკვიანურ“ მოწყობილობას, რომელსაც ავტომატურად მაქსიმალურ ასაფრენ რეჟიმში გადაჰყავს თვითმფრინავის ძრავები, თუკი მისი კაუჭი არც ერთ ბაგირს არ გამოედო და პილოტიც მეორე წრეზე მიდის).

მაგრამ თუ პილოტი პირველსავე ბაგირს „წამოაგებს“ თვითმფრინავის კუდის კაუჭს, მაშინ შესაძლოა ვერ გათვალოს და გემბანზე დაჯდომის მომენტში ავიამზიდის უკანა ნაწილს ცხვირით შეეჯახოს.

ამერიკულ ავიამზიდებზე დაყენებულია ატომური რეაქტორები, რომელთა საერთო სიმძლავრე 260 ათასი ცხენის ძალისაა, რაც უზარმაზარ მცურავ „კუნძულს“ შთამბეჭდავი მაქსიმალური, 30 კვანძის (დაახლოებით 54კმ/სთ-ში), სიჩქარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

ამერიკული ავიამზიდებისგან განსხვავებით, ერთადერთ რუსულ ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“, რომელსაც ერთხანს „თბილისი“ ერქვა, ასაფრენი კატაპულტირება არ არის დამონტაჟებული. სამაგიეროდ, მისი გემბანის ცხვირი ერთგვარ ტრამპლინს წარმოადგენს და აფრენილ თვითმფრინავს, მოთხილამურესავით, დამატებითი სიმაღლის აღების საშუალებას უქმნის. ამასთან, „ადმირალ კუზნეცოვის“ ტექნიკური მონაცემები ამერიკულ ატომურ ავიამზიდთან შედარებით ბევრად მოკრძალებულია — მისი სრული წყალწყვა 55 ათას ტონას არ აღემატება და გემბანის სიგრძეც მხოლოდ 304 მ-ია.

მოსკოვს სურდა, დასწეოდა ამერიკელებს ავიამზიდების მშენებლობის საქმეში, რის გამოც უკრაინის ტერიტორიაზე, ნიკოლაევის გემთმშენებელ ქარხანაში, 1988 წელს დაიწყეს პირველი საბჭოთა ატომური ავიამზიდის „ულიანოვსკის“ მშენებლობა. მასზე 60 საფრენი აპარატი განთავსდებოდა, მისი სრული წყალწყვა 75 ათასი ტონა, ხოლო გემბანის სიგრძე კი 320 მ იქნებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს მშენებარე ავიამზიდი დამოუკიდებელმა უკრაინამ სულ ნაწილ-ნაწილ ჩააბარა ჯართად...

ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც უკვე ჰყავს ატომური ავიამზიდი, საფრანგეთია. მისი „შარლ დე გოლი“ 1994 წელს ჩაუშვეს წყალში, მაგრამ დღემდე ბოლომდე არ მიუღიათ შეიარაღებაში, რადგან გამოცდისას ბევრი პრობლემა წარმოიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ „შარლ დე გოლს“ ატომური ენერგეტიკული მოწყობილობა უყენია, იგი, თავისი პარამეტრებით, ჩამოუვარდება საქვაბეტურბინიანი ენერგეტიკული ძალური მოდულით აღჭურვილ რუსულ ყოფილ „თბილისს“. „შარლ დე გოლის“ სრული წყალწყვა 40 ათას ტონამდეა, ხოლო გემბანის სიგრძე — 261 მ-ია. ამასთან, თუკი „ადმირალ კუზნეცოვის“ საერთო სიმძლავრე 200 ათას ცხენის ძალას აღწევს, ფრანგული ატომური ავიამზიდის ეს მაჩვენებელი 83 ათას ცხენის ძალას არ აღემატება.

ატომური ავიამზიდები 21-ე საუკუნეშიც რჩებიან, როგორც ძალის დემონსტრატორი და რეალური მოქმედებების ყველაზე საუკეთესო საშუალები, რითაც აშშ მუდმივად სარგებლობს თავისი სახელმწიფო ინტერესების მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებისას.

***ირაკლი ალადაშვილი***

# გასამებული ავკაცობა

## ვინც ცეცხლის წვიმას გადაურჩა

შუაღამე არ იქნებოდა გადასული, ავტომატით შეიარაღებული ორი ბანდიტი რომ შეიჭრა გუდამშიერი მურმან გიორგაძის (გვარ-სახელები აქ და შემდგომ შეცვლილია) მიწურ ქოხში. მძინარე ბავშვებს არაფერი გაუგიათ. მურმანას ქვრივმა დუდღუნით გამოხატა უკმაყოფილება. გაოცებისაგან ენაჩავარდნილ მურმანას კი თითქოს გაუხარდა კიდეც — ამიერიდან მის ოჯახს დაყაჩაღებულთა სიაში ჩაწერენ და დიდხანს იტრაბახებს ამით — აქაოდა, მართლა ეგეთი გაღლეტილი კი არ ვარ, ხომ ხედავთ, ყაჩაღებიც კი მომიცვივდნენო(?!). ეგ იყო მხოლოდ, ვერ გაეგო, რა უნდა წაეღოთ მისი სახლიდან. რა ეგულებოდათ გიორგაძეების ფარღალალა ქოხში? აი, მეზობელ ინდიკოსთან რომ შესულიყვნენ, იცოცხლეთ, იქ იშოვიდნენ წასაღებს, მაგრამ ეტყობა, არ იციან. მურმანა კი ის კაცი არაა, მეზობელს მიუსიოს ბანდიტები. ეს კიდევ არაფერი, მაინცდამაინც ახლა, ამ შეიარაღებული ხალხის დანახვაზე მოუნდა გმირობის ჩადენა. მალე მიეცა კიდეც ამის საშუალება. ერთი ყაჩაღი რატომღაც წავიდა. ამას კი, აქ დარჩენილს, ეტყობა, კაცად არც მიაჩნდა მურმანა. ზღურბლთან აიტუზა და სადღაც, ეზოს იქით იყურებოდა გაფაციცებით — ეტყობა, თავისიანების მოსვლას ელოდებოდა, მერე კი ვინ იცის, რა მოხდებოდა. არა, ახლავე უნდა იღონოს რამე. შეეძლო მიეპარვოდა და თავში ჩაეცხო ჭურის სატკეპნელა, რომელიც კაცმა არ იცის, რისთვის ჰქონდათ ამ უმამულო და უჭურმარანო ოჯახში, მაგრამ ამდენს როგორ გაბედავდა, ამის თავი სად ჰქონდა უბედურს. გადაწყვიტა, უკანა კარიდან გავიპარები და ინდიკოს მილიციაში დავარეკვინებო და ასეც მოიქცა, მაგრამ ღობეზე რომ გადაძვრა, მთვარის შუქზე მეზობელ სევარას სახლთანაც ავტომატიანი ნიღბოსანი დალანდა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ იმანაც ვერ შეამჩნია. ის იყო, ინდიკოს ბრინჯაოსსახელურიან კიბეს მიადგა, რომ კეფასთან სიცივე იგრძნო — პისტოლეტი ჰქონდა მიბჯენილი. შიშისაგან ხმა ჩაუვარდა. ახლაღა მიხვდა, ბანდიტებს არც ის და არც სევარა არაფერში სჭირდებოდათ. ეგზეკუცია კი იმ მიზნით ჩაუყენეს სახლებში, რომ ინდიკოს ახლოს ცხოვრობდნენ და შეეძლოთ განგაში აეტეხათ. მამლის ყივილამდე ზიდეს ინდიკოს ოჯახიდან სიმდიდრე მომხდურებმა. ნაძარცვს იქვე, ეზოსთან მიყენებულ სატვირთოზე აწყობდნენ. მურმანასაც კი ათრევინეს ჩანთები. წასაღები რომ აღარაფერი დარჩა, იქაურობას გაეცალნენ ყაჩაღები და როცა მურმანამ ინდიკოს სახლში იატაკზე დაყრილი მისი ნაწამები ცოლი და ბავშვები იხილა, სიცოცხლეში პირველად აღიარა, ამნაირ სიმდიდრეს ჩემნაირი სიღატაკე მირჩევნიაო.

### „გზის“ დასაწყისი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ვანელმა ბეჟუა ნარიმანიძემ თავის მეზობელს, ზაურ მანჯგალაძეს ფულის შეწერა დაუპირა, მაგრამ მანჯგალაძე კერკეტი კაკალი გამოდგა და ფული არ გადაიხადა. მით უმეტეს, რომ ეს ამბავი 1991 წელს, ანუ იმ დროს ხდებოდა, როცა საქართველოში დამნაშავეები ჯერ კიდევ ვერ პარპაშებდნენ აშკარად. თუმცა საამისო ნიშნები უკვე სახეზე იყო. ბეჟუაც ადგა და მეზობელ სოფელში მცხოვრებ ვარლამ ერაძეს მიადგა. იცოდა, იმ დღეებში ვარლამმა დიდი ფული წააგო ერთ ფოთელ ქურდთან და ყველაფერზე წამსვლელი იყო. ღამით მიადგნენ მანჯგალაძის სახლს. ორივენი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებული, ორივეს ნიღაბი ჰქონდა აფარებული. რომ სცოდნოდა, ვინც იყვნენ, ეგებ სულაც არ შეშინებოდა ზაურს. ერთიც მხდალი იყო და მეორეც, მაგრამ როგორ ამოეცნო ნიღაბქვეშ თავისი მეზობელი და მასავით წრუწუნა ზემოუბნელი. ესეც არ იყოს, დიდი ძალა აქვს ჩახმახზე შეყენებულ „კალაშნიკოვს“, ამიტომ იყო, კარზე მიუკაკუნეს თუ არა, ზაურმა ისეთი ღრიალი მორთო, რომ მასზე მეტად მომხდურები დაიზაფრნენ. თუმცა, სულაც არ უფიქრიათ ჩანაფიქრზე ხელის აღება. ორივემ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, მერე ერთბაშად გაქანდნენ და კარი ჩარჩოიანად შეანგრიეს. ამასობაში ზაური ფანჯრიდან გადახტა და ისეთი ვაი-უშველებელი ატეხა, რომ სოფელი ფეხზე დადგა. ბეჟუა ნარიმანიძე იქვე გაბაწრეს, მაგრამ ორიოდ თვის შემდეგ „ჯაბას ამნისტიით“ გაათავისუფლეს. ვარლამი კი იმ ღამეს მიიმალა და მას შემდეგ ისე გაყოყოჩდა, რომ შვიდი წლის განმავლობაში შიშის ზარს სცემდა ქუთაისსა და ვანს. მის აქტივში ათობით ძარცვა და ბანდიტიზმი, მკვლელობა და სხვა დანაშაულია. საავკაცოდ გასული, ერთ ან ორ ყაჩაღობას კი არ სჯერდებოდა, მხოლოდ მაშინ იყო კმაყოფილი, როცა „გაასამებდა“. არ გეგონოთ, მარტო სჩადიოდა ამ საქმეებს. მხოლოდ ერთხელ მოსინჯა „საქმეზე“ მარტო წასვლა, მაგრამ ავტომატით შეიარაღებულ ბანდიტს ოჯახის პატრონმა ისეთი ალიყური აჭამა, რომ აღარც ავტომატი გახსენებია და აღარც ის, რომ იქ საყაჩაღოდ იყო მისული. ამის შემდეგ ხან ერთ ბანდას მიეტმასნებოდა, ხანაც — მეორეს. უმეტესად 15-20-კაციან ბანდებში იყო „გაწევრებული“. ასე უფრო იმედიანად ავკაცობდა.

ახლა წინ ამ ბანდის ზოგიერთი წევრის, კერძოდ, ვარლამ ერაძისა და კიდევ ორი ბანდიტის საბრალდებო დასკვნა და სასამართლო განაჩენი მიდევს და გულახდილად უნდა ვაღიარო, ყოველივე ამას ერთი რამ აკლია: სამეულის გვერდით ბრალი თანაბრად უნდა წაეყენებინათ პოლიციის იმ სამსახურებისთვისაც, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზე გამეფებული იყო ეს გაუგონარი განუკითხაობა. უპირველესად კი ქუთაისის სამხარეო და საქალაქო პოლიციის მაღალჩინოსნებს უნდა ეგოთ პასუხი. სხვათა შორის, კომუნისტების დროს ასეთ შემთხვევაში სასამართლო განაჩენს აუცილებლად მოჰყვებოდა განჩინება, რომელშიც უეჭველად დაისმებოდა სამართალდამცველთა პასუხისმგებლობის საკითხი და რასაც რეაგირების გარეშე არ დატოვებდნენ ზემდგომი ორგანოები. თუმცა, ჩვენ ხომ ყველაფერზე ვთქვით უარი, რასაც კომუნისტური ერქვა.

ეს კაცი მთელი შვიდი წლის განმავლობაში აწიოკებს ირგვლივმყოფთ. ცეცხლსასროლი იარაღით ჭრის რამდენიმე კაცს, მათ შორის, პოლიციელებსაც, მერე კი კლავს პოლიციელს და როგორ გგონიათ, სთხოვს პასუხს ვინმე?

### მადა... ჭამაში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო ქუთაისში არყის ჩამოსხმით იყო დაკავებული. მისი პატრონი არავის ჩაისვამდა წილში და რაკი ეს იცოდა, ტურასავით ჩაუსაფრდა ერაძე. გაიგო, რომ ერთ დღეს შინ არ იქნებოდა და ვეებერთელა სატვირთო მიადგა მის ეზოს. ქალები და ბავშვები ოთახში ჩაკეტეს და თორმეტი ათასი ბოთლი არაყი გაიტაცეს. ეს დანაშაულიც მიფუჩეჩდა. ქალაქის ცენტრში გაძარცვეს ოჯახი, თანაც ამ საქმისათვის სატვირთო მანქანა გამოიყენეს. ამდენი ბოთლის ჩატვირთვას ხომ სჭირდებოდა დრო, ბოლოს და ბოლოს, ამდენ არაყს რეალიზაცია ხომ უნდოდა? იოლად შეიძლებოდა დანაშაულის გახსნა.

დაუსჯელობის გამო ეს კაცი ისე გათავხედდა, რომ აღარც დროს არჩევდა საყაჩაღოდ და აღარც მომენტს. დღისით, მზისით, სახალხოდ მიადგებოდა ვიღაცის მანქანას და მიჰყავდა. ხან ფეხით, ხანაც ვიღაც მადლიანის მანქანით მისდევდნენ შეურაცხყოფილი პატრონები. დიახ, პატრონები და არა — პოლიციელები. ზოგი იბრუნებდა, გამოსასყიდის გადახდის შემდეგ, ზოგი — ვერა...

თურქი მეწარმეები, ძმები სოლაქოღლები ქუთაისის ცენტრში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. ამ ადგილზე ბინა იმიტომ იქირავეს, ჰაიჰარად რომ ვერავინ შეხებოდა, მაგრამ ასე მხოლოდ თურქებს ეგონათ. ვარლამ ერაძემ კი იცოდა, რომ თურქებს არავინ დაიცავდა, მით უმეტეს, პოლიცია. ერთ დღეს იმ დროს მიადგნენ, როცა თურქებთან ოთხი ქართველი მეზობელიც იყო და პირწმინდად გაძარცვეს. სატვირთო მანქანაზე დაახვავეს ნაძარცვი და წაიღეს.

მამლის ყივილამდე ზიდეს ინდიკოს ოჯახიდან სიმდიდრე მომხდურებმა. ნაძარცვს იქვე, ეზოსთან მიყენებულ სატვირთოზე აწყობდნენ. მურმანასაც კი ათრევინეს ჩანთები. წასაღები რომ აღარაფერი დარჩა, იქაურობას გაეცალნენ ყაჩაღები და როცა მურმანამ ინდიკოს სახლში იატაკზე დაყრილი მისი ნაწამები ცოლი და ბავშვები იხილა, სიცოცხლეში პირველად აღიარა, ამნაირ სიმდიდრეს ჩემნაირი სიღატაკე მირჩევნიაო.

ერთ მზიან დღეს თინა გოგნიაშვილს მიადგნენ — შენი ქმრის მეგობრები ვართ, ბენზინი გვითავდება და მოგვეციო. ქალი მაშინვე მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე — ახლავე ვნახავ თუ გვაქვს, ბენზინზე უარს როგორ გეტყვითო და შინ შევიდა. დედამთილი და პატარა გოგონა უკანა კარიდან გააპარა, მაგრამ ბიჭი ველარსად ნახა. ამასობაში კი ვარლამი და მისი ხალხი სახლში შევიდნენ, იმავე წამს ბიჭიც გამოჩნდა. დედამ დაავლო ბავშვს ხელი და რკინისკარიან ოთახში შეიკეტა. ბანდიტებმა რამდენჯერმე ესროლეს კარს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს რაღაც-რაღაცები წამოკრიფეს და წავიდნენ.

მართალია, იმჯერად ბევრი ვერაფერი იხეირეს, სამაგიეროდ, ბენზინის მოთხოვნით ოჯახებში შესვლის მეთოდი დანერგეს.

ვარლამის ძმაკაცი ჯუბია გოგავა დღე რომ ვარლამთან ყაჩაღობდა, ღამე ქურდობდა. ასე ვთქვათ, დამატებითი შემოსავლის მოხვეჭის მიზნით. ერთი დაზარალებული იხსენებს: — ნაშუაღამევს ეზოში რაღაცის მსხვრევის ხმა გავიგონე, მაგრამ შუქი არ იყო და ვერაფერი გავარჩიე. დილით კი იმ ადგილას ჩემი ჩეხური ჭაღის ნამსხვრევები ვიპოვე. სხვაც ბევრი რამ იყო წაღებული. ჯანდაბა ჩემს თავს, ისე როგორ დამეძინა, რომ ვერაფერი გავიგე.

სამაგიეროდ, ნოდარ კირთაძემ გაიგო ხმაური გვერდით ოთახში. არ დაზარებია, ადგა, კარი შეაღო და შუქი აანთო: — კუთხეში ავტომატიანი, წვერმოშვებული კაცი იდგა. ჩემს დანახვაზე ნერვიული კანკალი დაეწყო, თან სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა — არ მომეკაროო. ვუთხარი, ხომ ხედავ, არ გეკარები, კეთილი ინებე და საიდანაც შემოხვედი, იქიდანვე გადი-მეთქი. წავიდა. მაგრამ სიმართლე გითხრათ, შემებრალა.



### საქმენი საგმირონი

იმ დილით ვარლამს და მის ძმაკაცებს ვანის გზაზე გაუფუჭდათ მანქანა. არადა „სერიოზულ“ საქმეზე მიდიოდნენ. თუმცა მანქანა რა სათქმელი იყო, კაცი აქაურობის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს.

— „ნივა“ გააჩერეთ, სხვა მანქანით გაგვიჭირდება, — დავალება მისცა თავისიანებს. მალე გამოჩნდა თეთრი, გაკრიალებული „ნივა“. მის პატრონს დაჭრილი ბიძაშვილი გადაჰყავდა საავადმყოფოში დედამისთან ერთად. ჭრილობა თითქოს გადაეხვიათ, მაგრამ სისხლი თქრიალით მოსდიოდა ბიჭს.

— ბოდიშს კი გიხდით, მარა ეს მანქანა უნდა დაგვითმოთ, საქმე გვაქვს ისეთი, გადადება არ შეიძლება.

— კაცი სისხლისაგან იცლება, თქვენ კი მანქანას მართმევთ?

— შვილი მომიკვდება, თუ დროზე არ მივასწარით. მე, დედას, მეცით პატივი — შეევედრა ყაჩაღებს დაჭრილის დედა.

— აუ, ჩემი დედა, — ისტერიულად იბღავლა ჯუბია გოგავამ, — ხომ გითხრეს, საქმის გადადება არ შეიძლებაო. ახლავე გადმოდით მანქანიდან!

გზის პირას დააგდეს სულთმობრძავი დაჭრილი, რომლის ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ დედა ადგა თავზე. მოგვიანებით ვიღაც გამვლელებმა საავადმყოფომდე კი მიიყვანეს, მაგრამ უცნობია, რა ბედი ეწია შემდეგ. ვარლამი და მისი საძმო კი ზემოთ ავიდნენ, სოფელში. გაეგოთ, იქ ერთი ოჯახი მინიტრაქტორებით ვაჭრობსო და ამჯერად მისი დაყაჩაღება იდგა დღის წესრიგში. ვარლამს გზაში კიდევ ორი მანქანა შეუერთდა და სოფელში რომ ავიდნენ, უკვე თორმეტ კაცს ითვლიდა ბანდა. ოჯახის უფროსი შვილი მურადი დაბლა, ვაკობში ახალი ჩამოსახლებული იყო და ახლაც მუშები ჰყავდა — ეზოს შესასვლელში გარაჟს აშენებდა რამდენიმე კაცი. ავტომატიანი ხალხის დანახვა სხვაგან შეიძლება არც გაჰკვირვებოდა მურადს, მაგრამ აქ, მთაში, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, თუმცა უმალვე გაცხადდა მოსულთა ჩანაფიქრი.

— ჯერ ფული და ოქროულობა გამოიტანე, მერე კი ტრაქტორებით დატვირთე ეგ მანქანა, ეზოში რომ დგას, — უბრძანეს და როცა ნახეს, იოლად ვერ დავიყოლიებთო, ავტომატის კონდახი უთავაზეს ზურგში. ამის დამნახავმა მურადის უმცროსმა გოგომ ისეთი განწირული ხმით იყვირა, რომ წამში გაიგო სოფელმა, რაც ხდებოდა, მაგრამ ვინ გაბედავდა შეიარაღებულ ბანდასთან შებმას. ერთიანად დააცარიელეს მურადის სახლი. მერე სატვირთო დაქოქეს და სოფლის თავში მამამისის სახლისკენ გასწიეს. თურმე გასაყიდი მინიტრაქტორები იქ ინახებოდა. ვიდრე მურადი და მისი ოჯახი ახალ ადგილას დამკვიდრდებოდა, მის მუშებს მამამისი ასადილებდა და ახლაც, როცა დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ, მურადის მშობლებს ეზოში სუფრა ჰქონდათ გაშლილი.

— გველოდებოდით და მოვედით კიდეც... — ცინიკურად ჩაიცინა ვარლამმა და სუფრის თავში მოკალათდა. საქციელწამხდარმა და შეცბუნებულმა ძია ვალიკომ (მურადის მამამ) წითელი ღვინით შეუვსო სასმისი.

— ჯერ სახლი მიათვალ-მოათვალიერეთ. ფული და ოქროულობა აქ უფრო მეტი იქნება. მერე სუფრაზე გეპატიჟებით ყველას! — თავისიანებს გასძახა ვარლამმა და ცხელი ხაჭაპური დაითრია — ტრაქტორები კი თვითონ დატვირთონ მანქანაზე.

კარგად მოულხინეს იმ დღეს. ცივი ღვინო და ცხელი ხაჭაპური, არც მოხარშული დედლები აკლდა სუფრას. საღამო ხანს თექვსმეტი მინიტრაქტორითა და სხვა ნაძარცვით დატვირთულმა მურადის „ზილმა“ და ვარლამის ბანდამ სულ ჰარიარალოთი ჩაათავეს დაღმართი...

იმ დღეს ნაქეიფარ ვარლამსა და ჯუბიას მეორე დღეს, ნაშუაღამევს გაეღვიძათ ვანის რაიონის რომელიღაც სოფელში. მანქანა მოიკითხეს, მაგრამ სადღა იყო. ვიღაც სამხედროფორმიანებმა ჩამოიარეს და წაიყვანესო. თქვენი გაღვიძება ვცადე, მაგრამ ვერაფერი შეგასმინეთო... — უთხრა ოჯახის შეცბუნებულმა პატრონმა.

— არა უშავს, ქურდის ქურდი ცხონდაო — ხომ გაგიგონია. მანქანაც ახლავე გაჩნდება და სხვა სიკეთეც. ეს რა დაწესებულებაა, დაბლა რომ გაჩახჩახებულა ამ ჩაბნელებულ სოფელში? — იკითხა ვარლამმა.

— ბენზინგასამართია, გენერატორს ამუშავებენ და...

— ძალიან კარგი, ე. ი. მანქანებიც მანდ ჩერდებიან, არა? ყველაფერი გასაგებია — ხელები მოიფშვნიტა ვარლამმა და ავტომატი მოიგდო მხარზე.

მთელი საათი ელოდნენ ვარლამი და ჯუბია მანქანის გამოჩენას, მაგრამ საშველი რომ არ დაადგა, სამალავიდან გამოვიდნენ და ჯიქურ მიადგნენ ბენზინგასამართს. ორი კაცი დაუხვდათ იქ, ახალგაზრდები იყვნენ. დამხვდურთაგან ერთს თითქოს გაუხარდა კიდეც სამხედროფორმიანი ვარლამის დანახვა.

— ვინ ხარო, — ჰკითხა ჯუბიამ.

— მილიციელი ვარ. აქაურობას თუ არ მივხედე, ქვეყნის მამაძაღლი დაძრწის ამ გზაზე ღამღამობით, ჩემს ძმას ვეხმარები ხოლმე.

— იარაღი გაქვს, მილიციელო? — ჰკითხა ვარლამმა.

— არა, იარაღი არა მაქვს...

— მაშინ შენს ძმას ექნებაო — და ვარლამმა გამეტებით ჩასცხო ავტომატის კონდახი კუთხეში მდგარ ახალგაზრდას. იმავე წამს ჯუბიამაც გააგორა მეორე ძმა. ერთს ხუთი ლარი აღმოაჩნდა ჯიბეში, მეორეს — თექვსმეტი, მერე სეიფის გასაღები მოიძიეს, გახსნეს და სამასი ლარი იპოვეს. ამასობაში კი მანქანაც მოადგა ბენზინგასამართს, მძღოლს ახალგაზრდა ქალი ახლდა.

— გაწყენთ, ბიძიკო, ბენზინიანი ჰაერი, ბუნებაში გაისეირნეთო, — ურჩია ვარლამმა. ორივენი მანქანიდან ჩამოყარა და ჯუბიასთან ერთად გაუჩინარდა.

იმავე ღამეს კიდევ ორი ოჯახი გაძარცვა ვარლამმა და დილით წაიტრაბახა — წუხელაც გავასამეო.

იმ დღეს ქუთაისში, ალმაშენებლის გამზირის ერთ-ერთ შესახვევში ვარლამის რომელიღაც ამფსონის დაბადების დღეს ზეიმობდნენ. ვარლამსა და ჯუბიას ადრე მოუვიდათ მისვლა. მასპინძელმა ნარდი მოართვა სტუმრებს — თავი შეიქციეთო. განაწყენებული ვარლამი ერთბაშად წამოხტა და ჯუბიასთან ერთად გარეთ გავარდა.

— თავის შესაქცევად მე სხვა, უფრო საინტერესო გასართობი ვიციო და იქვე, მახლობლად ლევან ჯინორიას დაეცნენ. ცხელი უთოთი აწამეს ქალები. თუ რამე ჰქონდათ, მოხვეტეს და მეზობელ სახლში ერთ მარტოხელა დედას მიადგნენ. ქალი ექიმი იყო და პაციენტებიც ბლომად დაუდიოდნენ. ამის კვალობაზე ცოტა რამ მოეპოვებოდა კიდეც, მაგრამ ვარლამისა და ჯუბიას დანახვაზე ერთბაშად გაჯიქდა, გოგონას გადაეფარა და ისეთი კივილი მორთო, რომ მთელი უბანი შეაზანზარა. თუმცა რა, ვინ იყო პატრონი და მიმხედავი, ვინ გამოვიდოდა გარეთ. ეს იცოდა ვარლამმა, მაგრამ მაინც არ სიამოვნებდა წივილ-კივილში „მუშაობა“. ამიტომ რამდენიმე წვრილმანი ნივთი წამოკრიფა და კიბეზე დაეშვა.

— მე აქედან ფეხით წამსვლელი აღარ ვარ. მანქანა უნდა ვიშოვოთ, — განუცხადა ჯუბიას და იქაურობა შეათვალიერა.

ეზოში ორი მანქანა იდგა. ერთი იქით, სიღრმეში, რომელთანაც სამი ახალგაზრდა ტრიალებდა. მეორე აქვე, სადარბაზოსთან, საჭესთან მჯდომი ეტყობა, ვიღაცას ელოდებოდა.

— გადმოდი მანქანიდან და გასაღები მომეცი, თორემ... — შეუღრინა ვარლამმა, მაგრამ მანქანის პატრონი სულაც არ ჩქარობდა. ამასობაში კი მეორე მანქანასთან მდგარმა სამეულმა იარაღი დააძრო და ბანდიტებს გამოსძახა: — პოლიცია, დაყარეთ იარაღი. იმავე წამს პოლიციელების მიმართულებით, რომლებიც სულ სხვა საქმეზე იყვნენ ამ ეზოში მოსულები, ცეცხლის ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ ერთი იქვე დავარდა უსულოდ, მეორე დაიჭრა და ახლა მშველელს უხმობდა. მართალია, მესამე სროლას აგრძელებდა, მაგრამ ისე, უმისამართოდ. ვარლამი და ჯუბია იქაურობას გაეცალნენ. ეჩქარებოდათ.

ისინი ხომ მეგობრის დაბადების დღეზე იყვნენ მიწვეულები. ეს ტრაგედია იმ სახლთან იმდენად ახლოს გათამაშდა, რომ სროლის ხმაზე მოქეიფეები აივანს მოაწყდნენ და სულ მალე მათკენ მიმავალი ვარლამი და ჯუბია შენიშნეს. დამფრთხალ ჯუბიას თავისიანების დანახვაზე გული მოეცა და კითხვაზე, რა მოხდაო, ამაყად უპასუხა: — საყაჩაღოდ ვიყავით, მაგრამ პოლიციელებს გადავეყარეთ და მგონი ერთი მოვკალით კიდეცო. მერე მუცელზე ხელი მოისვა და დაფეთებულმა იღრიალა — დაჭრილი ვარ, ჩემი დედა... ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო ჭრილობაზე დასაფენად, მაგრამ ცხვირსახოცს ბეჭდები და ოქროს საათი ამოჰყვა და ჯუბიასაც გუნება გამოუკეთდა — მაინც ხომ გავიტანეთ ჩვენი, მაინც ხომ დავაყაჩაღეთ. დღესაც ხომ გავასამეთ, — ისტერიულად ყვიროდა და ცდილობდა, ჭრილობიდან სისხლდენა შეეჩერებინა.

ტყვიას მხოლოდ ზედაპირულად გაეკაწრა ჯუბიას მუცელი და მეორე დღეს ისევ საბრძოლო ფორმაში იყო. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ოჯახი ააწიოკეს, რამდენს ადინეს ცხარე ცრემლი და რამდენი ადამიანის მხრებზე გადაატარეს გავარვარებული უთო გარეწრებმა. თუმცა, ყველაფერს აქვს დასასრული და ეს დღეც დადგა, თუმცა არა ქუთაისში.

### დასასრული

ვარლამის მეზობელს, ანზორ კალაძეს იმხანად ახალი გენერატორი ეყიდა და სოფელში ჩასულ ვარლამს არ ესიამოვნა, მის სახლში ნავთის ლამპა რომ ბჟუტავდა, მეზობელთან კი ჩახჩახი გაუდიოდა ილიჩის ნათურებს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# „კაპეზე" — ინფორმაციის ბანკი

## ამიერიდან აქ კანონიერ ქურდებს დააბინავებენ

გიორგი ბარამიძემ იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს საზეიმოდ გადასცა შსს-ს წინასწარი დაკავების იზოლატორის გასაღები. ამით საბოლოოდ დასრულდა სასჯელაღსრულების სისტემის იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემის პროგრამა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს კოლონიები და ციხეები იუსტიციის სამინისტრომ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მიისაკუთრა, შსს ბოლო მომენტამდე, ანუ სამინისტროში პოსტრევოლუციური კადრების მოსვლამდე თავს იკავებდა იზოლატორის გადაცემაზე.

იზოლატორი, რომელიც უფრო „კაპეზეს" სახელით არის ცნობილი, ზურაბ ადეიშვილის ინფორმაციით, ამიერიდან იუსტიციის სამინისტროს საპყრობილე იქნება. აქ ძირითადად, ბოლო დროს აყვანილ „კანონიერ ქურდებს" განათავსებენ, რათა სხვა პატიმრებთან კონტაქტის საშუალება მოუსპონ. გიორგი ბარამიძე კი აცხადებს, რომ „კაპეზეს" გადაცემით ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო ყველა იმ საეჭვო მითქმა-მოთქმას, რომელიც არსებობდა შსს-ს იზოლატორის გარშემო.

სასჯელაღსრულების სისტემის ექსპერტები „კვირის პალიტრასთან" საუბარში ამბობენ, რომ ციხეების იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემის რეკომენდაცია ევროსაბჭოდან მომდინარეობს. თავის დროზე, ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრების მთავარ პირობად დასახელდა სწორედ ამგვარი რეფორმა და მისი მიზანი იყო, რომ ევროსტრუქტურებში გაწევრების მოსურნე საქართველო ციხეებითაც კი ევროპისა და ამერიკის სტრუქტურებს დამსგავსებოდა. იქ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს სწორედ იუსტიციის სამინისტროები კურირებენ. შსს-ს იმდროინდელი მინისტრის, კახა თარგამაძის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს რეკომენდაცია მაინც გაითვალისწინა და ციხეები იუსტიციის სამინისტროს გადასცა. შსს-ს სასჯელაღსრულების პატარა ნაგლეჯი, მხოლოდ „კაპეზე" დარჩა.

რატომ არ უნდოდათ იუსტიციის სამინისტროსათვის „კაპეზეს" გადაცემა? ამ შეკითხვას უპასუხებს სასჯელაღსრულების სისტემის ექსპერტი **გურამ მაისურაძე**:

— 1999 წელს, როცა ევროასამბლეის პრეზიდენტი რასელ ჯონსტონი ჩამოვიდა ჩვენთან, გვითხრა, რომ ციხეებს მთელ ევროპაში დიდი ყურადღება ექცევა, ანდაზაც კი თქვა: „მითხარი, როგორი ციხეები გაქვს და გეტყვი, როგორი ქვეყანა ხარ..." ანდაზებს რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, პოლიციელებს ამით უფლება ერთმეოდათ, თვითნებურად მოპყრობოდნენ პატიმრებს. მაშინ თარგამაძე თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ იძულებული გახდა ციხეები გაეცა, მაგრამ „კაპეზეს" მაინც ვერ შეელია.

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ჯერ ერთი, პოლიციას სჭირდებოდა „კაპეზე", რათა აქ თავისი დიქტატურა გაეტარებინა. უფრო ზუსტად — პატიმრებზე ზეწოლა მოეხდინა. ვგულისხმობ დაკავებულების ცემას, სხვადასხვა სახის შანტაჟს სასურველი ჩვენებების მისაღებად. პოლიციელთა მიერ გახსნილი საქმეების 90%, სწორედ ამ გზით არის მიღებული. ყველაფრის ხმამაღლა თქმა არ შეიძლება, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მეთოდები მიუღებელია, ის მაინც ამართლებდა. ეს პრაქტიკამაც აჩვენა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ციხეებიდან გაქცევის შემთხვევების ყველაზე დიდი წილი სწორედ იმ პერიოდზე მოდის, როცა ციხეებს იუსტიციის სამინისტრო კურირებდა. მანამდე ასეთი მასშტაბური გაქცევები არ ხდებოდა. პოლიცია კარგად „ამუშავებდა" პატიმრებს, მათგან სასურველ ინფორმაციას იღებდა და ამით ციხის ცხოვრებას აკონტროლებდა.

> უმეტეს შემთხვევაში ამ ანკესზე ბევრი ეგება. ჰგონია, რომ კაცი, რომელიც „კამერაში" დახვდა, ახალი დაჭერილია და გულახდილად ელაპარაკება. რა იცის, რომ ეს კაცი უკვე წლობით ზის ციხეში და გამოცდილი ინფორმატორია. როცა შეიტყობენ, უკვე გვიანია.

**— თქვენ „ნასედკების" ინსტიტუტს გულისხმობთ?**

— ეს ხალხი პოლიციის ინფორმატორები იყვნენ. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ იშვიათი იყო საკანი, პოლიციის ინფორმატორი რომ არ ჰყოლოდა. მისი მეშვეობით წინასწარ ხდებოდა ცნობილი შესაძლო გაქცევებზე. დღეს ეს ინსტიტუტი აღარ არსებობს, შედეგს თავადაც ხედავთ, მაგრამ აქ საქმე არ გახლავთ მხოლოდ გაქცევების გაუვნებელყოფაში. პირადად მე პატიმრების დახმარებით გამიხსნია რამდენიმე წლის წინანდელი დანაშაული. მოკლედ, ეს სისტემა ამართლებდა. ვეჭვობ, რომ „კაპეზეს" გადაცემის შემდეგ გაიზრდება გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობაც. ეს კიდევ ერთი სერიოზული მინუსი იქნება.

**— თქვენ თქვით, რომ „კაპეზეში" პოლიციის გამომძიებლები ცემა-ტყეპით იღებდნენ სასურველ ჩვენებას. ნუთუ ასეთი „გამოცდილების" დაკარგვა შეიძლება მინუსად ჩაითვალოს?**

— აქ არა მხოლოდ ცემა-ტყეპაში ხდებოდა ჩვენებების მიღება, „კაპეზეს" საშუალებით პოლიციას ხელში ეჭირა მთელი სისტემა. აქ იყრიდა თავს ყველა ის ინფორმაცია, რაც პოლიციას საშუალებას აძლევდა ეკონტროლებინა არა მარტო ციხეთა სისტემა, არამედ მთლიანად დამნაშავეთა სამყარო. ამ ინფორმაციის მოპოვებას კი არც ცემა-ტყეპა სჭირდებოდა.

**— აბა, „კაპეზეში" მოხვედრილი პატიმრები თავისი სურვილით ფქვავდნენ ყველაფერს?**

— აფქვევინებდნენ, თანაც ცემის გარეშე. „კრიტში", ან სხვა ციხეებში არსებობდა პატიმართა სპეციალური კონტინგენტი. ეს პატიმრები, რომლებსაც თქვენ „ნასედკებს" ეძახით, საგანგებო პირობებში იყვნენ. მათ კარგად აჭმევდნენ. ასუქებდნენ, ვინმე რომ შეხედავდა, ვერ იფიქრებდა, რომ პატიმარი იყო. შესაბამისადაც ეცვათ. ეს ხალხი ხშირად გადაჰყავდათ „კაპეზეში" სამუშაოდ.

**— მუშაობაში რას გულისხმობთ?**

— მათი მთავარი მიზანი იყო ინფორმაციის მოპოვება. შეუშვებდნენ „კამერაში", სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ აყვანილ პირს შეაგდებდნენ. ამ ორს შემდეგ ერთხანს ივიწყებდნენ. ჰოდა, ფსიქოლოგიური მომენტია, ორი კაცი ხანგრძლივად ზის ერთად და ერთმანეთს გულისტკივილს უზიარებს.

**— ანუ „ნასედკა" ინფორმაციას იღებს.**

— დიახ. უმეტეს შემთხვევაში ამ ანკესზე ბევრი ეგება. ჰგონია, რომ კაცი, რომელიც „კამერაში" დახვდა, ახალი დაჭერილია და გულახდილად ელაპარაკება. რა იცის, რომ ეს კაცი უკვე წლობით ზის ციხეში და გამოცდილი ინფორმატორია. როცა შეიტყობენ, უკვე გვიანია.

**— ჩვენ წარსულ დროში ვსაუბრობთ. დღეს ასე აღარ ხდება? თანაც რა მნიშვნელობა აქვს, ვის ხელში იქნება „კაპეზე".**

— მე მგონი ახალი ხელისუფლება გულწრფელად ცდილობს მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას. გულწრფელობა კარგია, მაგრამ მას ხშირად სასურველი შედეგები არ მოაქვს. ეს საგანგებო სისტემაა და მას სხვანაირად უნდა მიუდგე. როგორ გგონიათ, იმავე ამერიკის ან ევროპის ციხეებში პატიმრებს ხელისგულზე ატარებენ? იქაც საშინლად ექცევიან. ამიტომ ნურც ჩვენ ვეცდებით, „რომის პაპზე უფრო დიდ კათოლიკეებად" გამოვჩნდეთ. რაც მუშაობს და ამართლებს, იმაზე უარის თქმა კარგს არაფერს მოგვიტანს. მე არ ვგულისხმობ ცემა-ტყეპის გაგრძელებას, მაგრამ ოპერატიული მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სულ ერთია, ვინ გააკეთებს ამას, შს თუ იუსტიციის სამინისტრო.

*დავით დევდარიანი*

# გასაშიფრული ავკაცობა

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ანზორთან საყაჩაღოდ მისვლა არ ივარგებდა. ჯერ ერთი, ვარლამს ნიღაბშიც იცნობდა, მეორეც — ვარლამისთანას ხუთს მაინც დაიფრენდა. ამიტომ ყაჩაღობას ისევ ქურდობა ამჯობინა და მან და ბეჟუამ ნაშუაღამევს მოიპარეს ანზორის გენერატორი. ტვირთი იმდენად მძიმე იყო, ხელით დიდხანს ვერ ატარეს და იქვე უბანში, ერთ-ერთი მიტოვებული სახლის სარდაფში გადამალეს. მეორე დღეს კი ვარლამმა, როგორც სჩვეოდა, ვანის ცენტრში მანქანა წაართვა ერთ კაცს და დაღამებას დაელოდა, რომ გენერატორი ქუთაისში წაეღო. არც ანზორი იყო გულხელდაკრეფილი. ისიც შეღამებას ელოდებოდა. მას უკვე მიეგნო თავისი გენერატორის სამალავისთვის და ახლა იმასღა უცდიდა, ვინ მივიდოდა მის წასაღებად. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. ღამე მიილია თუ არა, უცხო მანქანა სწორედ იმ სახლის პირდაპირ გაჩერდა, სადაც გენერატორი იყო გადამალული. ანზორმა, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის კეტით შეიარაღებული თავისი ბიძაშვილი გამოეყოლებინა, ერთხანს ადროვა, მერე კი, როცა ორმა კაცმა გენერატორი სარდაფიდან გამოიტანა, ჯერ ერთს ატაკა უროსხელა მუშტი, მერე მეორეს და ორივენი დაბლა დაყარა, მაგრამ იმავწამს ერთს ხელში პისტოლეტი შენიშნა და ელვის სისწრაფით დააცხრა, მაგრამ ტყვიამ ხელი გაუხვრიტა და უკან გადაქანდა. წამიც და ანზორის ბიძაშვილმა ისე მძლავრად დასცხო კეტი პისტოლეტიანს, რომ აშკარა იყო, მას კარგა ხანს აღარ ექნებოდა პისტოლეტის სროლის სურვილი. ამასობაში კი მეორე დაუსხლტათ. ეს ჯუბია იყო. თუმცა ჯუბია რაღაში სჭირდებოდათ, როცა თავიანთივე მეზობელი ვარლამი ჰყავდათ ხელთ. ვარლამ ერაძე იმავე ღამეს გადასცეს პოლიციას. 1997 წლის 26 თებერვალი იდგა.

P.S. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ვარლამისა და ძმათა მისთა „საგმირო საქმეთა" ფონზე ავტორი ოთხმოცდაათიანი წლების ქართული პოლიციის უსუსურობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენი გუშინდელი დღეა, მაგრამ ისიც მაწუხებს, რა იქნება ხვალ. როგორ აღიქვამს დღევანდელ ნაამბობს ის, ვინც „კვირის პალიტრის" ამ ნომერს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გადაფურცლავს!

*ვაჟა გავაშელი*


## კავკასიის აკადემიური ცენტრი

## CAC სი ეი სი

აცხადებს მიღებას
ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრატურის /MBA/
მოსამზადებელ განყოფილებაზე



მაგისტრატურის მოსამზადებელ განყოფილებაზე მსმენელები შეისწავლიან შემდეგ დისციპლინებს:

- თანამედროვე ბიზნესი
- ზოგადი მენეჯმენტი
- მარკეტინგი
- სტრატეგიული მენეჯმენტი
- ფინანსური აღრიცხვა
- მიკრო-მაკროეკონომიკა
- მათემატიკური მეთოდები მენეჯმენტისათვის
- ინფორმაციული ტექნოლოგიები

სწავლის ხანგრძლივობაა 24 კვირა;
მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სასწავლო ლიტერატურით;

მოსამზადებელი განყოფილების წარმატებით დამთავრების შემთხვევაში გაიცემა CAC (სი ეი სი)-ის სერტიფიკატი და მსმენელი უგამოცდოდ ჩაირიცხება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამაზე;

მსმენელთა მიღება ხორციელდება 14 თებერვლამდე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:
დიპლომის ასლი უმაღლესი განათლების (ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე სწავლის) შესახებ;
ორი ფოტოსურათი 3 x 4.

დაგვიკავშირდით, ნებისმიერ დაინტერესებას დაწვრილებით განვმარტავთ!

მის.: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41;
ტელ.: 29-40-80 / 25-17-30; ელ.ფოსტა: cac@gol.ge




## ფლეჟა ფილი — სიამოვნება აბებში

### უძლიერესი სექსუალური სტიმულატორი

„ფლეჟა ფილი" ეფექტურია როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. იგი აძლიერებს სისხლის ცირკულაციას გენიტალიებში, რაც იწვევს აგზნებადობას. აგრეთვე „ფლეჟა ფილი" შეიცავს საკვანძო კომპონენტებს, რომლებიც ახდენს ქალის გონების სტიმულაციას, რის შედეგადაც მიიღწევა სექსუალურობის უმაღლესი მწვერვალი. „ფლეჟა ფილი" ეფექტურად გამოიყენება სექსუალური დისფუნქციის დროს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იმ ოთხივე ცნობილი ფიზიოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ოპტიმალური სექსუალური ფუნქციონირებისათვის:




1. ზრდის სექსუალურ აგზნებადობას და გამძლეობას;
2. ზრდის Nitric Oxide-ის და GMP-ს დონეს;
3. აძლიერებს სისხლის მიწოდებას გენიტალიებში;
4. ზრდის ლიბიდოს, მგრძნობელობასა და ორგაზმს.

თქვენ შეგიძლიათ ისიამოვნოთ სექსით მთელი საათის განმავლობაში.

„ფლეჟა ფილი" - უბრალოდ სცადეთ !!!

„ნუტრიმენტ ჰაუსში" კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

# „გაახსენდა ბაბუაჩემს, სტალინს რომ მალავდა და მისწერა წერილი“

## თუ აფერი არ შეგვიძლია, რაფერ მევედით აქამდე?

შესაძლოა, საქართველოს არასოდეს ჰყოლია იმდენი თანამდგომი, რამდენიც ამჟამად ჰყავს, მაგრამ ცხადია რომ ჩვენი გულისთვის ჯიბეში ხელს ყოველთვის არავინ ჩაიყოფს. ასეც რომ მოხდეს, მტერი იყოს სულ სხვისი ხელის შემყურე, არ არის ეს ქართული წესი — ჩვენ მათხოვრები არასოდეს ვყოფილვართ! ასე იმიტომ გაგვიჭირდა, რომ ხელიდან გამოგვაცალეს ჯერ მიწა, მერე მიზანი. თუმცა ღირსება და შრომისმოყვარეობა ვერ წაგვართვეს — ჩვენს მიწა-წყალზე, სადაც არ უნდა მიიხედო, ყველგან იპოვი ისეთ ხალხს, ვინც ვერაფერმა წააქცია და გააქცია. — ამას წინათ, ოზურგეთის სოფლებში ყოფნამ კიდევ ერთხელ განმიმტკიცა ეს აზრი. იქ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გლეხი დაგარწმუნებს, რომ ქვეყანა სხვისი ხელის შემყურე დიდხანს არ დარჩება... აი რას ამბობს ბოხვაურელი ნოდარ თალაკვაძე:

**— ამხელა სასახლის ასაშენებელი ფული როგორ იშოვეთ?**

— ჩემმა ხელებმა იშოვეს. ყოლიფერი, რასაც აქანე ხედავთ — ჩემი ნაკეთებია. ობოლი ვიყავი, მარა ღმერთი მეხმარებოდა. აი მეოთხე სახლია ჩემი... ჯერე ვანისქედში მქონდა ფაცხა. აი სახლი კიდო მთისპირში მედგა. იქინე ასკანიტის მაღაროა, აფეთქებები მიდის, თან მეწყერიც დაერთო, წეიღო მიწა და გაყვა ჩემი სახლი. ცრემლი რომ არ გამომჩენოდა, მეზობლებს პირს ვარიდებდი. მეზობლები მომეხმარენ, დავნომრეთ, დავშალეთ და ჩამევიტანეთ აქანე. 60-ს მოყრილმა კაცმა თავიდან დევიწყე ცხოვრება. ასეა აი წუთისოფელი, არ უნდა შეგეშინდეს წაქცევის. რომ არ შეშინდები, ისევ კი გეიმართები წელში. ასკანიტის მაღაროების აფეთქებებმა სხვაი სახლებიც დაანგრია, მარა უსახლკაროდ არ დარჩენილა არავინ.

**— ღირს ეს ასკანიტი იმდენი სახლ-კარის დანგრევად?**

— ჩვენ რომ გვგონია, იმაზე ბარე ორჯერ მეტი ღირს, მარა მივეცით ბერძნებს და გააქვთ, როგორც მოეხასიათებათ. მაი ფლორიდაში მოიპოვება და აქანეც ფლორიდინს უძახოდენ. მანამდე ქალები თმის დასაბანად ხმარობდენ. დააგუნდავებდენ, გაახმობდენ, მერე პაწა ძმარს და წყალს გოურევდენ. ამით დაბანილი თმა კაი სანახავი იყო. ოზურგეთშიც ჩაქონდათ გასაყიდად. ერთხელ, გიორგი თვალჭრელიძე რომ იყო, დიდი გეოლოგი, იმას უნახავს ეს გუნდები. ე, იქიდან ალმოაჩინეს, მარა ახლა თავის დასაბანად არავინ ხმარობს... იმათ კი აქვთ მისდა ჭკუა, ჩვენ გადაგვრიეს, თვარა...

**— ეგებ ჩვენც ვისწავლოთ ამ ქვეყნის მოვლა...**

— გაგახარა ღმერთმა. ჩვენ რო სამშობლო გვაქ, ბარე ორს ენატრება



1921 წ. ბახმაროს დამცველი რაზმი. მარცხნიდან დგანან: დ. ერქომაიშვილი, გ. ლომინაძე, ი. კოტრიკაძე, ს. მეგრელიძე. სხედან: ე. კვაშალი, კ. ჭელიძე, ს. თალაკვაძე, ვ. ჩხაიძე, გ. ღლონტი, ფ. მეგრელაძე, მ. დათუნაშვილი.

**— ხომ ვიყენებდით პარფიუმერიაში ასკანიტს, უცხოურ ქიმიურ შამპუნებზე სასრგებლო აღარ იყო?**

— იყო, მარა მავნეს უფრო ადვილად ეჩვევა კაცი — ამფერია მისი ბუნება. ყოლიფერ უცხოზე არ უნდა გაგიჟდე. უნდა დოუკვირდე, შენდა სასარგებლო რაა. სერიალები ეიღე, თუ გინდა. იმდენი უჩვენეს შიშველი ქალები, გეიხედავ — მოდის ქუჩაში ქალი და უჩანა ჭიპი. ამ ხნის კაცი ვარ, მარა შემრცხვება და გადავდივარ მეორე მხარეს. კაცს ასე რომ დეენახვები, მერე ნუღა უჩივი, კაცად არ ვარგხარო... ახლა კიდო ერთი უბედურება — წყლისპირებს ველარ გეივლი, სავსეა ცელოფანებით და პლასტმასებით. შე დალოცვილო, მიწა აღარ გეცოდება? არ ლპება აი ცელოფანი, ბალახი აღარ ამოდის იმის ადგილზე. იმ საზღვარგარეთმა ქი მიხედა თავის თავს. ამბობენ, — ახლა იქინე ქაღალდის პარკებს ხმარობენო.

იმფერი. ამას, აქიდან თუ არ ხარ გასული კაცი, ვერ მიხთები. გურულებს რომ აქვს სიმღერა — თუ სიბნელე არ გინახავს, რას უწოდებ სინათლესო, ე, ისეა საქმე. ბაღნობაში ვინმეს რომ ეთქვა, ჰიტლერმა პაწა აქეთ წამეიწიაო, ქვით რომ გამეტეხა იმიზა თავი, გული არ დამიშლიდა. ერთხანს სტეპებში ვიყავი. იქიდან რომ წამევედი და მატარებელმა გამოაცხადა, ვუახლოვდებით თბილისსო, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ჩემი ოჯახიდან იწყება სამშობლო და კიდო — შენი ოჯახიდან. ა, ასე ძლიერი რომ იქნება ყველა ოჯახი, რაფერც ჩემია, ქვეყანაც ძლიერი იქნება, მარა ხალხი არ უნდა დაავიწყდეს მთავრობას. ედუარდ შევარდნაძე არ იყო გლახა კაცი, მარა იმან დაღუპა, ხალხი რომ დაავიწყდა. კი იძახოდა — კანონი, კანონიო. სად იყო მერე ეს კანონები, მარტო ქაღალდზე? ტყვილა აფერი არ უნდა შეპირდე კაცს, აი ამ ახლებმაც უნდა იცოდნენ. წინასწარ რომ გამევიდენ, პენსიებს და ხელფასებს ხვალვე გაგიზრდითო, — ბიჯო, რას გაგიზრდიან ჯერ, ჯიბეში რომ აფერი აქვთ?! ყოლიფერს თავისი დრო აქვს. აბა, დააყურე, ახლა თუ იძახის სკვინჩა? აბდალი კი არაა — მარტი რომ დადგება, იმას შეეგებება თავის წესსა და რიგზე.

თუ მიწაზე მუშაობა ვერ შევძელი, თუ ნავთობი ვერ ამევიღე, თუ მინერალური წყალი ვერ ჩამოვასხი და თუ აფერი არ შეგვიძლია, მაშვინ რაფერ მევედით აქამდე, რეიზა ვართ ცოცხალი? იმფერ ხალხსაც უნდა მონახვა საქმის გაძღოლა რომ იცის, თვარა იმფერებიც ვიცი, ღამე რომ დეიძინებს, დოუწყობენ წუღებს საწოლთან, დილით ჩაყოფს ფეხს და საითაც წვერი ექნება, იქით გაჰყვება გზას... საქმეს კარგად რომ დაგეგმავ, აღარც დეიღლები და ქვეყანასაც ააშენებ.

**— თქვენ ყოველთვის გეგმავდით საქმეებს?**

— მაი რომ არ მექნა, ძვალი აღარ ეგდებოდა ჩემი, მარა ახლა ამ ხნის კაცს კიდო მეხვეწებიენ, — გვითამადეო. 60 ქორწილი მაქვს თამადობით მოსტუმრებული და კიდო უფრო მეტი — ჭირის სუფრა. ჭირის სუფრის გაძღოლა უფრო ძნელია. ჭირისუფლის ტკივილს წამლად უნდა დეედო. თუ არ იცი, რაფრა ტკივა, რას მიეხმარები? გაჭირვება მეც ბევრი მინახავს. დედა არ მყავდა და მამაც მომიკვდა 41 წლის ივლისში.ომი რომ იყო, ჩემმა სოფელმა სასაფლაომდე ველარ ეიტანა მიცვალებული და ეზოს ბოლოზე დამიმარხა მამა. ყოლიფერს რომ მორჩა, დადო მეზობელმა ბარი საფლავთან და თქვა: — ახლა კი იყოს აქანა, მარა ეგება, პატრონი გამოუჩნდეს ამ კაცსო. 9 წლის ვიყავი მაშვინ და 25 წელიწადი მქონდა ეს სიტყვები ყურში. ვანისქედიდან რომ წამევედი, გავთხარე მამის საფლავი და იმის ძვლებს ცოცხალივით ვეფერებოდი. ჩამოვასვენე ჩემთან, ახლოს. მერე ი სახლი რომ მეწყერმა დამინგრია, მამაჩემი აქაც წამევიყვანე. მე ასე მწამს — შვილმა მშობლის საფლავს უნდა მოუაროს.

**— დედ-მამით ობოლი ასე ვერ გაძლიერდებოდით, გვერდით ბევრი მოკეთე რომ არ დაგდგომოდათ...**

— გეკადრება? აბა, რა მაცოცხლებდა?! ჯერ დედმამიშვილები მპატრონობდნენ, მერე მეზობლები. დიდი სიმდიდრეა მეზობელი. ერთმა ბრძენმა კაცმა მითხრა, მეზობელს არ დეემდურო, იცოდე, იგია შენი პირველი იმედიო. ძაან რომ გაგიჭირდება, სანამ ნათესავი გეიგებდეს, მეზობელი მოვა დასახმარებლად... კაცი მოყვარითაა ძლიერი, ახლა აფხაზეთი და ოსეთი ევილოთ, რომ იძახიენ, დაკარგულიაო, იმას მე დაკარგულად და წართმეულად არ ვთვლი. ii ხალხი, ვერსად ვერ წეიღებს იმ მიწას, მარა ამაში არაა საქმე, საქმე იმაშია, რომე კი შეიძლებოდა მაგენთან უთოფოდ და უზარბაზნოდ მოლაპარაკება. რომ იძახიან, წევიდეთ და ვიომოთო, სწორია? ხალხი აღარ იზამს ამას. თუ იზამს, გამოაჩინა აგერ რევოლუციამ — ხომ ასე იყო დაძაბული მდგომარეობა, მარა რევოლუციას უტვინო ხალხი არ მართავდა, ხვდებოდნენ რომე თოფი არ უნდა გეესროლათ, ომის ეშინოდათ და იმიზა. ხომ ვნახეთ, რაია ომი? მასე კი არაა საქმე! მე რომ პირველად დათვს ვესროლე, წეიქცა. მივედი ახლოს, გოდოვუწიე თოფს თავი, კიდო ტყვია რომ ჩემედო და აი დათვი არ წემევიდა და გამემეკიდა? რა ვიცოდი, თუ წამევიდოდა? მას მერე მეშინია წაქცეული დათვის და ტყვიის გასროლის...

**— დათვებსაც ხოცავთ?**

— მაი არაა დიდი საქმე. იმფერი წინაპრები გვყავდა, პაწა ჩემზე ვაჟკაცები იყვენ. ნახე აი სურათი!.. აი ბახმაროს დამცველი რაზმია. არ ინდომენ, საქართველო რომ გასაბჭოვდა და წევიდა ტყეში თოთხმეტი კაცი. საშა ობოლაძე ხომ გაგიგონია, სისხლის მსმელი ბოლშევიკი. იგი დასდევდა დასახოცად... ერთხელ იმ საშამ ლიხაურში ბაღნიანი სახლი დაწვა. ჩამევიდენ აგენი ტყიდან და ობოლაძე გზაში ჩაკლეს თავის ამხანაგებიანად. იმ თოთხმეტი კაციდანაც ყველა ჩახოცეს, მარტო გოგია ღლონტმა გაასწრო თურქეთში... ამ სურათზე ჩემი ბიძაცაა, სიმონა თალაკვაძე. ვანისქედში ჩამოსულა სტუმრად ერთ ოჯახში. იმ ოჯახიდან ერთმა გასცა და გამეეკიდენ. დაჭრეს მარა მაინც გეიქცა. სიკვდილის წინ ჯირკზე მაუზერი ისე ჩამოუდვია, ვითომ ისროდა. მიაკვლია ოზურგეთის მილიციის უფროსმა სოსელიამ... კაი ხანს ვერ მიუახლოვდენ თურმე — გვესვრისო, მერე დარწმუნდენ, ცოცხალი აღარააო... იმ სოსელიას ერთი მილიციელი ყავდა, მივიდა და მკვდარს უდიერად მოპყრობა დოუწყო. აი სოსელია ორმეტრიანი კაძახი იყო, ეიღო მჯიღი და იმფერი დაცხო იმ მილიციელს, მიწიდან ძლივს ამეილეს თურმე. იმ სოსელიას შოუტყობინებია ჩუმად ჩემი ოჯახისთვის — სიმონეი წაასვენეთო. ჩეიცვეს თურმე ჩემმა მამიდანებმა შარვლები, იახლეს ერთი კაცი, წევიდენ ღამე და ჯალამბრით ჩამოასვენეს... მეზობლებმა ჩუმად ჩამოუდვენ სასახლე, ქალებმა გათხარეს საფლავი ეზოში... მეორე ბიძა, 19 წლის პირმოუშროობი ბაღანე, გზაზე ჩაცხრილეს ბოლშევიკებმა; მესამე ბიძა კიდო 1914 წელს გერმანიის ომში ჩავარდა ტყვედ. აქით მამაჩემი იჯდა თურმე თბილისის ციხეში. გაახსენდა ბაბუაჩემს, ერთ დროს სტალინს რომ მალავდა, და მიწერა წერილი — ასეა ჩემი საქმე, თქვენიანებმა შვილები დამიხოცესო. თქვენ წარმეიდგინეთ, სტალინმა გერმანიიდან გამეისყიდა ჩემი ტყვე ბიძა...

აი, ასეა საქმე.

ახლა გაგატან ამ სურათს და დაბეჭდეთ. მიყვარს თქვენი გაზეთი, კაი ქართულ საქმეს აკეთებთ და იმიზა გატან ამ სურათს. იცოდეს ჩვენმა ახალგაზრდობამ, რაფერი ვაჟკაცი წინაპრები გვყავდა, რომე თვითონ უკეთესები იყვენ და ამ ხალხივით პატიოსნად იცხოვრონ... ამათ დანატოვარ ქვეყანას მოვლა უნდა, შვილო, მოვლა...

*ეთერ ერაძე*






## რას გვეტყვი, მამაო?

**— შევიძინე სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხატი, ამბობენ, რომ ეს ხატი ოჯახის მფარველია. გთხოვთ, გვიამბოთ ამ წმინდანის შესახებ.**

— ოჯახში დაბრძანებული ყველა ხატი შეიძლება ოჯახის მფარველი იყოს, თუკი მასზე გამოსახულ წმინდანს გულწრფელად ევედრებით.

თვით წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი კუნძულ კვიპროსზე დაიბადა, საუკუნეში. ის მწყემსი იყო, ჰყავდა ცოლ-შვილი, მაგრამ მთელ თავის შემოსავალს ღარიბ-ღატაკებს ახმარდა. ამ მადლისთვის უფალმა სასწაულთმოქმედების ნიჭი მიანიჭა. იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს ის ქალაქ ტრიმიფუნტის ეპისკოპოსად აირჩიეს. 325 წელს, საეკლესიო კრებაზე, ამ უბრალო მწყემსმა კამათში ბერძენ ფილოსოფოსს აჯობა და ყველას დაანახვა მიწიერი სიბრძნის უძლურება ღვთაებრივი სიბრძნის წინაშე. მღვდელმთავრობის დროს იგი ისევე მოკრძალებით ცხოვრობდა, კურნავდა ადამიანებს და ეხმარებოდა გაჭირვებულებს. ნეტარი სპირიდონის ცხოვრების აღმწერი მას სტუმართმოყვარეობით პატრიარქ აბრაამს ადარებს. ჩვევად ჰქონდა, რომ აღებული მოსავლის ნაწილი გლახაკებისთვის დაერიგებინა, ნაწილი სესხად გაეცა. როდესაც მასთან მარცვლეულის სათხოვნელად მიდიოდნენ, ის უზედამხედველოდ აგზავნიდა ბეღელში, სადაც ყველას შეეძლო აეღო, რაც სურდა და უკან ასევე უზედამხედველოდ დაებრუნებინა. ერთხელ მის ერთ მეგობარს უსამართლოდ მიუსაჯეს სიკვდილი. წმინდა სპირიდონმა მსაჯულს უთხრა, რომ უდანაშაულო კაცის სიმართლის დასამტკიცებლად მდინარეც შეჩერდებოდა. მან ხელი ასწია და უფლის სახელით ადიდებული მდინარე შეაჩერა, ამ სასწაულით გაოგნებულმა მსაჯულმა უდანაშაულო კაცი გაათავისუფლა. უბრალოებითა და სასწაულების მადლით გაბრწყინებული წმინდანი მშვიდობით მიიცვალა 348 წელს. მისი სხეულის წმინდა ნაწილები (გარდა მარჯვენისა), ძველ რომში, მისივე სახელობის ტაძარშია დაცული.

**— ქრისტიანულია თუ არა „საკურთხის“ ცნება და თუ ასეა, რომელ დღეს მივიტანო ის ეკლესიაში? უნდა იყოს თუ არა კოლიო მაინცდამაინც თაფლით შემზადებული?**

— „საკურთხი“ ქრისტიანული ცნებაა, თვით სიტყვა გვეუბნება, რომ რაღაც უნდა იკურთხოს, ამ შემთხვევაში — პროდუქტი, რომელიც ეკლესიაში მიგვაქვს მიცვალებულთა სახელზე. კურთხევა პანაშვიდის დროს ხდება და ამის შემდეგ საკურთხი სამოწყალოდ უნდა გაიცეს მიცვალებულის სახელით, მაგრამ გარდაცვლილისათვის მთავარი იმ ლოცვის აღვლენაა, რომელიც პანაშვიდისას წარმოითქმის. საკურთხი ეკლესიაში შეგიძლიათ მიიტანოთ საეკლესიო კალენდრის მიხედვით დადგენილ მიცვალებულთა დღეებში. ასევე ნებისმიერ შაბათს (საერთოდ, შაბათი ითვლება პანაშვიდისათვის მიზანშეწონილად); რაც შეეხება კოლიოს, სამარხვო დღეებში, იგი შეიძლება მომზადდეს თაფლითაც და უთაფლოდაც, არასამარხვო დღეებში კი, ცხიმითაც.

**— მქვია რამაზი. მონათვლისას მოძღვარს სხვა სახელი არ დაურქმევია, მყავს თუ არა ჩემი სახელის მქონე მფარველი წმინდანი?**

— როგორც არაერთგზის განვმარტეთ, იმ ქართველთა მფარველი წმინდანი, რომელიც განსაკუთრებულად არ არის მოხსენიებული საეკლესიო კალენდარში, მოიხსენიება იმ 100 ათასი წმინდა ქართველის წამების დღეს, რომლებსაც 1227 წელს თბილისის აღებისას სულთან ჯალალედინის ბრძანებით მოჰკვეთეს თავი, რადგან უარი თქვეს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებზე ფეხით გადაევლოთ. მათი მოხსენიების დღეა 24 დეკემბერი (ძვ.სტ.11ოქტ.).

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „მივმართავ ახალგაზრდა გენპროკურორს“

(დასაწყისი იხ. გვ.7)

როდესაც პროკურატურამ სანეპიდსადგურის მუშაობის შესწავლა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ბევრ ობიექტზე სანიტარული დამუშავება არ ხდებოდა, მაგრამ იქმნებოდა ყალბი დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ. ამ გზით დიდძალი მასალა ჩამოიწერა, დაახლოებით 2 მლნ მანეთი დაიტაცეს. „თაგვების საქმით“ გავედით შემდეგ გახმაურებულ საქმეზე: სანეპიდსადგურს სანიტარული სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა ლილოს ლითონდამამუშავებელ კომბინატშიც. კომბინატში გაცილებით სერიოზული დარღვევები აღმოჩნდა. თურმე კომბინატის დირექტორს და ერთ-ერთი საამქროს უფროსს, ვითომ დამზადებული ლითონის ნაკეთობების ყალბი დოკუმენტების გაფორმებაზე წინააღმდეგობას უწევდა ბუღალტერი. რა არ შესთავაზეს, მაგრამ ვერ მოისყიდეს. ბუღალტერი სხვადასხვა ინსტანციაში აგზავნიდა წერილებს, — ჩვენს საწარმოში სახელმწიფო ქონებას იტაცებენო, მაგრამ რატომღაც რეაგირება არავის მოუხდენია. რადგან ვერ გააჩუმეს, კომბინატის დირექტორმა და საამქროს უფროსმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს. დაიქირავეს მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში მცხოვრები 5 აზერბაიჯანელი, რომლებიც ერთ დილას სახლში მიუცვივდნენ ქალს და მოკლეს. ამ საქმეზე მთელი საბჭოთა კავშირი ალაპარაკდა. შს სამინისტრო დაგვეხმარა ოპერატიული ღონისძიებების გატარებაში და მკვლელებს მივაკვლიეთ. დიდი სასამართლო პროცესი გაიმართა — 5 კაცს: საწარმოს დირექტორს, საამქროს უფროსსა და 3 მკვლელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, ორს კი — 15-წლიანი პატიმრობა.

**— რომელიმე ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს თუ „შეხვედრიხართ“ თქვენი საქმიანობისას?**

— ქურდებს მილიცია დასდევდა, მაგრამ ერთი ცნობილი ქურდის საქმეს ჩვენ ვიძიებდით. ავლაბრელი სომეხი იყო, გვარად ხაჩატუროვი, მეტსახლად „ბუიოვას“ ეძახდნენ. კაცი ჰყავდა მოკლული და თან ქურდობაშიც იყო ეჭვმიტანილი. მის დასაკავებლად 2 მილიციელი ავიდა ავლაბარში — ბურდული და რზგოევი. „ბუიოვა“ თურმე სახლიდან გამოდიოდა, მილიციელებს უთქვამთ, გაჩერდიო. ისიც გაჩერებულა. საწვიმარი ლაბადა სცმია, ჯიბეში პისტოლეტი ჰქონდა, არც ამოუღია იარაღი, ჯიბიდან უსვრია და ორივე მოუკლავს. ამ საქმის გამოძიებამ დამნაშავეთა დიდ ჯგუფზე გაგვიყვანა, რომელთაც არაერთი მკვლელობა ჰქონდათ ჩადენილი. 8 კაცი დავიჭირეთ. მათ შორის ერთ-ერთი ავტორიტეტული ქურდი იყო, გვარად ერაძე. კაცი ჰყავდა ადრე მოკლული, მაგრამ საკავშირო ფსიქიატრიული ინსტიტუტის დასკვნა ედო ჯიბეში — შეურაცხადიაო და თავის დროზე ამის გამო გაათავისუფლეს ციხიდან. რომ დავიჭირეთ, მაშინაც მორიგი მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი. გიჟი ვარ, გამიშვითო, — საბუთს გვაჩვენებდა. განმეორებითი სამედიცინო ექსპერტიზა მოვითხოვეთ და მოსკოვიდან ისევ მოვიდა დასკვნა, — ერაძე შეურაცხადიაო. დავეჭვდი და ავლიპ ზურაბაშვილს ვთხოვე — თქვენ გასინჯეთ-მეთქი. გასინჯეს ქართველმა ფსიქიატრებმა და გვითხრეს — ფსიქიკურად ჯანმრთელიაო. სასამართლოზე მოსკოველი ფსიქიატრებიც გამოიძახეს, მაგრამ მათ როგორც კი ბატონი ავლიპის დასკვნა ნახეს, უკან დაიხიეს... „ბუიოვას“ გადარჩენას მთელი ქურდული სამყარო ცდილობდა, ციხეშიც დიდ პატივში ჰყავდათ, მაგრამ პრინციპულად ვიბრძოლეთ და სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის აღსრულება ბოლომდე მივიყვანე. სიკვდილით დასჯას ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ზოგჯერ იყო ისეთი შემთხვევები, ისეთი დანაშაული, რომლის ჩამდენის ცოცხლად დატოვება გაუმართლებელი იქნებოდა. ჩემი გენპროკურორობის დროს გამოიძიეს ცნობილი ქართველი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონ ნამგალაურის საქმე. მან თავისი ბიძაშვილი, 9 წლის გოგონა გააუპატიურა, შემდეგ მოკლა და ეზოში დამარხა. როდესაც ნამგალაურს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, საკავშირო გენპროკურატურამ გააპროტესტა განაჩენი, რადგან საბჭოთა კავშირის ცნობილმა მოჭიდავეებმა სთხოვეს შუამდგომლობა, მაგრამ საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ გამოიჩინა პრინციპულობა და უარი თქვა საკავშირო გენპროკურატურის პროტესტის დაკმაყოფილებაზე. ვერ ვაპატიებდი საკუთარ თავს, რომ 9 წლის გოგონას მკვლელი ცოცხალი დარჩენილიყო. სხვათა შორის, გამოძიების დროს დადგინდა, რომ ნამგალაური ძალადობისკენ იყო მიდრეკილი და გაუპატიურების სხვა შემთხვევებიც ჰქონდა ჩადენილი.

**— თქვენს დროს გამოიძიეს ზვიად გამსახურდიას საქმეც. მას ბრალად სამშობლოს ღალატი და სახელმწიფო ქონების მითვისება ედებოდა. ზვიად გამსახურდიასთან ასეთი ბრალდებების დაკავშირება ბევრისთვის წარმოუდგენელია. ზეწოლა ხომ არ ხდებოდა გენპროკურატურაზე, როდესაც ასეთი დანაშაული „მოუძებნეს“ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მით უმეტეს, რომ თავად ბრძანეთ, შევარდნაძე ყოველთვის ერეოდა პროკურატურის საქმიანობაშიო. თქვენს საქმეებში არასოდეს ერეოდნენ?**

— უდიდესია გამსახურდიას დამსახურება ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მან შეცდომები დაუშვა. პროკურატურის საქმიანობაში მაშინ არავინ ჩარეულა. გამსახურდიას საქმეში იყო ისეთი ეპიზოდები, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.

გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს დიდი თანხები გადიოდა ბანკებიდან. შეიძლება მან ეს არც იცოდა. 50-მანეთიანი კუპიურების შეცვლის დროს, ბანკებმა მილიონები დაიტაცეს. იყო ასეთი შემთხვევაც — უზენაეს საბჭოში ტარიელ გელანტიამ ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი დაიბარა და 5 მლნ მანეთი მიატანინა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე. ამ ფულიდან 2 მლნ კიტოვანის გვარდიას გადასცეს. სასაცილო ის იყო, რომ დანარჩენ 3 მლნ-ს გამსახურდიას დაცვის უფროსი განკარგავდა. გამოძიებამ მოგვიანებით გვარდიის სარდალიც დაჰკითხა. ზურაბ ჭუმბურიძეს ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდა, ზედმიწევნით იყო გაწერილი სიაში, რაზე დაიხარჯა ფული. ის 2 მლნ არც გამხდარა სადავო, მაგრამ არავინ იცის, რაში დაიხარჯა 3 მლნ.

გამსახურდიას საქმის დეტალები არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ გაისმის ყალბი ბრალდებებიც. მაგალითად, მის საქმეში არ არსებობს ზოოპარკიდან ფარშავანგების გაყვანის ბრალდება, ეს ვიღაცამ განგებ მოიგონა.

გამსახურდია ხალხს უყვარდა, მაგრამ როდესაც დაინახა, პრეზიდენტი განსხვავებულ აზრს ვერ ეგუებოდა, ამიტომ დაუპირისპირდა. ამის გამო გამსახურდიამ ყველა პოლიტიკური მოწინააღმდეგის დაპატიმრება განიზრახა და ეს იყო მისი შეცდომა. ეს კი კანონის ენაზე თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს. როდესაც გამსახურდიამ საქართველო დატოვა, მისმა მომხრეებმა ტომრებით წაიღეს ფული. ამას ვერავინ უარყოფს. უამრავი დოკუმენტი არსებობს პროკურატურაში.

**— თქვენ, პროფესიონალი გამომძიებელი, როგორ ფიქრობთ, გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?**

— ვინც გამსახურდიას იცნობდა, ვერ წარმოიდგენს, რომ თავს მოიკლავდა. მას იმდენად უყვარდა სიცოცხლე და სურდა ისევ საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყო, თავს არ მოიკლავდა. მისი მკვლელობა მოწყობილი ამბავია.

**— დღეს ზვიადისტები ციხეებს ტოვებენ. ამ პროცესს როგორ შეაფასებდით?**

— მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის მსჯავრდადებულების ციხიდან გამოშვება არ შეიძლება. შეიძლება მათი გათავისუფლება, რომლებიც საკუთარი რწმენით იბრძოდნენ გამსახურდიას ხელისუფლების აღსადგენად; ხოლო ისინი, რომლებიც ბრძოლის საბაბით ხალხს კლავდნენ და ძარცვავდნენ, ციხიდან არ უნდა გამოუშვან.

**— თქვენ, „აღორძინების“ წევრი, როგორ აფასებთ აჭარის ხელმძღვანელის დღევანდელ ქმედებებს?**

— მე გენერალური პროკურორი ვიყავი პატიაშვილთან, გუმბარიძესთან, გამსახურდიასა და შევარდნაძესთანაც. ოთხივე აბსოლუტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ ისინი ხედავდნენ, რომ სხვის ჭკუაზე არასოდეს დავდიოდი და არც ვინმეს თხოვნით გავაკეთებდი რამეს. ჩემი მიზანი ყოველთვის კანონის დაცვა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. სიმართლის თქმას არავისთან მოვრიდებივარ, მაგრამ არ მინდა ასლან აბაშიძეზე ლაპარაკი. ვფიქრობ, ახალმა ხელისუფლებამ საქმიანი დიალოგი უნდა აწარმოოს მასთან. ამ კაცს უნდა დაუფასდეს, რომ აჭარა გადაარჩინა ომს, ძარცვას და უბედურებას. სწორი არ იქნება ძალის გამოყენება მის წინააღმდეგ. ბატონ ასლანთან მუშაობაც შეიძლება და რაიმეში დარწმუნებაც. თუ ის რაიმეში ცდება, ხელისუფლებამ უნდა დაარწმუნოს, რომ შეეშალა რაღაც.

**— ლაპარაკობენ, შესაძლოა, შევარდნაძეზეც აღიძრას საქმეო...**

— ძალზე ღრმად უნდა შეისწავლონ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკა. უნდა გაირკვეს, მისი საკადრო გადაწყვეტილებები შეცდომა იყო თუ მიზანმიმართული ქმედებები. უნდა გაირკვეს, რომელი საკადრო გადაწყვეტილებების დროს შეცდა პრეზიდენტი და როდის ინიშნებოდა ვინმე თანამდებობაზე ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობების გამო. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, უუნარო ხალხის თანამდებობაზე დანიშვნით პირადად პრეზიდენტი იყო დაინტერესებული თუ ის გარემოცვის გავლენის ქვეშ ექცეოდა. არ მინდა დავიჯერო, რომ პრეზიდენტი ანგარებით მოქმედებდა, მაგრამ ამ საკითხში ისეთი ეპიზოდებია, რომ ჭკუაზე შეიშლება კაცი. ამის საილუსტრაციოდ ენერგეტიკის სფეროში საკადრო პოლიტიკაც იკმარებდა. რატომ ინიშნებოდა თანამდებობებზე ერთიმეორეზე უარესი ხალხი? სად წავიდა ენერგეტიკაში ჩადებული ინვესტიციები და ვის მოხმარდა? რატომ არ მოხდა დროულად იმ ხალხის იზოლაცია, ვინც ენერგეტიკას ანგრევდა?

**— რას ურჩევდით თქვენს ახალგაზრდა კოლეგას, ირაკლი ოქრუაშვილს?**

— აღებულ კურსს არ გადაუხვიოს. დამნაშავე მისი თანაპარტიელიც რომ იყოს, უნდა ამხილოს. თუ რომელიმე დამნაშავეს დაინდობენ, ბატონი ირაკლი ავტორიტეტს დაკარგავს. მას ობიექტურობა და კანონიერების დაცვა მართებს. სასამართლოზე მიყვანილ დამნაშავეებს იმის თქმის საშუალება არ უნდა ჰქონდეს, ჩემზე ზეწოლა მოხდაო.

მივმართავ ახალგაზრდა გენპროკურორს, რომ სიღრმისეულად შეისწავლოს ყველა პირის საქმიანობა 1992 წლიდან დღემდე. თუ ვინმეს ბრალი მიუძღვის, დღის სინათლეზე გამოიტანოს, რომ ახლანდელ პრეზიდენტს მისცეს თავისუფლად მოქმედების საშუალება. სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს ასეთი ხალხისგან. ბევრი დამნაშავეა იმ ხალხში, რომელიც დღეს მის გვერდზეა და გამარჯვებას ზეიმობს. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო — ამ აზრს არ უნდა მიჰყვეს ახალი გენპროკურორი. ის გამარჯვებულიც უნდა გასამართლდეს, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. ჯერჯერობით მომწონს სააკაშვილის საკადრო გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველას არ უნდა ენდოს. სააკაშვილის გარემოცვა უნდა გაიწმინდოს, იქ ბევრი საეჭვო პირია და მათი მხილება ოქრუაშვილისა და ბარამიძის საქმეა.

***იზო რუკაძე***


## კოენზიმ Q-10 (უბიქინონი): ორი გულის ძალა

*ჩვენი ორგანიზმის თითოეული უჯრედი - თავისებური მინიატურული ძრავაა, რომელიც მასში შესულ საკვებ ნივთიერებებს გარდაქმნის ენერგიად. ამ ენერგიის გარეშე უჯრედს ნორმალური მუშაობის უნარი არ გააჩნია, მისი აღდგენა და კვლავწარმოება ირღვევა. ხოლო ორგანიზმისთვის მიწოდებული საკვებიდან ენერგიის გამოსამუშავებლად უჯრედი განსაკუთრებულ ნივთიერებას იყენებს, რომელსაც **კოენზიმ Q-10**-ს უწოდებენ, რომელიც მედიკოსებისთვის ასევე უბიქინონის სახელითაა ცნობილი. სწორედ **კოენზიმ Q-10** მონაწილეობს მთელი უჯრედოვანი ენერგიის 95%-ის გამომუშავებაში. 1978 წელს პიტერ მიჩელი დაჯილდოვდა ნობელის პრემიით, რადგან დაამტკიცა, რომ უბიქინონი უდიდეს როლს თამაშობს ორგანიზმის ენერგიით უზრუნველყოფის პროცესში. და არა მხოლოდ ენერგეტიკული ბალანსი ემორჩილება კოენზიმს.*



მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები, რომლებიც ჯერ ცხოველებზე ჩატარდა, მოგვიანებით კი ადამიანებზე, გვიჩვენებს, რომ კოენზიმის დამატებითი მიღება ახდენს გამოკვეთილ სამკურნალო ეფექტს გავრცელებული დაავადებების საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის. მაგალითად, დადგინდა, რომ ყველა გულით დაავადებულში ფიქსირდებოდა **კოენზიმ Q-10**-ის დეფიციტი. ამ ნივთიერების უკმარისობის მიმართ გული მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა. შესაბამისად, მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა - გულით დაავადებულების მიერ **კოენზიმ Q-10**-ის მოხმარება მათ მდგომარეობაზე არსებითად უნდა მოქმედებდეს. სწორედ ასეც აღმოჩნდა! კოენზიმის მიღება დაავადების შორს წასული ფორმის შემთხვევაშიც კი საგრძნობლად აუმჯობესებს პაციენტების მდგომარეობას. ტეხასის უნივერსიტეტის კლინიკაში მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენების ექვსწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კოენზიმის მიღებამ ტრადიციულ მკურნალობასთან ერთად, მისი ეფექტურობის მკვეთრად გაზრდის შესაძლებლობა მოგვცა. გულის მწვავე უკმარისობით დაავადებულთა 75% მკურნალობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ სიცოცხლისუნარიანები იყვნენ, მაშინ, როცა ტრადიციული მეთოდიკების გამოყენებით მხოლოდ 25% გადარჩა.

გარდა ამისა, **კოენზიმ Q-10**-ის გამოყენებამ ბრწყინვალე შედეგები გვიჩვენა გულის იშემიური დაავადებების, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და ორგანიზმის მრავალი სხვა ფუნქციის დარღვევების მკურნალობაში. გამოჯანმრთელების პროცესის მექანიზმი სხვადასხვა ავადმყოფში ერთი და იგივე იყო: **კოენზიმ Q-10**-ის კონცენტრაციის აღდგენა უჯრედებში ნორმალურ დონემდე. პირველი დადებითი ცვლილებები გულით დაავადებულთა სტატუსში თავს იჩენდა, როგორც წესი, მიღებიდან 4 კვირის შემდეგ და მკურნალობის ხანგრძლივობა განისაზღვრება გულის მუშაობის დარღვევის ხარისხით. 1985 წელს ტეხასის (ქ. ოსტინი) უნივერსიტეტის ბიომედიცინური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი კარლ ფოლგერი დაჯილდოვდა საპატიო მედლით - ამერიკის ქიმიური საზოგადოების უმაღლესი ჯილდო **კოენზიმ Q-10**-ის კვლევისათვის. ოდნავ მოგვიანებით, „ამერიკის მთავარი კოენზიმოლოგი“ ფოლგერი, ადამიანისთვის **კოენზიმ Q-10**-ის მნიშვნელობის რაოდენობრივ შეფასებებს ატარებს. მისი დასკვნის თანახმად, რომელიც ჯანმრთელი გულისა და სხვა ორგანოების, აგრეთვე ქსოვილების ბიოპსიის შედეგებზეა დაფუძნებული, დაავადებები ადამიანებს საფრთხეს უქმნიან, როდესაც **კოენზიმ Q-10**-ის შემცველობა მის შინაგან ორგანოებში ეცემა ნორმაზე 25%-ით ქვემოთ, ხოლო ნორმაზე 75%-ით დაცემამ შესაძლებელია სიკვდილი გამოიწვიოს.




- *აწესრიგებს არტერიულ წნევას და გულის რიტმს;*
- *არეგულირებს გულის კუნთის მუშაობას გულის იშემიური დაავადებისას - ამარაგებს ენერგიით;*
- *უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის პროფილატიკას.*

**კოენზიმ Q-10** - მომაკვდინებელი ტრიადის - ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზი - ბუნებრივი ზღუდე.

შემდგომ, კოენზიმის კვლევა სხვა ქვეყნების, მათ შორის, რუსეთისა და საქართველოს მრავალმა მეცნიერმა გააგრძელა. უბიქინონის ეფექტურობა არაერთხელ დადასტურდა და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა, რომ მისი მიღება გულის ფუნქციის დარღვევისას, რომელიც ვლინდება არტერიული წნევის მომატებითა და გულის რითმის დარღვევით - არითმიისა და ტაქიკარდიის ტიპით, უკიდურესად აუცილებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ უბიქინონის მიღება პრაქტიკულად არანაირ გვერდითი ეფექტს არ იწვევს. კარგადაა ცნობილი, რომ ყველაზე „ხანგრძლივმაცხოვრებელი“ ერი - იაპონელები არიან. მაგრამ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ეროვნული თავისებურებას ნამდვილად არ წარმოადგენს. მათ ეს მხოლოდ ბოლო წლებში მოახერხეს, მას შემდეგ, რაც შემუშავებულ იქნა თამბაქოს განსაკუთრებული სახეობის ფოთლებიდან **კოენზიმ Q-10**-ის მაღალტექნოლოგიური გამოყოფის ხერხი, რის შემდეგაც ქვეყანაში მისი მასიური წარმოება და გამოყენება დაიწყო. მილიონობით იაპონელი ამ სასწაულმოქმედ ელექსირს ყოველდღიურად იღებს.

კოენზიმის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული ნედლეულის ხარისხზე და მიღების ტექნოლოგიაზე. პრეპარატი „ **კოენზიმ Q-10**“, რომელსაც უმსხვილესი ამერიკული კომპანია „შიფი“ იაპონელების მიერ შემოთავაზებული ულტრატექნოლოგიით აწარმოებს და სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემით, დღეს შეგიძლიათ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტ“**-ში შეიძინოთ. აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.

### *„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!*

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს - საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# საფლავზე დადებული ფიცი



„პრეზიდენტის ინაუგურაცია საქართველოს ხალხს დიდხანს უნდა დაამახსოვრდეს“, — ამ დევიზით მზადდებოდა მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ასვლა „საქართველოს ტახტზე“.

ზეიმს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. სამაქტიანი დადგმა შთამბეჭდავი აღმოჩნდა: პირველი — გელათის მონასტერში, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის, დავით აღმაშენებლის საფლავზე შედგა. ახალმა პრეზიდენტმა „სულიერი“ ფიცი დადო, „მეფედ“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა.

მეორე ნაწილი ერთობ სარისკო ჩანდა: მიხეილ სააკაშვილი ბათუმში ჩავიდა სამხედრო აღლუმის მისაღებად. ცნობილია აჭარლების ერთი ნაწილის განწყობა ახალი ხელისუფლებისადმი, ამიტომ ამ „დემარშს“ შეიძლება რაიმე მოჰყოლოდა, მაგრამ... ჯარების აღლუმი დილის 7 საათზე დაიწყო და სანამ ბათუმელი ოპოზიციონერები გონს მოეგებოდნენ, სააკაშვილი უკვე ფოთში იყო და ქართული სამხედრო გემით შავ ზღვაში დაცურავდა. ნაშუადღევს ბათუმის ქუჩებში ორი მიტინგი აბობოქრდა — აბაშიძის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების, სააკაშვილი კი ამ დროს თბილისში ინაუგურაციისთვის ემზადებოდა: წინ ელოდა კონსტიტუციაზე ფიცის დადება და საკუთარი ხელით საქართველოს ახალი დროშის აღმართვა. ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა. თბილისს უამრავი სტუმარი ეწვია საზღვარგარეთიდან. სააკაშვილის „ტახტზე ასვლაში“ მონაწილეობდა თავად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რომელმაც თავის დროზე არც კი ინება რუსეთის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დასწრება. ხალხის რჩეულის მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, ვაშინგტონი საქართველოსთვის 166 მლნ დოლარის გამოყოფას გეგმავს.

თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრსა და რესპუბლიკის მოედანზე პომპეზური შოუ მოეწყო. ამბობენ, ეს საქართველოს 100 ათასი დოლარი დაუჯდაო.

საქართველომ არჩევანი გააკეთა და ერთხმად დაუჭირა მხარი ქართველ ჩე გევარას, ძირძველ თბილისელს, თბილისურად მხიარულ, ზომიერად ირონიულ, ბრწყინვალედ განათლებულ ყმაწვილს — მიხეილ სააკაშვილს. ყოველივე ამ ჯენტლმენურ ნაკრებს აგვირგვინებს ოჯახური პორტრეტი ინტერიერში — მიშას მთავარი მფარველი ანგელოზის, მომხიბლავი მეუღლის, სანდრა რულოვსის მეთაურობით.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამჯერად პრეზიდენტი მხოლოდ ქართველმა ხალხმა კი არ აირჩია, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობამ.

***რუსული პრესის მიხედვით***

# დიპლომატიური ვახშამი „გენაცვალეში“




საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციიდან მოსკოვში ჩასული აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს, იგორ ივანოვს სამი საათი ესაუბრა, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს — თითქმის ორი საათი.

კოლინ პაუელმა რუსეთს „მეგობარი და პარტნიორი“ უწოდა, მაგრამ აღნიშნა, ვაშინგტონი ძალიან შეწუხებულია იმის გამო, რომ რუსეთი თავისი მეზობელი ქვეყნების, საქართველოს და მოლდოვეთის საქმეებში ერევა და რუსეთს მოუწოდა, შეასრულოს 1999 წლის სტამბოლის დაპირება საქართველოდან ჯარების გაყვანის თაობაზე.

„აშშ-ს დაგეგმილი არა აქვს საქართველოში სამხედრო ბაზების შექმნა, ჩვენ მხოლოდ გვინდა კარგი დამოკიდებულება გვქონდეს საქართველოსთან“, — განაცხადა პაუელმა. რასაკვირველია, ვაშინგტონს თავისი ინტერესი აქვს თბილისში, ხოლო საქართველოს ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აშშ-სადმი სიმპათიას არ მალავს. თებერვალში ის თეთრ სახლს ეწვევა. საინტერესოა, როგორ კურსს აირჩევს ახალგაზრდა პრეზიდენტი მოსკოვთან ურთიერთობაში, ის ხომ ვაშინგტონზე ადრე მოსკოვში ჩავა? როგორც ამბობენ, ის პაუელს დაჰპირდა, პუტინთან ულტიმატუმის ფორმით არ დასვას საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხი. საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარემ, სერგეი კარაგანოვმა განაცხადა, „საქართველოში მყოფი ჩვენი სამხედრო ბაზები აშშ-ისა და რუსეთის ვაჭრობის საგანს არ წარმოადგენს. ეს რუსულ-ქართული ურთიერთობის საკითხია. კაცმა არ იცის, შეიყვანენ თუ არა ამერიკელები თავის ბაზებს საქართველოში. რატომ უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ბაზები, დსთ-ში ხომ ისედაც ცოტა ბაზები გვაქვს...“

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი სიმბოლურად დამთავრდა, იგორ ივანოვმა პაუელი ქართულ რესტორან „გენაცვალეში“ დაპატიჟა.

რესტორანში შესვლისას ბ-ნმა პაუელმა პირველ რიგში ჰელმუტ კოლის ფოტოს მიაქცია ყურადღება, რომელიც საპატიო სტუმართა ფოტოგალერეაში იწონებდა თავს. ისე გაიხარა ამერიკელმა სტუმარმა, თითქოს ნათესავს შეხვდაო. ქართული ეზოს მსგავსი მთავარი დარბაზის ნახვით აღფრთოვანებული პაუელი წარამარა გაიძახოდა: ვერი გუდ, ვერი გუდ-ო. სახელმწიფო მდივანმა რესტორნის მთელ მომსახურე პერსონალს ხელი სათითაოდ ჩამოართვა.

სტუმრები მოხარატებულ ფანჩატურში დააბრძანეს. კერძებს ივანოვი არჩევდა — ბოლოს და ბოლოს, მთელმა მისმა ბავშვობამ საქართველოში გაიარა. შეუკვეთა საცივი, ლობიო, ისპანახის ფხალი, ხინკალი, მწვადი და კუჭმაჭი. ამერიკელი გულდასმით არკვევდა, რომელი კერძი რისგან იყო დამზადებული. განსაკუთრებით კი ხაჭაპური მოსწონებია; დოქით მორთმეული „საფერავი“ (რომელიც ლიტრი 1400 რუბლი ღირს) უსვიათ სტუმრებს.

როცა გუნდმა სიმღერა წამოიწყო, ივანოვმა თარჯიმნობა იკისრა. სახელმწიფო მდივანს განსაკუთრებით „თბილისო“ და „სულიკო“ მოსწონებია, ხოლო როცა ქართული ცეკვები გახურდა, მეგობრებმა ტაშის კვრით ხელისგულები დაიწითლეს თურმე...

ეტყობა, რუსეთის მაღალჩინოსნებში ტრადიციად დამკვიდრდა რუსულ-ქართული ურთიერთობის რთულ პერიოდში „გენაცვალეს“ სტუმრობა. ამბობენ, იმ დღეს, როცა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, ოპოზიცია მივიდა, „გენაცვალეში“ სავახშმოდ თავად პუტინი მივიდაო.

***კომსომოლსკაია პრავდა***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# „არავის მივცემთ უფლებას, ბურთივით გვათამაშოს“

**ბერლინში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გერმანის საზოგადოებრიობას შეხვდა. პრეზიდენტის მოსასმენად 700-ზე მეტი ადამიანი მივიდა. საგულისხმოა გერმანელი პოლიტოლოგის ალექსანდრ რარის შთაბეჭდილებები:**

— ყველა ელოდა, რომ სააკაშვილი საუბარს საქართველოს ნატოში გაწევრების მოთხოვნით დაიწყებდა, მაგრამ მისი მოხსენების დედააზრი გერმანიის მიწიდან პუტინისთვის ხელის გაწვდენა იყო. მან აღნიშნა, — ამაზე აქ საგანგებოდ ვლაპარაკობ, რადგან ვიცი, თუ რაოდენ კარგი ურთიერთობა აქვთ რუსეთს და გერმანიასო. მისი აზრით, ის და პუტინი ცოტათი ჰგვანან კიდეც ერთმანეთს: „ორივეს გვიყვარს სამშობლო და ბევრი შეხების წერტილიც გაგვაჩნია“. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრი განცხადებებიც გააკეთა — რუსეთმა საქართველოდან უნდა მოაშოროს თავისი ბაზები. მართალია, იქ ძველი ტანკები და გამოუსადეგარი სამხედრო მანქანებია, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, არ სურს რუსეთის ჯარების მის ტერიტორიაზე ყოფნა.

— **პრეზიდენტმა კერძოდ საქართველოზე თუ თქვა რამე?**

— საერთოდ, ამ რანგის პოლიტიკოსები ასე გულახდილად არ ლაპარაკობენ, რაც პირზე მოადგა, ყველაფერი თქვა. გამოაცხადა, — საქართველოს ყოფილი მთავრობა მექრთამეებით იყო სავსე, ამიტომ ყველას გავყრი და მკაცრ პოლიტიკას გავატარებო. ისიც თქვა, რომ ტერორისტულ დაჯგუფებებთან დაკავშირებულ ყველა ჩეჩენს გააძევებს საქართველოდან. პრეზიდენტმა საზოგადოებას ამცნო, რომ უკვე სთხოვა დახმარება პოლონეთის პრეზიდენტს კვაშნევსკის, ხელი შეუწყოს საქართველოს ევროკავშირში რაც შეიძლება მალე შესვლას. „საქართველო ევროპული ქვეყანაა და არ გვინდა ამერიკელებმა ან რუსებმა ბურთივით ათამაშონ“, — აღნიშნა მან.

სააკაშვილი მგზნებარედ ლაპარაკობდა. ეს გამოსვლა ნამდვილად უნიკალური იყო, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იმათგან, რაც კი მომისმენია გერმანიაში ამ ბოლო წლებში.

***ნიუსინფო***

# სტურუა დიდ თეატრში

1-დან 10 თებერვლამდე მოსკოვის დიდ თეატრში პ. ჩაიკოვსკის ოპერის „მაზეპას“ პრემიერა გაიმართება. ახლანდელ ვერსიაში შერწყმულია თანამედროვეობა და ეროვნულ-კულტურული მონაპოვრის პათოსი. ამ რთული ამოცანის შესრულებას საქვეყნოდ ცნობილი რეჟისორი რობერტ სტურუა, მხატვარი გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ბალეტმაისტერი გიორგი ალექსიძე, დირიჟორი ალექსანდრ ტიტოვი შეეჭიდნენ. რეჟისორი რობერტ სტურუა ცნობილია ოპერების დადგმით, მაგრამ ყოველი წარმატებული (წარუმატებელი არც ჰქონია) სპექტაკლის შემდეგ იფიცება — ოპერას აღარ გავეკარებიო. ამჯერადაც, თავიდან უარი უთქვამს დიდი თეატრის წინადადებაზე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეტყობა, ვერ გაუძლო ამ ამბიციურ სცენაზე სპექტაკლის დადგმის ცდუნებას. „მაზეპას“ დრამატურგია რეჟისორს მაინცდამაინც არ ხიბლავდა — დუნეა და ამიტომ ძნელად დასადგმელიო, მაგრამ იმედოვნებდა, რომ სპექტაკლს შექსპირისეული პროფილი ექნებოდა — სტურუამ დადგა დრამა, სადაც ძალაუფლებისადმი ლტოლვა ყველა სხვა გრძნობას ჩრდილავს. შესაძლებელია, ამ „შექსპირისეულმა ჩაიკოვსკიმ“ პურიტანი ტრადიციონალისტების გულისწყრომა გამოიწვიოს. სტურუას კონცეფციაში არის ნიუანსი, რომელიც მათ გულზე მოხვდებათ. სიწრფელე და ირონია არის რეჟისორის საოპერო ხედვის ქვაკუთხედი. სტურუას აზრით, ოპერა უკიდურესად პირობითი ხელოვნებაა და ეს პირობითობა უნდა გამძაფრდეს. ირონია ყველაფერში უნდა გამოსჭვიოდეს.

— **რატომ მოჰკიდეთ ხელი ამ ოპერის დადგმას, რამ განაპირობა ეს?**

— ჩაიკოვსკიმ და მისმა მუსიკამ. ოპერის სიუჟეტმაც მიმიზიდა — ეს ჩვენი ისტორიაა, ისტორია ძლიერთა ამა ქვეყნისათა. მე ხომ ყოველთვის პოლიტიკოსებზე ვდგამდი სპექტაკლებს — ადამიანებზე, რომლებიც, კაცმა არ იცის, საით მიდიან და ხალხიც თან მიჰყავთ. ისინი, თავიანთი პოლიტიკით, სახეს უცვლიან სამყაროს, მათ სიყვარულიც არ შეუძლიათ დიდხანს, ესეც თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ... სწორედ ამიტომ მომინდა ოპერის ენით ამაზე ლაპარაკი...

— **თქვენ გგონიათ, რომ პოლიტიკოსებსა და სიყვარულზე ახალი დადგმით ამ უცნაურ სამყაროს შეცვლით?**

— არა. სამყაროს ველარაფერი შეცვლის. მე ხომ იდეალისტი არა ვარ. თეატრი სამყაროს ვერ მოერევა. მახსოვს, დიდი ხნის წინ „რიჩარდ “ რომ დავდგი, სწორედ ის თანამედროვე „რიჩარდები“ მოდიოდნენ სპექტაკლზე, შეიცნობდნენ თავიანთ თავს? არა მგონია. თეატრი სამყაროს კი ვერ შეცვლის, მაგრამ მაყურებელს დავიწყებულ ფასეულობებს მაინც შეახსენებს, ხოლო პოლიტიკოსს იმ დღეს სინდისს ცოტათი მაინც გაუღვიძებს. თუმცა, მეორე დღეს, რასაკვირველია, განაგრძობს თავის ბინძურ საქმეებს, მაგრამ ეცოდინება მაინც, თუ რას სჩადის...

***ნოვიე იზვესტია***


# საუკეთესო ზღაპრები
# +4 გასართობი გვერდი

გამოსულია 40-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი




**ყურადღება!**
**პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „ალადინი“ ხელახლა დაისტამბა**



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსობენ

პირველკლასელებს ნუნუ მასწავლებელმა რვეულებში „ჭა“ გამოუწერა. თან უთხრა: — ბავშვებო, ვითომ თქვენი ნაწერები ქორწილში მიდიან, გამოპრანჭეთ და ჰალსტუხიც ლამაზად გაუკეთეთო. ცოტა ხანში პატარა **გიორგი გიორგობიანს** უსაყვედურა:

— რა არის ეს, რა დაღრეცილი ასოები დაგიწერია?

გიორგი არ დაიბნა: — მასწ, უკვე დათვრნენ და ქორწილიდან შინ მოდიან.

***

პატარა **გიორგი ტაბიძე** დედას ეხვეწება:

— დედიკო, ყავა მეც დამალევინე, რა...

— პატარებისთვის ყავა არ შეიძლება! — პასუხობს დედა.

— აბა, პატარა ჭიქებში რომ ასხამენ?

***

3 წლის **ქეთი** ტელევიზორში მულტფილმებს უყურებს. ცოტა ხნის შემდეგ დედას ეკითხება:

— დედიკო, პლუტო კი გავიგე, რა არის, მაგრამ თავგადასავალი რომელია?

## I ანა, გამოიცანი

**1) რა იქნებიან ერთმანეთისთვის ქვისლების შვილები?**

ა) დეიდაშვილები; ბ) ბიძაშვილები; გ) მამიდაშვილები; დ) ნათლულები.

**2) რისგან მზადდება ქაღალდი?**

ა) ბამბისგან; ბ) ხის მერქნისგან; გ) ნავთობპროდუქტებისგან; დ) თიხისგან.

**3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია უმაღლესი სასულიერო ხარისხი კათოლიკურ ეკლესიაში?**

ა) აბატი; ბ) იეზუიტი; გ) კაპელანი; დ) კარდინალი.

**4) რომელი ხე გახმა, როცა იესო ქრისტემ უთხრა: „ნუღარას დროს გამოგეღოს ნაყოფი უკუნისამდე?“**

ა) ვაშლი; ბ) ზეთისხილი; გ) მსხალი; დ) ლეღვი.

**5) ვინ დაამარცხა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე?**

ა) არაბები; ბ) მონღოლები; გ) თურქ-სელჩუკები; დ) სპარსელები.

**6) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მდინარის წყალი ასაზრდოებს თბილისის ზღვას?**

ა) ალაზნის; ბ) რიონის; გ) იორის; დ) მტკვრის.

**7) ამ ცხოველებიდან, რომელს არ შეუძლია ხეზე ასვლა?**

ა) კატას; ბ) დათვს; გ) მაიმუნს; დ) მელას.

**8) რა ჰქვია მულტიპლიკაციურ ფილმში კომბლეს ძროხას?**

ა) ნიკორა; ბ) ნიშა; გ) ჭრელა; დ) ფაქიზო.

იპოვე 10 განსხვავება



II სამი დახვეული ხალიჩიდან, რომელია გაშლილის მსგავსი?




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: *„თუმცა მთაბარს ჯერ ისევ თოვლის ქურქი აცვია, აიბარგა ზამთარი, სხვა ქვეყნისკენ გასწია. მან კი თოვლის ქურქიდან მარჯვედ ამოაღწია, გაზაფხულის მაცნეა, ყვავილია პაწია“.*

III



IV იპოვე ორი ერთნაირი დეტალი მოზაიკაზე და გამოიცანი, სად დაიკარგა ვაშლის ნაწილი?




პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



## იესო კურნავს მრავალთ

ბიბლიური მოთხრობა

იესო გამოვიდა სინაგოგიდან იაკობსა და იოანესთან ერთად და მივიდა სიმონისა და ანდრიას სახლში, სადაც სიმონის სიდედრი ცხელებით შეპყრობილი იწვა და მაშინვე უთხრეს მისი ამბავი. მივიდა, ხელი მოჰკიდა, წამოაყენა და მყისვე გაუარა ცხელებამ.

საღამოს, მზის ჩასვლისას, მიჰგვარეს მას მრავალი სნეული და ეშმაკეული. მთელმა ქალაქმა კარის წინ მოიყარა თავი. იესომ განკურნა მრავალი, სხვადასხვა სენით შეპყრობილნი და ეშმაკეულნი.

ცისკრისას დილაუთენია ადგა იესო, მივიდა უდაბურ ადგილას და იქ ლოცულობდა. გაჰყვნენ მას სიმონი და მასთან მყოფნი. იპოვეს იგი და უთხრეს: ყველა შენ გეძებსო. იესომ უთხრა მათ: — წავიდეთ მახლობელ სოფლებსა და ქალაქებში, რათა იქაც ვიქადაგო, ვინაიდან ამისათვის მოვედი.

დადიოდა იესო მთელ გალილეაში და ასწავლიდა სინაგოგებში. ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას, კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში. მოედო მისი ამბავი მთელ სირიას და მოჰყავდათ მასთან უძლურნი, სხვადასხვა სენითა და ჭირით სნეულნი, ეშმაკეულნი, მთვარეულნი და დავრდომილნი.

იესოს ერთი კეთროვანი მიადგა და მუხლმოყრით ევედრებოდა მას: თუკი გნებავს, შეგიძლია განწმენდა ჩემი. შეებრალა იგი იესოს, ხელი გაიწოდა, შეეხო და უთხრა: მნებავს, განიწმინდე! ამის თქმა იყო და მყისვე გაეყარა მას კეთრი და განიწმინდა. იესომ მაშინვე გაისტუმრა იგი და უთხრა: იცოდე, ნურავის ნურაფერს ეტყვი, არამედ წადი, ეჩვენე მღვდელს და შესწირე შენი განწმენდისათვის. მაგრამ ის გამოვიდა და დაიწყო ქადაგება, მთელ ქვეყანას მოსდო ეს ამბავი. ასე რომ, იესოს აღარ შეეძლო ქალაქში აშკარად შესვლა და იყო გარეთ, უდაბურ ადგილებში და მიდიოდნენ მასთან ყოველი მხრიდან.

ლექსი მუდამჟამს ეხმიანებოდა ქართველი კაცის გულისთქმას. უფრო მეტიც, სტრიქონებს შორის ეძებდა შვებას და პოულობდა კიდევაც. ამიტომ ლოცვასავით წარმოთქვამდნენ პოეტის სულის ამონაძახილს, სიმღერაში გადაჰქონდათ სტრიქონებად ასხმული მამულისა და სიცოცხლის სადიდებელი...

ალბათ ამიტომაც გვემადლიერებიან „კვირის პალიტრის“ მკითხველები, დროდადრო გაზეთის ფურცლებით ნამდვილ პოეზიასთან შეხვედრის საშუალებას რომ ვძლევთ... და ისევ საყვარელი ლექსების გამოქვეყნებას ითხოვენ...

ილია ჭავჭავაძე

## ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“

ანა კალანდაძე

## საქართველოო ლამაზო

*„სხვა საქართველო სად არი?“*
*გრ. ორბელიანი*

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე – თოვლი მარადი
ვენახზე – მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი...
ფიქრს დაულია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

აკაკი წერეთელი

## ძველ სამეფოს

სამეფოო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო,
მაგრამ თუ დრო შეიცვალა,
გაცოცხლდები, საქართველო!..
დავივიწყოთ ის „ნანინა“,
რამაც დღემდე დაგვაძინა!
სხვა კილოზე დავამღეროთ,
თუ რომ ბედმა გაგვაცინა!
ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ!
კმარა ცრემლი, რაც გედინა!..
ამდენი ხნის მწუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება!..
გაიღვიძე, დროს ნუ ჰკარგავ
თუ რომ გინდა ნეტარება!
თვით სიცოცხლე სიფხიზლეა,
გაიღვიძე, გვეჩქარება.
ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის!.. ბედს გექადის!
მიეგებე, ნუღა გძინავს!..
მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გვიწნავს!
დიდებაო ძველის ძველო!
დღეს წყეულო, საეჭველო!
გულს ნუ იტეხ, წამოდექი
ნეტარების მომლოდნელო!
მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:
„ვაშა! ვაშა! საქართველო!“



მუხრან მაჭავარიანი

## იარს უსასრულოდ რომელიც ამიერ

სომხურად როს ერქვა ფაიტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე,
ისმოდა ფალაური,
სოღდური, ასურული,
ისმოდა ატენური, –
მიროტას დაწურული...
კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!
ვაჭრობდნენ თათარნი,
ვაჭრობდნენ ასურნი,
ისმოდა ხმა თარის,
ისმოდა ხმა ზურნის...
მტკვრის დუდუნს
კისკისი ერთვოდა მეძავთა...
ვინ ქრისტეს ესავდა,
ვინ მაჰმადს ესავდა...
კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!
გაბზინდა ყაწიმნი
რუსთღენერლისანი,
გაისმა საარი, – რიჟრაჟის ნიშანი...
ღვინო ლაპლაპებდა
ვერცხლის ფიალაში,
თვლემდა ღენერალი, – ძმა ლოპიანასი...
კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე!
სომხურად როს ერქვა ფაიტაკარანი;
ტფილისზე გადიოდა გზები საქარავნე;
ჯაბნიდა შიქასტა მნათობთა ღამიერს,
არავის უთმობდა აშული სარბიელს...
კრთის ენა ქართული, –
მოსული აქანამდე! –
იარს უსასრულოდ
რომელიც ამიერ!

* * *

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: –
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! –
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!
პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობსირგვლივ,
– იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად –
ღალატიაო
მაგვარი
ფიქრი!

მურმან ლებანიძე

* * *

იცოცხლე, მე ვიღორძინო,
იცოცხლე, ვიქცე ბალღად,
იცოცხლე, მე მოგილხინო,
თუ შენ მეყოლე კარგად –
ვაზო, კორტოხო, კრამიტო,
ჭადარო, მზეო, ცავ,
კაცსავით გადღეგრძელებ,
შენს სადღეგრძელოს ვსვამ...
იყავი – მეტი რა გინდა,
შენ საქართველო ხარ!

ტარიელ ხარხელაური

## ვერკვლის ციხე

ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
ამოზიდული დიდგორსა.
შვიდპირად მაკრავს ღრუბელი,
გველი მილოკავს ლიბოსა,
ვერ იზამს წუთისოფელი, –
ფეხებზე დამიკიდოსა.
ხმალი მომეცით, სამკლავე,
ფარიც იქ სადმე იდოსა.
კეთილს კეთილი მიეზღოს,
მტერმა კი სამტრო ზიდოსა.
მერე ჩამიქრეს ნათელი,
მზე წითლად დამებინდოსა...
ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
მტრის რისხვად მდგარი დიდგორსა!

ვაჟა-ფშაველა

## დამსეტყვე, ცაო

*(სიმღერა)*

დამსეტყვე ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლეინებ
მოზღვავებულის ავითა!..
განა მარტო ვარ ამ ქვეყნად,
სხვაც მრავალია ჩემფერა,
ვისაც არავინ არ სწყალობს,
წყევლას უბარებს ტერტერა.
ის ვიცი, მითი ვნუგეშობ, –
გულიც მან გამიერთფერა.
ხან მინდორ-ჭალებს დავთელავ,
ხან შავაბიჯებ სერ-სერა;
დავუკრავ მჭვარტლიანს ჩონგურს
ათასჯერ, განა ერთხელა;
და ზედ დავმღერებ იმასვე,
რასაც დღესნამდე ვმღეროდი...
მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზე დაიწეროდი!
ბარო, წარბნი და წამწამნი
იმ სიტყვით დაიკეროდი!..
ისევ მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი, –
იგივე მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვრჩებოდი.
სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს, –
კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად...
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი,
– ჯერ ისევა ვარ ფხიანად!

გიორგი ლეონიძე

## ღამე ივერიისა

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მიცურავს წერო.
დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...
სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი.
ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.
სთქვი ნაღვლიანი ძველი ქართლივით,
ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მიცურავს წერო...

## დავით-გარეჯა

გადარუჯული დავით-გარეჯა...
ამწვარ ტრამალზე ბზინავს ავშანი...
ამ ველს, ამ სივრცეს ვინც უდარაჯა,
ვინც შეიმსხვრია მკერდზე ჯავშანი, –
ვინ მოიგონოს, სადღა არიან,
ვინ გაიხსენოს მათი სახელი?
არც მოჩვენება, არც სიზმარია,
ჩონჩხებით სავსე სჩანს საწნახელი...
გაქრნენ ქარივით და სიზმარივით,
მათზე მგლოვარეც დალპა თავშალი...
და მხოლოდ ტბაზე შერჩა მარილი...
ბალღამიანი ბზინავს ავშანი...
გადარუჯული დავით-გარეჯა...
თუ მწარე წარსულს ასე ენება,
დღეს დახსნილია ნესტან-დარეჯან,
ძვირად დაგვიჯდა მისი მშვენება!

გალაკტიონ ტაბიძე

## სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია,
აი, პირველი, აი, პირველი –
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წავლიან,
მედგარი ბრძოლა! აი, ყოველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს – ნურავინ ჰგონებს –
რის სიყვარულიც მე მისწავლია!

ტიციან ტაბიძე

## მაშ, გამარჯვება!..

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
– მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.
ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!
სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.
ნეტა, სად აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი.
– სხვა საქართველო მაინც სად არის?
რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ლადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი;
– მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

ლადო ასათიანი

## თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, –
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს.
რომ ვდგავარ ახლა თბილისის კართან,
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
რას გავუკეთებ მე საქართველოს?
რომ ვდგავარ ახლა თბილისის კართან,
თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
დაგვრჩა საფიქრი და საოცნებო.
რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, –
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს!

ხალხური

## მუმლი მუხასაო

მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუმლი ჰქრებოდაო,
მუმლი სწყდებოდაო,
ხე არ ხმებოდაო.
მუმლი მუხასაო
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო.
წყალი შეგუბდაო,
ნაპირს გადვიდაო.
მუმლი შეწუხდაო,
მალე დაიხრჩვაო,
მუმლი დაიხრჩვაო,
მუხა გადარჩაო.

## კარგი ვაჟკაცი

მტერსა რო მტრობას უწევდეს,
ვაჟკაცის შესაფერია,
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მოუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენდების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.

* * *

შავეთსა ჰკითხეს მოყმესა:
– შენ ქონებისა რა გერგო?
– ნეტავი ჩემი დღე-ბედი
სიცოცხლეშივე გამეგო,
ის ჩემი ციხე-დარბაზი
შუა შარაზე ამეგო.
გამვლელ და გამომვლელისთვის
ყოველდღე კარი გამეღო,
მშიერისად პური მეჭმია,
გაყინულ – ცეცხლით გამეთბო.
სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სუყველას გული მამეგო...

## ყოვლად აღმოსავლეთის კურაპალატი

ხოტბას და ქებას არ იშურებდნენ დავით მესამის შესახებ მემატიანენი: ვახუშტი ბატონიშვილი, „მოქცევაი ქართლისაის“ უცნობი ავტორი, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ტარონელი და სხვანი. „დავით დიდი იყო ღმრთისმოყვარე და გლახაკთმოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირუხსენებელი, ეკლესიათამაშენებელი, ტკბილი, უხვი, კაცთ-მოყუარე, ყოველთათვის კეთილის-მყოფელი და სავსე ყოვლისა კეთილითა“.

დავით დიდის სამკვიდრო და სამფლობელო — ტაო იმდროინდელი საქართველოს სამხრეთი ნაწილი იყო. დასავლეთით ბიზანტიის იმპერიას ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით თურქული მოდგმის ხალხით დასახლებულ მაჰმადიანურ საამიროებს. სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო დავითმა, „ყოვლად აღმოსავლეთის კურაპალატმა“ (როგორც მას ბერძნები უწოდებდნენ) თავისი ტერიტორიების გაფართოება.

და ასე, — უკიდურეს სამხრეთში გადასწია ქართველთა სამანები დიდმა კურაპალატმა. ეს ის პერიოდია, როცა სახელოვან იმპერიას — ბიზანტიასაც დასჭირდა ქართველთა დახმარება. საქართველოსთვის კი ბიზანტია შემდგომ მოიცლის...

## ქართველებმა ბიზანტიის ტახტი გადაარჩინეს

ქართველი მოღვაწენი ყოველთვის დიდ წარმატებებს აღწევდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ დიდ იმპერიებში. ქართველ მმართველებსაც ბევრჯერ გადაურჩენიათ მეზობელი ქვეყნების სამეფო ტახტი. ასე იყო ახლაც: მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. ძლევამოსილი ბიზანტიის ტახტზე მაკედონიური დინასტია ზეობს. რომანოზ კეისარი 976 წელს გარდაიცვალა. მცირეწლოვანნი დარჩნენ მისი ვაჟები ბასილი და კონსტანტინე. დედოფალი თეოფანა ყველანაირად ცდილობს აარიდოს განსაცდელი შვილებს. ძალზე შესუსტებულია ბიზანტიის ტახტი. ველარ გაუძლო კეისართა ტახტის მიმზიდველობას იმპერიის ერთ-ერთმა უძლიერესმა სარდალმა, მცირეაზიელმა ბარდა სკლიაროსმა და იმპერატორობა მოისურვა (არადა, ბარდა სკლიაროსი მცირეწლოვანი ბასილი მეორის სახელით არმენიისა და ტარონის პროვინციების ერთი ნაწილის გამგებლად იყო დანიშნული). წარმატებასაც მიაღწია იმპერატორობის მოსურნე სკლიაროსმა — მთელი მცირე აზია დაიკავა. სამეფო კარი კონსტანტინეპოლში აღმოჩნდა ჩაკეტილი. გადარჩენა სასწაულს თუ შეეძლო. ხსნა საქართველოდან მოევლინათ. აჯანყების ჩახშობა ბარდა ფოკას დაევალა, მაგრამ ძალები არ ჰყოფნიდათ.

იმედის თვალი დავით კურაპალატს მიაპყრეს. გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“ წერს: „მას ჟამსა იქმნა განდგომილებაი სკლიაროსისაი და ხმელეთი კერძო ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შემყუდეულ იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“. და განიზრახეს: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. მოციქულად ქართველთა სამეფო კართან დაახლოებული ღირსეული პიროვნება შეარჩიეს — უებრო რაინდი და სარდალი, იმხანად ათონის ივერთა მონასტერში იოანეს სახელით ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი. 979 წელი იდგა. დავით მესამემ გონივრულად შეაფასა კეისართა ტახტის ეს კრიზისი და მეზობელ ქვეყანას გვერდით დაუდგა. თორმეტი ათასი მხედარი შეჰყარა დავითმა. თვით თორნიკე ერისთავი უსარდლა ლაშქარს. „ზემონი ქვეყანანის“ გადაცემას დაჰპირდა მეზობელ ქართველებს ბიზანტიის სამეფო კარი დახმარების სანაცვლოდ. ეს „ქვეყანანი“ იყო არზრუმი და ბასიანი, ჭოროხის, არაქსისა და ევფრატის სათავეები. სარდალ ჯოჯიკთან ერთად გაწმინდა მცირე აზია ამბოხებულთაგან თორნიკე ერისთავმა. გადამწყვეტი შერკინების დროც მოვიდა. მდინარე ღალისის პირას გადამწყვეტი შეტევისას საოცარი სიმამაცე და მხედრული ნიჭი გამოიჩინეს ქართველებმა, სასტიკად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსის ჯარი და ბიზანტიის სამეფო ტახტი სამარცხვინო დაცემას გადაარჩინეს. „ზემონი ქვეყანანი“ მიიღო დავითმა დახმარების საფასურად.

დიდი ალაფი დარჩათ ქართველებს. საჩუქარ-საბოძვარიც უხვად მიიღეს. ამ ქონებით განასრულეს და გაამშვენიერეს ქართველთა უწმინდესი სავანე — ათონის ივერთა მონასტერი. მასვე შესწირა თორნიკე ერისთავმა თავისი ხმალი და მუზარადი, ჯაჭვ-ჩაბალახი და აბჯარნი, რომელნიც ქალკედონის ნახევარკუნძულზე ინახებოდა (სამწუხაროდ, მეთვრამეტე საუკუნიდან ამ ნივთების კვალი იკარგება). დავით კურაპალატს დახმარების საფასურად ბიზანტიელთაგან დაპირებული მიწა-წყალი გადაეცა, თუმცა არა სამუდამოდ, არამედ „რათა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“, — ე. ი. მხოლოდ მისი სიცოცხლის მანძილზე ეძლეოდა.

## ბრძოლა დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის

„ზემონი ქვეყანანის“ დროებითი ფლობა მიუღებელი იყო დავით კურაპალატისათვის, რადგანაც მის საბოლოო გეგმას საქართველოს გაერთიანება წარმოადგენდა. 987 წელს ბარდა სკლიაროსი ხელმეორედ აუჯანყდა ბასილი მეორეს, ამჯერად უკვე სრულწლოვან კეისარს ბიზანტიისას. აჯანყების ჩახშობა კვლავ ბარდა ფოკას დაავალეს. მის ლაშქარში ქართველებიც იბრძოდნენ. თუმცა ბარდა ფოკაც განუდგა იმპერატორს, დაუზავდა სკლიაროსს და თავი იმპერატორად გამოაცხადა. ფოკას ჯარში დავით კურაპალატის მეომრებიც თავგანწირვით იბრძოდნენ. საბოლოოდ, ბარდა ფოკამ მოატყუა სკლიაროსი, დაატყვევა იგი და მთელი მცირე აზია ბიზანტიის სამფლობელოდ გამოაცხადა. როგორც ჩანს, დავით კურაპალატის აღნიშნული პოზიცია საქართველოს ტერიტორიის გამთლიანების სურვილით იყო განპირობებული. თანაც ბარდა ფოკა გამარჯვების შემთხვევაში სადავო მიწების საბოლოოდ გადაცემას დაჰპირდა დავითს.

სხვაგვარად ფიქრობდა უკვე მომძლავრებული კეისარი, ბასილი მეორე. მას დაავიწყდა ქართველთა თანადგომა და სხვა გზას დაადგა. დაუკავშირდა კიევის რუსეთს და მის მთავარს, ვლადიმირს. მოკავშირეობის და დახმარების სანაცვლოდ წარმართ მთავარს თავის მშვენიერ დას — ანას დაჰპირდა ცოლად. დახმარება კი მიიღო კეისარმა, მაგრამ წარმართისთვის დის მითხოვება აღარ მოისურვა. მაშინ კი აგრძნობინა თავისი ძალა ვლადიმირმა ბიზანტიას და აიძულა სამეფო კარი, რომ დაპირება შეესრულებინა. ოღონდ თავის მხრივ ბიზანტიელებმაც წამოუყენეს ახალი პირობა თავად ვლადიმირს — უნდა გაქრისტიანებულიყო და თავისი ქვეყანაც ქრისტეს რჯულზე მოექცია. ულამაზესი ბიზანტიელი მეფის ასულის ანას სიყვარულის სანაცვლოდ ვლადიმირი ყველაფერზე თანახმა იყო. იდგა 988 წელი. კიევის რუსეთის მოსახლეობა დნეპრში შერეკეს და ძალით გააქრისტიანეს. აი, ასე და ამ პირობებში მიიღო ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ქრისტეს მოძღვრება.

ამასობაში გაძლიერებულ კეისარს, ბასილი მეორეს საკუთარი სარდალი, ბარდა ფოკა უჯანყდება, რომელიც ამ აჯანყებას ეწირება კიდევაც.

დავით კურაპალატი დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. უკან დახევა მიიჩნია საუკეთესო გამოსავლად კურაპალატმა. მორჩილება აღუთქვა კეისარს და პირობაც მისცა, რომ სიკვდილის შემდეგ მასზე დროებით გადმოცემული სამფლობელონი ბიზანტიის ხელში გადავიდოდა. უეჭველია, მხოლოდ სადავო ოლქები იგულისხმებოდა დავითის პირობაში — ისევ და ისევ „ზემონი ქვეყანანი“.

დავით კურაპალატის ენერგია კვლავ დაუოკებელია. ახლა სამხრეთის მაჰმადიანურ საამიროებზე იწყებს შეტევას. მანასკერტის მიმართულებით ილაშქრა, აიღო იგი. გააძევა ქალაქიდან მაჰმადიანი მოსახლეობა და აქ სომხები ჩაასახლა. ძლიერ შეშფოთდდნენ მაჰმადიანები და მუქარაც ბევრი შემოუთვალეს, ელჩებიც ბევრი აგზავნეს, მაგრამ გადამწყვეტი შემოტევა ქართველთა წინააღმდეგ ვერ გაბედეს.

კიდევ უფრო შორს, სამხრეთში გადაიტანა საბრძოლო ოპერაციები დავით დიდმა 90-იანი წლების ბოლოს, როდესაც ვანის ტბაზე გავიდნენ და ქალაქ ხლათთან აწარმოებდნენ ბრძოლებს 997 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ქართველთა წარმატებით შეშფოთებული მაჰმადიანი ამირები თავრიზში შეიკრიბნენ. მათ კოალიციას მანასკენტის დაბრუნება უნდოდა ასიათასიანი ლაშქრით, მამლანის მეთაურობით. უკვე ასაკოვანმა დავითმა ქართველთა ჯარს გაბრიელ ოჩოპინტრეს ძე და ფერის ჯოჯიკის ძე უსარდლა, რომელთაც ხლათიდან არჭეშამდე ჩეხვით სდიეს მტერს.

განუზომელია დავით დიდის ღვაწლი კულტურის სფეროშიც. მის დროს აიგო ტაოში ბანას, ხახულის, ოშკის დიდებული ტაძრები ქართული ასომთავრული წარწერებითა და ჩუქურთმებით.

სხვათა შორის, შარშან, შემოდგომით ღირსშესანიშნავი აღმოჩენა დაფიქსირდა ახლა უკვე თურქეთის საკუთრებად ქცეულ ოშკის ტაძარზე — ქართულმა ექსპედიციამ, პროფესორ ვალერი სილოგავას მეთაურობით, მიაკვლია ოშკის ტაძრის კედელში ჩაშენებულ დავით კურაპალატის საფლავის წარწერიან ქვას. სავარაუდოდ, აქვე უნდა იყოს დიდი მეფის საფლავიც...

## იოანე მარუშის ძე — სამაგალითო ქართველი

ამასობაში კი ქართული სამეფო-სამთავროები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ. ზოგადქართული მასშტაბის პრეტენზიები კი აქვთ. ყველა მათგანი ცდილობს მეზობლის ხარჯზე გააფართოოს მიწა-წყალი და საქართველო, რომლის გაერთიანების აუცილებლობა ქვეყნის შინაგანმა განვითარებამ გამოიწვია. ერის გამთლიანებისათვის ბრძოლაში თავდაპირველად კახელები გამოირჩეოდნენ, შემდეგ აფხაზთა სამეფოს, დასავლეთის ქართული პოლიტიკური ერთეულის ხელში გადავიდა ინიციატივა. ბოლოს კი როგორც ვნახეთ, ქართველთა სამეფო, — ტაო და კლარჯეთი აქტიურდება. ჯერ უკიდურესი სამხრეთისაკენ, 70-იანი წლების შუახანებიდან კი ჩრდილოეთისაკენ — ქართლის მიმართულებით.

დიდებული ქართველი მოღვაწე და მეფე იყო დავით მესამე, ზოგადქართული სულისკვეთებით გამსჭვალული, ერის სიძლიერის გამადიდებელი. საბედნიეროდ, მარტო არ იყო ტაოს გამგებელი ამ დიდ საქმეში. ერისკაცობაში მის გვერდით დგას იოანე მარუშის ძე, ერისთავი ქართლისა, — „კაცი ძლიერი და ერმრავალი“, რეალურად და ჯანსაღად შემფასებელი საქართველოში შექმნილი ვითარებისა. იცოდა გამორჩეული ღირსებანი დავით კურაპალატისა ქართველ მეფე-მთავრებს შორის. იმასაც გრძნობდა, რომ დავითის დიდი საქმის ღირსეული გამგრძელებელი, ქართველთა მიწების შემკრები უნდა გამხდარიყო უმემკვიდრეო ტაოელი მეფის შვილობილი ბაგრატ მესამე. თითქოს განგებამ გაუმზადა ეს უზარმაზარი საპატიო მისია ბაგრატს. იგი პიროვნული თვისებებით ხომ შემკული იყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ ერთდროულად რამდენიმე ტახტის მემკვიდრე გახლდათ. უპირველესად კლარჯეთის ქართველთა სამეფო ტახტის მემკვიდრე იყო (გურგენ მეფის ვაჟიშვილი). ამავე დროს აფხაზთა უსინათლო მეფის თეოდოსის დისშვილი და ერთადერთი მემკვიდრეც იყო და რაც მთავარია, დიდი დავით კურაპალატის შვილობილიც. დავითი მასში ხედავდა საკუთარი ტახტის ძლიერების მომავალ დამცველსა და სრულიად საქართველოს გამაერთიანებელს (შვილი არც მეფე თეოდოსს არგუნა განგებამ და არც დავით კურაპალატს)...

„მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს: იოანე მარუშის ძემ „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა. აწვია, რათა გამოილაშქროს, ძალითა მისითა აღიღოს ქართლი ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისასა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელთა ეყოდა დედულად აფხაზეთი“... ასე რომ, ბედნიერი მემკვიდრეობა ელოდა ბაგრატს. მაგრამ ამ დროს კახეთის ლაშქარი მოადგა უფლისციხეს (სწორედ უფლისციხე გახლდათ ქართლის ცენტრი). კახეთსაც ეჭირა თვალი ქართლში გაბატონებაზე, რაც ამავე დროს საქართველოში პირველობას ნიშნავდა...

დავით კურაპალატი ცხადია, დათანხმდა იოანე მარუშის ძის მიერ შემოთავაზებულ გეგმას, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. სამეფო დარბაზთან მოთათბირების შემდეგ მხცოვანი დავით კურაპალატი დიდი ლაშქრით გამოემართა ქართლში. თან ახლდა ჭაბუკი უფლისწული ბაგრატი და მამამისი გურგენი. უფლისციხე უკვე კახეთის ქორეპისკოპოსს დაეკავებინა. როს ნახა დავით დიდის ძლიერი მხედრობა, ქორეპისკოპოსმა უბრძოლველად დატოვა უფლისციხე და კახეთში გაბრუნდა. მატიანეში ვკითხულობთ, როგორ მიეგება მთავარი ქართლისა იოანე მარუშის ძე ტაოს მეფეს დავით კურაპალატს და როგორ გადასცა უფლისციხე. მან კი თავის მხრივ უფლისციხე უბოძა ბაგრატს და მამასა მისს გურგენს... თავად კი სამეფოდ ტაო დაიტოვა.

ბაგრატის შესახებ ქართლის აზნაურებს კი ასე გამოუცხადა სახელოვანმა კურაპალატმა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილება ყოველნი“. ეს ამბავი 975 წელს მოხდარა.

## ბაგრატ მესამე — ქართული მიწების შემკრები

ქართლის აზნაურთა პატრიოტმა, პროგრესულმა ნაწილმა მიიღო ბაგრატ მესამე მეფედ. თუმცა, დატოვა თუ არა ქართლი დავით დიდმა, ქართლელ აზნაურთა ერთი ნაწილის წაქეზებით, რომელთაც არ სურდათ უფლებების ოდნავი შეკვეცაც კი, კახელებმა დალაშქრეს ქართლი, ტყვედ აიყვანეს ბაგრატ მესამე, მამამისი გურგენი და დედამისი გურანდუხტ-დედოფალი. დავით კურაპალატმა სასწრაფოდ გაილაშქრა კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ: მან კი შებრძოლება ვერ გაბედა და ძვირფასი ტყვეები გაათავისუფლა. სამი წლის შემდეგ კვლავ იოანე მარუშის ძის ინიციატივით ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისში მეფედ ეკურთხა, — მიიღო აფხაზთა მეფის ტიტული. 980 წლისათვის მან საბოლოოდ დაამარცხა უკმაყოფილო აზნაურები, მათ შორის ქართლის დიდებულები ქავთარ ტბელის მეთაურობით და კლდეკარის ერისთავი რატი ბაღვაში.

1001 წელს გარდაიცვალა დავით მესამე დიდი კურაპალატი, რომლისგანაც ბაგრატმა „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო, ხოლო 1008 წელს მამის, გურგენის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, ამიერ ტაო. ყველაფერ ამის დაგვირგვინება იყო 1008-1010 წლებში კახეთისა და ჰერეთის შემოერთება და ამიერიდან ბაგრატ მესამე იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

ბაგრატ მესამემ ღირსეულად გააგრძელა მამობილის საქმენი. გარდა იმისა, რომ ქვეყანა განავრცო და განადიდა, მრავალი ეკლესია-მონასტრის აგებითაც გაითქვა სახელი. გამორჩეული კი მათ შორის დიდებული ბაგრატის ტაძარი იყო, მეფისვე სახელზე აშენებული.

გარდაიცვალა ბაგრატ მესამე 1014 წელს და დაკრძალეს თავისსავე აგებულ ბედიის ტაძარში.

**საქართველოს გაერთიანების ქვაკუთხედი**

# „ბაგრატ მესამე, შვილობილი დავით კურაპალატისა“



**ბაგრატ მესამე**
**მხატვარი გიორგი გეგეჭკორი**

**მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით შესუსტდა არაბთა ბატონობა საქართველოში. მათი გავლენა ჯერ ქართლის ცენტრალურ თემებზე ვრცელდებოდა, შემდგომ კიდევ უფრო შევიწროვდა და მეათე საუკუნისათვის სარკინოზნი მხოლოდ თბილისს და მის შემოგარენს აკონტროლებდნენ. ჩვენს ქვეყანაში იწყება სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება: კახეთის სამთავრო, ჰერეთის სამეფო, აფხაზთა სამეფო, ტაო-კლარჯეთი. გაჩაღდა ბრძოლა პირველობისათვის. ეს იყო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის და მასში ამ დროს არსებული ყველა პოლიტიკური ძალა მონაწილეობდა.**

**მეათე საუკუნის ბოლოსათვის პირველობა ტაო-კლარჯეთის ხელში გადავიდა. დავით მესამე კურაპალატი, ბაგრატოვანთა გვარიდან, უშუალოდ ტაოს განაგებდა. დავითი იყო გამორჩეული პიროვნება ქართველ მეფე-მთავრებს შორის: ენერგიული, გონიერი, შორსმჭვრეტელი პატრიოტი. ოთხი ათეული წელი ედგა სათავეში ჯერ სამემკვიდრო მამულის და შემდგომ ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებას.**

**ბასილი მეორეს დაავიწყდა ქართველთა თანადგომა. კიევის რუსეთს დაუკავშირდა. დახმარების სანაცვლოდ წარმართ მთავარს, ვლადიმირს თავის მშვენიერ დას, ანას დაჰპირდა ცოლად. დახმარება კი მიიღო კეისარმა, მაგრამ წარმართისთვის დის მითხოვება აღარ ისურვა. მაშინ კი აგრძნობინა თავისი ძალა ვლადიმირმა ბიზანტიას. თავის მხრივ ბიზანტიელებმაც წამოუყენეს ახალი პირობა ვლადიმირს — უნდა გაქრისტიანებულიყო და ქვეყანაც ქრისტეს რჯულზე მოექცია. ბიზანტიელი მეფის ულამაზესი ასულის სიყვარულის სანაცვლოდ ვლადიმირი ყველაფერზე თანახმა იყო. იდგა 988 წელი. კიევის რუსეთის მოსახლეობა დნეპრში შერეკეს და ძალით გააქრისტიანეს. აი, ასე და ამ პირობებში მიიღო ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ქრისტეს მოძღვრება.**

*გასრულდა ორი ძლევამოსილი მეფის, ბაგრატოვანთა დინასტიის სახელოვანი მემკვიდრეების, მამობილ-შვილობილის დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის მეფობის ხანა. მათმა მეფობამ დასაბამი მისცა საქართველოს გაერთიანებისათვის რეალური ნიადაგის მომზადებას. თუმცა კი არაბთა საამიროდ ქცეული თბილისის შემოერთება, ორივე მეფისათვის აუხდენელ ოცნებად დარჩა...*

***ისტორიული წყაროების მიხედვით დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის მეფობის ხანა მიმოიხილა ნოდარ შოშიტაშვილმა***

CMYK

# მამულ-დედული

## ქართული ქვევრი



*დღეს სადავო აღარ არის ის ფაქტი, რომ უძველესი ქართველური ტომები მევენახეობა-მეღვინეობის ფუძემდებლები არიან. ასევე სავარაუდოა, რომ ქვევრი ღვინის ჭურჭლად პირველმა ქართველმა ტომებმა გამოიყენეს. ჩვენგან განსხვავებით, ევროპელები ღვინოს მუხის კასრში ინახავენ. თანაც, თუ მუხის კასრი მხოლოდ 40-50 წელი ემსახურება მეღვინეს, ათასწლოვან ქვევრს ისეთივე წარმატებით შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა, როგორც ახალს.*

*გთავაზობთ ჩვენი მკითხველის, ეკონომისტ გიორგი გაბრიჭიძის მოსაზრებას ქართული ქვევრის შესახებ.*

„ფრანგ მოგზაურს შარდენს, 1672 წელს ვახტანგ VI-ის მარანში ქვევრიდან ამოღებული ღვინის დალევისას წამოუძახია, — ამაზე უკეთესი ღვინის წარმოდგენაც კი შეუძლებელიაო...

საუკეთესო ღვინის დამზადება ტკბილის დადუღებით იწყება, რაც ტემპერატურული რეჟიმის დაცვის გარეშე წარმოუდგენელია. ამ რეჟიმს კი ქვევრი თვითონ ქმნის. თანაც, ქვევრი მარანში 3-4-ჯერ ნაკლებ ადგილს იჭერს, ვიდრე მუხის კასრი. ქვევრი კასრზე ბევრად დიდხანს ინახავს ღვინოს. საქართველოში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როცა რამდენიმე საუკუნის წინანდელი ქვევრი უპოვიათ და შიგ კამკამა, საოცარი ღვინო ყოფილა.

ახლა კი იმის შესახებ, რა ჯდება ქვევრისა და კასრის წარმოება. თუ ერთი სამტონიანი ქვევრის დამზადებას ოთხას კილოგრამამდე თიხა და ქვიშა ესაჭიროება, ამდენივე ტევადობის კასრის დამზადებას ორი ასწლოვანი მუხა უნდა შეეწიროს. დიდი განსხვავებაა ფასშიც. ქვევრი ხის კასრზე გაცილებით იაფი ჯდება.

მე ერთი იტალიელ ფერმერს ვიცნობ, რომელმაც ორი წლის წინ იტალიაში ქართული მარანი ააშენა და ქართული ქვევრებით გააწყო. ამ საქმეში მას ქართველი მეღვინე რაჟდენ გარუჩავა დაეხმარა. „ქართულად“ დამზადებულ ღვინოს იტალიელი ფერმერი სულ მალე შესთავაზებს მომხმარებელს და როგორც თავად ამბობს, ამით მათ სიურპრიზს უმზადებს.

ეს იტალიელი ორი წლის წინ შავნაბადას მონასტერში იყო სტუმრად. მონასტრის არქიმანდრიტის, მამა შიოს კურთხევით მე შევისწავლე საქართველოში მექვევრეობის მდგომარეობა. დავაპროექტე ქვევრის დამზადების ჩარხული მეთოდი, ასევე სპეციალური ხუფი, რომლითაც ქვევრი ჰერმეტულად დაიხურება (დღემდე ხუფის არარსებობა ქვევრის ძირითად ნაკლად ითვლებოდა). ასევე დავაპროექტე აპარატი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ქვევრის ძირიდან ლექის ამოღება...

ვფიქრობ, ჩემი პროექტით დავაინტერესო ქართული ღვინის მწარმოებლები. პერსპექტივაში კი შეიძლება ქართული ქვევრის მსოფლიო ბაზარზე გატანაზეც ვიფიქროთ...“

## თებერვალი დადგაო...

ცოტაც და გაზაფხულიც შევა ძალაში. გაიღვიძებს მიწა, ხე, ბუჩქი და რა თქმა უნდა, ათასგვარი ჭიაღუა, სოკო და ლიქენი, რომელსაც ახლავე თუ არ მივხედეთ, მერე გვიან იქნება.

პირველ რიგში, ჩვენს მამულ-დედულში გაშენებულ ხეებსა და ბუჩქებს მივხედოთ. მოვაშოროთ დაზიანებული, დაავადებული, დამტვრეული და გამხმარი ტოტები, ზედ შერჩენილი, შემხმარი ნაყოფი და დავწვათ. ნაცარი ხეებს შემოვაყაროთ ირგვლივ და ჩავუბაროთ. თუ გადამწვარი ნაკელი გაქვთ და მასთან ერთად ჩაბარავთ, კიდევ უკეთესი. ჩამოფხიკეთ შტამბსა და ტოტებზე არსებული ლიქენი. ამის შემდეგ იზრუნეთ ბუჩქებისა და ხეების ბორდოს და რკინის ძალას ხსნარით ჩამორეცხვაზე.

შტამბსა და ტოტებზე ლიქენების საწინააღმდეგოდ შეასხურეთ 3-5%-იან რკინის ძალას ხსნარი (300-500 გ ძალა 10 ლ წყალზე), შემდეგ შეათეთრეთ კირის რძით.

ყველა მერქნიანი კულტურა (ხეები, ბუჩქები) კვირტის გაშლამდე ჩამორეცხეთ 3%-იანი ბორდოს ხსნარით (300 გ შაბიამანი და 250 გ ჩაუმქრალი კირი), ეს თავიდან აგაცილებთ საშიშ სოკოვან დაავადებებს: ვაშლისა და მსხლის ქეცს, ფოთლის სიხუჭუჭეს, ფიტოფტოროზს და მონილიოზს.

როგორ დავაყენოთ ბორდოს ხსნარი: 1%-იანი ბორდოს ხსნარის დასაყენებლად (მაგალითად, 10 ლიტრზე) აწონეთ 100 გრამი შაბიამანი, ჩაყარეთ კაპრონის წინდაში და ჩაჰკიდეთ ხის ან მინის 10-12-ლიტრიან ჭურჭელში. დაასხით 5 ლ თბილი წყალი (გახსნის პროცესის დასაჩქარებლად), აწონეთ 100 გრამი კირის ნატეხები, დააწყვეთ ტაშტზე და დანამეთ, რომ კირი ჩაქრეს — ანუ დაიშალოს. გახსენით 5 ლ წყალში და გაამზადეთ კირის რძე. შემდეგ შაბიამნიან ჭურჭელში გაფილტრეთ კირის რძე, ჩაასხით წვრილ ნაკადად და განუწყვეტლივ ურიეთ. ასე დაყენებული სხნარი უნდა გამოიყენოთ იმ დღესვე. თუ შეურევლად გააჩერებთ, 2-3 დღესაც შეგიძლიათ დააყოვნოთ. სასხურებელ აპარატში ჩასხმის წინ ხსნარი აუცილებლად უნდა გაიფილტროს. ამისთვის აპარატებს მოჰყვება ბადეები, თუ ბადე არ ექნება, გაფილტრეთ კაპრონის წინდაში, თორემ ხსნარი შესხურებისას აპარატის ბუნიკში გაიჭედება.

## მოზაიკა

* * *

*უკრაინის ერთ-ერთ სოფელში, მურნეობის დარაჯის ძაღლს ახალშობილი ლეკვები მოჰპარეს. ძაღლმა დარდისგან აღარ იცოდა, რა ექნა. ერთ მშვენიერ დღეს კი სადღაც გადაიკარგა და კარგა ხანს არ ჩანდა. როგორც იქნა, დაბრუნდა და თან მოიყვანა ორი კნუტი, ჯერაც თვალაუხელელი. გარდა იმისა, რომ კნუტებს ძუძუს აწოვებდა, ახლოს არ იკარებდა არავის. ალბათ ასეთი დედობა კატებსაც შეშურდებოდათ.*

* * *

*მკვლევარმა-ორნიტოლოგებმა დანიშნული რგოლი წამოაცვეს თოლიას, რომელსაც ანტარქტიდაში ბუდე ჰქონდა ახალგამოჩეკილი ბარტყებით. თოლია სამხრეთ პოლუსისკენ წაიყვანეს და იქ გაუშვეს.*

*10 დღის შემდეგ თოლია კვლავ თავის ბუდეში იჯდა და ბარტყებს ათბობდა. მან 1.300 კმ გამოიარა და შეუცდომლად მიაკვლია თავის ბუდეს.*

## მთის არწივი



მსოფლიოში არწივის 12 სახეობაა და აქედან 6 საქართველოში ბინადრობს: მთის, მყივანა, მცირე არწივა, ჩია, ველის და ბექობის არწივი.

ჩამოთვლილთაგან უდიდესია მთის არწივი, რომლის გაშლილი ფრთების სიგრძე 2 მ-ზე მეტს აღწევს, სხეულისა — 95 სმ-მდე, წონა 5 კგ-მდეა. დედალი დიდია მამალზე.

საქართველოში მობინადრე სამხრეთევროპული მთის არწივის გავრცელების არეალი ფართოა: ევროპა, აზია, აფრიკა, ჩრდილოეთ ამერიკა, ციმბირი...

არწივი დებს 2-3 კვერცხს, საიდანაც 5 კვირის შემდეგ მართვეებს ჩეკს. მამალ-დედალი არწივი მზრუნველობით ეპყრობა მართვეებს. უამრავი საკვები მოაქვთ პატარებთან.

მართალია, ფაუნისთვის რაღაც ზიანი მოაქვთ, მაგრამ ძირითადად იჭერენ ავადმყოფ, დაჭრილ და სუსტ ცხოველ-ფრინველებს. ეს კი ბუნებრივ გადარჩევაში აუცილებელია. ამასთან, მთის არწივი ჩვენთან უკვე იშვიათობად იქცა და მას გაფრთხილება სჭირდება.

## ჯუჯა მცენარეების მოყვარულთათვის



უმრავლესობას ალბათ ვიდეოფილმებში აქვს ნანახი იაპონური მინიატურული ბაღები მათ ეზოებსა და ბინებში.

თქვენც შეგიძლიათ დაამშვენოთ თქვენი ფანჯრის რაფა ჯუჯა მცენარეებით. საამისოდ კი ბევრი შრომა სულაც არ არის საჭირო. აჭერით საშუალო ზომის კალმები ასაკოვანი ხეებიდან (ალუბალი, ქლიავი, ბროწეული, ფიჭვი და ა.შ.), დააფესვიანეთ და დარგეთ ვიწრო ქოთანში, რომელშიც ჩაყრილია ღორღნარევი უხარისხო მიწა, კარგად მიუტკეპნეთ და იშვიათად მორწყეთ.

ამ პირობებში მცენარე „შიმშილობს“ და ზრდა ფერხდება. გარდა ამისა, ღერო და ტოტები მოღუნეთ ტალღისებურად მავთულთან ერთად და დაბლა დახარეთ, რითაც მცენარეს მტირალა სახე ეძლევა.

ზემოთ ამოშვერილ ფესვებს დააყარეთ ღორღი, ხოლო სწრაფად მზარდი ტოტები ააჭრით. ასეთი ხერხით მიიღება ჯუჯა ხეები, რომლებიც ყვავილობენ და ნაყოფსაც იძლევიან.

რა თქმა უნდა, ჯუჯა ხეებით შეგიძლიათ გაალამაზოთ ინტერიერი, მოაწყოთ დეკორატიული კუთხე ეზოში...

## მკითხველის ფოტო



ვარდები... თოვლზე

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## ზეთისხილი საქართველოში



**— გთხოვთ მიპასუხოთ, ხარობს თუ არა საქართველოში ზეთისხილის კულტურა და სად შეიძლება ნერგის შოვნა?**

***ჯემალ გოგილაშვილი***

— საქართველოში ზეთისხილი ხარობს და მოსავალსაც იძლევა. ოღონდ აქა-იქ, თითოოროლა ძირი.

როგორც დავადგინეთ, ზეთისხილის მცირე პლანტაცია გაუშენებიათ გურჯაანის მცენარეთა სელექციურ სადგურში, სადაც, ბუნებრივია, ნერგის შოვნაც შეიძლება...

## წებოსდენა ანუ გომოზი

**— ჩემს ბაღში შარშან ბალს და ქლიავს გაუჩნდა სხვადასხვა ზომის წებოვანი ბურთულები. მაინტერესებს, რა იწვევს ხეხილზე წებოს გაჩენას და რით ვებრძოლოთ მას?**

***მარინა აბუთიძე***

— ეს დაავადება მხოლოდ კურკოვან ხეხილს ემტერება. მისი გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაა — ყინვით ქერქის დაზიანება, მზით დამწვრობა, სოკოვანი დაავადების გამო კანის დახეთქა. გომოზით დაავადება ხშირია მჟავე და ჭარბტენიან ნიადაგებზე, აგრეთვე სასუქების დიდი დოზით გამოყენებისას.

პირველ ყოვლისა, დროულად ჩაატარეთ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება — ბარვა, სასუქის შეტანა, რწყვა, რათა ხეები გაძლიერდეს.

ყველა სახის დაზიანება, მათ შორის სხვლის დროს მიყენებული ჭრილობები, დაამუშავეთ ბაღის მალამოთი.

უკვე დაავადებულ ხეებს შეაცალეთ წებო, შეასხურეთ 1-2%-იანი ბორდოს ხსნარი (შაბიამნის და კირის წყალხსნარი), შეშრობის შემდეგ დაზიანებულ ადგილებში 2-3-ჯერ (10 წუთის ინტერვალით) შეუზილეთ ღოლოს ნედლი ფოთლები.

## საშიშია თუ არა კოლხური სურო



**— ჩემი ვაჟი ოჯახით ცხოვრობს თბილისში, სამგორის რაიონში. სახლის ეზოში, ყვავილების გვერდით, მეზობლის რიყის ქვით ნაგებ კედელთან და სახლთან მოაშენეს კოლხური სურო. რატომღაც მგონია, რომ ეს არის არა მარტო მღრღნელების, არამედ შხამიანი მწერებისა და ქვეწარმავლების გავრცელების წყარო. მით უმეტეს, ეზოს აკრავს მიტოვებული ნასახლარი.**

**გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცეთ.**

***ირაკლი ჯოხაძე***

— ტყუილად შეშფოთებულხართ. სუროს დარგვით სილამაზისა და სიკეთის მეტი არაფერი „ემუქრება“ თქვენს ეზო-კარმიდამოს.

რაც შეეხება იმას, რომ მწერები და ქვეწარმავლები დაიბუდებენ, ნურც ეს გაშინებთ. სუროს ტოტები დროდადრო ბორდოს ხსნარით შეწამლეთ, ამით მწერებს მოსპობთ (თუმცა, ისინი სუროს მაინცდამაინც არ ეტანებიან). რაც შეეხება ქვეწარმავლებს, ამ მცენარესთან მათ საერთო ნამდვილად არაფერი აქვთ.





1. მილანის „ინტერის“ მეტსახელი
2. ყურანის ცალკეული თავი
3. 9 ქვეყანაში გამავალი ევროპული მდინარე
4. ნაწილაკი
5. ახლახან წმინდანად შერაცხული კათოლიკე
6. 100 თეთრი
7. პროფესორის თანაშემწე
8. გემის კიბე
9. ბერეზოვსკის ახალი შენაძენი
10. ნაპოლეონის მარშალი
11. იანუსის სახეთა რაოდენობა
12. ხალხი აფრიკაში
13. აკაკის ლექსი
14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში
15. კასტელის ლუდი
16. ბგერათა თანამიმდევრობა მუსიკაში სავარჯიშოდ
17. საჭადრაკო „ჯარისკაცი“
18. ამერიკელი მსახიობი
19. როლსის კომპანიონი
20. ბრაზილ. ხალხური ცეკვა
21. ებრაელთა სალოცავი
22. რაბინდრანატ თაგორის რომანი



23. თვალის ფერადი გარსი
24. წითელი პლანეტა
25. დიუმა "დედოფალი..."
26. სსრკ-ის მარშალი
27. მრავალწახნაგა სხეული
28. ჯეიმს ბონდის საყვარელი კოქტეილი
29. ჯულიეტას სატრფო
30. პიკასოს ანტიფაშისტური ნახატი
31. კოვბოის სამუშაო თოკი
32. ესპანელი სიურეალისტი
33. ტიბეტელი თოვლის კაცი
34. 21წ. ასაკში დაღუპული ფრანგი მათემატ.
35. ვაზის ნასხლავი
36. დროშა
37. წყლის დანალექი წმინდა სილა
38. იტალიელი ფერმწერი 1490-1576
39. მუხის ნაყოფი
40. პასტერნაკი „ექიმი ჟივაგო“ (პერსონაჟი)
41. ქართული ფილმი
42. ანჯაფარიძე
43. შოკოლადის ხე
44. გიორგიგიო, არჩილი...
45. დედამიწის ანტიპოდი
46. ხელოვნების დარგი
47. ასტრონომიის მფარველი მუზა





48. პატარა ხორთუმიანი ცხოველი
49. ტბა აფხაზეთში
50. სუმოს მოჭიდავე
51. ფრანგი მხატვარი
52. იაპონური ცივი იარაღი
53. ტანწერწეტა
54. მამალი იადონი
55. ამერიკელი მსახიობი ... მერფი
56. ჩინური ჭადრაკი
57. ტბა ჩრდილო ამერიკაში
58. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და...“
59. იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი
60. იტალიის ტელეკომპანია
61. ქართული ყურძნის ჯიში

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ნირვანა; 2. გნუ; 3. „რა“; 4. პანი; 5. პი; 6. მერსიე; 7. პაპუა; 8. ფარა; 9. ვაჩა; 10. მადა; 11. რაში; 12. ალა; 13. უფა; 14. ევა; 15. ივა; 16. უბე; 17. „ტუ“; 18. აფიშა; 19. მენიუ; 20. რაუ; 21. ბაჩანა; 22. ბუ; 23. სულგუნი; 24. ქისა; 25. ხე; 26. ბექობი; 27. წავი; 28. მოაჯირი; 29. ობი; 30. მთა; 31. ცა; 32. მოგება; 33. არსენა; 34. რქა; 35. დუნაი; 36. ბა; 37. „იბერია“; 38. ნატო; 39. ნესი; 40. სენა; 41. ორატორი; 42. აქსელი; 43. კანი; 44. ბაკანი; 45. დენტინი; 46. თავხედი; 47. ფიგუ; 48. ლი; 49. ვალენტინო; 50. ხედი; 51. ეინდჰოვენი; 52. ტარა; 53. ია; 54. ლაზი; 55. დონა; 56. ლინოტიპი; 57. აბსურდი; 58. უილისი; 59. კლანი; 60. დიანა; 61. შიმშა; 62. შერიფი; 63. გე; 64. იურმალა; 65. მარსელი.

1. ნუ დაუფრთხობთ ანგელოზებს; 2. პარაშუტისტი ბებია; 3. მეც წამაკითხე; 4. შეგეშინდათ; 5. მაკნატუნა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანია



# „სტერეოტიპები ფრთხილად უნდა დავანგრიოთ"

## „მაყურებელს ჯერ კიდევ სჭირდება „მკურნალობა" გემოვნების შესაცვლელად"

თუ აქამდე სუხიშვილების ანსამბლის ხსენებაზე თვალწინ წარმოგვიდგებოდა უამალოდ შესრულებული ქართული ცეკვები, ახლა ამ ანსამბლს ეროვნების ორიგინალური, ეროვნულ მოტივზე შექმნილი თანამედროვე მუსიკაც, რომელიც საინტერესო სიახლის დაკავშირებას მოაწყობენ. შესაძლებლად მუსიკალური კომპოზიციები სუხიშვილებმა უკვე ორ ალბომად გამოუშვეს. მუსიკის პროფესიონალ შემსრულებელთა ჯგუფი, რომელსაც უშუალოდ ილიკო სუხიშვილი ხელმძღვანელობს, იმ უზარმაზარი ორგანიზმის ნაწილია, რომელსაც სუხიშვილების ანსამბლი ჰქვია... მართალია, ჯგუფს სახელი ჯერ არა აქვს, მაგრამ ჩატარებული საკონცერტო პროგრამებიდან შემდეგ მოპოვებული პოპულარობის გამო, მაყურებლებმა ერთი ნაწილი მას უბრალოდ „ასსას" ეძახის. არადა, 8 მუსიკოსი ჯერ კიდევ მაშინ შეკრიბა, როდესაც „ასსა" ჩანაფიქრშიც კი არ არსებობდა. ილიკო და ჯგუფის დანარჩენ წევრებს (ერთი აკლდა) სუხიშვილების სტუდიაში შევხვდით.

**ილიკო სუხიშვილი:** — ყოველთვის მინდოდა, როგორმე ისეთი ქართული მუსიკალური პროგრამა შემეთავაზებინა მაყურებლისათვის, რომელსაც ყველგან მოუსმენდა — ბარში, მანქანაში, კლუბში, სახლში და თუ მოინდომებდა, ცეკვაც კიდეც. და ამისათვის აუცილებელი არ იქნებოდა ქართული ცეკვების პროფესიონალური ცოდნა. გადავწყვიტე, წინ წამოგვეწია მუსიკის ფაქტორი. ანსამბლის საკონცერტო პროგრამის მეორე ნაწილში მუსიკა წინა პლანზე წამოწეული, „ასსაში" მუსიკაა მთავარი. ამის გამო ხალხში გაჩნდა ახალი ტერმინი — ფოლკდანსი, რაც გულისხმობს ახალ მუსიკას, რომელიც შეიძლება დისკოთეკაშიც დაუკრა და იცეკვო კიდეც.

**— ილიკო, უკვე ორი მუსიკალური ალბომი გამოუშვით. ახლახან დაიწყო „ასსას" პრომოშენ ახალ პროექტზე თუ მუშაობთ?**

— რა თქმა უნდა. „ასსაც" დაიხურა იმიტომ, რომ ახალ ეტაპზე გადასვლაში გვიშლიდა ხელს. ახლა ახალ თემებს და კომპოზიციებს დავამუშავებთ. „ასსა" დამთავრდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აღარასოდეს დავუკრავთ. უბრალოდ, არასოდეს გავიმეორებთ ერთსა და იმავეს. ვინც „ასსას" კონცერტებს ესწრებოდა, დამეთანხმება, რომ ყველა წარმოდგენას იმპროვიზაცია განასხვავებდა. ეს არის ნამდვილი, ცოცხალი მუსიკალური შესრულების თვისება, რასაც მსმენელი აუცილებლად გრძნობს.

**— როგორ ფიქრობთ, მიაღწიეთ მიზანს? მიაჩვიეთ მსმენელი გათანამედროვებული ეროვნული მუსიკის მოსმენას?**

— ჯერ ვერა. მსმენელს, მაყურებელს კიდევ სჭირდება „მკურნალობა" გემოვნების შესაცვლელად. ვცდილობთ, მსმენელი მივახვედროთ, რომ რასაც ვაწოდებთ, ღირს იმის მოსმენა. ამისთვის აუცილებელია პროფესიონალურად შესრულებული მუსიკა. მსმენელი მიჩვეულია, რომ საკონცერტო დარბაზში იჯდა და ისე უსმენდა ანსამბლს თუ გუნდს, რომელიც შესანიშნავ ქართულ სიმღერებს მღეროდა. ახლა უნდა მივაჩვიოთ ფოლკლორის, ან გნებავთ, გათანამედროვებული ფოლკლორის სხვა სახით აღქმასაც. სტერეოტიპები ფრთხილად უნდა დავანგრიოთ, ისე, რომ ნანგრევებში მთავარი არ მოჰყვეს და არ დავკარგოთ რაღაც მნიშვნელოვანი.

**— როგორ შეიკრიბა ეს მუსიკალური ჯგუფი?**

**კოკა მამალაძე:** — აქ მოსვლამდე ყველანი სხვადასხვა ჯგუფში ვუკრავდით. როცა სუხიშვილების ანსამბლის ახალი საკონცერტო პროგრამისათვის ახალი მუსიკის დაკვრის აუცილებლობა გაჩნდა, ჩვენც ამ ანსამბლის წევრები გავხდით. ეს ჩვენი ცხოვრების საინტერესო ეტაპია.

**— ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელზეც თქვენ უკრავთ, არ არის ქართული. არ გიჭირთ მათზე ქართული მელოდიების დაკვრა?**

**ავთო თაბუკაშვილი:** — არა, მე დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავ. მოგეხსენებათ, ის ქართული არ არის, მაგრამ ინსტრუმენტის სადაურობას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ქართული აკორდი ავიღოთ სწორი ტექნიკით, პროფესიონალურად. ამ შემთხვევაში იქმნება შესანიშნავი ქართული მელოდია, მსმენელი კი სულაც არ დაიწყებს იმაზე ფიქრს, ვინ რომელ ინსტრუმენტზე უკრავდა. არაქართული ინსტრუმენტების გამოყენება პროგრესის სურვილმა განაპირობა. პროგრესის აუცილებელი პირობა კი ისიც არის, რომ არ დავკარგოთ ქართული ფოლკლორის ძირი.

**ირაკლი ჩარხიანი:** — ჩვენ რამდენიმე უძველესი ქართული საკრავიც გავაცოცხლეთ. ბას-კასრიც შემოვიტანეთ. ეს არის ფოლკლორული დაფდაფი, შეიძლება ნაღარაც შემოვიტანოთ. მე ავსტრალიურ დიჯირიდუზე ვუკრავ. ჩვენ გვქონდა ადრე მსგავსი ინსტრუმენტი — ბუკი. სამწუხაროდ, მასზე დაკვრის სპეციალისტი დღეს აღარ გვყავს. შეიძლება იგივე ბედი ეწიოს სხვა ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც. მაგალითად, არღანს. ნელ-ნელა იკარგება ტრადიცია და არ არის გამორიცხული, არღანი ჩვენს ჯგუფში ავაღორძინოთ. ჩემთვის მეარღნე ძალიან საინტერესო ფენომენია, იგი პირველი დიჯეია. დიჯეი ხომ ხალხის გამრთობია. საერთოდ, ქართული ფოლკლორული ინსტრუმენტები რომ გაიცნოთ და მუსიკას ჩასწვდეთ, ჰანგებით წაიკითხავთ კავკასიის, საქართველოს, ძველი თბილისის ისტორიას. ნათლად წარმოიდგენთ, როგორ ყალიბდებოდა მრავალეროვანი თბილისი, სადაც ყველას თავისი მუსიკალური კულტურა და საკრავები ჰქონდა. ეს კი ერთიანობაში ძველი თბილისის მუსიკას ქმნიდა — მრავალფეროვანს და კავკასიურს. აქ იეზიდი, აზერბაიჯანელი და ნებისმიერი სხვა ეროვნების წარმომადგენელი ტრადიციისამებრ უკრავდა მშობლიურ მელოდიას. მაგრამ უძლიერესი ქართული, მუსიკალური კულტურის გავლენას განიცდიდა და მისი შესრულების მანერაც უკვე თავისებური, განსხვავებული იყო.

**— უკვე გამოხვედით სხვადასხვა ეროვნების მაყურებლის წინაშე, სად იგრძენით ყველაზე მეტი ყურადღება თქვენი ორიგინალური მუსიკის მიმართ?**

— უცხოელებისთვის ჩვენი მუსიკა საინტერესოა, როგორც განსხვავებული ერის, სხვა კულტურის ნიმუში, როგორც უცხო, რომელსაც სწავლობენ და მოსწონთ. ქართველი კი სხვაგვარად გისმენს. ის მომთხოვნია, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი. ჩემი აზრით, ეს გენეტიკურად გვაქვს. აქ ხომ თითქმის ყველა მღერის და უკრავს.

**გიგა ლოლაშვილი:** — იცით, რა გრძნობას აღძრავს ეს მუსიკა ქართველ მსმენელში? სურვილს, რომ ძველი არ დაიკარგოს. ასე მგონია, როცა ეროვნულ მოტივზე შექმნილ სიახლეს ეცნობა ქართველი, შიშობს და ეჭვობს, რომ არ შეიძლება მისთვის ხელის ხლება, შეცვლა. ტინეიჯერები ნაკლებად ფიქრობენ ამაზე, მაგრამ ძველი და საშუალო თაობა ფრთხილია. მესმის მათი შიში, ჩვენც იმავეს ვფიქრობთ, ამიტომაც ძველის დაკარგვის საფრთხე ჩვენგან არ არსებობს. მით უმეტეს, სუხიშვილების ანსამბლში. სადაც სიძველეს, ტრადიციას რელიკვიასავით უფრთხილდებიან. აქ ამ ყველაფრის მცველებს აწრთობენ.

**კოკა მამალაძე:** — ჩვენ რასაც ვუკრავთ, საზოგადოებამ ის კი არ უნდა მოისმინოს, უნდა განიცადოს, სხეულით უნდა იგრძნოს. ეს მაშინ მოხდება, როცა მაყურებელი უნებლიეთ აცეკვდება.

**— ისევე, როგორც ლათინურ ეთნოსს ემართება კლუბში, როცა სამბას და სხვა ამგვარ მელოდიას უსმენს?**

**ირაკლი ჩარხიანი:** — რა თქმა უნდა, მოვა მაგის დროც, როცა სავიზიტო ბარათივით გახდება ჩვენი საკლუბო მუსიკა და ცეკვა, ევროპაში ან თუნდაც ამერიკაში... იქაურ კლუბებსა და დისკოთეკებზე მიხვდებიან, რომ ქართული საკლუბო მუსიკა და ცეკვა არ არის ლათინური ან ზანგური, არამედ სრულიად ორიგინალურია.

**— თქვენ, მუსიკალური ჯგუფის წარმომადგენლები, თუ ცეკვავთ?**

— შეძლებისდაგვარად ყველანი ვცეკვავთ, ვმღერით და, რა თქმა უნდა, ვუკრავთ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კარგად დავუკრათ და მივაჩვიოთ მსმენელი კარგი მუსიკის მოსმენას.

**ავთო თაბუკაშვილი:** — მდარე მუსიკის მოსმენას უნდა გადავაჩვიოთ ქართველი მსმენელი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება თვითონაც მიხვდეს ამის აუცილებლობას. მაგრამ როცა ამას მიხვდება, შეიძლება უკვე გვიანიც იყოს და დანაკლისის კომპენსირებაც ველარ შეძლოს.

# „უნდა დამეტუქსა, მოვტრიალდი და... დენი დე ვიტო შემრჩა ხელთ"

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კინემატოგრაფს ერთხანს სერიოზული სტაგნაციის პერიოდი ედგა, ქართულ კინოსა და საერთოდ კინოს თემაზე საუბარი „პირველი არხის" ეთერში არასოდეს შეწყვეტილა. გადაცემა „მრავალსახეობა" მის უცვლელ ავტორსა და წამყვანთან, კინომცოდნე **ნანა თუთბერიძესთან** ერთად მუდმივად გვამოგზაურებდა კინოს მომხიბლავ სამყაროში. „მრავალსახეობა" მალე არსებობის 15 წელს იზეიმებს. ქალბატონი ნანა ამჯერად „კვირის პალიტრის" სტუმარია.

**— რამდენადაც მახსოვს, თქვენს გადაცემაში წინათ მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა ქართული კინოს პრობლემებს. ახლა კი „მრავალსახეობაში" კინოკრიტიკა თითქმის აღარ არსებობს.**

— არა, ასე ნამდვილად არ არის, მართალია იყო პერიოდი, როცა უფრო მეტი სალაპარაკო გვქონდა კინოზე, თუნდაც ფილმების რაოდენობიდან გამომდინარე. ყველაფერზე სასაუბროდ გადაცემებიც კი არ გვყოფნიდა. ვლაპარაკობდით, ვაკრიტიკებდით, ვაქებდით. ამჯერად გამუდმებით რომ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ უჭირს ქართულ კინოს, არა მგონია, მოეწონოს მაყურებელს, თანაც საჭირო იყოს ამის ხშირად შეხსენება, თუმცა ყოველთვის განვიხილავთ ნებისმიერ სიახლეს, რომელიც დღეს ქართულ კინოში ხდება. ვფიქრობთ, ყინული დაიძრა და უნდა ვაცალოთ, რაღაც დრომ გაიაროს, მიმართულებები გამოიკვეთოს. რთული პერიოდი ყველა ქვეყნის კინემატოგრაფს ედგა და იმაში, რაც დღეს ჩვენთან ხდება, კატასტროფული არაფერია.

**— რამდენადაც ვიცი, საერთაშორისო კინოფესტივალზე მიემგზავრებით. უფრო კონკრეტულად რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— უკვე 11 წელია, ყოველწლიურად დავდივარ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე („ბერლინალე"). ეს არის ფესტივალი, სადაც არა მარტო კარგ ფილმს ნახავ, ცნობილ ვარსკვლავებს შეავლებ თვალს, არამედ უდიდეს ცოდნასაც მიიღებ იმის შესახებ, რა ხდება საერთოდ მსოფლიო კინემატოგრაფში, საითკენ მიდის მსოფლიო კინო და რით იყო გასული წელი მნიშვნელოვანი. საერთოდ, კინოფესტივალზე უამრავი საინტერესო სამუშაოა, ზოგჯერ დილიდან დილამდე ვმუშაობთ. ვიღაცას შეიძლება ფესტივალი წარმოუდგენია მხოლოდ როგორც ზეიმი ვარსკვლავების მონაწილეობით, ფილმების ჩვენებით, სანახაობით, არადა, ფესტივალი — უამრავი სამუშაოა, სიახლეების გაცნობა, პრესკონფერენციებში მონაწილეობა, იქმნება უზარმაზარი ინფორმაციული ბაზა, სწავლობ რაღაც ახალს და ისევე იღლები, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო დღის განმავლობაში.

**— თუმცა, ალბათ მაინც თავისებური ხიბლი აქვს შეხვედრებს კინოს ცოცხალ ლეგენდებთან.**

— რა თქმა უნდა. ძალიან ბევრ კინოვარსკვლავს შევხვედრივარ. ეს შეხვედრები ხშირად დაკავშირებულია მოულოდნელობასთან, გაოცებასა და სიხარულთან. ზოგჯერ მსახიობი შეიძლება ეკრანზე არ მოგწონდეს, მაგრამ მასთან შეხვედრისას, სრულიად სხვა ადამიანს აღმოაჩენ...

**— მგონი, ალენ დელონი არ მოგწონდათ...**

— არა, რას ამბობთ. მასზე შეყვარებულიც კი ვიყავი. როცა პირადად ვნახე, აღვფრთოვანდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეკრანი სრულყოფილად ვერ აჩენს მის მომხიბვლელობას...

გავიხსენებ ერთ ამბავს, რომელიც ბერლინში გადამხდა. ფესტივალზე თავად ვიღებდი კამერით რაღაცებს. უცებ ვიღაც ბავშვმა ჩამირბინა და მხარი უხეშად გამკრა. გავბრაზდი, უნდა დამეტუქსა, მოვტრიალდი და გავოცდი — დენი დე ვიტო შემრჩა ხელთ. იცინოდა და ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა. სურათიც გადამიღო. წარმოუდგენლად დაბალი კაცია. უცნაური ტიპია, პრესკონფერენციაზეც თავისი განუყრელი აპარატით იყო და ჟურნალისტებს სურათებს უღებდა. კარგი იუმორი აქვს როგორც ეკრანზე, ისე ცხოვრებაში. სიამოვნებით ვიხსენებ დასტინ ჰოფმანთან შეხვედრასაც. ძალიან სასიამოვნო, ჭკვიანი ადამიანი ყოფილა, მის პრესკონფერენციაზე ყველანი აღტაცებული დავრჩით მისი აზროვნებით, ინტელექტით, ადამიანებთან დამოკიდებულებით. შარშანდელ ფესტივალზე სწორედ დასტინ ჰოფმანთან შეხვედრას გამოვარჩევდი.

**— ამბობენ, კინოვარსკვლავები ჩვეულებრივ ურთიერთობებში ძალიან უბრალოები არიანო.**

— მართლაც ასეა. მე სხვა ფაქტს ვერც გავიხსენებ. თუმცა ცოტაოდენი ქედმაღლობის შემოტევა ჰქონდა კატრინ დენევს, რომელმაც მალე გაუარა.

**— კინომცოდნეები განასხვავებენ ამერიკულ და ევროპულ კინოს. ერთი აუცილებლად მოსწონთ, მეორე კი — არა.**

— მე ევროპული კინოს თაყვანისმცემელი ვარ. ამერიკულ კინოში კი შეიძლება რამდენიმე რეჟისორზე გითხრათ, აი, მისი ფილმები მომწონს-მეთქი, თორემ საერთოდ ჰოლივუდის პროდუქციის თაყვანისმცემელი არა ვარ. ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკაში კარგი კინო არ იქმნება ან ამერიკელ მსახიობებზე უკეთესები ევროპელები არიან.



**— მოდით, ისევ ქართულ კინოს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ყინულის დაძვრის შემდეგ საით მიდის ქართული კინო?**

— ყოველთვის ვამბობ, რომ ქართული კინოს მთავარი სიმდიდრე პროფესიონალები არიან, რომლებიც ქმნიდნენ ქართულ კინემატოგრაფს და ახლა დროებით, შემოქმედებითი პაუზა აქვთ. კინოფესტივალებს რომ ვესწრები, სულ ვადარებ ჩვენს პროფესიონალებს უცხოელებს და გული მწყდება, რომ გვყავს გამორჩეული ნიჭის ხალხი, რეჟისორებიც, მსახიობებიც, ოპერატორებიც, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს ვერ აჩენენ. ქართველი კინოკრიტიკოსები ხშირად ვამბობთ ფესტივალებზე, აი, ეს როლი ამა და ამ ქართველ მსახიობს რომ ეთამაშა, წარმოგიდგენია, რას გააკეთებდა? გულდასაწყვეტია, რომ ამ ხალხს დღეს ასე მძიმე ეტაპი უდგას... ამიტომ ტელესერიალებით და კლიპებით თუ არიან დაკავებულნი, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ეს მათთვის აუცილებელია. არ შეიძლება, მსახიობი გაჩერდეს. როგორი შესაძლებლობაც მიეცემათ, ისე უნდა იმუშაონ. ვფიქრობ, მალე დადგება დრო, როცა, ქართული კინემატოგრაფი ისევ სერიოზულ სიტყვას იტყვის.

**გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ**


## განსხვავებული ჟურნალი

- რას ერჩის ინგა გრიგოლია „ვარდების ბიჭებს"
- ზურა ყიფშიძის რძალი ოჯახიდან წავიდა
- ლევან მამალაძეს იპოდრომმა უკვე ოთხი ცხენი ჩამოართვა
- ახალი მძაფრსიუჟეტიანი ქართული რომანი „დამხმარე სახელმძღვანელო დამწყები კუდიანებისთვის"




ორშაბათობით!

# არ ვიცოდი, რას მომიტანდა მომავალი

## მტკიცე ნებისყოფის ქალის ისტორია



**1992 წელს ალბათ გახსოვთ, რა არეულობაც იყო საქართველოში. თავდაპირველად, მე და ჩემს მეგობარს გადაწყვეტილი გვქონდა, ზაფხულის სეზონზე გვემუშავა, მაგრამ როცა გავიგეთ, ჩვენში უკან-უკან წავიდა საქმე, სამუშაო ვადა ერთ წლამდე გავზარდეთ. სამსუნი დიდი სავაჭრო ქალაქია, ჩვენს მაღაზიას კლიენტები ბუზებივით ეხვეოდა. ბოსიც კარგი თვალით გვიყურებდა... თანაც, დედამთილი მატყობინებდა, გოჩა ისევ დააპატიმრეს, მამამთილს კი ინსულტის მერე მარჯვენა ხელ-ფეხი წაერთვაო. მათ ჩემი იქ ყოფნით გაჭირვებას ვერ შევუმსუბუქებდი, თურქეთიდან კი უფრო მეტად დავეხმარებოდი.**

ახლობლისაგან მოყენებული ტკივილი ძნელი ასატანია, მაგრამ უნდა სძლიო ყველაფერს, შენი გასავლელი გზა ბოლომდე გაიარო, თან ისე, არავის საქილიკო არ გახდე. ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცა ნათელასთან შეხვედრამ:

— ცხრა წლის ვიყავი, როცა დედაჩემი ნიკაზე მშობიარობას გადაჰყვა, მძიმედ გადავიტანე მისი სიკვდილი. მამამ შემომიძახა: მართალია, პატარა ხარ, მაგრამ ქალობაც და დედობაც აწი შენ უნდა გასწიო, ოჯახს მიხედო, ძმას მოუაროო. ამ სიტყვებმა მაგიური ძალით იმოქმედა ჩემზე. თუკი ადრე ტოლებთან თამაშით ვერთობოდი, ახლა ისეთ საქმეებს ვეჭიდებოდი, წარმოუდგენლად ძნელად რომ მეჩვენებოდა სხვა დროს. ძროხასაც ვწველიდი, კარაქსაც ვდღვებდი და მაწონსაც ვადედებდი. ოჯახშიც ყველაფერი წესრიგში მქონდა. რამდენიმე თვე მამიდა მეხმარებოდა ნიკას მოვლაში, მერე კი თავის ოჯახში დაბრუნდა. რა ვქნა, მეც მისახედი მყავს ქმარ-შვილიო. ნიკას ზედ დავკანკალებდი, მის ტირილს, მერჩივნა, შუბლში თოფი ეკრათ ჩემთვის, ამიტომ წლამდე ისე მივიყვანე, იშვიათად თუ უტირია. ლაპარაკი რომ დაიწყო, „დედა“ დამიძახა. ისე გამიხარდა, იმ დღეს მთელ უბანს გავაგებინე მისი პირველი სიტყვა.

თორმეტის რომ გავხდი, მამამ ერთი კასპელი ქალი მოიყვანა ცოლად, ქვრივი. ათი წლის გოგონა მოჰყვა. მალევე დავმეგობრდით. ქეთიც მეხმარებოდა საოჯახო საქმეში. თუმცა რაც მამამ ცოლი შეირთო, ისე დატვირთული აღარ ვიყავი. დედინაცვალი კი იყო, მაგრამ კარგი ადამიანი გახლდათ. რაც მთავარია, მამა უყვარდა და მე და ნიკას თბილად გვეპყრობოდა. მას პირველი ქმრის ნათესავებთან გათხოვების მერეც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მეორე ზაფხულს თავისი მულიშვილები დაპატიჟა ჩვენთან სტუმრად. უფროსი ძმა, ზეზვა, 16 წლის იყო, გოჩა — 14-ის. მამამ და დედინაცვალმა ეტყობა, თავი დაიზღვიეს „რაღაცებისგან“ და პირველ ვახშამზე უთხრეს ბიჭებს: როგორც ქეთის თვლით დად, ისე მიიჩნიეთ ნათელაცო. ბიჭებმა თავი დაუქნიეს, მაგრამ ცოტა ხანში შევატყვე, რომ თავისებურად, ბავშვურად მეპრანჭებოდნენ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხეზე ცოცვაში, ცურვაში. ხილის მოტანას ერთმანეთს ასწრებდნენ, კალთაში ჩამიყრიდნენ ხოლმე ბალს, მსხალს... მათი დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ დარჩენილა — ქეთიც კი ხვდებოდა და ღამლამობით მეჩურჩულებოდა ხოლმე თავის მამიდაშვილებზე. ასე გავიდა სამი წელი. მე უფრო ზეზვა მომწონდა. ვატყობდი, მამას არ ეჭაშნიკებოდა არც ერთი ძმა, მაგრამ ცოლისა ერიდებოდა. დედინაცვალი კი, დღენიადაგ აქებდა მულიშვილებს. ერთხელ ზეზვამ მითხრა, — მამაშენი არასოდეს დათანხმდება ჩვენს შეუღლებას, ამიტომ რაღაც უნდა ვიღონოთ, სანამ ძალით სხვაზე გაუთხოვებიხაროო. მეც აღარ შევეწინააღმდეგე. 17 წლისაც არ ვიყავი, როცა ზეზვას გავყევი. შეძლებული ოჯახი იყო. ჯერ მარტო ატმის იმხელა ბაღი ჰქონდათ, იმ ბაღით შეეძლოთ ოჯახის რჩენა. ბედნიერებით თავბრუდახვეულს არ მიკითხავს, რატომ დატოვა ოჯახი გოჩამ (ჩემმა მაზლმა). არიქა, უმცროსმა სწავლა მოინდომაო, — თქვა მამამისმა და თბილისში ბინა უყიდა. გოჩა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ჩემს ქმარს ორწლიანი პროფსასწავლებელი ძლივს დაამთავრებინეს. მას უფრო მიწაზე მუშაობა უყვარდა და რადგან მშობლებს მისთვის უნდოდათ სოფლის სახლ-კარი, თავს არ იწუხებდნენ ზეზვას სწავლა-განათლებაზე.

მამაჩემი მალე შეგვირიგდა. ქორწილიც გადაგვიხადეს. გოჩა უცნაურად იქცეოდა. ახლოს არ გვეკარებოდა. ქორწილიდან მეორე დღესვე კვლავ თბილისში გაბრუნდა... თუკი ზეზვას სწავლა არ უნდოდა, მე — პირიქით, დიდი სურვილი მკლავდა, მასწავლებელი გავმხდარიყავი. დედამთილმა გამიგო, დამპირდა, ხელს შეგიწყობო. მამამთილი არ აღფრთოვანებულა ჩემი სურვილით, მაგრამ რახან ზეზვა წინააღმდეგი არ იყო, ისიც გაჩუმდა. ჩავაბარე მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, დაუსწრებელზე. ორსულად ვიყავი, რამდენიმე თვეში დედა უნდა გავმხდარიყავი და დიდი ხნით ხომ ვერ მოვწყდებოდი ოჯახს?! გამიჩნდა ტყუპი, ქალ-ვაჟი. გოგონას დედაჩემის სახელი, თინათინი, დავარქვი, ბიჭს კი ლექსო (ალექსი მამამთილს ერქვა). ყველამ გაიხარა, გულით გვილოცავდნენ. მხოლოდ გოჩა არ ჩანდა. დიდი უგერგილო ვინმეაო, — დაასკვნეს მშობლებმა, ძმამ და ხელი ჩაიქნიეს მასზე.

თბილისში სესიებზე ჩავდიოდი. პირველად შორეულ ნათესავთან გავჩერდი ბინად. მეორედაც იქ რომ დავაპირე მისვლა, მოულოდნელად გოჩა გამოჩნდა და, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა მითხრა: უხერხულია, მაზლს თბილისში ბინა ჰქონდეს, შენ კი ყვავი-ჩხიკვის მამიდასთან იყო, თუ ჩემი ყოფნა არ გსიამოვნებს, მეგობრებთან დავრჩები, შენ კი ჩემს ბინაში გაჩერდიო. ზეზვამ და დედამთილ-მამამთილმა მოიწონეს გოჩას აზრი. გოჩასთან გადავედი. თავიდან ის მართლაც მეგობართან რჩებოდა, მერე თავი უხერხულად ვიგრძენი და შევთავაზე, დარჩი შინ, ვინ რა უნდა თქვას-მეთქი. ეტყობა, ჩემგან ელოდა ამ წინადადებას და სიამოვნებით მიიღო. სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩემი წამება. ვატყობდი, ადრე თუ გვიან გოჩა თავს ველარ მოერეოდა და შეუფერებელს, ჩემთვის მიუღებელს, მეტყოდა. ეს კი უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მეგონა. ერთ საღამოს მეგობრები რომ გავისტუმრე (ერთად ვმეცადინეობდით), გოჩა შინ გვიან დაბრუნდა, ნასვამი ჩანდა. ახლაც მიჭირს იმ წუთების გახსენება... მოკლედ, სიყვარულში გამომიტყდა. ჯერ რუსეთში წასვლა შემომთავაზა, მერე კი, ჩემს სახეს რომ შეხედა, უკან „დაიხია“ და სხვა ვარიანტით შეცვალა: ჩემი გახდი. ჩემთვის საქალეთი გაწყდა, შენ გარდა, არავისზე მიმდის გული, ჩემს ძმას კი ნუ ეტყვი, ჩვენი ურთიერთობა საიდუმლო იყოსო. ისეთი სილა გავაწანი, მეგონა, თავი მოსძვრებოდა. თითქოს გონს მოეგო: კარი გაიჯახუნა და გავარდა. იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს — აი, ახლა მობრუნდება და ვინ იცის, რა ცოდვას ჩაიდენს-მეთქი. როგორც იქნა, გათენდა, ავიკარი გუდა-ნაბადი და რადგან ორი გამოცდა ჩასაბარებელი მქონდა, ნათესავთან გადავბარგდი. სოფელში დაბრუნებულს უგუნებობა შემატყვეს, მაგრამ რაღაც მივკიბმოვკიბე. დრო რომ გავიდა, ცოტა დავწყნარდი. მინდოდა, ის საღამო და გოჩა მეხსიერებიდან ამომეშალა, მაგრამ თუკი ადრე გაგვირბოდა, ახლა მოუხშირა ჩვენთან ჩამოსვლას. ასეთ დროს მამაჩემის და ნიკას მონატრებას ვიმიზეზებდი და ჩემებთან მივდიოდი ბავშვებიანად. იქაც მომადგა. დავემუქრე — ბიცოლაშენს (ჩემს დედინაცვალს) ვეტყვი ყველაფერს-მეთქი. ისეთი გადაგვარებული იყო, ვისაც გინდა, უთხარი, უკვე ფეხზე მკიდია ყველა, მე რატომ არ ვეცოდები ვინმესო. მივხვდი, მასთან ლაპარაკს არანაირი აზრი აღარ ჰქონდა. სიმართლე ისევ დავუმალე ქმარს. იქნებ გამამტყუნოთ კიდეც, ქმარს რატომ არ უმხელდი ძმის ულირს საქციელსო, მაგრამ სწორად გამიგეთ, ჩემთვის ეს ტრაგედია იყო, ზეზვა კი ვერ გადაიტანდა ამას. ისევ ქმარს ვუფრთხილდებოდი... რამდენიმე თვე აღარ გამოჩენილა გოჩა, მერე გაგვაგებინეს, ქურდობისთვის დააპატიმრესო. დატრიალდა ჩემი მამამთილი, ვინ აღარ შეაწუხა, მაგრამ გოჩას ისეთი ვილაცის ბინის გაქურდვა ედებოდა ბრალად, თანაც ჯგუფური ყაჩაღობის მუხლით (ოჯახის უფროსის ხანში შესული დედა მიუბამთ საწოლზე და უწამებიათ), რომ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ მაშინ ამ ამბავმა ერთგვარი შვება მომიტანა, თავისუფლად ამოვისუნთქე. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ჩემს ქმარს, ტყეში შეშის ჭრის დროს, მორი დაეცა ფეხზე... ზეზვას გაგებული ჰქონდა, ვიღაც ექიმბაში უთაბაშიროდ არჩენსო და აიჩემა, ის ქალი მომიყვანეთო. მივუყვანეთ. თავდაპირველად „მკურნალობამ“ შედეგი გამოიღო, მაგრამ მერე და მერე, ფეხი დაუჩირქდა. განგრენა განუვითარდა და ფეხი მოჭრეს.

ზეზვამ ვერ აიტანა უმოქმედობა, სასმელს მიეძალა. მალე ციროზი დაემართა და ახალგაზრდა კაცი გამოგვეცალა ხელიდან. ჩემი შვილები 6 წლისანი იყვნენ მაშინ. სრულიად ახალგაზრდა დავქვრივდი. დედამთილ-მამამთილი მეცოდებოდა. გაუხარელი სიბერე ჰქონდათ. ერთი შვილი აღარ ჰყავდათ, მეორე ციხეში იყო გამომწყვდეული...

ცხოვრება კი თავისი დინებით მიდიოდა. დავამთავრე ინსტიტუტი და დავიწყე მასწავლებლად მუშაობა. ზუსტად აღარ მახსოვს, 1989 თუ 1990 წელს ამნისტია გამოვიდა და ჩემი მაზლიც გათავისუფლდა. წინდაწინ ვემზადებოდი არასასურველი შეხვედრისთვის, გული მიკანკალებდა, არ ვიცოდი, რას მომიტანდა მომავალი... ბოლოს, ეს დღეც დადგა. გოჩამ გადაწყვიტა, ოჯახისთვის „მოეხედა“, ასე თქვა: მამაჩემი დაბერდა, იმდენი აღარ შეუძლია, ბაღიდანაც ისეთი შემოსავალი აღარ გვაქვს, მოვლა უნდა ყველაფერსო და... ერთი სიტყვით, მზრუნველი კაცის ფუნქცია დაიკისრა. ყოვლად შეუძლებელი იყო საზიზღარი ადამიანის გვერდით, ერთ ჭერქვეშ ყოფნა. ჩემი თანასოფლელები ზაფხულობით თურქეთში დადიოდნენ სავაჭროდ. მეც, რახან გოჩას ყურება არ შემეძლო, ავტყდი, მათ უნდა გავყვე, ბავშვებს ჩასაცმელი ჩამოვუტანო-მეთქი. კინაღამ გაგიჟდა ჩემი მაზლი. რას ჰქვია, თურქეთში წახვიდე, ჩემი ძმა საფლავში გადატრიალდებაო. გავმწარდი, ვერ მოვითმინე და მშობლების თანდასწრებით პირში მივახალე: ის ისედაც ტრიალებს საფლავში ძმის უმსგავსო საქციელის გამო-მეთქი. გაჩუმება არჩია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დამიმარტოხელა და მითხრა: — იცოდე არ გაცოცხლებ, ოჯახი რომ დატოვოო. მაინც ჩემი გავიტანე. იმედი მქონდა, რომ ბავშვებს არაფერი მოაკლდებოდათ. გავყევი ორ მეგობარ ქალს სავაჭროდ. რომ გითხრათ, იქ ქართველების ცუდი არ მინახავს-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ღმერთი ხომ ზემოდან იყურება და ყველაფერს ხედავს? კარგი და ღირსეულიც იყო თურქეთში წამოსული, გარდა ამისა, ტყუილი როგორ ვთქვა თურქებზე. მე და ჩემს მეგობრებს პატივისცემის გარდა, არაფერი მიგვიღია მათგან. ცოტა ხანში სარფიანი სამუშაო გამოჩნდა. ერთი ჩემი მეგობარი საქართველოში დაბრუნდა. ორნი დავრჩით და მაღაზიაში დავიწყეთ მუშაობა. დედამთილ-მამამთილს შევუთვალე, ცოტა ფულის თავმოყრა მინდა-მეთქი. 1992 წელს ალბათ გახსოვთ, რა არეულობაც იყო საქართველოში. თავდაპირველად, მე და ჩემს მეგობარს გადაწყვეტილი გვქონდა, ზაფხულის სეზონზე გვემუშავა, მაგრამ როცა გავიგეთ, ჩვენში უკან-უკან წავიდა საქმე, სამუშაო ვადა ერთ წლამდე გავზარდეთ. სამსუნი დიდი სავაჭრო ქალაქია, ჩვენს მაღაზიას კლიენტები ბუზებივით ეხვეოდა. ბოსიც კარგი თვალით გვიყურებდა... თანაც, დედამთილი მატყობინებდა, გოჩა ისევ დააპატიმრეს, მამამთილს კი ინსულტის მერე მარჯვენა ხელ-ფეხი წაერთვაო. მათ ჩემი იქ ყოფნით გაჭირვებას ვერ შევუმსუბუქებდი, თურქეთიდან კი უფრო მეტად დავეხმარებოდი. ცოტა ხანში ჩემი ძმა, ნიკაც ჩამოვიდა ჩემთან. საქმე აეწყო. ერთის მაგივრად სამი წელი ვიმუშავე სამსუნში. საქართველოში ხშირად ჩამოვდიოდი, დიდხანს ვერ ვძლებდი ბავშვების გარეშე. ვნახავდი, მოვესიყვარულებოდი და ისევ მივდიოდი. ამ სამი წლის მანძილზე იმდენ თანხას მოვუყარე თავი, რომ თბილისში ერთი შენობის ფართი შევისყიდე, მაღაზია გავხსენი და ტანსაცმლით (კარგ საქონელს ვგულისხმობ) დავიწყე ვაჭრობა. საქმე კვლავ წარმატებით აეწყო. ახლა მაღაზიის მეპატრონე მე ვარ. სტამბოლიდან ჩამოგვაქვს ტანსაცმელი. უფრო ჩემი ძმა დადის. მაზლი კვლავ ციხეშია, მაგრამ მე მისი აღარ მეშინია. ვარ მტკიცე ნებისყოფის, დამოუკიდებელი ქალი, რომელმაც კარგი შვილები უნდა აღზარდოს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ო, ეს წყეული გრიპის ვირუსი!

*ქათმის გრიპი შემეყარაო — აქამდე რომ გეთქვა, საგიჟეთში თუ არ გაგაქანებდნენ, სიცილს მაინც დაგაყრიდნენ, მაგრამ თქვენი მონა-მორჩილი კინაღამ იმ ქვეყნად გამამგზავრა ვირუსმა (კიდევ კარგი, ქათმისა არ იყო). გთავაზობთ „აქტუალურ“ მიმოხილვას გრიპთან დაკავშირებით. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთის ნაამბობი გამოგადგეთ მასთან ბრძოლაში, ზოგიერთისამ კი ღიმილი მოგგვაროთ...*



**ლიკა (38 წლის):** — ღმერთმა დამიფაროს, წელს, ჯერჯერობით, ვირუსს არსად გადავყრივარ, მაგრამ გრიპთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. ჩემს მეზობელს უცნაური მამა ჰყავს. გოგია ძია მარტო ცხოვრობს კახეთში და დიდ ყურადღებას აქცევს ტელევიზიით მიღებულ ნებისმიერ ცნობას. ინგლისში ძროხის ცოფი რომ გავრცელდა, აფორიაქდა — ჩემს ძროხებსა და ბოჩოლებს არ შაეყაროთო და ლამის ღამეს ათევდა ბოსელში. ინგლისიდან ცოფი აქ როგორ მოგწვდება-მეთქი, — ვკითხე. ე, შვილო, ისე განვითარდა ტექნიკა, არ არის გასაკვირი, ცოფი თვითმფრინავით შემოვიდესო. მოკლედ, მაგარი უცნაური კაცია გოგია, რაც ამ ერთი კვირის წინ კიდევ უფრო აშკარა გახდა, როცა ქალიშვილს და სიძეს დაძეძგილი კალათებით ესტუმრა სოფლიდან — თურმე ერთი ქათმისთვის უგუნებობა შეუმჩნევია და სანამ „დეპრესია“ სხვებსაც გადაედებოდა, გრიპის ვირუსის შიშით, ყველა დაუხოცავს... ტელევიზორი რომ არა, გოგია ძიას ქათმები ახლაც ცოცხლები იქნებოდნენ და მხიარულად იკრიახებდნენ ეზოყურეში.

**ლადო (45 წლის):** — გრიპის ვირუსის შიშმა ხალხი ჭკუაზე შეშალა. ჩემმა უფროსმა გრიპის საწინააღმდეგო დებულებაც კი შეიმუშავა. რომ იცოდეთ, რა დღეში ვართ! მთელი დაწესებულება ნივრის და არყის სუნად ყარს. დებულებაში მკაფიოდ გვიწერია, რომ დილით აუცილებლად უნდა მივირთვათ ხახვი ან ნივრის ნაყენი და დღეში რამდენჯერმე აუცილებლად უნდა გადავხუხოთ არაყი. ბევრი კმაყოფილიც კი რჩება ჩვენთან სტუმრობით. ჩვენც, გამობრუჟებულებს, მუშაობა აღარ გვინდა და გული გართობისაკენ მიგვიწევს. ამიტომ უფროსი ბაკურიანში წაბრძანდა და დაგვიბარა — ყველაფერი რიგზე დამახვედრეთო. ხომ კარგია?!

**თაკო (29 წლის):** — ბებიაჩემისეული გრიპის საწინააღმდეგო კოქტეილს თუ დალევთ, გრიპი კი არა, ვერაფერი მოგერევათ. ბებია სამი სახეობის წიწაკას სუფთად ფქვავს, თაფლში ურევს, ლიმონის წვენს უმატებს, არაყს ასხამს, კარგად ანჯღრევს და მთელი დღე წრუპავს. ბებია 82 წლის არის და რაც მახსოვს, გრიპი კი არა, უბრალო სურდოც არ გაჰკარებია. ერთადერთხელ გავსინჯე ბებიაჩემის კოქტეილი და კინაღამ გულ-მუცელი ამომწვა...

**გურამი (42 წლის):** — ვფიქრობ, გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო წამლის საიდუმლო ჩემმა კაპასმა სიდედრმა იცის. მთელი ოჯახი ლოგინში ჩაგვყარა გრიპმა, მას კი ძვრა ვერ უყო. ასე იყო შარშანწინ, შარშან, წელს. გრიპზე მეტად მისი კმაყოფილი სახე მშლის ჭკუიდან. წარმოიდგინეთ დილაუთენია შემოიხედავდა ოთახში ირონიული ღიმილით და ვითომ შეწუხებული ხმით მკითხავდა, — ჰა, რას შვრები, როგორა ხარ, ცოცხალი ხარ ისევო? მისი გამოისობით მოჩვენებებიც კი დამეწყო. მესიზმრა თითქოს ჩემი სიდედრი ოთახში რაღაც უცნაური შპრიცით დარბოდა და ბაცილებს ავრცელებდა, თან გიჟივით ხარხარებდა. გულგახეთქილს გამომეღვიძა და მივხვდი, რომ არაფრით შეიძლება ჩვენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება — თვითონ ჩემი სიდედრია ვირუსი, რომელიც შემეყარა ქორწინების პირველ დღეს და მისგან ველარ განვიკურნე...

***ეკა ლიჩელი***

ჩვენ გვწერენ

# რატომ ინგრევა ოჯახი?

„ყმაწვილქალობისას მიკვირდა, რატომ ინგრევა სიყვარულით შექმნილი ოჯახი-მეთქი. პასუხს ვერ ვპოულობდი, ახლა კი...

ხუთი წლის წინ გავთხოვდი. მეგონა, რახან ერთმანეთი გვიყვარდა, ჩვენს ურთიერთობაში არასოდეს გაჩნდებოდა ბზარი...

ვერ გეტყვით, რომ მიჭირს. გვერდით მიდგანან მშობლებიც და დედამთილ-მამამთილიც, თუმცა ჩემსა და ქმარს შორის ურთიერთობა თვალდახელშუა შეიცვალა, განელდა, თითქოს გავუუცხოვდით ერთმანეთს.

იგი სულ გაღიზიანებულია. არაფრის გულისთვის ეჩხუბება შვილს, 4 წლის ბავშვს! არადა რა ქნას ბავშვმა, სულ გაშეშებული და გაჩუმებული ხომ არ იქნება? თამაშიც უნდა და მშობლების ყურადღებაც. საკმარისია ხელი გაანძრიოს, ნერვები ეშლება. ის ექიმია, მაგრამ არა მგონია, საქმის გამო იყოს ასე დაძაბული. იქნებ სხვა შეუყვარდა? მაშინ თქვას და თავისი გზით წავიდეს. ვატყობ, აშკარად ვეზედმეტები. მიჭირს მის გვერდით ყოფნა, მაგრამ ოჯახის დანგრევას მაინც ვერ ვბედავ. რა ვუთხრა ჩემს ან მის მშობლებს? დედამთილ-მამამთილს უდიდეს პატივს ვცემ, მათაც ვუყვარვარ.

იოლად რომ ვუყურებდე ცხოვრებას, ალბათ არც ქმართან გამიჭირდებოდა ურთიერთობა... მაგრამ არ შემიძლია... ახლა უკვე, ნამდვილად აღარ მიკვირს, რატომ ინგრევა ოჯახი.

***ლია, თბილისი“.***

CMYK

# როგორი დროშები ჰქონდათ ქართველებს...

საქართველოს ჰერალდიკა, სამწუხაროდ, ნაკლებად არის შესწავლილი, განსაკუთრებით კი ქართული დროშები. ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, ამ მეცნიერებას საბჭოთა პერიოდში მეცნიერებად არ მიიჩნევდნენ, მეორეც — დროშის ფაქტურა — ქსოვილი — ნაკლებგამძლეა და მისი ისტორიული ნიმუშები ძნელად ინახება. ქარ-



საქართველოს მეფეების დროშა IX-XV სს.

თულ სახელმწიფოებრივ ჰერალდიკასთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიცია, როგორც საპატრიარქოს საპარლამენტო მდივანმა, ბატონმა გიორგი ანდრიაძემ გვითხრა, ასეთია: — დროშა, გერბი თუ ჰიმნი უსათუოდ ისტორიულ წყაროებში უნდა იყოს დაფიქსირებული, რაც ხაზს გაუსვამს ჩვენი სახელმწიფოებრიობის სოლიდურ ასაკს.

სახელმწიფო დროშად მივიღეთ ძველი ქართული დროშა, რომელიც ხალხის დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა.

ქართულ სიმბოლიკაზე კარგა ხანია მუშაობენ ბატონები — **სოსო ბიჭიკაშვილი** და **რაულ ჩაგუნავა**. ახალმიღებული სახელმწიფო დროშის სიმბოლიკის თაობაზე ვესაუბრეთ ისტორიკოს სოსო ბიჭიკაშვილს:

**— საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ყველაზე ადრე როდის დაფიქსირდა ისტორიულ წყაროებში?**

— 1299 წლის ე.წ. ანონიმურ რუკაზე, რომელიც დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული, ცხუმთან (სოხუმი) ხუთჯვრიანი დროშაა დაფიქსირებული.

**— ამ რუკაზე თბილისი ან საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქი თუ არის აღნიშნული?**

— არა... „ბრიტანული" რუკა საზღვაოა და ამიტომ იყო სოხუმი აღნიშნული დროშით; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს საქართველოს სხვა ქალაქებში არ იყო ხუთჯვრიანი დროშები. მაგალითად, 1339 წლის ანჯელინო დულჩერის, 1363 წლის ძმები პიციგანების და გაბრიელ დე ვალსეშის 1447 წლის რუკებზე ხუთჯვრიანი დროშებითაა აღნიშნული თბილისიც და სოხუმიც. ეს მიუთითებს, რომ ხუთჯვრიანი დროშა საუკუნენახევრის მანძილზე არ შეცვლილა, ესე იგი, ის სახელმწიფო დროშა იყო. იმავე რუკებზე პარიზის თავზე ფრანგული სახელმწიფო ალამია, ლონდონის თავზე — ინგლისური ბაირაღი. ჩვენც არ ვიქნებოდით გამონაკლისები.

**— რუკების გარდა ეს სიმბოლიკა სხვა წყაროებშიც თუ გვხვდება?**

— ცხადია. ის გამოსახულია ნეკრესის (არა უგვიანეს VI ს.), ბოჭორმის (X ს.), ჩხარის (XIII ს.), დმანისის (XIV-XV სს) ტაძრებზე.

**— არაერთგზის თქმულა, მაგრამ მაინც გაგვიმეორეთ, რას ნიშნავს სიმბოლურად ხუთი ჯვარი?**

— ერთი ვერსიით, ეს ნიშნავს ქრისტეს ხუთ ჭრილობას, მეორით — დიდი ჯვარი ქრისტეს გამოსახულებაა, პატარა ჯვრები ოთხი მახარობლის სიმბოლო. სამეცნიერო ლიტერატურაშიც ასეთივე ახსნა არსებობს.

**— ხუთჯვრიანი დროშა მონარქის გამომხატველიც იქნებოდა.**



საქართველოს მეფეების დროშა V-XVIII სს (შემორჩენილია ნახატის სახით)

— ეს იყო ბაგრატიონთა დროშა...

**— მაგრამ ბაგრატიონთა დროშა ხომ ერთჯვრიანია!**

— არსებობს ცნობა, რომ ქართველი მეფეების თეთრ დროშაზე წითელი ჯვარი იყო გამოსახული, ხოლო ამირსპასალარებისაზე — თეთრი ჯვარი წითელ ფონზე. სვეტიცხოვლის ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ხომალდი, რომელზეც ამირსპასალარის დროშაა. ეს ფრესკა XVII საუკუნეშია აღდგენილი და ძნელია დაადგინო, მანამდეც (XII-XIII-სს.) ამგვარი იყო თუ არა.

ილხანთა მემატიანის ცნობით, 1299 წელს მონღოლთა მმართველმა ყაზან ყაენმა გაილაშქრა მამლუქების წინააღმდეგ. მას თან ახლდა ქრისტიანი მეფე თავისი



ვახტანგ VI-ის დროშა (ფრაგმენტი)

ჯვრიანი დროშითო.

**— ჩვენამდე შემორჩენილია რამდენიმე ქართული დროშის ნიმუში. გვიამბეთ მათ შესახებ...**

— უძველესი, V-XVIII საუკუნეების დროშა, წმ. გიორგის გამოსახულებით, მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის ნახატის სახითაა შემონახული. რაც შეეხება უშუალოდ დროშას, ყველაზე ადრეულია არჩილ -ის (1661-1698) დროშა, რომლის ვარდისფერ ფონზე დატანილია ბაგრატიონთა ჰერალდიკური სიმბოლიკა: ქნარი და შურდული, გამოსახულია წმინდა ნინო, მეფე მირიანი. ეს და ვახტანგ VI-ის (1703-1724) დროშა ერთმანეთს იმეორებს.

**— ამ დროშებზე მზის სიმბოლოა გამოსახული.**

— ეს არ არის მარტო ქართული სიმბოლიკა, სხვაგანაც გვხვდება. ნებისმიერი წრის გამოსახულება ჯვრის სიმბოლოა. სოლომონ I-ის (1752-1784) დროშაზე გამოსახულია წმინდა გიორგი და მასზე დომინირებს ცისფერი ფერი. საერთოდ კი ცისფერი და მეწამული — ძველი



იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დროშა

ქართული დროშების ფერი — უმთავრესად ქართულ ხატწერაში გვხვდება.

**— როგორ ფიქრობთ, რა იკითხება ჩვენს დროშაზე?**

— ეს არის ბაგრატიონთა და აგრეთვე სახელმწიფო დროშა და მასზე ასახული იყო სახელმწიფოს რელიგიური და ეროვნული მრწამსი. ვფიქრობ, არსებობდა დიდი სახელმწიფო დროშა — წმ. გიორგის გამოსახულებით და მცირე — ხუთჯვრიანი.

**— ხუთჯვრიანი დროშა ისტორიულად საეკლესიოც ხომ არ იყო?**

— ჯვარი მიუთითებს იმაზე, რომ მისი გამოტანა ეკლესიაშიც არ წარმოადგენდა მოულოდნელობას...

**— აჭარისა და აფხაზეთის დროშებს რა უდევს საფუძვლად?**

— აფხაზეთის დროშის სიმბოლო, ხელიანი ალამი, 1345-1350 წლებში შედგენილ დროშების კატალოგში გვხვდება, 1385 წლის სოლერის რუკაზეც იგივე სიმბოლოა სოხუმთან. ხელის გამოსახულება მხოლოდ ხელისუფლებას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ ამ რუკაზე შეცდომა იყო დაშვებული, რომელიც შემდეგ თვითაღიარებულმა რესპუბლიკამ სახელმწიფო სიმბოლოდ გამოიყენა.

აჭარის დროშა — პარტიის დროშა იყო და სრულიად ახალი შექმნილია. ცისფერი — ზღვის სიმბოლოა, ვარსკვლავების განლაგებაზე კი მისი შემქმნელები რას ფიქრობენ, ზუსტად ვერ გეტყვით.

P.S. დროშებს თავისი ცხოვრება აქვთ. იბადებიან, თავის ენაზე მეტყველებენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ახალი სახელმწიფო დროშა ფეხბედნიერად დაგვიბრუნდება...

**ლელა ჯიყაშვილი**

***გთავაზობთ ახალი ქართული დროშის სხვადასხვა ზომის ნიმუშს, რომელიც სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოჭრათ, ააცალოთ ქვემოთა დამცავი ფენა და წებოვანი მხარით სასურველ ადგილას გააკრათ.***

დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული



იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ალმომაჩნდა საშვილოსნოს ფიბრომიომა. იკურნება თუ არა ეს დაავადება და რამდენად ეფექტიანია ხალხური მეთოდებით მკურნალობა?**

***ერთგული მკითხველი***

წერილის მიხედვით ძნელი სათქმელია, საშვილოსნოს როგორი მიომა აღმოაჩნდა ავტორს. თუ რა სახისაა და რა ზომისაა მიომა, მკურნალობაც სხვადასხვაგვარია. თუ გაქვთ საშვილოსნოს უმნიშვნელო გადიდება და ერთეულოვანი, წვრილი მიომური კვანძები, მკურნალობა არ არის აუცილებელი. საჭიროა დინამიკური დაკვირვება ექვს თვეში ერთხელ. თუ ასეთი დაკვირვებისას აღმოჩნდება, რომ საშვილოსნო იზრდება, კვანძები საშვილოსნოს ღრუში თავსდება და მიომა სისხლდენას იწვევს, მაშინ საჭირო ხდება ოპერაცია. კონსერვატიული მკურნალობა სხვადასხვა მედიკამენტით, შედეგს არ იძლევა. ამჟამად ოპერაციული ჩარევის თანამედროვე მეთოდი — ლაპარასკოპია — გამოიყენება საშვილოსნოსშიგა კვანძების მოსაშორებლად.

ხალხური მეთოდები ამ შემთხვევაში ნაკლებეფექტიანია, თუმცა მათი გამოყენება ჯანმრთელობას არ ავნებს.

**დედაჩემს ათი წელია აქვს შაქრიანი დიაბეტი. ბოლო დროს გაუუარესდა მხედველობა. ეს ამ დაავადებასთან არის დაკავშირებული? როგორ ვუმკურნალო?**

***გიული მაღრაძე***

შაქრიანი დიაბეტი მართლაც ხშირად ახდენს გავლენას მხედველობაზე. ეს იმით აიხსნება, რომ დიაბეტი აზიანებს სისხლძარღვებს (უპირატესად წვრილ სისხლძარღვებს). შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს, გარკვეული დროის შემდეგ, უზიანდებათ თვალის, კერძოდ, ბადურის სისხლძარღვები, რის შედეგადაც ქვეითდება თვალის სისხლმომარაგება. ეს კი მხედველობის გაუარესებას იწვევს. ამ დაავადებას ოფთალმოლოგები დიაბეტურ რეტინოპათიას, ანუ დიაბეტის ფონზე განვითარებულ თვალის ბადურის დაზიანებას უწოდებენ. ზოგჯერ შაქრიანი დიაბეტის დროს თვალის კაკლის წინა ნაწილების სისხლმომარაგება უარესდება და მაშინ შესაძლოა განვითარდეს გლაუკომა ან გართულებული კატარაქტა. ნებისმიერი დაავადების მკურნალობა განვითარების საწყის სტადიაზეა საჭირო, ამიტომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულმა ხშირად უნდა მოინახულოს ოკულისტი.

მკურნალობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ რიგში საჭიროა სპეციალური დიეტის დაცვა, რაც სისხლში შაქრის დონის მოწესრიგებისთვისაა აუცილებელი. ეს რეტინოპათიის და ანგიოპათიის განვითარებას შეაფერხებს ან სულაც შეაჩერებს. მკურნალობის შემდგომი ეტაპი ლაზერული ქირურგიაა. თუ წვრილ სისხლძარღვებში პათოლოგიური ცვლილებებია (ადგილი აქვს წვრილკეროვან სისხლჩაქცევებს და შეშუპებებს), მაშინ პაციენტს ლაზერული მკურნალობა ესაჭიროება. უფრო რთულ შემთხვევებში — გართულებული კატარაქტის ან ჰემოფთალმის (დიდი სისხლჩაქცევის) დროს, საჭირო ხდება სერიოზული ქირურგიული ჩარევა.

## ჭარხალადინი

**ძალიან მაწუხებდა სახსრების ტკივილი. არ დამკლებია მაცესტის, მენჯის, თბილისის ბალნეოლოგიური აბანოები. მართალია, დროებით მეხსნებოდა ტკივილი, მაგრამ მალე ისევ მეწყებოდა. თითქმის დავინვალიდდი. მიშველა ჭინჭრის ნაყენმა.**

**ჭინჭრის ფოთლები და ყლორტები (რაც მეტი იქნება, უკეთესია). მოათავსეთ კილიან ქილაში, დაასხით მდუღარე წყალი, თავი დაახურეთ და შეფუთეთ. ერთი საათის შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ნახევარი ღვინის ჭიქა 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე. ამავე წესით შეიძლება გამოიყენოთ ცაცხვის ყვავილი.**

**როდესაც შევატყვე, რომ ნაყენი ტკივილს მიხსნიდა, ჩაის ჭიქითაც დავიწყე სმა, მაგრამ არ უწყენია.**

**მეზობლებს, ვისაც აწუხებდა სახსრების ტკივილი, ეს რეცეპტი ვასწავლე, ყველას უშველა.**

***ღრმა პატივისცემით ლ. ფილიპა, ხობი***

**ექიმის კომენტარი** ჭინჭრის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ რეცეპტის შესაფასებლად ურიგო არ იქნება მცენარის ფარმაკოლოგიური ღირებულებების კიდევ ერთხელ განხილვა.

ჭინჭრის ფოთლები შეიცავს ცილოვან ნივთიერებებს, ჭიანჭველამჟავას, გლიკოზიდ ურტიცინს, K ვიტამინს და ასკორბინის მჟავას, პანთოთენის მჟავას, კაროტინოიდებს, ჰისტამინს, ვიოლაქსანტინს, რკინის მარილებს, ქლოროფილს.

მცენარეში შემავალი ვიტამინები და რკინის მარილები ორგანიზმში მოხვედრისას აწესრიგებს ცხიმოვან ცვლას და ასტიმულირებს ერითროპოეზს (ერითროციტების წარმოქმნას). ჭინჭრის პრეპარატებს აქვს ჰემოსტაზური (სისხლდენის შემაჩერებელი) თვისება, რაც მცენარის ფოთლებში K ვიტამინის შემცველობას უკავშირდება — ეს ვიტამინი ასტიმულირებს ღვიძლში სისხლის შემადედებელი ფაქტორის — პროთრომბინის გამომუშავებას. გარდა ამისა, ჭინჭრის პრეპარატებს აქვს ნაღველმდენი, ანტიანთებითი თვისებები, აგრეთვე ააქტიურებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანი გარსის აღდგენას.

ბოლოდროინდელმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მცენარეს ფარმაკოლოგიურ ღირებულებას მატებს ქლოროფილი, რომელსაც აქვს მასტიმულირებელი და მატონიზებელი მოქმედება, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და კუნთოვან ტონუსს, აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სუნთქვის ცენტრის მუშაობას, ასტიმულირებს დაზიანებული ქსოვილების აღდგენას (ეპითელიზაციას და გრანულაციას).

ამდენად, მცენარე ბიოაქტიურ ნივთიერებათა მართლაც რომ უნიკალურ კომპლექსს შეიცავს და მისი ნაყენი არაერთი დაავადების დროსაა ეფექტიანი. თუმცა, თუ მაღალი პროთრომბინი გაქვს, გირჩევთ, თავი შეიკავოთ ნაყენის უკონტროლოდ, ჭარბად მიღებისაგან.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**რამდენიმე წლის წინ დამისვეს ქრონიკული გლომერულონეფრიტის დიაგნოზი, დამინიშნეს მკურნალობაც, რომელსაც პერიოდულად ვიტარებ. თუმცა, მდგომარეობა თანდათანობით მიუარესდება. თქვენს გაზეთში ბევრი საინტერესო რეცეპტი იბეჭდება. მინდა ვთხოვო მკითხველს, იქნებ ვინმემ იცოდეს ჩემი დაავადების წამალი.**

**ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ.**

**წინასწარ გიხდით მადლობას.**

***მადონა მ. თბილისი***

**უკვე ერთი თვეა, დამემართა „ჭინჭრის ციება". გამომწვევი მიზეზი ვერ დაადგინეს. ალბათ უფრო მედიკამენტურია. ვმკურნალობ ინტენსიურად, მაგრამ უკეთესობას ვერ ვგრძნობ.**

**ძალიან ვთხოვ მკითხველს, თუ იცის რაიმე რეცეპტი (ბალახოვანი ან თუნდაც მედიკამენტი), რომელიც დამეხმარება განკურნებაში, აუცილებლად მომწეროს.**

**გულისხმიერებისთვის მადლობას გიხდით.**

***მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*



## მენინგიტი ვერაგი დაავადებაა!

მენინგიტით შეიძლება დაავადდეს ბავშვიც და უფროსიც. სველი თმით და უქუდოდ ყინვაში გარეთ გამოსვლა შეიძლება გახდეს ანგინით, ოტიტით, ჰაიმორიტით დაავადების მიზეზი, მაგრამ მათ შორის ყველაზე საშიშია მენინგიტი, რომლის შესახებაც არც ისე ბევრი რამ ვიცით.

მენინგიტი ორი სახისაა: ვირუსული და ბაქტერიული. პირველით ავადდებიან უფრო ხშირად და ავადმყოფობაც იოლად მიდის, მეორე — მძიმედ ვითარდება და შეიძლება ცუდადაც დასრულდეს, თუკი ავადმყოფი სწრაფად არ მოხვდება ექიმთან.

მენინგიტის სიმპტომები ძალიან ჰგავს გრიპისას, დაავადებაც გადაეცემა ჰაერიდან; მენინგიტის გამომწვევი მენინგოკოკები, სტრეპტოკოკები, პნევმოკოკები, ენტეროვირუსები და სხვა, მუდმივად ჩვენ გვერდით ბინადრობენ: ვიდრე თბილი და მშრალი ამინდებია, ისინიც „მშვიდად" და „ჩუმად" არიან. მაგალითად, მენინგოკოკები ცოცხლობენ მზეში მხოლოდ 8 საათი, 60°C-ზე კი 10 წუთში იღუპებიან.

აცივდება თუ არა, ეს ბაქტერიები აქტიურდებიან, ამიტომაც მენინგიტით დაავადებულთა რიცხვი იზრდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. ადამიანი ავადდება იმავე სქემით, როგორც მწვავე რესპირატორული დაავადებისას: ბაქტერიები იბუდებენ ცხვირ-ხახის ლორწოვან გარსში, სადაც მრავლდებიან და სწრაფად ხვდებიან სისხლში, მათი მეშვეობით კი, მთელ ორგანიზმში. ეს მოგზაურობა შეიძლება დამთავრდეს უხიფათოდაც და ტრაგიკულადაც, ყოველივე დამოკიდებულია ადამიანის იმუნიტეტზე.

სუსტი ორგანიზმის მქონეთ ეს დაავადება ძალიან მძიმედ გადააქვთ. მენინგიტით უფრო ხშირად ავადდებიან 13-დან 19 წლამდე ასაკის ბავშვები, უმეტესად — ბიჭები...

მენინგიტის საინკუბაციო პერიოდი გრძელდება 2-დან 12 დღემდე. ის შეიძლება ელვისებურიც იყოს.

მენინგიტის სიმპტომებია:

— უძლიერესი თავის ტკივილი, რომელიც მძაფრდება მოძრაობის დროს;
— სიცხე, ციებ-ცხელება;
— პირღებინება;
— თავბრუს ხვევა და სისუსტე;
— ამაღლებულია კანის მგრძნობელობა;
— ორიენტაციის დაკარგვა, დაბინდული აზროვნება;
— კანზე ჩნდება წითელი ლაქები.

პირველი სიმპტომების გამოვლენისთანავე გამოიძახეთ „სასწრაფო".

***სობესედნიკი №3***

## დიეტა ჰიპერტონიკებისათვის

თუ გაწუხებთ ჰიპერტონია, თირკმლის უკმარისობა. ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებები, დარღვეული გაქვთ სისხლის მიმოქცევა, კვირაში ერთხელ მიირთვით მხოლოდ ბრინჯი და კომპოტი. დღეში 6-ჯერ უნდა დალიოთ ხილის კომპოტი, მათ შორის, 2-ჯერ — დააყოლეთ უმარილო წყალში მოხარშული ბრინჯის ფაფა.

საჭიროა: 1,5კგ ახალი ან 240გ გამხმარი ხილი და 120გ შაქარი (სჯობს, თაფლი); 50 გ ბრინჯი.

ერთ დღე-ღამეში წნევა მოწესრიგდება.

***ზდოროვიე ი ჟიზნ №1***

## „სამეფო ჟელე"

ფუტკრის რძე მოთეთრო-მოყვითალო ფერის ფაფისებრი ნივთიერებაა. მას გამოყოფს მუშა ფუტკრის ყბისზედა ჯირკვლები, რომლითაც კვებავენ ახალგამოჩეკილ მუშა ფუტკრებს პირველი 3 დღის განმავლობაში. მას მომჟავო სუნი და თავისებური გემო აქვს, შეიცავს ცილებს, შაქარს, ცხიმებს, მინერალურ ნივთიერებებს, ჰორმონებს, ზრდის ფაქტორებს, 15 მიკროელემენტს, 22 ამინომჟავას (მათ შორის შეუცვლელს), ფერმენტებსა და ვიტამინებს. ფუტკრის რძეში აღმოჩენილია ძალიან მნიშვნელოვანი ცილა — ჰემოგლობინი, რომელსაც ორგანიზმის დამცველი ფუნქცია აკისრია (ანტიტოქსიკური, ვირუს და ბაქტერიასაწინააღმდეგო).

უნიკალური შემადგენლობის წყალობით ფუტკრის რძეს უწოდებენ „სამეფო ჟელეს" და XXI საუკუნის სასწაულმოქმედ სუპერწამალს.

„სამეფო ჟელე" ამაღლებს სასიცოცხლო ტონუსს, აუმჯობესებს მადას, არეგულირებს არტერიულ წნევას, ააქტიურებს ფერმენტულ პროცესებს, ასტიმულირებს სისხლწარმოქმნას, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს.

ფუტკრის რძე, გარდა იმისა, რომ აქვს ანთებისა და რადიაციის საწინააღმდეგო თვისებები, ხელს უწყობს ორგანიზმიდან სხვადასხვა შხამის სწრაფად გამოყოფას (მათ შორის, მძიმე მეტალების), ამცირებს ქოლესტერინს. ფუტკრის რძე ბუნებრივი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა და ამაღლებს ამტანიანობას სტრესებისა და ინფექციებისადმი, აღადგენს ძალას მძიმე ფიზიკური შრომის შემდეგ.

*გთავაზობთ რეცეპტებს:*

**დაქვეითებული იმუნიტეტის** დროს — 5-15 მლ ნატურალური ფუტკრის რძე დღეში 3-ჯერ წუწნეთ.

მკურნალობის კურსია 2-3 კვირა.

**ღვიძლის დაავადების** დროს — 20 მლ ფუტკრის რძეს შეურიეთ 30-50გ თაფლი და 1ს/კ ნარევი დილით, ჭამამდე, ჩაიდეთ ენის ქვეშ.

მკურნალობის კურსია 3-4 კვირა.

***ლიზა №4***

## საღეჭი რეზინი სათამაშო არ არის!

საღეჭი რეზინი შლის ბჟენს, გვირგვინის ხიდებს და სხვა სტომატოლოგიურ კონსტრუქციებს, შეიძლება გაიჩხიროს საყლაპავ მილში ან მსხვილ ნაწლავში და გამოიწვიოს შეკრულობა, ანდა გაუვალობა.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში საღეჭი რეზინის წარმოებისთვის იყენებენ ბუტადიენსტიროლურ კაუჩუკს, რაც კვების პროდუქტების წარმოებაში აკრძალულია. ასეთი საღეჭი რეზინი უფრო მაგარია, მალე კარგავს გემოს და მწარდება. ბავშვებს კატეგორიულად ეკრძალებათ მისი ღეჭვა მანამ, სანამ არ მიხვდებიან, რომ გადაყლაპვა არ შეიძლება. გარდა ამისა, ასეთი რეზინი არ უნდა ღეჭოს მან, ვისაც კუჭი სტკივა, სულერთია, ბავშვი იქნება თუ მოზრდილი.

სამზე მეტი წლის ბავშვს მხოლოდ შეუღებავი რეზინი უნდა ვუყიდოთ და ვასწავლოთ, რომ მისი დაღეჭვა შეიძლება მხოლოდ დღეში 3-ჯერ, თანაც მხოლოდ ჭამის შემდეგ, არა უმეტეს 15 წუთისა. უზმოზე რეზინის ღეჭვა არარეკომენდებულია — ღეჭვის დროს გამოიყოფა კუჭის წვენი და კუჭი იწყებს „თავისი თავის გადამუშავებას", რამაც შეიძლება გამოიწვიოს გასტრიტი ან წყლული.

შაქრის შემცველმა (სორბიტი), რომელიც



ზოგი რეზინის შემადგენლობაში შედის, შეიძლება გამოიწვიოს კუჭის აშლა, მეტეორიზმი და ტკივილი, დარიჩინის სურნელმა შეიძლება გამოიწვიოს პირის ღრუს წყლული, „ბაბოლგუმის" ტიპის ცხიმმა — პირის გარშემო კანის ანთება, ხოლო მენთოლიანმა — ალერგიული ჭინჭრის ციება.

ბავშვისთვის უკეთესია ბუნებრივი ნაძვის კევის ღეჭვა!

***მეგაპოლის-ექსპრესი №2***

# ასთმა — ქალების დაავადებაა

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, ასთმით უმთავრესად მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ავადდებიან.

გარდა ამისა, მანდილოსნები შეტევას გაცილებით მძიმედ იტანენ, ვიდრე მამაკაცები.

ექიმები ფიქრობენ, რომ ყველაფერში დამნაშავეა ჰორმონები — შემთხვევითი არ არის, რომ ასთმა მძაფრდება „კრიტიკულ" დღეებში.

დაავადების განვითარებაში ჰორმონების როლზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ასმით ყველა დაავადებულს პირველი შეტევა ზრდასრულ ასაკში — 18 წლის, ანუ სქესობრივად მომწიფების შემდეგ ემართება.

*ჟენსკიე სეკრეტი*


პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ხატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ხანგრძლივობის დარღვევა ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური განკურნების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სქესოლოგიური საშსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!



N19
ოჯახის
მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



სამედიცინო ცენტრი „ლაზერი"

ბუასილის კვანძების მოცილება ოპერაციის გარეშე უნიკალური უსისხლო ტექნოლოგიით. სწორი ნაწლავის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.

ექიმი ვიტალი ბერიშვილი ☎ 899 70 00 40
ხერხემლის მორჩენა ერთი სეანსით. ალერგიული სურდო. ქრონიკული ტონზილიტი.

ექიმი რევაზ კუტალაძე ☎ 899 54 79 97
შინაგანი დაავადებების მკურნალობა: გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი გზების, სასქესო და სეჩემის დაავადებები.

ცენტრის ხელმძღვანელი: პროფესორი ლუიზა მარსაგიშვილი ☎ 899 20 60 73
ჩვენი შედეგები - ჩვენი რეკლამაა
მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33



რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მენჯისძვლის და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.
მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
აღმაშენებლის 90 I სად, II სართ.
ტელ: 95-47-67; 75-06-14 (საღამოს); 899-26-51-08



სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ვაქცინაციის ცენტრი
(წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78
- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**რა არის ჭარბი წონის მიზეზი? ძალიან მიჭირს წონაში დაკლება, რა გავითვალისწინო, რას მივაქციო ყურადღება, რომ გავხდე?**

*რ. ცინცაძე, ქ. ბათუმი*

# ჭარბი წონის წინააღმდეგ



ჭარბი წონის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ჰიპოთირეოზი — კლინიკური სინდრომი, რომელიც განპირობებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებით, რასაც თან ახლავს თირეოიდული ჰორმონების გამომუშავების შემცირება.

ჰიპოთირეოზი შეიძლება მიმდინარეობდეს მსუბუქად, საშუალო სიმძიმით და მძიმედ. მისი სიმპტომებია: სისუსტის შეგრძნება, შრომის უნარის დაქვეითება, წონაში მატება, თმის ცვენა, კანის სიმშრალე, ფრჩხილების მტვრევა, გაორება და ფცქვნა, მენსტრუალური ციკლის მოშლა, უნაყოფობა, შეკრულობა. თირეოტროპული ჰორმონის გამომუშავების გაძლიერებას თან ახლავს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება.

ფარისებრი ჯირკვალი ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს, ჯირკვლის ფუნქციონირების დაქვეითებისას კი, ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის „სიჩქარე".

ამიტომაც, ჰიპოთირეოზით გამოწვეული ჭარბი წონის დაკლება შესაძლებელია მკურნალობით. ინიშნება თირეოიდული ჰორმონები (თიროქსინი, თირეოტომი, თირეოკომბი, ტრიიოდთირონინი და სხვა). პროცესი რამდენიმე თვეს მოითხოვს.

ჭარბი წონა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცხიმოვანი ცვლის დარღვევასთან, ქოლესტერინის ნორმა სისხლში — 150-280 მგ%-ია, ტრიგლიცერიდისა — 10-165 მგ%. ეს მაჩვენებლები იმატებს ჰიპოთირეოზის, შაქრიანი დიაბეტის და სხვა ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას.

მათი დონე ქვეითდება მწვავე ინფექციის, ანემიის, არასრულფასოვანი და არასაკმარისი კვების დროს.

არსებობს უამრავი რეკლამირებული საშუალება, რომლებიც იწვევს ტრიგლიცერიდისა და ქოლესტერინის დონის დაწევას სისხლში. ხშირად ასეთი საშუალებები განაპირობებენ ფერმენტ ლიპაზას აქტიურობის შემცირებას. ლიპაზა მონაწილეობს ცხიმების გახლეჩის პროცესში.

საკვების შემცველად მიღებული ცხიმი წვრილ ნაწლავში ჰიდროლიზდება, ნაწილი — შეიწოვება. წვრილი ნაწლავების უჯრედებში ხდება ტრიგლიცერიდების ხელახალი სინთეზი და ისინი ლაგდებიან ცხიმოვანი ქსოვილის დეპოში.

თუ ცხიმოვანი ნივთიერებების კონცენტრაციის დამაქვეითებელ საშუალებას იღებთ — ორგანიზმი არ შეიწოვს ცხიმს. ასე რომ, ასეთი საშუალებების ხანგრძლივად მიღებისას, ორგანიზმს მოაკლდება ვიტამინები: A, P, E. ნივთიერებათა ცვლის დარღვევა შეღავდება დაბალი სიმკვრივის ტრიგლიცერიდების კონცენტრაციის მატებით, ეს ტრიგლიცერიდები სინთეზირდება ღვიძლში და მისი მიღება საკვების საშუალებით არ ხდება.

ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების ზეგავლენით იცვლება სისხლის უჯრედების მორფოლოგიური თავისებურებები, ასევე უჯრედშიდა ფერმენტული მოქმედების თავისებურებებიც. ეს არის ორგანიზმის ადაპტაციური და კომპენსაციური ცვლილებები.

ჭარბი წონის მოსაცილებლად მნიშვნელოვანია კვების შეზღუდვა. მიუხედავად ამისა, კვება უნდა იყოს მრავალფეროვანი. არ შეიძლება თვეობით ერთი და იგივე საკვები მიიღოთ, თუნდაც ის სასარგებლო იყოს.

ეცადეთ, ყველა საკვები, რომელსაც მიიღებთ, 37° C-ის სიმხურვალისა იყოს.

და, რაც მთავარია, შემდეგი კერძის ჭამამდე, კუჭი უნდა დაცარიელდეს, ანუ საკვები უნდა მიიღოთ მხოლოდ მას მერე, რაც შიმშილს იგრძნობთ.

ჭარბ წონასთან საბრძოლველად საუკეთესოა კომპლექსური საშუალებები. შეზღუდვა კვების დროს, ფსიქოთერაპია, ვარჯიშები, პოილოგიურად აქტიური დანამატები. მნიშვნელოვანია სპორტულ დარბაზში ცურვა და ფიტნეს ცენტრი მიეკუთვნება დღიური დატვირთვის დოზირება — ხშირად ფეხით და ბარბაცით სირბილი. ამიტომ შესრულეთ 10-წუთიანი ყოველდღიური მარტივი 5 აერობიკული ვარჯიში.

რაც შეეხება სირბილს ჭარბი წონისას, აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ: სირბილის დროს დატვირთვა ხდება სახსრებზე — წვივ-ტერფის სახსრებით დაზიანული — კისრის სახსრები დამთავრებული. მსუქან ადამიანს, რომელიც არ ვარჯიშობს, სირბილმა შეიძლება არასასურველი შედეგი მოუტანოს. თანაც, სირბილი ვერ „გაამაგრებს" მუცლისა და დუნდულა კუნთებს.

მნიშვნელოვანია მოტივაციური ფაქტორის არსებობაც. ამაში დაგეხმარებათ ყოველ დილას ან საღამოს საკუთარი შიშველი სხეულის გულდასმით დათვალიერება. ეს უმეტესობისთვის საუკეთესო მოტივაციური ფაქტორია ჭარბ წონასთან ბრძოლის გამოსახატებლად.

*მაია მუხიგული*

# ხვეღებას შველის

...თხლად დაჭრილ 7-8 ცალ ბოლოკს დაასხით შაქარი და გააჩერეთ 5-6 საათი. თითო ს/კ წვენი მიიღეთ საათში ერთხელ.

...ერთლიტრიან ქურქელში ჩაყარეთ 100-150 გ წვრილად დაჭრილი ხახვი, დაამატეთ 100 გ თაფლი და ქურქელი შეავსეთ კარგი წითელი ღვინით. გააჩერეთ 2 კვირა, გაფილტრეთ და მიიღეთ 3-4 ს/კ დღეში.

...გახეხილ 2 ცალ მწიფე ბანანს დაასხით ერთი ფინჯანი შაქრიანი ცხელი წყალი. შეაცხელეთ და დალიეთ 3-ჯერ დღეში.

...თითო ს/კ ჭვავს, შვრიას, ქერის მარცვალს, ვარდკაჭკაჭას, 2გ მწარე ნუშს დაამატეთ წყალი, ადუღეთ, როგორც ყავა და მიიღეთ დღეში 6-ჯერ (70-70გ).

...თალგამის ცხელი, შაქრიანი (ან თაფლიანი) წვენი მიიღეთ გაციებით გამოწვეული ხველების და მკერდში ტკივილის დროს.

...გოგლომოგლს დაამატეთ რომი და მიიღეთ უზმოზე.

...თითო 1ს/კ თანაბარი რაოდენობის სტაფილოს წვენის, რძის ან თაფლიანი წყლის ნარევი მიიღეთ დღეში 6-ჯერ.

...აურეეთ 2 ს/კ ახალი კარაქი, ორი კვერცხის გული, 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი და 2 ჩ/კ თაფლი. დღის განმავლობაში მიიღეთ თითო ჩ/კ ნარევი.

*ტატიანა ელაშვილი №3*


ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ცხრის-დაავადებას 15-20 წთ-ში;
- ...
- კომპლექსური მკურნალობა...
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სახლი. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ).
10-14 სთ.



სამედიცინო ცენტრი „ლაზერი"
- სექსუალური პრობლემები
- უროლოგიური დარღვევები
- პროსტატიტი
მის: ბახტრიონის 18,
☎ 91-18-33; 899-21-36-30


# ჩაის აბაზანები

ჩაის აბაზანები ხსნის დაძაბულობას, აუმჯობესებს კანის მდგომარეობას. ჩაი შეიცავს ბევრ არაორგანულ მინერალურ ნივთიერებას. მას აქვს ანტისეპტიკური მოქმედება, ანთებისაწინააღმდეგო და ზოგადგამაჯანსაღებელი თვისებები. 150 გ შავი ჩაის ფოთოლი, მოხარშეთ 3 ლ წყალში, გააჩერეთ 5-7 წუთი, შემდეგ ჩაასხით წყლით სავსე აბაზანაში და ჩაწექით.

*ლიზა №5*


ეძლვნება ნამდვილ მამაკაცებს!



უკვე არა ერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს "პროსტა სტრონგ"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"

"პროსტა სტრონგ"-ის ფორმულა ხელს უწყობს:

- პროსტატის ჯანმრთელობას,
- შარდის ნორმალურ გამოყოფას,
- იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.




„ნუტრიმენტ ჰაუსი" კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა
www.shopge.com

??????

## ბუშს საარჩევნოდ ბინ ლადენს აჩუქებენ

მოუხელთებელი საერთაშორისო ტერორისტი №1 უსამა ბინ ლადენი დროდადრო ამერიკას ახალი ტერაქტებით ემუქრება, სხვადასხვა ქვეყანაში წამიერად გამოჩნდება ხოლმე. აშშ-ის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ უსამა ბინ ლადენს საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაიჭერენ. „ეჭვი არ გვეპარება, რომ გაისად, ნოემბრამდე, მას აუცილებლად ხელსი ჩაიგდებენ — სპეცსამსახურები და სამხედროები უკვე კვალში უდგანან, — აცხადებს აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის წევრი, სენატორ ჩარლზ გრასლი. ამას აცხადებს სენატის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის კომპეტენციაში არ შედის დაზვერვა და საერთაშორისო



დამნაშავეების დაჭერა. ანალიტიკოსებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ „ალ-ქაიდას“ ლიდერის ხელში ჩაგდება ჯორჯ ბუშის პოპულარობას ერთიორად გაზრდიდა. ზოგიერთ მაღალჩინოსან პოლიტიკურ მოღვაწეს, მაგალითად, ყოფილი სახელმწიფო მდივანს, მადლენ ოლბრაიტს, მიაჩნია, რომ ბინ ლადენი დიდი ხანია დაჭერილი ჰყავთ, მაგრამ ინფორმაციას არ ახმაურებენ, რომ ეს ამბავი არჩევნების წინა დღეებში გამოაცხადონ. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი აზრი, ერაყის ომთან დაკავშირებით, მერყეობს. გამოკითხვამ დაადასტურა, რომ აშშ-ის მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ იწონებს ქვეყნის ადმინისტრაციის მოქმედებას. გარდა ამისა, უზარმაზარმა სამხედრო ხარჯმა, რომელსაც ბუში გადამხდელებისაგან ითხოვს, ბიუჯეტში უკვე შექმნა სარეკორდო დეფიციტი. ამჟამინდელი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ კრიზისს აქტიურად იყენებენ დემოკრატები თავიანთ წინასაარჩევნო კომპანიაში.

*კომერსანტი №17*

საუდის არაბეთი

## „ასე ინება უზენაესმა“

ყურბან-ბაირამის პირველ დღეს, მექას მახლობლად, 2 მილიონზე მეტი მომლოცველი შეიკრიბა. მინას ველიდან გზა არაფატის მთისაკენ მიემართება. ამ მთაზე სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ავიდეს მორწმუნე მუსლიმანი.

თეთრსამოსიანი მომლოცველები, მზის პირველი სხივის ამოწვერვისთანავე, ჯამართის



ხიდისკენ გაემართნენ, სადაც ქვები უნდა დაეშინათ ბოძებისათვის, რომლებიც სიმბოლურად ეშმაკს — შაითანს — განასახიერებენ.

— ეს ტრადიცია არა მარტო ყველაზე მნიშვნელოვანია, არამედ საშიშიც. როცა მთელი დღის მანძილზე იქ მყოფი მომლოცველები ქვებს ისვრიან, ცხადია, ტრაგედია შეიძლება ნებისმიერმა შემთხვევამ გამოიწვიოს. სწორედ ეს მოხდა მექას შემოგარენში, მინას ველზე. ერთი მომლოცველი დაეცა, დაცემულზე ახლა მის შემდეგ მყოფმა წაიბორძიკა, მის უკან მომავლები შეფერხდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაეცნენ. დანარჩენებს ინერციით გვამებზე მოუხდათ გადავლა...

დაღუპული 250 მუსლიმანიდან უმეტესობა აზიის ქვეყნებიდანაა. ჰაჯის ისტორია ცხადჰყოფს, რომ ეშმაკის ქვებით ცემის დროს მსგავსი ტრაგედია არაერთხელ მომხდარა, თუმცა ამხელა მსხვერპლი არასდროს მოჰყოლია.

ადგილობრივი ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი იღონა ჰაჯის უსაფრთხოდ ჩასატარებლად, ფილოსოფიურად მიუდგა მომხდარს — ასე ინება უზენაესმა, ბედისწერა სიფრთხილეზე ძლიერიაო. მომხდარის მიუხედავად, ყურბან-ბაირამის ზეიმი გაგრძელდა. მომლოცველებმაი ალაჰს მსხვერპლი შესწირეს, დაიკლა ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი და თხა, ათასობით აქლემი და ძროხა.

*კომერსანტი №18*

## პაკისტანის მთავარი მეატომე ბირთვული საიდუმლოებებით ვაჭრობდა

პაკისტანის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პაკისტანის ატომური ბომბის შემქმნელმა აბდულ კადირხანმა აღიარა, — ბირთვული საიდუმლოებები მივყიდე ლიბიას, ირანსა და ჩრდილოეთ კორეასო. აბდულ კადირ-ხანი, რომელიც 2001 წლამდე ხელმძღვანელობდა თავისივე სახელობის ლაბორატორიას, პაკისტანის ატომური ბომბის მამად ითვლება. შეგახსენებთ, რომ 1998 წლის მაისში პაკისტანმა ბირთვული იარაღი გამოსცადა — რამდენიმე დღეში იგივე მოხდა ინდოეთში.

ბატონ ხანს, 70-იან წლებში, ნიდერლანდებში, ინგლისურ-ჰოლანდიურ-გერმანულ კონსორციუმ რენცო-ში მუშაობის დროსაც ადანაშაულებდნენ — უკანონოდ მოიპოვა ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული მასალები და პაკისტანში გაგზავნაო.

1984 წელს პაკისტანი უკვე მზად იყო ბირთვული გამოცდის ჩასატარებლად, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებით, გამოცდა გადაიდო ინდოეთის მხრიდან ანალოგიური ნაბიჯების გადადგმამდე, რათა არ გაღრმავებულიყო ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა. უკვე ორი თვეა, პაკისტანში დიდი ამბები ტრიალებს ბირთვული საიდუმლოებების გაცემის გამო. აბდულ კადირ ხანმა განაცხადა, — ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ გვინდოდა, ისლამური სამყაროს თავდაცვითი პოტენციალი გაგვეზარდაო. ბატონი ხანი იმაზე აღარაფერს ამბობს, რა შუაში იყო ჩრდილოეთ კორეა ისლამურ სამყაროსთან. შესაძლებელია, ფხენიანს ბირთვულ ტექნოლოგიას ბალისტიკური რაკეტების სანაცვლოდ აძლევდნენ.

პაკისტანში ეჭვი არავის ეპარება, რომ ბირთვული საიდუმლოების სხვა ქვეყნებისათვის მიყიდვა ქვეყნის სპეცსამსახურების და არმიის დაუხმარებლად ვერ მოხერხდებოდა. პრეზიდენტი მუშარაფი შეიარაღებულ ძალებს 1998 წლიდან უდგას სათავეში. აბდულ კადირ ხანი ბირთვული საიდუმლოებებით კი მანამდეც ვაჭრობდა, მაგრამ ცხადია, რომ ბრალდება შეიძლება ქვეყნის მეთაურსაც შეეხოს.

პაკისტანის საზოგადოება ძალიან მტკივნეულად განიცდის მუსლიმურ სამყაროში პირველი ატომური ბომბის შემქმნელი მეცნიერის დევნას. ამბობენ — მას ჩვენ ეროვნულ გმირად ვთვლიდით, მაგრამ გმირსაც შესძლებია ტრაგიკული შეცდომის დაშვებაო.

აბდულ კადირ ხანმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში ჩადენილი საქციელის გამო, პრეზიდენტმა მუშარაფმა აპატია მეცნიერს დანაშაული და განაცხადა, — ქვეყნის წინაშე მისი დამსახურება დანაშაულზე დიდიაო.

პრეზიდენტმა კატეგორიული უარი უთხრა ატომური ენერგეტიკის დარგში საერთაშორისო სააგენტოს პაკისტანიდან ბირთვული ტექნოლოგიის გადინების ფაქტების დამოუკიდებელ გამოკვლევაზე.

*ნიუ ზიუქი*

## ცსს-ს დირექტორს შეუძლია ბარგი შეკრას

ამერიკელი სენატორის ჯონ მაკეინის წინადადებით, შეიქმნება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობაში ჩავარდნების შემსწავლელი კომისია. სენატორს მიაჩნია, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის აღმოუჩენლობა დაზვერვის მუშაობის ეფექტიანობის გამოძიების სერიოზულ საბაბს იძლევა. თავისი წინადადება მაკეინმა ერაყში მასობრივი განადგურების „იარაღის დარგში“ მთავარი ინსპექტორის დევიდ კეის გადადგომიდან ერთი კვირის თავზე წამოაყენა. თავად კეიმ კი განაცხადა, — ცსს-მ შეცდომაში შეიყვანა პრეზიდენტი ბუში და ბოდიში უნდა მოუხადოსო.

კეის წინადადებას მიემხრო პრეზიდენტობის სამი კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან: ჰოვარდ დინი, ჯონ კერი და ჯონ ედვარდსი. დამოუკიდებელი კომისიის შექმნას ცსს-ს ყოფილმა თანამშრომლებმაც დაუჭირეს მხარი. მათ მიაჩნიათ, რომ სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს აშშ-ის დაზვერვის რეფორმა.

თეთრი სახლის ადმინისტრაციის პრესმდივანმა სკოტ მაკლილინმა განაცხადა, — პრეზიდენტი ბუში მხარს არ უჭერს დამოუკიდებელი კომისიის შექმნასო. ადმინისტრაციას მიემხრნენ სენატში დაზვერვის და შეარაღებულ ძალთა დარგში კომიტეტების თავმჯდომარეები პეტ რობერტსი და ჯონ უორნერი. ისინი კერძო გამოძიებას აწარმოებდნენ, რაც ჯერ არ დაუსრულებიათ. თეთრ




სახლთან ახლოს მყოფი წყარო ირწმუნება, რომ ცსს-ს დირექტორს ჯორჯ ტენეტს წყალი აქვს შემდგარი და გადადგომა მოუწევსო. ჯორჯ ტენეტი 1997 წლიდან ხელმძღვანელობს ცენტრალურ სადაზვერვო კომისიას.

*კომერსანტი №17*

## მიირთვით ქათმის ხორცი, ეპიდემიისა ნუ გეშინიათ!

„კომპენსაციის სახით, 80 ათას დოლარს გადავუხდი იმ ადამიანის ოჯახს, ვისი სიკვდილის მიზეზიც გახდება მაგრად მოხარშული კვერცხი, ერბოკვერცხი ან თერმულად კარგად დამუშავებული ქათმის ხორცი“, — ამ სიტყვებით მიმართა თავის ხალხს ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაქსინ ჩინავატმა. ქათმის გრიპის ეპიდემია, რომელიც აზიის ქვეყნებში მძვინვარებს, თითქმის ნახევარ ტაილანდს მოედო. ვირუსი ფრინველებიდან ადამიანებზე გადავიდა, არის მსხვერპლი. ამის გამო ტაილანდური ქათმის ხორცის ექსპორტი, რომლის წლიური მოცულობა 1 მლრდ დოლარზე მეტია, მნიშვნელოვნად შემცირდა. ევროკავშირმა, იაპონიამ და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ უარი თქვეს ქათმის ხორცის შესყიდვაზე. პრემიერმა ჩინავატმა ტაილანდელებს მოუწოდა, — მხარი დაუჭირეთ მეფრინველეობას, უარს ნუ იტყვით კვერცხსა და ქათმის ხორცზეო და დაჰპირდა, თუ ვინმე დაავადდა, კომპენსაციის სახით თითოეულს 2,25 ათას დოლარს გადავუხდითო. ისიც დასძინა, — ქათმის გრიპი ჩვენს ეკონომიკას იმდენს ვერაფერს დააკლებს, რაც შარშანდელმა ატიპური პნევმონიის ეპიდემიამ აზარალა, წელს ეკონომიკური აღმავლობა 8%-ზე ნაკლები არ იქნებაო.

რადიოთი გამოსვლის შემდეგ ბატონი ჩინავატი ერთ-ერთი სასაუზმისკენ გაემართა, სადაც ქათმის ხორცის კერძებს ამზადებენ და სიამოვნებით მიირთვა ქათმის ბარკალი.




ამინდი

## ევროპასა და ამერიკაში დიდთოვლობაა

თოვლის საბურველში გაეხვია გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია და ევროპის სხვა ქვეყნები. თოვლი გახდა მრავალრიცხოვანი ხიფათის მიზეზი. მარტო გერმანიის გზებზე 250 ავარია მოხდა.

დიდ ბრიტანეთში დილაადრიან მოსული თოვლი სწრაფად გადნა, რადგან დღისით თბილოდა. ღამე კი გაიყინა. მართალია, ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ქვიშას ყრიან, მაგრამ მგზავრობა მაინც ჭირს. საფრთხეს აძლიერებს მოსალოდნელი დიდი ყინვებიც. ბრიტანეთის ზოგიერთ რაიონში მატარებლები არც ახლა დადიან, არ მუშაობს მეტრო, სკოლები დაიხურა, გაერთიანებული სამეფო, შარშანდელივით, არც ახლა აღმოჩნდა მზად მკაცრი ზამთრისთვის.

საფრანგეთს ქარბუქმა გადაუარა. პარიზში მოძრაობა შეფერხებულია. თოვლმა დაფარა შამპანის მთა-გორები და ტყეები. ზოგიერთ რაიონში დროებით აიკრძალა სატვირთო მანქანების, სასკოლო ავტობუსების მოძრაობა, სკოლები არ მუშაობს.

დიდთოვლობამ და ყინვამ გერმანიის ყველაზე დიდ აეროპორტში, მაინის ფრანკფურტში, 60-ზე მეტი ავიარეისი შეაჩერა, ლონდონის აეროპორტ ჰიტროუში — 200, დაიხურა ბირმინგემის აეროპორტიც, ამსტერდამისა და ბრიუსელის აეროპორტებშიც ბევრმა მგზავრმა მოიყარა თავი.

აშშ-შიც უჩვეულოდ ცივა, გზები მოლიპულია, ზოგიერთ შტატში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ქარბუქებმა 35 ადამიანი იმსხვერპლა, ბევრიც დაშავდა.

*ლენტა რუ*

## მოკლედ

**მოსკოვში**, მეტროპოლიტენის სადგურებს — „ავტოზავოდსკაიასა“ და „პაველეცკაიას“ შორის გვირაბში მატარებლის აფეთქებას ხანძარი მოჰყვა. ვარაუდობენ, რომ ეს იყო ტერაქტი, რომელსაც 50 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. 80-ზე მეტი დაშავებული მოსკოვის საავადმყოფოებში მოათავსეს, 130 ადამიანს ადგილზე აღმოუჩინეს დახმარება. მაშველებს ძალიან გაუჭირდათ ცეცხლმოდებული გვირაბიდან ხალხის გამოყვანა და თან ხანძრის ჩაქრობა. ფიქრობენ, რომ შესაძლოა ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩემოდანში იდო და იგი დანიშნულ დროს აფეთქდა ან კამიკაძემ თავიც აიფეთქა და მგზავრებიც...

**ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკაში წელს ატიპური პნევმონიის მეოთხე შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებული თავს უკვე კარგად გრძნობს. შარშან ატიპურმა პნევმონიამ 8 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**დიდი ბრიტანეთის** მთავრობა ტერორიზმთან ბრძოლის ხერხების გამკაცრებას აპირებს იმ საბაბით, რომ საშუალება ჰქონდეს, გაურკვეველი დროით დააკავოს ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილები. გარდა ამისა, შეიქმნება სპეციალური სასამართლოები. მოსამართლეების განკარგულებაში იქნება საიდუმლო მასალები, რომლებსაც გამოიყენებენ, მაგრამ გამოქვეყნების უფლება არ ექნებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესი დახურული იქნება.

**ევროკავშირში** დიდი სკანდალი ატყდა ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ევროპელებმა პალესტინის ავტონომიას გამოუყვეს. ევროკავშირის საკონტროლო ორგანოები ეჭვობენ, რომ ამ სახსრებით ფინანსდება ტერორისტული დაჯგუფები. თუ ეს დადასტურდა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარს, კრის პატენს, გადადგომა მოუწევს.

**თურქეთში**, ანკარის მახლობლად, აფეთქების შედეგად ჩამოინგრა 10-სართულიანი სახლი, რომელშიც დაახლოებით 140 ადამიანი ცხოვრობდა. 31 კაცის გადარჩენა მოხერხდა, 38 — დაიღუპა, ბევრი ნანგრევებქვეშ მოჰყვა. მათ ეძებენ. ტრაგედია გათბობის სისტემის საქვაბეში მომხდარმა აფეთქებამ გამოიწვია.

**საფრანგეთი** დაუსწრებლად აპირებს ყოფილი ჩილეელი დიქტატორის, აუგუსტო პინოჩეტის გასამართლებას — 70-იან წლებში, მისი მმართველობის დროს, დააპატიმრეს 3 ფრანგი მოქალაქე, მერე კი მათი კვალი დაიკარგა. პინოჩეტს სიცოცხლის ბოლომდე სენატორის იმუნიტეტიც იცავს და თანაც 88 წლის ყოფილ დიქტატორს ფსიქიკური მდგომარეობა სასამართლოში მონაწილეობის ნებას არ აძლევს. აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის წლებში დაიღუპა ან დაიკარგა მისი რამდენიმე ათასი პოლიტიკური მოწინააღმდეგე.

**ინდონეზიაში,** რიხტერის სკალით, 6,9-ბალიან მიწისძვრას 22 ადამიანი ემსხვერპლა, 700-ზე მეტი დაშავდა. სტიქიამ ასობით საცხოვრებელი სახლი დაანგრია. მიწისძვრის ეპიცენტრი ქ. ნაბირის (სამხრეთ პაპუას პროვინცია) მახლობლად იყო. დანგრეულია აეროპორტი, მეჩეთი, ხიდები.

**პეკინიდან** 70 კმ-ის დაშორებით, მიუნის პარკში გამართულ, ტრადიციული ფარნების დღესასწაულზე ათასობით ჩინელი ფეიერვერკს უყურებდა. ერთი მაყურებელი ხიდზე წაიქცა. ამას მოჰყვა ჭყლეტა, 37 ადამიანი ბრბომ გადათელა, 15 დაშავდა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# «მინიკალენდარი»

— „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ წინა ნომერში, თქვენს რუბრიკაში ამოვიკითხე 29 თებერვალს დაბადებულ გამოჩენილ ადამიანთა შესახებ. თავად მე დაბადებული ვარ 6 თებერვალს, „კვირის პალიტრას“ ვთხოვ „საჩუქარს“ — გამოაქვეყნოს ამ დღეს დაბადებულ გამოჩენილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა სია.

***ანა სიხარულიძე***

„კვირის პალიტრა“ გილოცავთ დაბადების დღეს და ვასრულებთ თქვენს თხოვნას. გარდა ამისა, კითხვამ ახალი მინირუბრიკის შექმნა გვიკარნახა:

**კვირის „მინიკალენდარი“:**

*1 თებერვალს* დაბადებულები არიან:

**ბორის ელცინი** (რუსეთის პირველი პრეზიდენტი); **კლარკ გეიბლი** (მსახიობი).

*2 თებერვალი:*

**ჯეიმს ჯოისი** (ამერიკელი მწერალი); **შარლ ტალეირანი** (ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე); **ოთარ იოსელიანი** (რეჟისორი).

*3 თებერვალი:*

**ფელიქს მენდელსონი** (კომპოზიტორი, დირიჟორი).

*4 თებერვალი:*

**კონსტანტინე წერეთელი** (აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი, სემიტოლოგი); **ელის კუპერი** (როკმომღერალი).

*5 თებერვალი:*

**მარი ფელისიტე ბროსე** (ფრანგი ქართველოლოგი, მკვლევარი); **ბობი ბრაუნი** (მომღერალი); **ანდრე სიტროენი** (ინჟინერი და მეწარმე).

*6 თებერვალი:*

**მიხეილ თუმანიშვილი** (რეჟისორი); **რონალდ რეიგანი** (აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი 1981-89 წლებში); **ანა სტიუარტი** (ბრიტანეთის დედოფალი — 1702-1714 წ.წ.); **ფრანსუა ტრიუფო** (რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი); **ბობ მარლი** (მომღერალი, მუსიკოსი).

*7 თებერვალი:*

**სერგო ქობულაძე** (მხატვარი, მკვლევარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი); **დიტერ ბოლენი** (მომღერალი „Modern Talking“); **ჩარლზ დიკენსი** (მწერალი); **თომას მორი** (ჰუმანისტი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი).

*8 თებერვალი:*

**დავით ალმაშენებელი**; **ივანე მაჩაბელი** (მთარგმნელი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე); **ალექსანდრე ჟორჟოლიანი** (მსახიობი); **ჟიულ ვერნი** (მწერალი ფანტასტი); **დიმიტრი მენდელეევი** (ქიმიკოსი); **ნიკ ნოლტი** (მსახიობი).

# თუთიყუში «მიშას» წარმოთქმას ყველაზე კარგად ითვისებს

— მაინტერესებს, რომელი ჯიშის თუთიყუში სწავლობს ლაპარაკს, სად შეიძლება შევიძინო მოლაპარაკე თუთიყუში და რა ღირს? როგორ ვასწავლო თუთიყუშს ლაპარაკი?

***ნანიკო კორძახია***

კითხვაზე უპასუხებს **მაიკო სუხიტაშვილი**, ვეტერინარი.



— თუთიყუშების სახეობებიდან, რომლებიც არ ლაპარაკობენ, გამონაკლისია მხოლოდ 2-3, თუმცა, შესაძლოა ცალკეული სიტყვები მაინც შეისწავლონ. დანარჩენი თუთიყუშები კი, თუ ადრეული ასაკიდან დაიცავთ წესებს, ლაპარაკს კარგად ისწავლიან. დიდი ზომის თუთიყუშები ლაპარაკს პატარებთან შედარებით კარგად სწავლობენ და მეტ სიტყვასაც იმახსოვრებენ. მაგალითად აპრა, ამაზონის თუთიყუში, კაკადუ, ჟაკო და სხვა. თუმცა ეს თუთიყუშები ჩვენთან იშვიათობაა. თუ გინდათ, „ჩვენებურ“ თუთიყუშებს ლაპარაკი ასწავლოთ, სწავლების პროცესი ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოთ. ამიტომ არ გირჩევთ საზღვარგარეთიდან შემოყვანილი თუთიყუშის შეძენას (მაგალითად, ჟაკო 500 დოლარი ღირს, ხოლო კაკადუ და ამაზონის თეთრშუბლა 1000 დოლარზე მეტი), ანუ ეს ძალზე ძვირი სიამოვნებაა. თანაც, გარანტია იმისა, რომ თუთიყუში შეისწავლის ლაპარაკს, ნაკლებია. რაც შეეხება საქართველოში გავრცელებულ პატარა ხუჭუჭა თუთიყუშს, იგი მშვენივრად სწავლობს ლაპარაკს. შეუძლია 60 სიტყვაზე მეტის დამახსოვრება. ასე რომ, თუ გინდათ თუთიყუში აალაპარაკოთ, იგი უნდა შეიძინოთ ადრეულ ასაკში (ბუდიდან გადმოყვანიდან დაახლოებით, 1 თვის შემდეგ) და სასურველია მამალი (მარტოობას უკეთ ეგუება და სიტყვებსაც უფრო სწრაფად სწავლობს). თუთიყუშს უნდა ელაპარაკოთ ხშირად, თანაც აკონტროლოთ ხმის ტემბრი, ეცადოთ რომ სიტყვა, რომელიც გინდათ თუთიყუშმა წარმოთქვას, ერთი და იმავე ინტონაციით გამოთქვათ. ყიდვისას ყურადღება გაამახვილეთ თუთიყუშის ნისკარტზე. როგორც წესი, იგი შავი ფერისა უნდა იყოს, თანაც ასაკით პატარა თუთიყუში ღაბუა და ბურთივით მრგვალია, კუდი მოკლე აქვს, უჭირს ფრენა...

თუთიყუში ადამიანთა გარემოში უნდა იზრდებოდეს, ადრეულ ასაკში არ უნდა ესმოდეს ჩიტების გალობა. თუთიყუში კარგად ითვისებს ისეთ სიტყვებს, რომელშიც არის ასო შ, ჩ, კ და სხვა ბგერები. კარგად წარმოთქვამს ისეთ სიტყვებს და სახელებს, როგორიცაა — მიშა, ჩიკო, მშია და სხვა. მთავარია, ერთი სიტყვა ისწავლოს და უკვე თამამად შეგიძლიათ მისი ლექსიკონის შევსება. ხუჭუჭა თუთიყუში არ ღირს ძვირი — 8-იდან 20 ლარამდე.

# სიტყვათა კონა

**ზიკზიკა** (საუბ.) — მორთული, მოკაზმული.

**ზილი** — საშუალო ხმა სამხმიან სიმღერაში.

**ზიმზიმი** — ჩოჩქოლი, ჟრიამული.

**ზინათი** (სპ.) (ძვ.) — სიმდიდრე, ძვირფასი ნივთები, განძეულობა.

**ზინდანი** — 1. პატარა გრდემლი. 2. ოქრომჭედლის პატარა კვერი.

**ზინზილი** — გამჯდარი ოფლისა და ცხიმის ჭუჭყი.

**ზიპი** — თხევადი ცხიმი, მიღებული ზოგი ზღვის ცხოველისა და ზოგი თევზის ქონისაგან.

**ზმა** — გალექსილ თქმაში შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომელთა შეერთებით გამოდის ახალი სიტყვა.

**ზმუკი** — წყევლაა; ჩვეულებრივ ითქმის ვისიმე მომაბეზრებელი ოხვრის, კვნესის, ზმუილის მსგავსი ხმიანობის, ზმუკუნის საპასუხოდ.

**ზოდიაქო** — (ბერძ.) (ასტრ.) — ცის სფეროს წარმოსახვითი სარტყელი — მზის წლიური მოძრაობის გზა.

# იმსახურა თუ არა პრეზიდენტმა ჯარში

— გაიარა თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახური ჩვენმა ამჟამინდელმა პრეზიდენტმა. თუ იმსახურა, რომელ წლებში და სად, ხოლო თუ არა, რატომ?

***ნინო მურჯიკნელი***



კითხვაზე უპასუხებს ქალბატონი **მზია წერეთელი**, პრეზიდენტის ბებია.

— იმ პერიოდში, როდესაც მიხეილს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა მოუვიდა, საქართველოს თავისი შეიარაღებული ძალები არ ჰყოლია, ანუ მაშინ საბჭოთა კავშირის ჯარი არსებობდა მხოლოდ. რომელ ჭკუათმყოფელს გაუხარდებოდა ჯარში გაწვევა, თანაც იმ პერიოდში (1985წ.), მაგრამ მიხეილი თავის მოქალაქეობრივ ვალს გაგებით მოეკიდა, თანაც კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მოთხოვნა იყო, რომ ახალგაზრდას, რომელსაც სურდა ამ ინსტიტუტში სწავლა, უნდა მოეხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური. როგორც ამჟამად, საქართველოში მაშინაც (ოღონდ საბჭოთა კავშირში) სამხედრო სავალდებულო სამსახური 2-წლიანი იყო. თავდაპირველად მიშა უკრაინაში, ქალაქ ჩოპში, სასაზღვრო ჯარებში გაანაწილეს, სადაც ერთი წელი იმსახურა; ხოლო მეორე წელს კიევის სამხედრო აეროპორტში გადაიყვანეს. მიხეილი ნამდვილად არ გახლავთ იმ ახალგაზრდა მამაკაცების რიცხვში, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ, თავი აარიდა ჯარში სამსახურს.

# ბუშმა რომ ქართული იცოდეს...

— ოფიციალური ვიზიტების დროს უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის ქვეყნის პირველი პირები საუბრობენ საკუთარ სახელმწიფო ენაზე თუ იმ „მასპინძელი“ ქვეყნების ენაზე, რომელსაც სტუმრობენ? ასევე მაინტერესებს, აუცილებელია თუ არა, საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად, გაეროსა და ევროსაბჭოში მოხსენებით რომელიმე საერთაშორისო ენაზე წარდგე დამსწრეთა წინაშე. რას ითვალისწინებს ამ შემთხვევაში პროტოკოლი?

***მიხეილ ყაველაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **გიგა მირხანაშვილი**, სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის, სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების რეფერენტი.

— მსოფლიოს საერთაშორისო პროტოკოლის ნორმები რაიმე შეზღუდვას ჩარჩოებსა და საზღვრებს (ენასთან მიმართებაში) არ აწესებს. უცხო ქვეყნის სახელმწიფოს სამთავრობო დელეგაციას, მათ შორის სახელმწიფოს პირველ პირს, უცხო ქვეყანაში ვიზიტის დროს, ოფიციალურ შეხვედრებსა თუ ბრიფინგებზე შეუძლია ისაუბროს როგორც მშობლიურ ენაზე, ისე მასპინძელი ქვეყნის ენაზე, ანდა ნებისმიერ საერთაშორისო ენაზე. როგორც გითხარით, პროტოკოლი რაიმე შეზღუდვას ამ საკითხზე არ ითვალისწინებს. მაგალითად, ბუშმა რომ იცოდეს ქართული ენა და ოფიციალური ვიზიტით ესტუმროს საქართველოს, ქართულ ენაზე საუბრის წარმართვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე მხოლოდ მის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს (გაეროს, ევროსაბჭოს), არც მათი წევრი სახელმწიფოები არიან შეზღუდულები ენის მხრივ. ნებისმიერი ქვეყნის დელეგაციასა თუ სახელმწიფო წარმომადგენლებს ამ ორგანიზაციების სხდომებზე საკუთარი შეხედულებებისამებრ შეუძლიათ განსაზღვრონ, მოხსენებისა თუ საუბრის წარმართვისთვის, რომელ ენას მიანიჭონ უპირატესობა, — მშობლიურს თუ რომელიმე საერთაშორისო ენას. პირველ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სინქრონული თარგმანის თანხლებით ხდება სიტყვით გამოსვლა, თუმც რამდენად ხარისხიანია იგი და როგორ აღიქვამენ ამ თარგმანს სხვა დელეგაციის წევრები, ეს სხვა საკითხია. ამიტომ ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციებში გამომსვლელები ირჩევენ სწორედ რომელიმე საერთაშორისო ენას.

# «წვიმის მუსიკოსები» ინგლისში «ვარდების რევოლუციის« გარეშეც გაემგზავრებოდნენ

— მართალია თუ არა, რომ „წვიმის მუსიკოსები“ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ინგლისში მიიწვიეს. როდის აპირებენ გამგზავრებას და რომელი ჯგუფი გაემგზავრება — „სოფთეჯექთი“, „მწვანე ოთახი“ თუ „ზუმბა“?

***მაიკო თურქაძე***



კითხვაზე უპასუხებს **ვახო ბაბუნაშვილი**, „სოფთეჯექთის“ წევრი.

— „ვარდების რევოლუციამ“ საქართველო ძალზე პოპულარული გახადა. ჩვენი ქვეყნის შესახებ იმათაც კი შეიტყვეს, ვინც აქამდე არაფერი იცოდა. ბუნებრივია, ამჟამად მთელი მსოფლიოს ყურადღება საქართველოსკენაა მომართული. შესაბამისად, ყურადღების ცენტრში მოექცა ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროც. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტურნე ინგლისში სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დაიგეგმა. პროექტი გაცილებით ადრე შეიქმნა. პერიოდულად მიმდინარეობდა მოლაპარკება ბრიტანულ მხარესთან. როგორც წესი, ასეთი დიდი პროექტები ხანგრძლივი დროის მანძილზე მზადდება.

ბრიტანეთში მიწვეულები ვართ ყველა, „ზუმბა“, „მწვანე ოთახი“ და ჩვენ („სოფთეჯექთი“). ამ პროექტის განხორციელება „ვარდების რევოლუციამ“ მართლაც დააჩქარა, ბრიტანული მხარე ჩვენდამი მეტი ინტერესით განაწყო. ეს იქნება ორკვირიანი ტურნე ბრიტანეთში, რომლის სავარაუდო სახელწოდება „საქართველოს მუსიკის საღამოები“ გახლავთ. გამგზავრების თარიღი დადგენილი არ არის, ამ საკითხს ბრიტანული მხარე წყვეტს. ალბათ ყველაფერი გაზაფხულის ბოლოს გადაწყდება. პროექტით „ბი-ბი-სი“-ც დაინტერესდა. ტურნეს მსვლელობისას აპირებენ ჩვენზე ფილმის გადაღებას.

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

„ტრანსცენტისი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, ნითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ფაქსი: 966-779

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO Company LTD
ალმაშენებლის №99/1 ☎96-32-89

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 31 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1100 |
| ევრო | 2,6105 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,8195 |
| რუსული რუბლი | 0,0741 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5723 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ალიაქოთი წყნეთში



...თბილისში აუტანელი სიცხე და ხვატი იდგა, როგორც იქნა, მთელი წლის დანაზოგი ფულით წყნეთში ერთი იაფფასიანი ოთახი დავიქირავე და ცოლ-შვილი დავაბინავე. ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე სახლის პატრონი ცხოვრობდა თავის ჯალაბით, იქვე იყო საერთო სამზარეულო-სასადილოც. მეორე სართული მთლიანად გაქირავებული ჰქონდა: ერთნაირი ავეჯით გაწყობილი, ზუსტად ერთი ზომის ოთხი ოთახი იყო ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული, ბოლოში საერთო სველი წერტილითა და საშხაპით.

...ერთ საღამოსაც ნაქეიფარმა და შეზარხოშებულმა გვიან ღამით ავაკითხე წყნეთში ცოლ-შვილს. ჩემს მეუღლეს უკვე ეძინა. ვიფიქრე, არ გავაღვიძებ-მეთქი და იქვე ტახტზე მოვკალათდი... ცოტა ხანში მეუღლის ხმა მომესმა: — კიდევ გასკდი, შე ოხერო?.. თავი მოვიმძინარე.

...გამთენიისას კი ცოლის წივილ-კივილმა წამომაგდო. რას ვხედავ: ჩემი საყვარელი მეუღლე თავის საწოლში ვიღაც უცნობ მამაკაცს გამეტებით მუშტებს უშენს და განწირული ხმით უყვირის...

ნიფხავ-პერანგის ამარა უცნობ მამაკაცს დერეფანში დავეწიე და ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან... ალიაქოთზე მეზობელი ოთახებიდან გამოცვივდნენ გულგახეთქილი „დაჩნიკები" — ზოგი ნახევრად შიშველი და ზოგიც ნახევრად ჩაცმული. განსაკუთრებით ერთი ჩასუქებული ქალბატონი აქტიურობდა და ქოქოლას აყრიდა უცნობ მამაკაცს...

როგორც შემდეგ გაირკვა, გვერდით ოთახში მცხოვრები ცოლშვილიანი მამაკაცი გვიან ღამით ჩემ შემდეგ დაბრუნებულა, ჩემზე უფრო მეტად ნასვამს და გამობრუჟებულს ოთახი შეშლია, ჩვენს ოთახში შემოსულა და ჩემი ქალბატონის ლოგინში მთელი ღამე გემრიელად უძინია... გამთენიისას ჩემს ძვირფას მეორე ნახევარს „რაღაცა განსხვავება" რომ შეუნიშნავს, თვალი გაუხელია და საკუთარ საწოლში უცხო მამაკაცის ხილვაზე რა ამბავიც ატეხა და რაც მოხდა, ამაზე უკვე მოგითხრეთ...

ყველაფერი რომ გაირკვა, „მშვიდობით გადარჩენა" აღვნიშნეთ...

***მარკშეიდერი გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***

## 4. დეპეშები, დეპეშები!..



გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მთელ საბჭოთა კავშირში დეპეშები მხოლოდ რუსული შრიფტით იგზავნებოდა, ამიტომ საქართველოს ერთი ქალაქიდან ან რაიონიდან მეორეში დეპეშა ან რუსულად უნდა გაგეგზავნა, ანდა თუ ქართულად გაგზავნიდი, მაინც რუსული ასოებით დაბეჭდილი მიუვიდოდა ადრესატს. რუსულ ანუ ლათინურ ალფაბეტში კი მოგეხსენებათ, ყველა ქართული ასო არ არის, რაც ხშირად იწვევდა გაუგებრობას, ზოგჯერ კი კურიოზსაც.

ერთხელ (1959 წელია), გორის „შპალსაულენთი" ქარხნის დირექტორმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: — „სასწრაფოდ დაგვიტვირთეთ და გამოგვიგზავნეთ ორი ვაგონი ბოზი".

იმ ხანებში გორში მთელი დატვირთვით მუშაობდა „ტექსტილკომბინატი", რომლის მუშა-მოსამსახურეთა 99%-ს შეადგენდა რუსეთიდან სპეციალურად გამოგზავნილი გოგონები, რომლებიც არცთუ მაღალი „მორალური" თვისებებით გამოირჩეოდნენ, რის გამოც „ტექსტილის" დასახლება, სადაც ჩრდილოელი მზეთუნახავები ცხოვრობდნენ, ძალზე „პოპულარული" იყო თითქმის მთელ რესპუბლიკაშიც.

შპალსაულენთი ქარხნის დირექტორი დეპეშის წაკითხვისთანავე მიხვდა, რაში იყო საქმე, მაგრამ მაინც შეიარა ქალაქის მთავარ ფოსტაში, რომლის დირექტორიც მისი ბავშვობის მეგობარი იყო და უსაყვედურა: — თქვე კაი ხალხო, განა რა გახდა ასეთი, ეს ტელეგრაფი ქართულ შრიფტზე თუ ვერ გადაგიყვანიათ, ტელეგრამები მაინც გადაწერეთ და ადრესატთან ქართული შრიფტით მიიტანეთო... და დეპეშა წაიკითხა.

ამ კურიოზზე ორივემ ბევრი იცინა და ბოლოს გადაწყვიტეს, ზესტაფონში შემდეგი შინაარსის საპასუხო დეპეშა გაეგზავნათ: — „ტექსტილის მთელი შემადგენლობა რომ გამოგიგზავნოთ, ორი ვაგონი ბოზი მაინც არ გამოვა. ან რაოდენობა შეამცირეთ, ან სასწრაფოდ მაინც ნუ გვთხოვთ და ვეცდებით, ამ ხუთწლედში ეტაპობრივად დაგაკმაყოფილოთ".

პარალელურად კი თავის მოადგილეს დაავალა: — „ზესტაფონს სასწრაფოდ გაუგზავნეთ ორი ვაგონი ბოძი!"

***იგორ პატარიძე, თბილისი***

## 2. „სპეციალისტი"



ერთი ჩემი ნაცნობი ბიჭი, ზურა გ. მუშაობდა ქარხანაში მუშად. ამ ქარხანაში რუსეთიდან შემოდიოდა მზა დეტალები. ამათგან ერთ-ერთი სახეობის დეტალებს ზურა ამუშავებდა, — ხვრელები („დირკები") ჰქონდა ოდნავ პატარა და გაგანიერებას საჭიროებდა. ცოლის მოყვანა რომ დააპირა ამ ჩემმა ნაცნობმა, სასიმამრო დაინტერესდა მისი პროფესიით:

— სად მუშაობ, რა სპეციალობა გაქვსო.

სასიძო არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— „დირკებს" ვაგანიერებო...

***შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## 5. დებილების თამაში



ვცხოვრობ ძველ თბილისურ ეზოში, აი ისეთში, რატომღაც იტალიურს რომ ეძახიან. მეზობლები ერთი ოჯახივით ვართ. ერთ ნაწილს „ჯოკერისტების" გუნდი აქვს ჩამოყალიბებული (აბა, რა ქნან ამ უმუშევრობის დროს). ზამთარში კიდევ არა უშავს, აი, ზაფხულში რომ „ჯოკერისტები" ეზოში გამოვლენ, ოთხის გარდა, კიდევ 4-5 კაცი წაგებული წყვილის ადგომას რომ ელოდება და თან აზარტში შესულები თამაშს რომ არჩევენ, ისეთი გნიასი ატყდება ხოლმე, ჩვენ კი არა, მეზობელი ეზოს ბინადარნიც ერთმანეთს მუნჯურად ელაპარაკებიან.

ბავშვი რისი ბავშვია, უფროსს თუ არ მიბაძა და შარშან ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, „ჯოკერისტები" გახურებული რომ ებრძოდნენ ერთმანეთს, პატარები იქვე მაგიდას შემოუსხდნენ, მოიტანეს კარტი და მათაც ჯოკერის თამაში გააჩაღეს... აქეთ გნიასი, იქით ჭყიპინი. მოკლედ, ხან გნიასი ახშობს ჭყიპინს, ხან ჭყიპინი გნიასს. ბოლოს ერთმა სტაჟიანმა „ჯოკერისტმა" ვერ მოითმინა, წამოხტა ფეხზე და ბავშვებს დაუყვირა:

— რა ამბავია, რა გაახურეთ, აღარაფერი გვესმის, აქედან მოშორდით, რა, კარტის გარდა სხვა თამაში არ იცით? დებილები ხომ არა ხართ, ტო!

ბავშვებმა კი დაიწყეს ქუჩაში ბურთის თამაში, მაგრამ ამათ ისევ ჯოკერი გააგრძელეს...

***დურმიშხან ყიფიანი, თბილისი***

## 3. გაუგებრობა სამშობიაროში




ამას წინათ დედაქალაქის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში გახლდით ახლობლის საგულშემატკივროდ. იქ ასეთ სცენას შევესწარი: პიროვნება, რომელიც ასევე ბავშვის მოლოდინში იყო (მეუღლე ეწვა სამშობიაროდ), ძმაკაცმა მოინახულა და აღელვებულმა ჰკითხა:

— რასა შობს, ჯო, შენი ცოლი?! ალბათ უნდა ეთქვა, რას შვრება შენი ცოლიო.

— რასა შობს და ბავშვსა, შე აბდალავ, განა დედაშენივითა ვირსა შობს!.. — მყისვე მიუგო მომავალმა მამამ.

***სოსო ცირგაია, თბილისი***

# მკითხველის საუკეთესო ანეკდოტი



**6.** სამი სვანი თამაშობს დამალობანას... სამივე უგზო-უკვლოდ დაიკარგება.

***შოთა ღვალაძე, ბაღდათი***



**7. პირველ სტერეოზე რეკავს მაყურებელი:**

— ამ დილით ვიპოვე საფულე. შიგ იდო 500 დოლარი და 700 ლარი. ასევე მართვის მოწმობა გიორგი დაბნეულაშვილის გვარზე. გთხოვთ მიუძღვნათ მას ლექსენის მოდური სიმღერა-კლიპი ჩემგან მადლობის ნიშნად.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

ამიერიდან „კვირის პალიტრა" მკითხველის პრემიას კურიოზების გვერდისთვისაც აწესებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები.

საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან

ანეკდოტის ნომერი ____

**კვირის პალიტრა №5**

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 4 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 5 თებერვლის 13 საათამდე.*

1-ელი მარტის ნომერში თქვენ შეიტყობთ თებერვლის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.

წარმატებებს გისურვებთ!

ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

## მილოცვა




მეუღლეს **ზაზა ცქიფურიშვილს** და შვილს **ლუკა ცქიფურიშვილს** ვულოცავ დაბადების დღეს – 2 თებერვალს! ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი, ჩემო საყვარლებო.

*მაია სიყმაშვილი*



**ნუცა აბრამიშვილს**

ჩემო საყვარელო დაიკო ნუცა! გილოცავ დაბადების დღეს, გაიზარდე დიდი გოგო, იცოცხლე და იხარე დედ-მამის, ყველა ახლობლის გასახარად.

*გკოცნი შენი ძამიკო გუგა*

## მადლობა

**სიღნაღის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ მაია შოშიაშვილს!**

მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო მაია! თქვენ ყოველთვის ობიექტურად და მიუკერძოებლად ემსახურებით თემიდას. თქვენი მაღალი პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის წყალობით, თქვენთან მოსული ადამიანი ყოველთვის იპოვის სამართალს.

*პატივისცემით, ლ. კორაშვილი*

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ვმკურნალობ გარანტიით: ნევროზები, ქრ. ბრონქიტი, ქრონიკული პნევმონია, ასთმა, ალერგია. გასტრიტი, თორმეტგოჯა ნაწლავის და კუჭის წყლულის დაავადება, ბუასილი, კანის დაავადებები, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, დიფუზური ჩიყვი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება. ტელ. 32-39-46; 893-96-50-32. ნათია

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, კუნთების და მყესების ტკიილი, შაკიკი. მკ-ბა ეფექტურია პირველივე დღეებიდან!!! მის. რკინიგზის პოლიკლინიკა ც. დადიანის 87, კაბ. №11. ექიმი ალექსიშვილი

მთლიანი ორგანიზმის უმაღლესი და უზუსტესი დიაგნოსტიკა გულისა და თავის ტვინის ტელემეტრიული ბიორიტმის საშუალებით დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური უმცირესი კერების არსებობა. განსაკუთრებით ინკოლოგიაში. მცენარეული პრეპარატურითა და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. მიღება წინასწარი ჩაწერით. მის. დ. აღმაშენებლის ქ. №109 (ეზოში ხელმარცხნივ I სართული) ტ. 94-19-84 96-35-92 (სამსახურის), 899-74-23-69. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. სერტ. №988

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლესი გერმანული აპარატურით ლიცენზირებული სამედიცინო ცენტრში. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ (მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძ. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი 10-15 სთ. ტ. 899-97-58-77 39-58-77 (ბინა). ლიცენზია № 00838

გამოჯანმრთელება უახლესი მეთოდით! რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ნებადართული გამაჯანსაღებელი საშუალებები, რომლებიც მოქმედებენ დაავადების გამომწვევ მიზეზზე: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, დეპრესია, სოკო, ფსორიაზი, უნებლიე შარდვა, ინსულტის შემდგომი პერიოდის ჰიპერტონია, თვალის დაავადებები, სახსრების მარილოვანი დაავადებები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ტ. 99-75-90 (12-დან 18 სთ-მდე) 899-21-13-66 (9-დან 23სთ-მდე

გთავაზობთ აკადემიკოს ვ.ა. ლიხაროვის მიერ შემუშავებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მეხუთე თაობის პროდუქციას. პროდუქცია მუშაობს: ნევროზებზე, გულ-სისხლძარღვთა პრობლემებზე, ჰიპერტონიაზე, ინფარქტის და ინსულტის შემდგომ პრობლემებზე, შარდ-სასქესო, ენდოკრინული, კანის პრობლემებზე, ალკოჰოლიზმზე, ნარკომანიაზე, სხვა ქრონიკულ დაავადებებზე. პროდუქცია მუშაობს დაავადების გამომწვევ მიზეზებზე, არა აქვს უკუქმედებები, შექმნილია სამკურნალო მცენარეების ბაზაზე, გადის მკაცრ კონტროლს და მოწმდება სამკურნალო და არომატული მცენარეების სრულიად რუსეთის ინსტიტუტის (ВИЛАР) ლაბორატორიებში. 893-96-50-32, 8(99) 22-63-90 ნინო

გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა სწრაფად და უმტკივნეულოდ, კომპიუტერული დიაგნოსტიკით დადგინდეს მთელი ორგანიზმის ფუნქციური დარღვევები (ფასი 25 ლარი). სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“. ლიც. №676 ბახტრიონის ქ. №18 ტ. 91-18-33; 893-321-307 22-37-89 (საღამოს)

ალერგია! გთავაზობთ ევროპაში მიღებულ, გერმანულ და ფრანგული ალერგენებით მკურნალობას შემდეგ დაავადებებს: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ალერგიული სურდო, ჭინჭრის ციება და კვინკეს შეშუპება, ალერგიული დერმატიტი საუკეთესო შედეგებით. ექიმი – ჯულიეტა პეტაშვილი რკინიგზის საავადმყოფო (ვაგზალთან), V სართული, ალერგოლოგიური განყოფილება, 11-14სთ. ტ. 899-22-26-37

## იყიდება

იყიდება ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზი, ვარდები, მოცხარი, ჟოლო, ლეღვი, კაკალი, იასამანი, იუკა, აგავა, ტუია, ლუგუსტრუმი, ტირიფი, ცაცხვი, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ზეთისხილი. გვყავს დეკორატორი. მის. თბილისის ზღვა, სანერგე მეურნეობის დასახლება. ტ: 899-16-93-15 ამირანი; 69-97-05

იყიდება სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## ქირავდება

ახალგარემონტებული 24კვმ იზოლირებული ფართი სველი წერტილებით პირველ სართულზე თავისი გასასვლელით პარტიზანების (ხვიჩიას) ქუჩაზე. (საავადმყოფოს მოედანთან). გამოდგება საოფისედ, კომპიუტერებისათვის კომერციული საქმიანობისათვის. დარეკეთ საღამოს. ტ. 37-48-14

## ვასწავლი

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, sagamomcemlpo da grafika: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb- დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ნაძალადევის კულტ.სასახლე აცხადებს მიღებას კურსებზე: 1. კოსმეტიკა. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მკურნალობა მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო) კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, კრემები, ნიღბები, ლოსიონები და სხვა; 2. მასაჟი – სამკურნალო და პროფილაქტიკური. გაიცემა სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის 90. II სართ. I სად. ბინა 2. მეტრო „მარჯანიშვილთან“. ტ: 75-06-14; 95-47-67; 893-33-09-66

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, აუ-პაირ პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია“ იწვევს ბავშვებს 5-დან 15-წლამდე და უფროსებს 15-დან 35 წლამდე ევროპული, ესპანური და ლათინურამერიკული ცეკვების შესასწავლად (ვალსი, ტანგო, სამბა, როკ-ენ-როლი) კურსდამთავრებული მიიღებენ დიპლომს. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა ტ. 64-46-60; 93-13-45; 61-73-18; 899-55-16-09

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას. პოპულარულ ქართულ, რუსულ, ინგლისურ სიმღერებს და კომპოზიციებს. ფასი 8 გაკვეთილი 40 ლარი. ლევანი. ტ. 93-32-49 ან 877-400-577

## მომსახურება

ვაწარმოებთ ლამინირებული დეესპესგან სამზარეულოებს, კარადებს, კომპიუტერის მაგიდებს და ნებისმიერ საოფისე ავეჯს. ტ: 69-45-18 დათო

გაუკეთეთ თქვენს თავს ან თქვენთვის ძვირფას ადამიანებს განსაკუთრებული სამახსოვრო საჩუქარი! თქვენი იდეით შეგიქმნით ხელოვნების ნიმუშებს ორიგინალში. ანტიკვარის პრეტენზიით (მხატვრობა, ქანდაკება, დიზაინი, გამოყენებითი ხლოვნება). 899-91-68-08, 25-08-22 საღამოს

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე 1 – მასაჟისტი (სამკურნალო ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი) 2 – კოსმეტიკა-ვიზაჟი (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), 3 – პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცის ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18(სამ); 96-22-89 (ბინა)

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ“ იწვევს 15-18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს ამერიკის, საფრანგეთის და გერმანიის სკოლებში სასწავლებლად აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის. თბილისი, ქავთარაძის 12. ტ: 30-39-20;

კომპიუტერული მომსახურების ფირმა „კომლაინი“ ადგილზე მისვლით გთავაზობთ: კომპიუტერების ტექნიკურ და პროგრამულ გამართვას სტაბილური მუშაობის გარანტიით, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვირუსებისგან გაწმენდას, ინფორმაციის აღდგენას, ქსელის ადმინისტრირებას, სპეციალისტის კონსულტაციას. ზაქარიაძის ქ. №4, ტ. 899-54-40-84

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

Внимание! Иностранная компания проводит подбор в офисе, для людей с высшим и ср/тех образованием. Тел.: 72-31-40 Грузия/Баку

Деловой центр объявляет дополнительный набор сотрудников. Запись на собеседование: Тел.: 77-67-66, 899-92-13-81

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით. თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მიკროავტობუსზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტ. 70-25-11 899-28-90-88 ბესო

## სხვადასხვა

ყურადღება! საქველმოქმედო ორგანიზაცია – საქართველოს მოქალაქეთა დახმარების კავშირი აწყობს საქართველოს ღია ჩემპიონატს ჯოკერში „ფორტუნა – 2004“. მთავარი პრიზი – ავტომობილი „ბმვ-520“. რეგისტრაციის ბოლო ვადა 30 აპრილი. საჭიროა, პირადობის მოწმობა, 2 ფოტო 3/4-ზე და შესატანი ბალანსი 25 ლარი. მის: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14, II სართული, ოთახი №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩა №2-დან). ტ. 93-49-72; მობ: 899-56-32-59 (მიღება 10-დან 18 სთ-მდე)

ვაცხადებთ შპს „სიერა“-ს ლიკვიდაციას. მისამართი: თბილისი, დელისის III შესახვევი №22. ტ. 32-86-56









### იური კობახიძის ხსოვნას



3 თებერვალს გახდება ერთი წელი, რაც ჩვენს შორის აღარ ხარ. უძვირფასესო მამავ, ერთგულო მეუღლევ და მოსიყვარულე ბაბუავ, როგორ მოგვენატრე, როგორ დააკლდი ოჯახს, ვერაფერი შეცვლის იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. ისღა დაგვრჩენია გავუძლოთ უსაშველო მონატრებას და იარას, რომელიც არასოდეს მოშუშდება. დაე შენი ოჯახის სიყვარულმა და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა შენი უბოროტო სული მარადიულია.

*შენი ოჯახი*

### ხვიჩა უსანეთაშვილის გახსენება



24 იანვარს შენი დაბადების დღე იყო, ხვიჩა! მესამედ შევხვდით უშენოდ ამ დღეს. 40 წლის გაგვიხდი. გილოცავთ. ძალიან მწარეა შენზე ლაპარაკი წარსულ დროში. გვიჭირს ცხოვრება შენს გარეშე. ყველას უზომოდ გვენატრები, გვიყვარხარ. შენი დატოვებული სითბო და სიყვარული ყველას მიმართ არასდროს განელდება. გიხსენებთ მუდამ სიყვარულით და ცრემლით.

*შენი ოჯახი და ნათესავები*

### დარეჯან კვიტიას გახსენება



ახალი წლის წინ ჩვენს სამეგობროს კიდევ ერთი კარგი ადამიანი გამოაკლდა — დარეჯან კვიტია. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გული დასწყვიტა ყველას, ჩვენ, მისი მეგობრები მწუხარებას გამოვთქვამთ და ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ დარეჯანის ოჯახს, დედმამიშვილებს.

*ოჩამჩირელი მეგობრები,*
*ზაირა, თამარი, ნანული, მზია, ბელა*

### გივი თურქიაშვილს



31 იანვარს 57 წელი შეგისრულდებოდა მამა, გილოცავთ დაბადების დღეს, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის იმქვეყნიური ცხოვრება, მეტს ხომ ვეღარაფერს ვისურვებთ შენთვის... პირველად შევხვდებით ამ დღეს უშენოდ. ტკივილამდე გინატრებთ, ბევრს ვიტირებთ, გაგიხსენებთ, შენს ხუმრობებს და იუმორსაც გავიხსნებთ და გავიცინებთ... თუმცა ეს სიცილი ცრემლნარევი იქნება. ...და ასე გაგრძელდება ცრემლნარევი მოგონებები ერთ ნათელ, კაცურ კაცზე, რომელსაც გივი თურქიაშვილი ერქვა.

*შენი დამწუხრებული ოჯახი.*

### ზურიკო მაკალათიას გახსენება



თავზარდამცემი იყო ყველასთვის შენი უცაბედი სიკვდილი 27 წლის ასაკში, რომელმაც სამუდამო ტკივილი მოუტანა შენს ახლობლებს. 29 იანვარს შეწყდა შენი ხალისიანი სიცოცხლე. ჩემო ზურა, შენი შვილი იურკა იამაყებს შენი სახელით. გჯეროდეს, მუდამ იცოცხლებ ჩვენს გულში.

*ოჯახი*

### ლევან ზაზიკიშვილის მონატრება



უკვე ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე ლევან. ყოველი დღე ჩემთვის შენზე ფიქრით იწყება. ვერ ვეგუები შენს დაკარგვას. ჩემი თვალები ყველგან შენ გეძებს. უსაზღვროდ მენატრები, მაკლიხარ. გული ისე გაცივდა, აღარაფერი აღარ მაღელვებს. რა დიდი ტკივილი ხარ ძმაო, ჩემო იმედო. ახლაც როცა რამე მაწუხებს შენს სურათთან მივდივარ და ველაპარაკები. შენი მოფერება რომ მომინდება შენს შვილებს ვეფერები. რამხელა ტვირთი დამიტოვე ლევან. რითი ვანუგეშო გაუბედურებული დედა და მამა, მათი ამომავალი მზე ხომ შენ იყავი ბიჭო. შენი ყოველი დანახვა სიხარულის მომნიჭებელი იყო. როგორ გაგვაოგნე შენი მოულოდნელი სიკვდილით. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენი კეთილი, სათნო სულისთვის. ღმერთი იყოს შენი მფარველი მუდმივ სასუფეველში.

*შენი მოსიყვარულე დაიკო*

### გვენატრები, ლევან...

7 თებერვალი ოჯახის ტრაგედიის დღეა. შენს მონატრებაში გაილია გაუსაძლისი ტანჯვისა და წამების ტკივილიანი ერთი წელი. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი მშობლებისთვის. რა მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. უსაშველოდ გვენატრები, გულის ტკივილამდე გვაკლიხარ. ეს დანაკლისი ისე მწარეა, რომ სიცოცხლის არარაობაში ვრწმუნდებით და შენთან მოსვლას ვნატრობთ. უსაზღვროდ გვენატრები შვილო, ვერაფრით ვავსებთ იმ სიცარიელეს, რომელიც შენ დაგვიტოვე, მთლად გამოფიტულები უაზროდ დავდივართ შენი მშობლები. ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, დაე ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი მშობლები*

### ლევან ზაზიკაშვილის ხსოვნას

7 თებერვალს ერთი წელი ხდება, რაც დაგვტოვე ლევან. ყველას გული დაგვწყვიტე, ცის ქვეშ მიგვატოვე თავზარდაცემულნი — მშობლები, ცოლ-შვილი და მთელი სანათესავო, საძმო. ყოველ წუთს ველით შენს გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. შენ სამუდამოდ დაგვტოვე, ეგაა ძმობა? ჩვენ ხომ სხვა პირობა მივეცით ერთმანეთს, შენ კი არ შეასრულე. მძიმე ტვირთის ტარება მე დამაკისრე. ყველა ოცნებობს შენს ნახვას სიზმარში მაინც. მათ შორიც, მეც. მინდა ყველა კითხვაზე, რაც კი მაწუხებს, პასუხი გამცე. მე კი ჩემის მხრივ შენს ლამაზ სულს პირობას ვაძლევ — გვერდში დავუდგე შენს გამწარებულ მშობლებსა და დაობლებულ შვილებს.

*შენი ძმა ბაჩი*

### ჟორა (გიორგი) ინალიშვილის ხსოვნა



ასე გამოვიყურებოდით 50 წლის წინათ. წელს, 2 თებერვალს უნდა გადაგვეხადა „ოქროს ქორწილი" — ქორწინებიდან 50 წლისთავი. ასეთი იყო შვილების — ომარის, გიას და რძლის — მაიას გადაწყვეტილება, მაგრამ ვაი, რომ ვეღარ მოესწარი! 2002 წლის 19 თებერვალს სრულიად მოულოდნელად სამუდამოდ წახვედი ჩვენგან. ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული. ძლიერ განვიცდით, მაგრამ ყველაზე მეტად მე მიჭირს უშენოდ. ნათელში იყავი ჩვენო საყვარელო.

*მარიამ გოგიაშვილი*

### ნინო ნინოშვილის მოანატრება



ჩვენო საყვარელო ნინო, თხუთმეტი ტკივილიანი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. შენი უდროოდ წასვლით მწარე მოგონება დაგვიტოვე. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ნათელში გამყოფოს უფალმა.

*მამიდები და მამიდაშვილები.*

### ბესიკ (ბესო) შენგელიას ხსოვნას!



ჩემო შვილო, ჩემო ბესო! გავიდა 40 გაუსაძლისი დღე შენი გარდაცვალებიდან. ჩემო მოსიყვარულე ფაქიზი სულის შვილო, რა ცეცხლი გაუჩინე შენს უბედურ მშობლებს, შენს უსაყვარლეს ცოლ-შვილს, შენს საფიცარ დებს და დისშვილებს, სიძეს, ბიძებს, ყველას ვინც შენ გიცნობდა. ნაცრისფერია ყველაფერი ირგვლივ. გაოგნებულები მივჩერებივართ მე და გასაცოდავებული მამაშენი ერთმანეთს. ეს როგორ უნდა მოგვსვლოდა. წახვედი და დაგვიტოვე მოუნელებელი დარდი და ნაღველი. ჩემო შვილო, იმ დღეს გაუმარჯოს, ჩემი და შენი სულები როცა შეხვდებიან ერთმანეთს იმქვეყნად. ჩემო მონატრებულო და უსაყვარლესო.

*შენი უბედური დედ-მამა, შენი ოჯახი.*

### ლუდმილა ქირთბაიას ხსოვნას



გასული წლის სექტემბრის მშვენიერი დღეები ქობულეთში გავატარეთ მე და ლუდამ. იყო გულითადი განდობანი, როგორც ახალგაზრდობაში; სიხარული ერთად ყოფნითა და მონატრებულ ზღვასთან „შეხვედრით" გამოწვეული. რას ვიფიქრებდით, რომ ეს ჩვენი გედის სიმღერა ყოფილა... რომ თურმე საწუთრო დიდ განსაცდელს გვიმზადებდა... ორიოდე თვის შემდეგ, დაუნდობელმა სიკვდილმა სამუდამოდ გაგვყარა დები, წამართვა ჩემი საფიცარი, ჩემი ყველა ფიქრისა და დარდის მოზიარე, ჩემი ერთადერთი და ლუდმილა, კვეკვი, როგორც მას ბავშვობაში ბებია მოფერებით ეძახოდა. წაიქცა დედაბოძი სიყვარულითა და ერთგულებით შექმნილი ფუძემაგარი ოჯახისა. ცივი და მიუსაფარი გახდა ერთ დროს თბილი, რუდუნებით ნაშენი კერა. კერა, რომლისკენაც ერთნაირად მიუხაროდათ ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს ლუდასა და ზაურს გულგაშლილობითა და ხელგაშლილობით. დღეს, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი შორეული სასურველი მოგონებაა მხოლოდ. დედის ხელი დააკლდათ ნანას, მაიას. ბებიას ალერსი — ელენესა და საბას; ძნელი ასატანია ცალად დარჩენილი ვაჟკაცის ცრემლჩამდგარი თვალების ყურება! ასეთ დროს იტყვიან, სწორედ: ულვთო იყოო მისი სიკვდილი. და, თუმცა, მაიას მცდელობის შედეგად, გულზე სოხუმის მიწაც გაყრია, ვიცი, იქაც არ მოგასვენებს მშობლიური კუთხისა და სახლ-კარის ნოსტალგია, იქ დაბრუნების გაუნელებელი სურვილი. აკი, სიზმრად პირველივე გამოცხადებისთანავე გვამცნე: ექვსი დღე სოხუმში ვიყავი და ახლა სხვაგან მივდივარო. ნეტავ, მართლა ასე ყოფილიყო!

*ლეილა*

### თენგიზ (გიზო) გოლეთიანის ხსოვნას!

ამ ქვეყანაზე ყველაზე ძლიერი ადამიანებიც კი სიკვდილთან უძლურნი ხდებიან. სიკვდილი კი სწორედ



მაშინ მოდის, როცა არ ელი... დარდსა და გლოვაში გაილია ერთი წელი. არ ვიცი, როგორ გადმოვცე უშენობით გამოწვეული ტკივილი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ასე არ ყოფილა. უფრო მეტად მენატრები, ჩემო გიზო. ძნელია უშენობა, როგორ მომაკლდა შენი კეთილი ღიმილი და სიყვარულით სავსე თვალები. შენ სულ იმას ცდილობდი, რაც შეიძლება ბევრი სიხარული და ბედნიერი დღე გეჩუქებინა. 5 თებერვალს მოულოდნელად შეწყდა შენი გულისცემა. ვინ იცის, რას ფიქრობდი იმ უკანასკნელ წუთებში, იქნებ მიხმობდი საშველად. შენ ხომ ჩემი დიდი იმედი გქონდა, მაგრამ მე შენ გვერდით არ ვიყავი და ეს დამტანჯავს მთელი ცხოვრება. ყველაზე მეტად ახლა გინდოდა სიცოცხლე შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან. შენ ხომ სულ ამას ამბობდი: — ღმერთო, ჩემი შვილიშვილების ბედნიერებას მომასწროო, მაგრამ... წახვედი და დამიტოვე ცრემლი, სინანული და უსაზღვრო მონატრება. დარჩა მხოლოდ ტკბილი მოგონებები და შენი სურათები, საიდანაც თბილი, ღიმილიანი, მოსიყვარულე სახით იცქირები. დაგვიტოვე სახელი, რომლითაც იამაყებენ შენი შვილები, შენი მომავალი, რომლითაც აფასებენ და პატივს სცემენ შენს ოჯახს. ენატრები ყველას და შენს კაცურკაცობაზე ლაპარაკობენ, გიხსენებენ თბილად და სიყვარულით. ვლოცულობ შენზე და უფალს ვთხოვ, ჩემმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*უსაზღვრო მონატრებით, შენი მეუღლე*

### დალი მექანარიშვილის უკვდავყოფა

დალიკო, ჩემო ცისფერთვალება გოგონა, თვალცრემლიანი, უზომო ტკივილით სავსენი მეოთხედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს — 4 თებერვალს. ენით აუთქმე-



ლი ყოფილა დედისთვის საყვარელი შვილის გარეშე, მისი დაბადების დღის აღნიშვნა. შევიკრიბებით ყველანი შენს სავანესთან, ვისაც შენ დააკლდი, მწარედ დაგიტირებთ და ცრემლიანი ყვავილებით შეგამკობთ. მოგიკვდეს დედა, ჩემო ბედშავო გოგონა, მაშინ წახვედი ამ სამყაროდან, როცა მჩქეფარე სიცოცხლე უნდა დაწყებულიყო შენში, როცა ტყუპი შვილის დედობის ბედნიერებას უნდა ჩამოექაჩა შენი კაბის კალთა. მაგრამ ვაი რომ ასე არ მოხდა... ავტოკატასტროფის მსხვერპლი შეიქენი დალიკო. შვილო, გვაკლიხარ ყველას და ტკივილამდე გვენატრები შვილო. უფალს ვევედრები, მარადიულ სასუფეველში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენით დამწუხრებული მშობლები, ძმები*

### ნინო ჩერქეზიშვილის მოგონება



გავიდა დარდითა და ტკივილით 19 წელი. მკაცრი შეიქმნა შენთვის, ოცდაერთი წლის გოგონასათვის უფლის განაჩენი. დაგვშორდი და თან წაიღე უსაზღვრო ნათელი მზერა... შენი მხიარული კისკისით უსასრულობასთან შეერთდი. ჩვენო ფერიავ, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენს გვერდითაც ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია მსუბუქი ყოფილიყოს შენი ლამაზი და სუფთა სული, მშობლიური მიწა, რომელმაც გულში ჩაგიკრა.

ადრე წასული შენ რატომ გქვია?
შენი სითბო დააკლდა ყველას
არ დააბიჯებ მათ შორის ლაღად
უშენოდ ყველა მოწყენას მალავს
და ცრემლიანი ფიქრებით ნამავს.

*შენი მეგობრები*

### ბიჭიკო ასლამაზიშვილის გახსენება



გაიარა ცრემლითა და ტკივილით აღსავსე შვიდმა თვემ. ვერ აგვიხსნია, რატომ გაგწირა ასე ულმერთოდ განგებამ კაცი, რომელსაც სიკეთით და სიყვარულით გქონდა გული სავსე. შენით ვამაყობდი და ვაი, რომ ვეღარ შევძელით უდროოდ შენსკენ მომავალი სიკვდილის გაჩერება. ყველას გვიმძიმს, რომ უშენოდ დგება 8 თებერვალი, შენი დაბადების დღე. 56 წელი შეგისრულდებოდა... რომ იცოდე როგორ აკლიხარ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, მოხუც მშობლებს, ძმას, დებს... ოჯახს ერთი ტკივილი არ ჰქონდა მოშუშებული... როგორ მწარედ განიცდიდი შენი ძმისშვილის, ჩვენი საყვარელი გურამის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს. რა ვიცოდით, რომ ერთი წლის შემდეგ იმ ქვეყნად შეხვდებოდა ერთმანეთს თქვენი ლამაზი სულები. ჩვენ გვჯერა, რომ შენი ამქვეყნიური კაცურკაცობით გავლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს. ძალიან გვენატრები და ტკივილით ვხვდებით შენს დაბადების დღეს. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა და ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

### დათო ფილაურის გახსენება



ყოველთვის სიხარულით ველოდით ორ თებერვალს. გვჯეროდა, რომ კიდევ ერთ ლამაზ და სიხარულით აღსავსე დაბადების დღეს ვიზეიმებდით ჩვენს სამეგობროში. აი, მოვიდა ორი თებერვალიც, მაგრამ, არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ მხოლოდ სევდიანი და ცრემლიანი. შენი ამქვეყნიდან წასვლის გამო. პირველად ვხვდებით დათო შენს დაბადების დღეს შენს გარეშე, მაგრამ გვჯერა, რომ შენი უხილავი სული ჩვენთან იქნება და ეს რწმენა გვამშვიდებს. შენი ღიმილი გვენატრება და გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. სიკეთის განსახიერებავ, ირგვლივ სიყვარულს რომ თესდი ჩვენო ფიზიკურად და სულიერად ლამაზო დათო. ყველასგან გამორჩეულო! ამბობენ, უფალსაც რჩეულები მიჰყავსო. უფალს ვთხოვთ, სულის სიმშვიდე მოგაპოვებინოს სამუდამო სასუფეველში ჩვენმა ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა.

„შენ კი არ მოკვდი, გამოაღე სარკმელი ზეცის
და ანგელოზებს შეუერთდი ფარფატა ფრთებით...
და ახლა უკვე მიღმიური გალობაც გესმის,
მაგრამ ვაი ვინც ჩვენ ცრემლებით მიწაზე ვრჩებით.
გაივლის წლები, შეიცვლება ბევრი რამ ქვეყნად
შენ არ იფიქრო, არ იქნები ჩვენთან ყოველთვის.
ჩვენ უკვე ვხედავთ, გეფერება სამყაროს დედა,
და შენ რომ გიძღვნეს, ის სიმღერაც უკვე მოგვესმის.
შენ — სილამაზის ღიმილო და ანკარა წყაროვ,
აქ თუ იძინებ და იფხიზლებ მარად ცოცხალი.
ჩვენ თუ აქ ვგლოვობთ, შენი მოსვლით ცის დასი ხარობს,
სამოთხის სხივო, სინათლეა სავანე შენი".

### კარლო ნაჭყებიას მონატრება



ჩვენო მეუღლევ, მამიკო, ბაბუა, უშენოდ მოვიდა ახალი წელი. ჩვენო მონატრებულო, რა ძნელი ასატანია უშენოდ ყველაფერი. კარლო, 8 თებერვალი ეს ხომ შენი დაბადების დღეა. ვაი, რომ პირველად შენს გარეშე აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი გარდაცვალება. უკვე მეექვსე თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 17 აგვისტო, როცა შენი სული და სხეული გაეყარა ერთმანეთს, მწარედ მოსაგონარი დღეა შენი ოჯახის და ახლობლებისათვის. შენ ხომ ყველას იმედი იყავი. გვანუგეშებს მხოლოდ მოგონებები, შენს მიერ კაცურად გავლილი ცხოვრებიდან. მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენი ნათელი სულისათვის ჩვენო უსაყვარლესო მეუღლე, მამა, ბაბუა. როგორ გენატრებოდა შენი აფხაზეთი, შენი დრანდა ჩვენო უსაზღვროდ კეთილო და მზრუნველო მამიკო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ამაგდარო მამა.

*შენს სითბოსა და სიყვარულს მონატრებული*
*ცოლ-შვილი, შვილიშვილები, სიძე და რძლები*

### მიშა ანთელავას!

2003 წლის 2 თებერვალს ტრაგიკულმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა შენი გულისცემა და მოუშუშებელი ჭრილობა მოგვაყენა, მიშა. ერთი წელი გავიდა იმ ავადმოსაგონარი დღიდან, როცა ავტოკატასტროფას შეეწირა შენი ლამაზი სიცოცხლე, სიცოცხლე 26 წლის ვაჟკაცისა, რომელსაც უდიდესი ნიჭი გქონდა გყვარებოდა ყველა, ყველასათვის სითბო გაგენაწილებინა, ყველას მოფერებოდი, ყველას უანგაროდ დახმარებოდი, ჩვენ კი უძლური აღმოვჩნდით სიკვდილის წინაშე, ვერ დაგიცავით, ვერ გადაველობეთ შენს ბედისწერას და დღეს მხოლოდ შენს სულზე ლოცვით, შენი მოგონებით, შენს საფლავზე მისვლით ვცდილობთ, შევავსოთ უშენობით გამოწვეული დანაკლისი. შენს ადგილს ჩვენს გულებში ვერავინ დაიკავებს, მიშა. ჭრილობა კვლავ მოუშუშებელი რჩება!

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის*
*უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი*

### თამარ ჩიქოვანის გახსენება



ჩემო ლამაზო თამუნა, ნეტა იცოდე, როგორ გვენატრები. რაც დრო გადის უფრო მეტად გვიჭირს უშენოდ. თებერვალი შენი თვე იყო და სიხარულით ველოდით, ახლა კი პირიქით. ხვალ ხომ შენი დაბადების დღეა ჩემო ლამაზო. იცი რა ძნელია შენს საფლავზე მისვლა, შენიანების ნახვა. ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ შენ ნამდვილი ანგელოზი იყავი და იმედია, იქაც ცათა სასუფეველში ხარ ჩემო პატარავ და ეგ ხომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ძალიან გვენატრები ყველას.

*შენი ნათლია*

### ლევან ქართლელიშვილის გახსენება



თერთმეტი წელია შენს გადმოსვენებას ველოდებით აფხაზეთიდან, შვილო! საფლავიც სანატრელი გაგვიხდა ლევან! შენი სიცოცხლე საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შეეწირა. სამშობლომ ვახტანგ გორგასალის I ხარისხით შეგიფასა თავდადება, თუმცა შენს ოჯახს ჯილდოები ვერ მოუშუშებს უშენობის ტკივილს. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ შვილო! 2 თებერვალს 36 წლის უნდა გამხდარიყავი ლევან! ჩემო ვაჟკაცო, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს... ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სული ჩემო ლევან, ჩვენო სიამაყევ!

*მშობლები, და-ძმა, ქართლელიშვილების ოჯახი*

### გიზო (ამირან) ჭანტურიას გახსენება



საყვარელო ძმაო! ერთი წელია, რაც ჩვენთან არ ხარ... გვენატრება შენი სითბო, იუმორი, ღიმილიანი, ლამაზი თვალები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული. ცრემლით გიგონებენ დამწუხრებული მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ნათესავ-მეგობრები.

*იზა*

### ლევან ძიძიგურის ხსოვნას!



21 მაისს, განთიადისას მწუხრის ზარებმა დაიწყეს რეკვა... გაოგნებამ წალეკა ყველა... დროც კი გახევდა! თითქოს ფოთლებმაც შეწყვიტეს რხევა... ტკივილის ქარიშხალი ამაოდ აწყდება გაბზარული სულის კედლებს და ძაძებით მოსავს ირგვლივ ყველაფერს. ტკივილი, უსაშველოდ დიდი ტკივილი... დიდი მონატრება და ამოუვსები სიცარიელე ჩემო ლევან! პირველი შობა-ახალი წელი უშენოდ! პირველი დაბადების დღეც უშენოდ! ზეციურ სასუფეველში გილოცავ დაბადების დღეს. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული. იმედად კი იმას ვიტოვებ, ბოლოს ხომ მაინც ვიქნებით ერთად, რამეთუ ყველას დასასრული მარადისობაა. მაგრამ მონატრებას, უსაშველო მონატრებას რა ვუყო?

*გია*



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1970 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### თამაზ შეშაბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სული, ძვირფასო მეგობარო.

მეუღლე ოლია ცერცვაძე, შვილები ავთანდილი, ამირანი, რძლები მაია კურცხალია, ლია სებისკვერაძე, შვილიშვილები: თამარი, დავითი, თეონა, მიხეილი, ლევანი, და ოლია, ძმა გიორგი ღავთაძეები, ცოლისდა რიმა ცერცვაძე ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

### დავით გრიგოლის ძე ღავთაძე

პანაშვიდი: 2 თებერვალს, დაკრძალვა 3 თებერვალს, 14 სთ-ზე. ქ. ზესტაფონი. ვახუშტი ბატონიშვილის ქ. №103

აბაშის პირველი საშუალო სკოლის 2003 წლის კურსდამთავრებულები, მათი მშობლები და პედაგოგები თანაუგრძნობენ შოთა ჯანჯღავას მამის

### გივი ჯანჯღავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# 45 — ჩემი ბედისწერაა

— მე მჯერა ბედისწერის და გთხოვ, როცა არ ვიქნები, ჩემიანები დაარწმუნო, რომ შიზოფრენიით ავად არ ვყოფილვარ. 45 წლის სიცოცხლე ბედისმწერალმა დამიწესა — მითხრა სარეცელს მიჯაჭვულმა მეგობარმა. მხოლოდ იმას ვწუხვარ, რატომ წამძლია სულმა და რად ავტირდი — ოთხი ათეული ცოტაა-მეთქი...

რვა-ცხრა წლის ვიქნებოდი, ვარსკვლავებით მოჭედილმა ცამ რომ გამიტაცა. ზაფხულს სოფელში, ბებიასთან ვატარებდი ხოლმე. ორსართულიანი სახლის გრძელ აივანზე გვერდიგვერდ ორი ტახტი იდგა. მე და ბებია მუდამ იქ ვწვებოდით. ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი არ მაძინებდა. ეზოს განაპირას ასწლოვან მუხაზე ჭოტი შემოჯდებოდა და განწირული ხმით იწყებდა კივილს. ხანდახან ტყიდან ტურის ჩხავილიც ისმოდა და ძილს მიფრთხობდა. ჯაფით დაღლილი ბებიაჩემი დადებდა თუ არა თავს ბალიშზე, მაშინვე ფშვინვას ამოუშვებდა. მე ვიწექი თვალებდაჭყეტილი და ვარსკვლავებს ვითვლიდი...

ჩემმა თანატოლმა ბიძაშვილებმა კაი ასტრონომებივით იცოდნენ — როდის ამოდიოდა ცისკარი, სად განლაგდებოდა დიდი დათვის ვარსკვლავები, საიდან იწყებოდა და სად მთავრდებოდა ირმის ნახტომი, ანუ რძის გზა. მათგანვე ვისწავლე, რომ თუ კუდიანი ვარსკვლავი მოსწყდებოდა ზეცას, აუცილებლად სამჯერ უნდა მიმეძახებინა: „შენ წადი და მე არ მოვალ“, „შენ წადი და მე არ მოვალ“. ამბობდნენ, შენი ბედის ვარსკვლავი თუ მოსწყდა, თან წაგიყვანსო. როცა ცას მივაშტერდებოდი, ვარსკვლავცვენაც მინახავს და სულ მიკვირდა, ნუთუ ამდენი ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან ერთ წუთში-მეთქი... ასე, კოსმოსის სამყაროში ჩაფლული, ფერად-ფერად სიზმრებსაც ვნახულობდი. ზოგჯერ ამ უკიდეგანო სამყაროში მიფრენია კიდეც. უმეტესად კი ჩვეულებრივ, მიწიერ ქვეყანას ვხედავდი ცარგვალზე არეკლილს. ერთხელ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი მესიზმრა, თანაც დეტალურად. ჰიტლერის ალზევებიდან დაწყებული, მოსკოვში, გამარჯვების ზეიმზე სტალინის ფერხთით გერმანულ დროშებს რომ ყრიდნენ — იქამდე. ამ ეპოპეის ეკრანი ცარგვალზე ტრიალებდა. ძილ-ღვიძილში ვეღარ გამეგო, ცხადი იყო თუ სიზმარი. თვითმფრინავებიც მინახავს, ბომბებს რომ უშენდნენ დედამიწას. ბევრჯერ გამხეთქია ამის გამო გული, მაგრამ ისინი მუდამ ასცდებოდა ხოლმე ჩვენს სახლს და ეზოს. ასე მივეჩვიე ღამით ცაში ყურებას და მასზე რეალური ყოფის ანარეკლის ხილვას. ერთი რამ დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში და მგონი, მან განსაზღვრა ჩემი ბედიც. სიზმარი ვნახე უცნაური: მაცვია თეთრი აბრეშუმის კაბა, ალუბლების კუნწულებით მოჩითული. ნაბიჯს რომ გადავდგამ, კაბას შარიშური გააქვს. უცბად ავიწიე ცერებზე, ჰაერივით დავმსუბუქდი და ზეცისკენ დავიწყე ფრენა. მივფრინავ სულ მაღლა და მაღლა. გადავიარე ცხრა მთა, ცხრა მდელო. ერთ ამწვანებულ კორდზე დავიწყე დაშვება, მაგრამ ვიდრე მიწას დავაბიჯებდი, ჩემ წინ თეთრ ნაბადმოსხმული მოხუცი ამოიმართა. ხელი შემაშველა და ოთხი ათეული გეყოფაო — მითხრა. ტირილი დავიწყე, ცოტაა-მეთქი. კარგი ხუთს დაგიმატებო — თქვა და გაუჩინარდა. დაფეთებულმა გავიღვიძე — რა იყო ეს ოთხი ათეული ვერაფრით მივხვდი. ამის მერე კი დამჩემდა რაღაც-რაღაცების თვლა. გამაგზავნიდნენ ბაღში ვაშლის მოსაკრეფად — დავიწყებდი თვლას და ზუსტად 40 ცალს მოვწყვეტდი ხოლმე, მერე რაღაც მიბიძგებდა და ხუთს კიდევ ვუმატებდი. ბაზარში რომ მივდიოდი, თუ რაიმეს თვლა შეიძლებოდა, აუცილებლად თითო-თითოდ უნდა გადამეთვალა 45... სტუდენტობისას თავგადაკლული ვსწავლობდი, სანამ სტიპენდია 45 მანეთი არ დამინიშნეს. ამ აკვიატების გამო ოჯახში შიზოფრენიის დიაგნოზი დამისვეს. ჩემს მეუღლესაც დიდი ამბით უყვებოდნენ ამ უცნაურ გატაცებაზე. მან კი უსაზღვრო ბედნიერება მაჩუქა.

ორმოცისა ავად გავხდი, მეხუთე წელია, ვჯახირობ, ვმკურნალობ. ოპერაცია მოსკოვში გავიკეთე. დამაიმედეს, გამოჯანმრთელებაც კი მომილოცეს... ამ დღეებში ბავშვობაში ნანახი სიზმარი განმეორდა. ისე ავფრინდი სადღაც, უკიდეგანო სამყაროში. როცა ხავერდოვან მწვერვალზე ვეშვებოდი, ის სპეტაკი მოხუცი შემომეფეთა: — ხომ შეგისრულე თხოვნა და ხუთი დაგიმატეო — მითხრა და გაქრა. ალბათ ეს იყო ბედისწერა — ათვლიდან ზუსტად ოთხი ათეული ბედნიერად მოვილიე, ხუთი ტანჯვის წელიც მიიწურა. დღეს თუ არა, ხვალ წავალ იმ ქვეყნად. იქიდან ვილოცებ, რომ ჩემს ორ შვილს ნათელი მომავალი დაებედოთ...

...ორმოცდამეხუთე, საბედისწერო წელს იგი მართლაც შეერწყა მარადისობას:

**თუთი რატიანი**

# ჩვენ გვწერენ: გაფრენა არის ისე ადვილი...

— ოთხი წლის წინ ცოლად გავყევი მამაკაცს, რომელიც თავდავიწყებით მიყვარდა. მაშინ ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. არც იმას ვაქცევდი ყურადღებას, რომ ქორწილამდე რამდენჯერმე გამაფრთხილა მომავალმა მეუღლემ: — ჩემთან ცხოვრება გაგიჭირდებაო. არც მისი ცოტა უცნაური ხასიათი მეხამუშებოდა — შეეძლო წვეულებაზე სამი, ოთხი საათი ხმა არ ამოეღო. ორიოდე თვის შემდეგ ღამით შინიდან გავიდა, დილით ამოთხუპნული და დაქანცული დაბრუნდა, ლოგინზე მიეგდო და ჩაეძინა... მას



მერე თვეში სამჯერ მაინც იკარგებოდა ხოლმე. სხვათა შორის, სასმელის ან სიგარეტის სუნი არასოდეს მოჰყოლია. ამან მაფიქრებინა, რომ საქმეში ქალი იყო გარეული. მალე დეპრესია დამეწყო.

ხომ გაფრთხილებდი, ჩემთან გაგიჭირდება ცხოვრება-მეთქი. შენი ერთგული ვარ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს აგიხსნიო, — მეუბნებოდა.

რომელი ნორმალური ქალი დაიჯერებდა ამას?! მაშინ უნდა ეთქვა, სად დადიოდა... არადა სხვა მხრივ არაჩვეულებრივი ქმარი იყო. შვილი რომ შეგვეძინა, დავმშვიდდი... შემიძლია დავიფიცო, რომ შვილისათვის ერთი ღამეც არ გამიტეხავს. სულ ის უვლიდა იმ ღამეების გარდა, როცა შინიდან მიდიოდა.

ბოლოს და ბოლოს ისე გავმწარდი, რომ სიმართლის გასაგებად რას არ გავილებდი. კერძო დეტექტივმა ძალიან დიდი ფული მომთხოვა... ავდექი და ჩემს დეიდაშვილს ვუამბე ყველაფერი. ერთ ღამეს მეუღლე შინიდან გავიდა თუ არა, მას დავურეკე და მანქანით დავედევნეთ.

თბილისიდან რომ გავიდა ჩემი მეუღლის მანქანა, სიჩქარეს უმატა. როგორც შეგვეძლო, მივდევდით... ავედით პლატოზე... მანქანა გაეჩერებინა. მოშორებით კი, შემაღლებულ ადგილას იდგა ჩემი ქმარი. გარინდებული და თავდახრილი, ქვემოთ იყურებოდა. მერე აიხედავდა ცაში, ხელებს აღმართავდა და ისევ გაირინდებოდა...

— გაგიჟებულა! — წამჩურჩულა ირაკლიმ — ჩემმა დეიდაშვილმა. მე უცნაური, გაოცებული და გაორებული გრძნობა მქონდა. ვიცოდი, წინ რაღაც მელოდა და აი, ის „რაღაც“ სულ მალე დავინახე.

ჩემმა ქმარმა ხელები გაშალა და ისკუპა. ოღონდ ძირს კი არ დაეშვა, მაღლა-მაღლა აფრინდა. ეს დაუჯერებელი იყო. გული ცუდად გამიხდა, თვალებს არ ვუჯერებდი, მაგრამ სინამდვილეს სად გავექცეოდი. ირაკლიმაც დაინახა, როგორ ფრინავდა... მერე ნელა დაიწყო დაშვება და ჩვენგან მოშორებით დავარდა... უკან მოუხედავად გამოვქანდით. ხმაური მასაც გაუგონია. შინ რომ დაბრუნდა, უკვე იცოდა, რომ მეც ყველაფერი ვიცოდი. ტირილი ამივარდა. მან კი ზუსტად ეს სიტყვები მითხრა: „ეს შენც შეგიძლია. ადამიანის ტვინს კიდევ უფრო დიდი საოცრების ჩადენა შეუძლია, ვიდრე ფრენაა. რა ვქნა, ვერასოდეს ვიტყვი ამ სიამოვნებაზე უარს, რასაც აფრენა ჰქვია... ეცადე, გამიგო!“

გაგებით კი გავიგე, მაგრამ შეჩვევა მიჭირს. მეჩვენება, რომ ის საშიში და ამოუცნობია. ეს კი მისადმი გაუცხოებას მაგრძნობინებს. ისიც ვერ დავიჯერე, რომ ტვინს ყველაფერი შეუძლია.

ესე იგი, მეც ავფრინდები?!

**დუდანა გ., თბილისი**

## „საზალლო-სალალო“ გვერდის პასუხები

I. აბა, გამოიცანი:
1) — ა); 2) — ბ); 3) — დ); 4) — დ); 5) — გ); 6) — გ); 7) — დ); 8) — გ).

II. მე-3 ხალიჩა.

III. ენძელა.

IV. მე-3 და მე-6 დეტალები, ვაშლის ნაწილი კი ჭიამაიამ შეჭამა.


თუ ხველამ შეგაწუხათ:

ჰედელიქსი®

წვეთები სიროფი



- ხელს უწყობს ამოხველებას
- ხსნის ხველის თანმხლებ ბრონქების სპაზმს
- აღადგენს სუნთქვის ნორმალურ პროცესს და წყვეტს „ღამის ხველას“
- არ შეიცავს შაქარს და სპირტს, ამიტომ მისი დანიშვნა შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში
- ინიშნება ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ჩვილობის ასაკსა და ორსულობის პერიოდში
- ხანგრძლივი მიღების დროსაც არ აქვს გვერდითი მოვლენები
- აქვს სასიამოვნო გემო და ოპტიმალური თერაპიული ეფექტი

რეგისტრაციის № R-0002885
რეგისტრაციის № R-0002884

სუროს ბუნებრივი სამკურნალო ძალა

Krewel Meuselbach
კრევილ მოიზელბახი გერმანია

ეპილაცია
ალექსანდრიტის ლაზერის 2003 წლის აპარატით

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“



ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
ეპილაცია
მკერდის კორექცია
ლიპოსაქცია
კონტურული მაკიაჟი

- ნებისმიერი ფერის თმებისთვის
- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ

კონსულტაცია უფასოა

ექიმი ქირურგი: გია გვარამია
ლაზეროთერაპევტები: ნია ბალათურია, მარიკა ხოფერია

კოსტავას ქ.63 ტელ: 212-312, 364-464

გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისთვის დოკუმენტაციის მომზადების დროს, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკუთრებასა და ფლობასთან დაკავშირებით?

მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- მედიაცია
- იპოთეკით დატვირთვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- მემკვიდრეობა,
- ყიდვა-გაყიდვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- კერძო არბიტრაჟი,
- სასამართლო ინსტანციებში ინტერესების დაცვა.
- უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8, ☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 399 856; 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 236 411; 899 271 912; თეთრიწყარო 899 702 192

დამარცხებული გრიპის ეპიდემია

მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც გრიპის ეპიდემიამ პიკს მიაღწია. მაღალი სიცხე, თვალების შეშუპება, კონიუნქტივიტი, საერთო სისუსტე და დაქვეითებული იმუნიტეტი – ეს სიმპტომები ნაცნობია და იგი თან ახლავს გრიპის ვირუსს.



ისმის კითხვა: როგორ გადავურჩეთ ვირუსებს?

კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"გთავაზობთ ვირუსებისაგან დამცავ რამოდენიმე საუკეთესო საშუალებას:

- ნივრის ექსტრაქტი კაფსულებში;
- ვიტამინ C;
- მულტივიტამინების კომპლექსი.

მსოფლიომ აღიარა, რომ ამ საუკუნის ვირუსების დასამარცხებლად ყველაზე ეფექტური საშუალება ნიორია.

ნივრის ექსტრაქტი აძლიერებს იმუნიტეტს და იცავს ორგანიზმს სხვადასხვა ვირუსებისაგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მიღება არ შეგიქმნით ნივრის სუნით გამოწვეულ დისკომფორტს. ნივრის ექსტრაქტი კაფსულებში საუკეთესოა როგორც უფროსების ასევე ბავშვებისათვის ჭიებით ინვაზიის დროს. ვიტამინების ნაკრები კი გაამდიდრებს თქვენს ორგანიზმს და მიანიჭებს მას ვირუსებთან ბრძოლის უნარს.

ორი აბი დღეში და თქვენი ორგანიზმი დაცული იქნება! ! !

„ნუტრიმენტ ჰაუსში“ კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

## ქველი ცოდვებისათვის

შვეიცარიელი მხატვარი მარსელ კრაუერი ახალ წელს „სასიამოვნო სიურპრიზით“ შეხვდა — იგი 200 ფრანკს გადაიხდის „გარემოსთვის მიყენებული ზარალისთვის“, ყველაფერი კი მხატვრის უსაზღვრო ამბიციების ბრალია.

გასული წლის აგვისტოში მან მსოფლიო რეკორდის დამყარება განიზრახა ქალის სხეულის მოხატვაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — სარეკორდო ექსპერიმენტზე 200-ის ნაცვლად, მხოლოდ 124 ქალი გამოცხადდა.

მხატვრის შემოქმედებით სახელოსნოდ ფირვალდშტეტის ტბის სანახები იქცა. სეანსის შემდეგ მოხატული მოდელები ტბაში გადაეშვნენ საბანაოდ და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ მათი სხეულებიდან ჩამონარეცხი 100 ლ საღებავი არა მარტო წყალს დააბინძურებდა, ტბის ფლორასა და ფაუნასაც გაავლებდა მუსრს. ხელისუფლებამ მარსელ კრაუერი მკაცრად გააფრთხილა — ამიერიდან, როცა რეკორდის დამყარებას მოისურვებთ, მოდელებისთვის საშხაპეც გაითვალისწინეთო. მანამდე კი უიღბლო რეკორდსმენს მხოლოდ ჯარიმა არგუნეს.

***ეხო პლანეტი №1-2***

## ბელადები დღესაც ავანგარდში არიან



ინდოეთის ერთ პატარა ქალაქში მართლაც ისტორიული საზეიმო ცერემონიალი შედგა — თავყრილობას ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი და გორბაჩოვი ესწრებოდნენ. ფორუმი სავსებით სამართლიანადაც, დიდმა ილიჩმა გახსნა. გამომსვლელთა შორის იყვნენ ბრეჟნევი და გაგარინი.

ფორუმის ყველაზე ნორჩ მონაწილეს „პრავდა“ ერქვა...

თქვენს ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებთ და გეტყვით, რომ ეს საბჭოურსახელებიანი ხალხის შეკრება იყო. სხვათა შორის, არც ერთს არასოდეს გამოუთქვამს თურმე ამის გამო საყვედური. პირიქით, ეამაყებათ კიდეც, რომ ასეთი უჩვეულო სახელები ჰქვიათ.

მას შემდეგ კიდევ უფრო მომრავლდა საბჭოეთის გამოჩენილ ადამიანთა მოსახელენი ინდოეთის ამ პატარა ქალაქში, ღონისძიების მოწყობის ინიციატორებმა მოიძიეს და თავიანთ პროვინციაში მცხოვრები თითქმის ყველა საბჭოურსახელიანი ადამიანი მოიწვიეს ამ ფორუმზე. მით უმეტეს, რომ ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვის ინდოეთში მოგზაურობა თავის დროზე მართლაც დიდი ზეიმით აღინიშნა. საგულისხმოა, რომ მაშინ ჯავაჰარლარ ნერუმ საბჭოთა ლიდერს დიდი მეგობრობის სიმბოლოდ სპილო აჩუქა.

ასე რომ, პროლეტარიატის ბელადი, დიდი სტალინი და სხვა პარტიული ფუნქციონერები დღესაც ავანგარდში არიან.

***ოკნა №3***

## თვითმკვლელობიდან რეკორდამდე

ამქვეყნად უამრავი უცნაური ადამიანი ცხოვრობს — თითოეულს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ახირება და უცნაურობა სჭირს. მათი წყალობით ხდება ის უამრავი კურიოზი, ჩვენ რომ გვართობს და გვამხიარულებს.

მაგრამ რა ვუყოთ იმ შემთხვევას, როცა ადამიანი სავსებით ნორმალურია. ამა თუ იმ მოვლენას ადეკვატურადაც ეხმიანება, მაგრამ მაინც სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე და უნდა ითქვას, რომ ხეირსაც ნახულობს (თუმცა ასეთი რამ იშვიათია, „დაზარალებულები“ უფრო ჭარბობენ). მაგალითად, ამერიკელ კირკ ჯონსს ყველა სხვა ადამიანივით ჰქონდა დარდი და საწუხარი. ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენა, რომ ასე სიცოცხლე არ ღირდა და ნიაგარის ჩანჩქერში გადაეშვა. თავის მოკვლის სურვილმა ავტონაწილების გამყიდველი სახელგანთქმულ კაცად აქცია — იგი ერთადერთია, ვინც ამ სიმაღლიდან (50-ზე მეტი) გადახტომის შემდეგ ცოცხალი გადარჩა. ერთი ეს არის, 3000 კანადური დოლარით დააჯარიმეს, სამაგიეროდ, მსოფლიომ გაიცნო, თუმცა ფიქრადაც არ მოსვლია „რეკორდის“ დამყარება სიმაღლიდან ხტომაში. დეპრესიაც მოიშორა, ყველა პრობლემა უფსკრულში დატოვა. ხელისუფლებამ მხტომელის საქციელი უკანონო ქმედებად შეაფასა და, ჯარიმის გარდა, მთელი წლის განმავლობაში ნიაგარის ჩანჩქერთან მიახლოებაც კი აუკრძალა.

***შტერნი***

## გაცრუებული იმედი



ფულის კეთების უამრავი ხერხია ცნობილი. ყველა თაღლითს თავისი მეთოდი აქვს შემუშავებული. საამისოდ ნოყიერი ნიადაგიც არსებობს — სანამ სულელები იქნებიან ამქვეყნად, თაღლითებს ჯიბე სავსე ექნებათ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველთვის როდი უმართლებთ. რას ვიზამთ, თუ მაძღარი, უზრუნველი ცხოვრება გინდა, მსხვერპლიც უნდა გაიღო. ფულის შოვნის გზა ეკლებით არის მოფენილი.

არის შემთხვევა, როცა თვით თაღლითიც სულელი აღმოჩნდება ხოლმე. ასეთ დროს კრახი გარდაუვალია. ამის დასტურად ჩინეთში დატრიალებული ერთი ამბავიც შეიძლება გამოდგეს.

ერთმა ჩინელმა ფერმერმა მხოლოდ ქორწინების ღამეს შეიტყო, რომ მისი საცოლე მამაკაცი ყოფილა. საცოლე ნათესავებმა გამოუძებნეს მეზობელ პროვინციაში. წყვილი ერთმანეთს ხეირიანად ვერ გაეცნო, მაგრამ პაემანზე საქმროს ქალი ლამაზი ეჩვენა. დიდებული ქორწილი გადაიხადეს — 3.000 დოლარი დაიხარჯა, მაგრამ „ბედნიერება“ თურმე ნეფეს წინ ჰქონდა. როცა მორცხვ პატარძალთან განმარტოვდა და გადაეხვია, ქალს მკერდი მოსძვრა(!). კარგად რომ დააკვირდა, პატარძალი ვაჟი ყოფილა (დროულად კი გაახსენდა).

თაღლითი „საპატარძლო“ სასწრაფოდ პოლიციაში მიაბრძანეს და ბრალად ფულის გამოძალვა დასდეს. საბრალო ფერმერი კი ჯიბეცარიელი და უცოლო დარჩა.

***ოკნა №2***

## გზა ზეცისაკენ

„ავტომობილი ფეხით კი არა, თავით უნდა მართო!“ — ასეთ ტექსტს წაიკითხავთ არგენტინულ პროვინცია სალტას შესასვლელთან. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია — 30-კილომეტრიან ტრასაზე საგზაო „აფორიზმების“ მთელ კოლექციას გაეცნობით — ერთი მეორეზე მკვახეა.

„ფრთხილად იარე, გახსოვდეს, ჩვენს დასახლებულ პუნქტში ისედაც ცოტა ხალხია!“ — გაფრთხილებთ წარწერა ამ ღვთისგან დავიწყებულ დასახლებაში შესვლისას. „ზეცა შორსაა, მაგრამ თუ თავაწყვეტილი იქროლებთ, იქ სწრაფად აღმოჩნდებით!“ — არიგებს ადგილობრივ „შუმახერებს“ მეორე ნიშანი. „ძვირფასო ავტომობილისტო, მე ველოსიპედით მივდივარ, ნუ გადამივლი!“. ეს ფრაზა თითოეული მძღოლის წარმოსახვაში უდანაშაულო მწერივით გასრესილი ველოსიპედისტის საშინელ სურათს ხატავს. „ყველა გზას აქვს დასასრული“, მთავარია, რომელიმე შენი არ აღმოჩნდეს“ — ასეთ ტექსტს რომ წაიკითხავ, სადმე წასვლის სურვილი აუცილებლად დაგეკარგება.

სამაგიეროდ, მერე გზის გრუნტიან მონაკვეთზე, რომელიც ანდებისკენ მიემართება, შეიძლება აღარც კი გააფრთხილო მძღოლი. როცა უფსკრულის პირას მიდიხარ, თავაწყვეტილი ქროლის სურვილი აღარ გაქვს, ამასთან, გზად სამსახლიანი სოფელიც შემოგხვდებათ ხალისიანი დასახელებით „პატარა ჯოჯოხეთი“. რასაკვირველია, სოფელში შესვლაც შეიძლება... თუმცა არ გირჩევთ.

***მირორი***

## ჩემპიონი სისულელეში

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჯერ კიდევ სენატორობისას მიიღო კანონი, რომლის თანახმად, დამნაშავემ წინასწარ, წერილობით უნდა შეატყობინოს მსხვერპლს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.



აშშ თამამად შეიძლება მივიჩნიოთ აბსურდული კანონების ჩემპიონად. მაგრამ იგი ერთადერთი ქვეყანა როდია, სადაც უამრავ იურიდიულ კაზუსს იპოვით. დსთ-შიც ბევრი სასაცილო ნორმატიული აქტი არსებობს. მაგალითად, თურქმენეთში ჩასული ყველა უცხოელი ვალდებულია მივიდეს პრეზიდენტის სასახლის წინ მდებარე მოედანზე. თურქმენეთში კანონი ასევე კრძალავს ფულის კუპიურებსა და მონეტებზე ფეხის დადგმას, რადგან მათზე ნაციონალური გმირები არიან აღბეჭდილი. თურქმენ ქალებს რესტორანში ან ბარში მხოლოდ ერთი ბოკალი ღვინის შესმის უფლება აქვთ, რადგან კანონის თანახმად, ალკოჰოლი ქალს „მორალურად და სექსუალურად დამყოლს“ ხდის. კანონის დარღვევა დიდი ჯარიმით ისჯება და ცოლ-ქმრის გაყრის საფუძველიც არის.

ყირგიზეთში არსებობს კანონი, რომლის მიხედვით საგზაო პოლიციელები ვალდებულნი არიან ხელმძღვანელობას დღის განმავლობაში აღებული ქრთამის ოდენობა მოახსენონ. ყაზახეთში აკრძალულია სახელმწიფო მაღალჩინოსნებთან უცხო ენაზე ლაპარაკი. ჯარიმა ამისათვის 10 დოლარია.

რუსეთიც ცდილობს შეიტანოს წვლილი ლოგიკას მოკლებული კანონების შექმნაში. მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა კაზინოები და სათამაშო სახლები, მოთამაშე კანონით ისჯება. რუსეთში დღესაც აკრძალული ყოფილა გზის პირებზე სარეკლამო ფარების დადგმა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რეკლამის საუკუნეში ამ კანონს თუ დაიცავენ, როგორ გამდიდრდება ჯარიმებით ქვეყნის ხაზინა.

***ნიუზუიკ***

## კონტრაბანდისტები



პატარა ვირმა, რომლისთვისაც უამრავი მუყაოს ყუთი აეკიდებინათ, ალჟირის მხრიდან ტუნისის საზღვარი გადალახა. იგი გზას მშვიდად გაუყვებოდა, მესაზღვრეებს რომ არ დაეკავებინათ.

უწყინარ ვირს არალეგალურად გადაჰქონდა საზღვარზე ბანანების პარტია. ამასთან, საზღვრის დამრღვევი მარტო არ ყოფილა, თან ორი თანამზრახველი ახლდა, ასევე საქონლით დატვირთული. მესაზღვრეების გასაოცრად, ორივემ გაჭირვებაში მიატოვა მეგობარი და სულ ჩორთით გაიქცნენ.

ტუნისის საზღვარზე ოთხფეხა კონტრაბანდისტები ხშირად „სტუმრობენ“ მესაზღვრეებს — კონტრაბანდული საქონლის გადამტანები, ძირითადად, ვირები, ცხენები და ჯორები არიან. ეს ამ დანაშაულებრივი ბიზნესის ორგანიზატორებს ხელს აძლევს — მათი მხილება პრაქტიკულად შეუძლებელია. მათდა საბედნიეროდ, ვირს ლაპარაკი არ შეუძლია, არც ის იცის, კანონსაწინააღმდეგო ქმედებას რომ სჩადის. ერთადერთი, რითაც „ზარალდება“, ისაა, რომ ტვირთს ჩამოართმევენ.

***ლე სუარ***

## ახალი ბედნიერება

გერმანელმა სუპერმოდელმა „ახალი ბედნიერება“ იპოვა — ახლახან ჰაიდი კლუმმა ოფიციალურად ამცნო საზოგადოებას, რომ თავის 44 წლის პარიკმახერ ქმარს, რიკო პიპინოს ეყრება. „ახლა ჩემი გული ფლავიო ბრიატორეს ეკუთვნის. ოთხ თვეში მე დედა გავხდები“, — განაცხადა 30 წლის მოდელმა. „ფორმულა-1“-ის შეფი და თავის დროზე ცნობილი იტალიელი ლოველასი ბრიატორეც ირწმუნება, რომ „ნამდვილი სიყვარული ეწვია, რომელსაც მთელი სიცოცხლე ელოდა“. შეყვარებულებს ქორწინების თარიღი არ გამოუცხადებიათ.

ჰაიდი კლუმი ჯერჯერობით ნიუ-იორკში ცხოვრობს. იქ რამდენიმე წლის წინ გადასახლდა მშობლიური ქალაქიდან, როცა სილამაზის კონკურსზე გაიმარჯვა. 1999 წელს კი „ამერიკის პირველი ლამაზმანის“ ტიტული დაიმსახურა, კატეგორიაში „გოგონა-ოცნება“. ჰაიდისაც აქვს ოცნება — საკუთარი საქმის დაწყება უნდა. მოდელის კარიერა ხომ ძალზე ხანმოკლეა.

***ბილდი***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“






**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნიკოლოზ ნეკრასოვის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

**პ.** გარეგნული ბრწყინვალება, კარგი შესახედაობა, ლაზათი; **ა.** გამოუწვავი აგური; **ლ.** აღვირის ნაწილი, ცხენის პირში ამოსადები რკინა; **ი.** უმცროსი მატროსი; **ტ.** პელეს თანაგუნდელი თეთრკანიანი ფეხბურთელი, რომელიც ბრაზილიის ნაკრებში 9 ნომერი მაისურით ასპარეზობდა; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა.** ადამიანის მთავარი არტერია; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **უ.** გათლილი ხე წყვილი ხარისათვის ქედზე დასადგმელად და ურემში შესაბმელად; **კ.** მხატვრული ფილმი მაიკლ იორკისა და ლაიზა მინელის მონაწილეობით; **ე.** დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება კუნძულზე გადამალული ჩვილი ზევსი; **ე.** ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ო.** თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში; **ა.** ჯუზეპე ვერდის ოპერა; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ჩ.** პატარა ჩიტი; **ე.** ლეგენდარული პორტუგალიელი ფეხბურთელი; **ვ.** ... კოტეტიშვილი; **ა.** ტროპიკული ხილი; **ნ.** ვიტო კორლეონეს მშობლიური შტატი; **ი.** ლათინური ასო, რომლითაც მათემატიკაში უცნობ სიდიდეს აღნიშნავენ; **ა.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სინათლის სხივი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დრაკონი; **ა.** აბრაზია; **ი.** იკარუსი; **ს.** სიფაპი; **ვ.** ვოევოდა; **ე.** ებრაელი; **ნ.** ნეილონი; **ე.** ეკალი; **თ.** თემიდა; **პ.** პიონერი; **ა.** აზნაური; **ლ.** ლიონი; **ი.** იობი; **ტ.** ტრაპი; **რ.** რაზდანი; **ი.** იკებანა; **ს.** სკუნსი; **ფ.** ფოფოდია; **ე.** ეგრისი; **რ.** რიონი; **თ.** თასმა; **ა.** ატაშე; **გ.** გუშაგი; **ა.** ამირანი; **მ.** მუნდირი; **ა.** აპენინი; **შ.** შილერი; **ი.** ისინდი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: არაფერია მონოგამზე უფრო საშინელი.**

# ნატალი პორტმანი: — არასოდეს გავშიშვლდები!

**ჰოლივუდის ყველაზე ახალგაზრდა და იდუმალი ვარსკვლავი ლუკ ბესონის კრიმინალური ფეერიის, „ლეონის“, გაგრძელებაში ითამაშებს.**



22 წლის ვარსკვლავი ნატალი პორტმანი ყოველთვის ერიდება საჯარო გამოსვლებს, არ უყვარს ინტერვიუს მიცემა და მხოლოდ იმ კითხვებზე პასუხობს, რომელიც მოსწონს. მაგრამ ახლა კი მოუწევს ჟურნალისტებთან ხშირი ურთიერთობა — მიმდინარეობს გახმაურებული ფილმის, „ლეონის“, გაგრძელების გადაღება, რომელშიც პორტმანის გმირი — მომხიბვლელი „ლოლიტისგან“ არანაკლებ თვალწარმტაც მკვლელად გადაიქცევა:

— სცენარი იმდენად მომეწონა, რომ გადაღების გულისთვის შვებულებაც კი შევწყვიტე, — ამბობს ნატალი, — ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ფორმის ალსადგენად ძალიან ბევრი ვარჯიში მომიწევს.

ლუკ ბესონის ცნობილი ფილმი პროფესიონალი მკვლელის (ჟან რენო) და მოზარდი გოგონას (ნატალი პორტმანი) ურთიერთობაზე მოგვითხრობს. ფილმი 1994 წელს გადაიღეს, მაშინ ნატალი 12 წლის იყო. ის ორი ათასი პრეტენდენტიდან ამოარჩიეს. სცენარით გათვალისწინებული იყო 14 წლის მოზარდი, მაგრამ ნატალიმ ისე მოხიბლა რეჟისორი, რომ ასაკს აღარ მიაქცია ყურადღება. სწორედ ნორჩი მსახიობის გულწრფელობამ განაპირობა ფილმის წარმატება.

ნატალის მშობლებმა გადაღების დაწყების წინ მკაცრად მოითხოვეს — არავითარი ძალადობა და სიშიშვლე ეკრანზე! ნატალიმ ისეთი სიმართლით ითამაშა არაბავშვური ვნება კინოს მეტრის, ჟან რენოსადმი, რომ დღემდე ეკითხებიან, — ჟან რენო ან ლუკ ბესონი ხომ არ შეგიყვარდაო. ნატალი კი, რა ხანია, ერთსა და იმავეს პასუხობს — ეს ხალხი დიდი პედაგოგები არიან და პირველსავე დაძახილზე ყველგან გავყვები, ისინი მამასავით მექცევიან, მაგრამ საქმეში თანაბარუფლებიანი ვარო.

ბესონის ჩანაფიქრით, „ლეონი-2“-ის მოქმედება ჟან რენოს გმირის დაღუპვიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვითარდება. მატილდა გაიზარდა და კილერი გახდა. შეძლებს კი ბესონი ისეთი ფილმის გადაღებას, პირველი „ლეონის“ წარმატებას რომ გაუტოლდეს, მთავარი გმირების — ჰარი ოლდმანის და ჟან რენოს გარეშე — მათი პერსონაჟები ხომ დაიღუპნენ? ეტყობა, რეჟისორს ნატალის დიდი იმედი აქვს — მას ხომ თანამედროვე კინემატოგრაფის საოცრებას ეძახიან!

პედანტი პორტმანისთვის შვებულების გადატანა ძალზე სერიოზული გადაწყვეტილებაა. მას არ უყვარს დაგვიანება და გეგმის შეცვლა. სკოლაში, სადაც ნატალი ფრიადებზე სწავლობდა, გაკვეთილებზე წუთითაც არ დაუგვიანებია — დისციპლინა და შრომისმოყვარეობა კი ოჯახიდან მოსდგამს.

პორტმანის ბავშვობასა და ოჯახზე ათასი ჭორი დადიოდა. ბოლო დრომდე ასე იყო ცნობილი, რომ ვარსკვლავის მშობლები 70-იან წლებში ისრაელში კიშინიოვიდან ჩავიდნენ. თავად ნატალი იერუსალიმში დაიბადა. 1984 წელს ოჯახი აშშ-ში გადასახლდა. პორტმანი — ნატალის ბებიის გვარია. მისი საკუთარი გვარი დღემდე არავინ იცის. სამაგიეროდ, ვარსკვლავი ბევრს ლაპარაკობს მამაზე — ის პროფესიით გინეკოლოგი იყო, ბევრს კითხულობდა და დღის 5 საათზე დგებოდა, საკონტროლოსთვის რომ მოვემზადებინე, გამოცდების შედეგებსაც მკაცრად მიმოწმებდაო, — იხსენებს ნატალი.

ამჯერად ნატალი დამოუკიდებლად ცხოვრობს, ჰარვარდის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. კონტრაქტის გაფორმებისას ამჯერად უკვე არა მშობლები, არამედ თვითონ მოითხოვს, რომ ფილმში არც ძალადობის სცენები იყოს და არც ლოგინის... პირად ცხოვრებას საიდუმლოდ ინახავს, თუმცა ამ ბოლო დროს ხმები დაირხა მისი და ლოს-ანჯელესელი როკერის ახლო ურთიერთობაზე. ნატალი არ ჭამს ხორცსა და ყველს, არასოდეს გაუსინჯავს სპირტიანი სასმელი და ნარკოტიკი, მოკლე ხანში მის საყვარელ კანფეტებზეც უარის თქმას აპირებს. თითქოს სუსტ ადგილს ვერ უპოვი. თუმცა ერთი მაინც აქვს — ნატალი კვლავ მალავს თავის ნამდვილ გვარს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა კონტინენტის მაყურებელს ძალიან უყვარს და ინტერნეტში ასეთი საიტიც კი გახსნეს — „ნატალი პორტმანის ტაძარი“.

# ჰოლის უნდა ვეფხვი „იშვილოს“



ოსკარის მფლობელს, 2003 წლის ყველაზე სექსუალურ ქალს, ჰოლი ბერის გადაწყვეტილი აქვს, იშვიათი ბენგალური ვეფხვი „იშვილოს“. მსახიობი „ზოლიანი ცხოველებისადმი“ სიმპათიით განეწყო ფილმის, „ქალი-კატა“, გადასაღებ მოედანზე. მსახიობს „კატებთან“ თამაში ერჩივნა თავის პარტნიორთან, ცნობილ შარონ სტოუნთან ურთიერთობას. ჰოლის ვეფხვი ყველგან თან დაჰყავს: საგრიმიოროში, სახელდახელო გადაღებებზე. თუმცა დიდი შფოთისთავია. გადაღების პირველ დღეს სტუდიის დირექტორის აკვარიუმის გადაბრუნებას შეეცადა, უნდოდა, ყველა თევზი შეესანსლა.

სტუდიის ხელმძღვანელობა თანახმაა, ცხოველი მსახიობს აჩუქოს, თუ ის შეძლებს მის მეთვალყურეობას.

# რენე ზელვეგერმა პრინცი უილიამი არჩია



პოპულარულმა კინომსახიობმა რენე ზელვეგერმა თურმე ბევრი იცინა, როცა ერთ-ერთ ბულვარულ გაზეთში წაიკითხა, თითქოს ის დიდ ბრიტანელ პრინცს, ენდრიუს ხვდება. „ყველა ჩემმა ევროპელმა მეგობარმა დამირეკა — რა ხდება შენს თავსო. ეს ამბავი დედაჩემმაც კი გაიგო. ძალიანაც გავხალისდი, — განაცხადა მსახიობმა და დაურთო, — პრინცი ენდრიუსი რა მოგახსენოთ და, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, პრინც უილიამს კი სიამოვნებით შევხვდებოდი, მაგრამ ასაკობრივ სხვაობას რა ვუყო — მე ამას წინათ შემისრულდა 34 წელი, პრინცი კი მხოლოდ 21 წლისაა.“

ზელვეგერმა ასევე აღიარა, რომ აშინებს მარტო დარჩენა თავისი გმირის, ბრიჯიტ ჯონსის მსგავსად. მას ჯიმ კერისთან და ჯორჯ კლუნისთან რომანები ჩაეშალა და ამჟამად ახალ პარტნიორს ეძებს.

# ესტრადის პატრიარქი



ცნობილმა ფრანგმა შანსონიემ, ესტრადის პატრიარქმა, შარლ აზნავურმა ახლახან გამოუშვა ახალი ალბომი სახელწოდებით „მე ვმოგზაურობ“.

ალბომის სახელწოდება სიმბოლურია: აზნავურს მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი. მაისში, დაბადების 80 წლისთავის აღნიშვნას საგასტროლო ტურნეთი აპირებს და მაყურებელს ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე უმღერებს. „სიმღერას მაშინ შევწყვეტ, როცა სცენაზე ასვლას ველარ შევძლებ“, — ამბობს შარლ აზნავური.

მიუხედავად პოპულარობისა, ის მეტად მოკრძალებულად აფასებს საკუთარ ღვაწლს: „მე მხოლოდ კარგ სიმღერებს ვწერ, ვერასოდეს შევქმენი ჰიტი“. აზნავურს თავდავიწყებით უყვარს კინო. ახლაც სიამოვნებით თამაშობს ტელეფილმ „მამა გორიოში“ (ბალზაკის მიხედვით).

# ჯონი დეპი — ყველაზე სექსუალური მამაკაცი



ჟურნალმა „ფორბსმა“ 40 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავი, ჯონი დეპი, „ყველაზე სექსუალურ მამაკაცად“ აღიარა. ეს ამბავი მსახიობმა ჟურნალისტისაგან — ინტერვიუს დროს შეიტყო. არც არის გასაკვირი, დეპი ხომ უკვე 5 წელია, პრინციპულად არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს. „ვამჯობინებდი, დავრჩე ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ჩემი ვანესასთვის... მაგრამ რა შუაშია სექსუალურობა, მე ხომ მსახიობი ვარ და არა სტრიპტიზის მოცეკვავე,“ — უკვირს ჯონის. მართალიცაა. რა ტიტულია „ყველაზე სექსუალური“? რა თქმა უნდა, ჟურნალი თავის გმირს ირჩევს მათ შორის, ვისი მიმზიდველი ღიმილიც იპყრობს მანდილოსნების გულს. ასეთი კერპები ბევრნი არიან, ტიტული კი — ერთია... და ეს ტიტული რომ მოიპოვო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიპყრო. გმირს, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევს ჟურნალი, სწორი იქნებოდა, რქმეოდა „ყველაზე პოპულარული მამაკაცი“, მაგრამ ამერიკელთა აზრით, „ყველაზე სექსუალური“ — გაცილებით ეფექტურად ჟღერს.

ჯონის ქალები ყოველთვის „განუმეორებელს“ უწოდებდნენ. ცნობილი მსახიობებიც ვერ უძლებდნენ მის ხიბლს. 3 წლის წინ ფრანგი ვარსკვლავი ანი ჟირარდო შემთხვევით შეხვდა პარიზში. მსახიობმა თავი ვერ შეიკავა: „ვგიჟდები თქვენზე, ჯონი!“ „ის ტკბილი, ცხელი და ვნებიანია, როგორც ძვირფასი შოკოლადი“, — განაცხადა ჟულიეტ ბინოშმა. მის გემოვნებას კი, რომელმაც დეპის შეყვარებულის, მშვენიერი კონდიტერის როლი ითამაშა რომანტიკულ კინოზღაპარში „შოკოლადი“, უდავოდ უნდა ვენდოთ. მისმა მეორე პარტნიორმა ფილმში „კარიბის ზღვის მეკობრეები“, კაიარა ნაიტლმა გულწრფელად თქვა, — მასთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა. ძალიან მიმზიდველია, მის თვალებში გიზგიზებს ინდიელი წინაპრების ცეცხლი, ბობოქარი ხასიათი კი განსაკუთრებულ სექსუალურობას ანიჭებსო. ახლახან, კრისტინა რიჩი, რომელმაც ჯონისთან ერთად სამ ფილმში ითამაშა, გამოტყდა — ბავშვობიდანვე მიყვარდა დეპი, აღფრთოვანებული ვარ მისი ნიჭით, ხოლო ისეთი კოცნა იცის, ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაიტრაბახებს. მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — ისეა ჩართული ოჯახურ იდილიაში, რომ თავისი ვანესას გარდა არავინ ახსოვს“. რა თქმა უნდა, რიჩი გულისხმობს დეპის ცოლს, 31 წლის ფრანგ მომღერალსა და მსახიობს ვანესა პარადის.

ეს 4-5 წელია, მეგობრები ვერ ცნობენ ჯონის. ვინ იფიქრებდა, რომ დეპი სამაგალითო მეოჯახედ გადაიქცეოდა?! ყოველ შემთხვევაში, არც მის ყოფილ ცოლს — ლორი ელისონს, მიტოვებულ საცოლეებს — შერილინ ფენს, ჯენიფერ გრეის, ვაინონა რაიდერს, კეიტ მოსს — დღემდე არ სჯერათ მსახიობის წარმოუდგენელი გარდაქმნა.

1998 წელს დეპი საფრანგეთში ჩავიდა რეჟისორ რომან პოლანსკის ფილმში, „მეცხრე კარიბჭე“, სათამაშოდ. რესტორანში ვახშმობისას უეცრად მისი მზერა ანდამატივით მიიზიდა უცნობმა გოგონამ, რომელმაც ის-ის იყო, დარბაზში ფეხი შედგა. ჯონი აფორიაქდა, გული აუძგერდა. ვერ ხვდებოდა, რა მოუვიდა. უცნობი გოგონა მობრუნდა და მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა...

— თვალებს ვერ ვუჯერებდი — ქალია თუ ანგელოზი-მეთქი... იმ წუთში თითქოს რაღაც ჯადოთი შემკრეს. სულ დამავიწყდა, რომ ჩვენ რამდენიმე წლის წინ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო. მივხვდი, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა, — იხსენებს ჯონი.

თურმე ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორი შეიძლება იყოს ბედნიერება. ბედნიერება კი სიყვარული აღმოჩნდა — ვანესა პარადის სიყვარული. ვანესაც ასევე პასუხობდა. მერე შვილებიც გაუჩნდათ.

— პირველად რომ შვილის ტირილი გავიგონე, ნამდვილი შოკი განვიცადე. თითქოს ვიღაცამ ყურში ჩამავლო ხელი და გამომიყვანა სქელი ბურუსიდან, რომელშიც მთელი სიცოცხლე ვიყავი გახვეული, — იხსენებს მსახიობი.

2002 წელს გაუჩნდა ვაჟი.

— ოჯახის შექმნის შემდეგ მივხვდი, რომ მინდა სიცოცხლე, სუნთქვა და საკუთარ თავზე ზრუნვა. ჩემი ერთადერთი რეალობაა ვანესა და შვილები, — ამბობს ჯონი.



# დარასელია მოსკოვში, დინამო — ევროპაში

მოსკოვიდან ტრიუმფით დაბრუნებულ „დინამოს“ თბილისში არ ჩამოჰყოლია წამყვანი ნახევარმცველი ვიტალი დარასელია. ვიტალი სავარაუდოდ, მოსკოვის „დინამოში“ გააგრძელებს თამაშს. მოწონება დაიმსახურა თბილისის „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელმაც, რომელთაც რეალური წინადადებები ჰქონდათ, თუმცა, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის, ივო შუშაკის განცხადებით, მათ არ იჩქარეს და „დინამოში“ დარჩენა არჩიეს.

სხვათა შორის, რეალური წინადადებები შესთავაზეს ივო შუშაკსაც, მაგრამ, ხორვატმა სპეციალისტმა განაცხადა: „მე მუშაობის ჩემი სტილი მაქვს. როცა სამსახური მაქვს, არასდროს ვფიქრობ სხვა ვარიანტზე. ამჯერად კონტრაქტით „დინამოს“ ვეკუთვნი და მთლიანად კონცენტრირებული ვარ ამ გუნდზე. სხვა ვარიანტებს მას შემდეგ განვიხილავ, როცა დინამოსთან კონტრაქტი დამისრულდება. ამ ეტაპზე კი როგორც ვთქვი, სხვა წინადადებები არ მაინტერესებს.“



საქართველოს ჩემპიონი გუნდის რიგებში არის სიახლეც — უკვე ოფიციალურად გაცხადდა, რომ გუნდს საქართველოს ნაკრების კაპიტანი დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც შოტლანდიის „დანდი“ გაკოტრდა და იძულებული გახდა ჩვენებურის სამსახურზე უარი ეთქვა, გიორგი ნემსაძე უკლუბოდ დარჩა, თუმცა მას შოტლანდიის თითქმის ყველა გუნდიდან ჰქონდა მიწვევა.

სულ ცოტა ხნის წინ გიორგი შოტლანდიაში იყო ჩასული იმისთვის, რომ საბოლოოდ გაერკვია ვითარება. „დანდიმ“ კვლავ შესთავაზა ნემსაძეს კონტრაქტი, თუმცა, გაცილებით დაბალი ანაზღაურებით, რაზეც ჩვენებური არ დათანხმდა.

გიორგი ნემსაძემ თბილისის „დინამოსთან“ წელიწადნახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**გიორგი ნემსაძე:** „დინამო“ ჩემთვის უძვირფასესი გუნდია, აქ ავიდგი ფეხი, როგორც ფეხბურთელმა და ბუნებრივია, მინდოდა, რომ მისთვის სათანადო დახმარება გამეწია, მით უმეტეს, რომ სულ მალე საფეხბურთო კარიერას დავასრულებ და მინდა ვალმოხდილი ვიყო ჩემი ერის წინაშე. შოტლანდიაში მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ფინანსურად დიდი განსხვავება არ იყო მათსა და „დინამოს“ წინადადებას შორის, ამიტომაც ვარჩიე აქ დაბრუნება“.

თავის მხრივ, დინამოელთა ხორვატმა მწვრთნელმა **ივო შუშაკმა** პრესკონფერენციაზე შემდეგი განაცხადა:

— ქართველი ლეგიონერების დაბრუნების პროცესს რომ კეთილი გავლენის მოხდენა შეუძლია გუნდის მდგომარეობაზე, რატი ალექსიძის ჩამოსვლამაც დაადასტურა. ნემსაძე გუნდისთვის დიდი ძალაა და მეამაყება, რომ ის ჩვენს კლუბში ითამაშებს. მისი სახით მეტად საიმედო ფეხბურთელი შევიძინეთ, რაც ჩვენი გუნდის წინსვლას უდავოდ შეუწყობს ხელს. მე ყოველთვის მივესალმები ლეგიონერების დაბრუნებას სამშობლოში. ხორვატიაში ამ პროცესმა კეთილისმყოფელი შედეგი გამოიღო. ის, რომ ზაგრების „დინამომ“ ევროპულ სარბიელზე წარმატებას მიაღწია, სწორედ ამ პროცესის ლოგიკური შედეგი იყო. იმედი მაქვს, რომ მსგავს წარმატებას ჩვენც მოვიპოვებთ.

**— დაფინანსების გაზრდა აუცილებელია დიდი ამბიციების გუნდის შესაქმნელად... მოსკოვში თანამეგობრობის თასის გათამაშებაში გამარჯვება რამდენად იქნება სტიმული გუნდის მეპატრონისთვის, რათა მან ძველებურად დიდი გუნდის შექმნაზე იფიქროს?**

— თბილისის „დინამოს“ თავიდანვე დიდი მიზნები ჰქონდა, ჩვენ ახლაც ევროპული დონის გუნდის მშენებლობას ვისახავთ მიზნად. თუმცა ვიტყვი, რომ ამ მიზნის მისაღწევად რაღაც შეცდომებია დაშვებული. მხედველობაში მაქვს კონტრაქტები, სადაც მინიშნებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს, თუკი უკეთესი წინადადება გამოუჩნდებოდა სხვა გუნდიდან, შეეძლო გუნდის დატოვება. ასე მოხდა ამისულაშვილის შემთხვევაში, რომელსაც ჩვენთან კვლავ აკავშირებს კონტრაქტი. ბუნებრივია, ახალი საკონტრაქტო ხელშეკრულების გაფორმებისას ეს პუნქტი უნდა ამოიღონ. რაც შეეხება დიდი გუნდის მშენებლობის პროცესს, ესეც სპეციფიკურობით ხასიათდება. როდესაც რეალური წინადადება გვაქვს ისეთი გრანდიდან, როგორიც კიევის „დინამოა“ და რომელიც დიდ ფულს გთავაზობს, ძნელია ცდუნებას გაუძლო. მოთამაშის შეჩერება შეუძლებელია. ეს კანონზომიერი პროცესია — თავის მხრივ, ვერც კიევის „დინამომ“ დააკავა შევჩენკო და კალაძე, რომლებიც „მილანის“ მხრიდან შემოთავაზებულ წინადადებებს დაჰყაბულდნენ. ამ რეალობის გათვალისწინებით, ჩვენი მუშაობის შეფასების კრიტერიუმია ის, რომ „დინამოში“ აღზრდილი ფეხბურთელით უფრო მაღალი დონის გუნდი ინტერესდება. თავად ამისულაშვილის მაგალითი მოწმობს, რომ ჩვენს გუნდში ურიგოდ არაა საქმე, თუმცა მე ვიცი, რომ ქართველი გულშემატკივარი საერთაშორისო არენაზე „დინამოს“ გამარჯვებებს ელის. დღეს ფეხბურთში ბევრს წყვეტს ფინანსები, ჩვენ ამ მხრივ გარკვეულწილად შეზღუდულნი ვართ სხვა გუნდებთან შედარებით. თუმცა ვფიქრობ, რომ ევროპაში წარმატებული გამოსვლის შემდეგი ცდაც წარმატებული იქნება, რაშიც ბუნებრივია, ჩვენი ლეგიონერებიც დაგვეხმარებიან.

**— დსთ-ის თასის მოგებამ ალბათ გუნდს თვითდაჯერებაც შემატა...**

— რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ჩვენთვის. ჩვენ ამ ტურნირს სერიოზულად მივუდექით და სწორედ ამის გამო იყო, რომ წარმატებული თამაში შევძელით. ვიტყვი იმას, რომ ევროტურნირების მატჩებამდე საერთაშორისო დონეზე ჩვენ კიდევ გვექნება თავის გამოჩენის საშუალება. მოწვევა მოგვივიდა კიევიდან, სადაც მაისში ვალერი ლობანოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე ტურნირი იმართება. ბუნებრივია, ჩვენი გუნდისთვის აქ გამართულ მატჩებში მონაწილეობა პრესტიჟის საქმეა. ასეთი ტურნირებიდან დიდი გამოცდილების შეძენა შეგვიძლია.

# ამისულაშვილი ხუთი წლით კიევის დინამოელია

გერმანიის საწვრთნელი ბაზიდან, რუიტიდან კონჩე ზასპეში დაბრუნებულმა კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მცველთან, ალეკო ამისულაშვილთან.

კიეველებმა საწვრთნელი შეკრებისას გამართულ ორივე საკონტროლო მატჩში ანდეს ჩვენებურს ადგილი ძირითად შემადგენლობაში. უკრაინის ჩემპიონის პირველი სპარინგ პარტნიორი ამბიციური და ამ სეზონში ბრწყინვალედ მოასპარეზე „შტუტგარტი“ გახლდათ.

მატჩის 22-ე წუთისთვის მასპინძლები სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ, თუმცა, კიეველებმა მოახერხეს ტაიმის დასასრულამდე ორი ბურთის გაქვითვა. მეორე ტაიმში კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და დაამარცხეს მეტოქე 4:3.

გუნდის მწვრთნელმა მიხაილიჩენკომ სამი ფეხბურთელი ათამაშა შეუცვლელად. მათ შორის იყო ამისულაშვილი, რომელმაც თამაში მარცხენა მცველის პოზიციაზე დაიწყო, შემდეგ კი მწვრთნელის მითითებით, ცენტრალური მცველის ადგილზე გადაინაცვლა. ის პერსონალურად მეურვეობდა კევინ კურანის, რომელმაც ვერაფრით გამოიჩინა თავი.

კიეველებმა მეორე შეხვედრა მიუნხენ-1860-თან გამართეს. ქართველმა ამჯერადაც 90 წუთი ითამაშა და კიეველთა ქება დაიმსახურა. მატჩი კი კიეველებმა მოიგეს 1:0.

**ალეკო ამისულაშვილი:** „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შრომა დაფასდა. ვგრძნობ კეთილგანწყობას კიეველთა ხელმძღვანელობის მხრიდან. თუმცა, განსაკუთრებულ კომპლიმენტებს არ ველი. კარგ სამსახურს მიწევს კახა კალაძის ავტორიტეტი, რომელსაც დღემდე თბილად იხსენებენ და დიდ პატივს სცემენ კიევში. ბუნებრივია, ეს კიდევ უფრო ბევრს მავალებს იმისთვის, რომ ბოლომდე დავიხარჯო და ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი. გუნდის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ თუკი უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა, არ დამაკავებს. ლაპარაკია რანგით მაღალ გუნდზე, თორემ ახლაც არ მაკლდა წინადადებები. ვიტყვი იმასაც, რომ კიევის „დინამოში“ დიდი დატვირთვის ატანა არ გამჭირვებია. ივო შუშაკი თბილისის „დინამოში“ მაჩვევდა მსგავს ვარჯიშებს და ამიტომაც, ერთგვარად გამიადვილდა კიევურ გარემოსთან ადაპტირება. ამჯერად კონჩე ზასპეში, კლუბის ბაზაზე ვცხოვრობ, არ ვჩქარობ ბინის შერჩევას, რადგანაც რამდენიმე დღეში გუნდი ესპანეთში მიემგზავრება მეორე საწვრთნელ შეკრებაზე. იქიდან დაბრუნების შემდეგ გადავწყვეტ, თუ სად ვიცხოვრო. გუნდში საქმისადმი უაღრესად პროფესიონალური მიდგომაა. აქ ბევრი ლეგიონერია და ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს, განსაკუთრებით კი პერიცა ოგნენოვიჩთან დავახლოვდი, რომელსაც საქართველოში ევროთასებზე „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში ფოთის „კოლხეთთან“ უთამაშია. ახლა მთელი ყურადღება გადატანილი მაქვს იმისკენ, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დავიმკვიდრო ადგილი. დიდი კონკურენციაა, მაგრამ მგონია, რომ არ გამიჭირდება.“

# მიშელი ნაკრებს კვიპროსზე შეუერთდება



ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი, რომელიც ამჟამად აფრიკის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩებს ესწრება, კვიპროსზე შეუერთდება საქართველოს ნაკრებს.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია სამართალდამცავმა ორგანოებმა გაათავისუფლეს, კარდინალურად შეიცვალა ვითარება. ანრი მიშელისა და მისი თურქი აგენტის ბაირამ თუთუმლუს მხრიდან არაერთხელ გაცხადდა, რომ კონტრაქტის გაფორმება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებაზე. ამჟამად დამაბრკოლებელი ფაქტორი აღარ არსებობს.

**ლერი სულაბერიძე**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

— ანრი მიშელთან ჩვენ შეთანხმება გვაქვს, რომელიც არ დარღვეულა. ბუნებრივია, მერაბ ჟორდანიას გათავისუფლებამ უნდა დააჩქაროს კონტრაქტის საბოლოო გაფორმება. ჩვენ ვესაუბრეთ მიშელს და მის აგენტს ბაირამ თუთუმლუს. შევთანხმდით, რომ უახლოეს ხანში შევხვდებით და გადავწყვეტთ საბოლოოდ ამ საკითხს. მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ მოსკოვის ტურნირი მოიგო, ქართული ფეხბურთისადმი უცხოელთა დაინტერესება ერთი-ორად გაიზარდა.

**— სხვათა შორის, რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა მხრიდან გაცხადდა, რომ შესაძლოა მოსკოვში გამართული ტურნირი დსთ-ის თასის ბოლო გათამაშება იყოს...**

— მას შემდეგ, რაც ამ ფრაზამ გაიჟღერა, ჩვენ დავიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ გადმოვიტანოთ აღნიშნული ტურნირი საქართველოში. მოსკოვში დახურულ დარბაზებში თამაშობენ გუნდები, საქართველოში კი ზამთრის პირობებშიც შეიძლება ბუნებრივ საფარზე თამაში. თანაც მოსამზადებელი პერიოდისთვის აღნიშნული გარემოება, არცთუ უმნიშვნელო დეტალია. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია ისეთი ტურნირის ორგანიზება, სადაც თამაში ნებისმიერი გუნდისთვის სასურველი და ამავდროულად პრესტიჟული იქნება. ვფიქრობ, რომ ჩვენი ბიზნესმენები დაინტერესდებიან, მხარში ამოგვიდგებიან და ამ მნიშვნელოვანი ტურნირის სახით ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთ საჩუქარს ვუძღვნით.

# „მილანი“ კალაძის ერთგულია



ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი „მილანი“ „სიენასთან“ გამარჯვების შემდეგ სერია A-ს გათამაშების ცხრილის სათავეში დამკვიდრდა. ამ ფაქტში უჩვეულო არაფერი უნდა იყოს, რადგანაც „მილანი“ მსგავს სიტუაციაში არაერთხელ ყოფილა, თუმცა, საინტერესოა ის, რომ გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი — 18 ტურის შემდეგ 45 ქულა — სერია A-ს აბსოლუტურ რეკორდად ითვლება. არც ერთ კლუბს მსგავსი შედეგისთვის იტალიის უმაღლეს დივიზიონში არ მიუღწევია.

კარლო ანჩელოტის გუნდი მხოლოდ რეკორდებით არ გამოირჩევა. კლუბმა ერთგულებაც გამოავლინა საკუთარი ფეხბურთელისადმი, რაც არანაკლებ სასიამოვნოა.

ბოლო ხანს „მილანისა“ და საქართველოს ნაკრების მცველს კახა კალაძეს უიღბლობა დასჩემდა. მან ოთხთვიანი შესვენების შემდეგ მცირე ხნით შეძლო მოედანზე დაბრუნება, თუმცა, ისევ ტრავმა მიიღო და ამჯერად რეაბილიტაციის პროცესს გადის.

ბუნებრივია, გუნდში ყველა ხედავს თუ რა მძიმე მდგომარეობაშია ჩვენებური, ამიტომაც „მილანის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, კახა კალაძე 2004-2005 წლის სეზონში აუცილებლად დარჩება გუნდში. მას სოლიდარობა გამოუცხადეს თანაგუნდელებმაც, პანკარომ, რომელიც კახას უშუალო კონკურენტია „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში, „სიენასთან“ გატანილი ბურთი სწორედ ქართველ ფეხბურთელს უძღვნა.

# რეიესი პრემიერლიგაში



ესპანეთის ნაკრებისა და „სევილიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელმა ხოსე ანტონიო რეიესმა საკუთარ ინტერნეტსაიტზე გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლონდონის „არსენალში“ გადადის.

— მე ყველაზე ბედნიერი და ამავდროულად ყველაზე უბედური ადამიანი ვარ მსოფლიოში, ვტოვებ ესპანეთის საუკეთესო გუნდს და გადავდივარ ინგლისის საუკეთესო გუნდში, — წერს ხოსე ანტონიო რეიესი, რომელსაც დებიუტი ესპანეთის პრიმერადივიზიონში ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში ჰქონდა. არაოფიციალური მონაცემებით, ლონდონური გუნდი 20 წლის ესპანელში 35 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის, რაც 43,7 მილიონ დოლარს შეადგენს და მნიშვნელოვნად აღემატება მადრიდის „რეალის“ მიერ ბექჰემის შეძენისთვის გაღებულ თანხას.

ახალგაზრდა ესპანელი ლონდონელთათვის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი იქნება. აქამდე მათი რეკორდი 2000 წელს ფრანგი ვილტორდის გადაბირებისთვის გადახდილი 13 მილიონი გირვანქა სტერლინგი გახლდათ.

# ფერგიუსონმა კონტრაქტი გააგრძელა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, შოტლანდიელმა სპეციალისტმა სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერთან“ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი.

პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე „დღეგრძელმა“ მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა, რომელიც „წითელი ეშმაკების“ სათავეში 1986 წლიდან მუშაობს, ამ კლუბს ძველი დიდება დაუბრუნა. 62 წლის სპეციალისტის ხელში „მანჩესტერმა“ რვაჯერ მოიგო ინგლისის პრემიერლიგა, ოთხჯერ მოიპოვა ინგლისის თასი და ერთხელ — ლიგის თასი. გარდა ამისა, „ეშმაკებმა“ 1990-1991 წლების სეზონში თასების მფლობელთა თასი, ხოლო 1998-1999 წლების სეზონში კი ჩემპიონთა ლიგა მოიგეს.

ახალი კონტრაქტი ძალაში შევა 2005 წლის 30 ივნისს, როცა 2002 წელს ხელმოწერილ კონტრაქტს უმთავრდება ვადა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ გენერალური დირექტორი დევიდ გილი აცხადებს, რომ კმაყოფილია ფერგიუსონის გარჯით. „სერ ალექსის მიერ მიღწეული შედეგები საკმაოდ მრავლისმეტყველია. ფერგიუსონის უნარი — ახალგაზრდა ფეხბურთელები ჩამოაყალიბოს მსოფლიო დონის ოსტატებად, დასაფასებულია და მას არ შეიძლება ჩვენი მხრიდან ადეკვატური დაფასება და კეთილგანწყობა არ მოჰყვეს.“



თავად ალექს ფერგიუსონმა კონტრაქტის გაგრძელების შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ეს მე მაძლევს კიდევ ერთ სტიმულს იმისთვის, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო. გარდა ამისა, მე შემიძლია რეალიზაცია მოვახდინო ჩემი ხანგრძლივი გეგმებისა — მოვამზადო და გავაძლიერო გუნდი როგორც ინგლისურ, ისე ევროპულ ასპარეზზე გამარჯვებებისთვის.“

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის თებერვალში ფერგიუსონმა გადაიფიქრა პენსიაზე გასვლა და გუნდის მესვეურთა შემოთავაზებულ კონტრაქტს დათანხმდა.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

ლურჯი შავი წითელი

## №4 (382) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემა იყო „ნდობა“. **„ვის ენდობით ყველაზე მეტად?“** — ამ კითხვით რესპონდენტთათვის არაერთხელ მიგვიმართავს. ჩვენი გაზეთის ფურცლებს ახსოვს, როგორ უცხადებდნენ ადამიანები ნდობას ჯერ პრეზიდენტ შევარდნაძეს, შემდეგ ამ ნდობის რეიტინგმა დროთა განმავლობაში როგორ იკლო და ლეიბორისტთა ლიდერმა დაიკავა მისი ადგილი. ნათელაშვილი ბურჯანაძემ შეცვალა. დღეს კი, როგორც ვიცით, ხალხის ნდობას ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილი იმსახურებს — აბსოლუტურმა უმრავლესობამ იგი საქართველოს პრეზიდენტად აირჩია. საინტერესოა, სააკაშვილის შემდეგ ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს ბევრჯერ იმედგაცრუებული ადამიანების ნდობას.

ამჯერად, კითხვას 586 რესპონდენტი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 232 ქალისა და 344 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, დღესაც, ისევე როგორც ორი-სამი თვის წინ, ნინო ბურჯანაძეს ყველაზე მეტად ენდობა მკითხველი — რესპონდენტთა 81%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. **8,64** საშუალო ქულით ბურჯანაძე პირველ ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმალური შეფასება სულ 7%-მა გაიმეტა, ზურაბ ჟვანია 7,10 საშუალო ქულით მეორე ადგილზეა.

აქვე ჩვენს მკითხველებს უნდა შევახსენოთ, რომ სექტემბრის თვეში ნდობის რეიტინგში ზურაბ ჟვანიაზე წინ მკითხველმა შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი და ჯუმბერ პატიაშვილი დააყენა.

მაშინდელ რეიტინგში ჟვანია მეხუთე ადგილზე იყო და უმნიშვნელოდ უსწრებდა გოგი თოფაძეს. მაქსიმალური ქულების მიხედვით კი სულ ბოლო ადგილზე გახლდათ და ამ ნიშნით ედუარდ შევარდნაძე და ასლან აბაშიძეც კი უსწრებდნენ მას. სწორი გათვლები, პოლიტიკური ნაბიჯები... და მიზანი მიღწეულია. ხალხი ხელისუფლებაში დაბრუნებულ ჟვანიას კიდევ ერთხელ უცხადებს ნდობას.

სულ ბოლო ადგილზე იგორ გიორგაძეა — რესპონდენტთა 53%-მა მიაკუთვნა მას მინიმალური — 1 ქულა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან 48 წლის რუსთაველი **მერი მაისურაძე** და 56 წლის ქუთაისელი **გიორგი ლოლომაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 4 თებერვალს, 17 საათზე.

## №5 (383) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

*** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას».**

**№5 (383) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 4 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 5 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ ,,რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ ,,კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც ,,კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №5(383) — საიმედო საყრდენი

**თქვენი აზრით, რა არის პრეზიდენტ სააკაშვილის ყველაზე საიმედო საყრდენი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№5(383) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მასმედია | |
| 2 | ქართველი ხალხი | |
| 3 | აშშ | |
| 4 | აღმასრულებელი ხელისუფლება | |
| 5 | პარლამენტი | |
| 6 | ძალოვნები | |
| 7 | არასამთავრობოები | |
| 8 | ინტელიგენცია | |

**დამატებითი კითხვა**

**ხედავთ თუ არა 30-იანი წლების რეპრესიების განმეორების საფრთხეს საქართველოში?**

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**რომელი სახელმწიფო სტრუქტურა, უწყებაა კორუფციაში ჩაფლული ყველაზე მეტად?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | პოლიცია, შსს | 45.8% |
| 2. | საბაჟო | 10.4% |
| 3. | ენერგეტიკა | 6.1% |
| 4-5. | პროკურატურა | 4.2% |
| 4-5. | საგადასახადო | 4.2% |
| 6-7. | სასამართლო | 1.5% |
| 6-7. | პარლამენტი | 1.5% |
| 8. | ფინანსთა სამინისტრო | 1.3% |
| 9-10. | ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა | 1.1% |
| 9-10. | განათლება | 1.1% |
| | ყველა ძალოვანი, სამართალდამცავი სტრუქტურა | 7.1% |
| | ყველა სახელმწიფო უწყება | 4.9% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 3.5% |

**„არც ერთი“** — ასეთი პასუხი არ დაფიქსირებულა!

როგორც ვხედავთ, საზოგადოებაში ყველაზე ცუდი იმიჯი კვლავ პოლიციას და სხვა ძალოვან უწყებებს აქვთ. ვნახოთ, როგორ შეძლებენ მათი ახალ-ახალი მესვეურები შელახული სახელის რეაბილიტაციას.

***მკითხველის რეიტინგს 476 რესპონდენტი გამოეხმაურა***

## ფოტოანტიკვარი © ·ფოტოპალიტრა·



**აბა, ვინ ვარ ახლა მე?**

____________________

**–ცხვირი ჰგავს? - ჰგავს, თვალები ჰგავს? - ჰგავს...**



**ედვარდ სააკაშვილი და სანდრა რულოვსი (მეორე პლანზე სანდრას მშობლები)**

ქართველი ვარდის კოკორი ჰოლანდიური ტიტების გარემოცვაში.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

საქართველოს პირველი ლედი,
პირველი შვილი,
პირველი სიდედრი და
პირველი სიმამრი.

***კოკა, დრანდა***

**ს.რ.** — შენ მომავალი პრეზიდენტი ხარ და წვინტლიანი არ უნდა იყო! მაჩვენე ცხვირი...

**ბებია** — ღმერთო, ნეტავი მაგასაც მოვესწრო!

**ბაბუა** — უკვე არც ეგ მეეჭვება, თავის დროზე არც მიშა მეიმედებოდა.

***კოკა დარახველიძე, ქუთაისი***

**ე.ს.** — დე, მეც მინდა პრეზიდენტობა, სთხოვე რა სოროსი ბაბუას.

***ნინიძე, თბილისი***

**ს.რ.** — მამა! ჩემი შვილი ძალიან გგავს, შენი სახელიც კი დავარქვით, მაგრამ მეუხერხულება ედუარდის დაძახება.

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ე.ს.** — ბებო, რა კარგია, რომ ჩამოხვედი, ე.ი. დღეს მამიკო ფოკუსს გვიჩვენებს.

**სანდრას დედა** — რა ფოკუსი?

**ე.ს.** — მამამ თქვა, თუ ბებია ჩამოვა, კედელზე გავალო.

***Milan, თბილისი***

ედვარდი დედას თევზაძეზე ანიშნებს:

**ე.ს.** დედა, შეხედე ჯარის უფროსს თავზე თმა სულ არა აქვს.

**ს.რ.** — ჩუმად, გაიგონებს.

**ე.ს.** — რა, თავად არ იცის?!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ს.რ.** — ედვარდ, ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა, ვინ უნდა გამოხვიდე?!

ედვარდი ისევ დუმს.

**ს.რ.** — ე, ბიჭო, თქვი და ბებო ნაყინს დაგიტოვებს.

**ე.ს.** — დამაცადე, შე ქალო, ჯერ გავხდე 35 წლის და მერე გეტყვი.

***სოსო ცირგაია, თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



— დამღალა ამდენმა ემოციამ!..



— გამოძიებამ დაადგინა, რომ...
მიხა: — გამოძიებამ კი არ დაადგინა, მიმბეგვეს მაგრა და მე თვითონ ჩავუკაკლე ყველაფერიცა...

**13/II**
**უკანასკნელი მეოთხედი**
**მაგნიტური დღეებია:**
**10/II 9-დან 11 საათამდე**
**15/II 8-დან 11 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. შინშილა; 4. ტაქტიკა; 6. კორტი; 7. პრასი; 8. ლიეპა; 9. „ომეგა"; 10. არმადა; 13. ნილაბი; 16. „ნაიკი"; 18. სპრინტი; 19. სტეფანე; 20. ურანი; 22. გლორია; 23. პიკასო; 25. კროსი; 27. ეგერი; 28. ცნება; 29. რიტმი; 30. აქცენტი; 31. ალმართი.

**შვეულად:** 1. შვეიცარია; 2. აკაპულკო; 3. არდადეგები; 4. ტიტიკაკა; 5. ავტოგრაფი; 11. მარსი; 12. დენდი; 14. „იმედი"; 15. ასანა; 16. ნიუ; 17. ისი; 21. აბონემენტი; 22. განმუხტვა; 24. ოპტიმისტი; 25. კრეიცერი; 26. ირიგაცია.





**თარაზულად:** 1. ძველად მეტად პოპულარული აზარტული თამაში, რომლის სახელწოდებაც წარმოიშვა ფრანგულ ბანქოზე ეგვიპტური სიმბოლიკის ზეგავლენით; 4. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი; 6. გეომეტრიული ფიგურა; 7. ძვ. ბერძნული ქალაქი პარნასის მთის ძირას აპოლონის სახელგანთქმული ტაძრითა და სამისნოთი; 8. „ასე ამბობდა ზარატუსტრა" — გერმანელი ფილოსოფოსი; 9. მომავლის რწმენა; 10. პირველი სამხედრო დანიშნულების მომწამლავი აირი, რომელიც გერმანელებმა I მსოფლიო ომში გამოიყენეს მდინარე იპრთან; 13. ნუგბართა ნუგბარი; 16. სასმელი რომისა და ცხელი წყლისაგან, რომელსაც უმატებენ შაქარს და სურვილისამებრ ლიმონს და სხვა სანელებლებს; 18. თხევადი საწვავი; 19. ადრემოყვავილე მრავალწლიანი ბოლქვიანი მცენარე; 20. სამშენებლო მასალა; 22. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედის ტბა"; 23. ნარკომანის საყვარელი ყვავილი; 25. სტილი პოპმუსიკაში მიმართული 50-იან 60-იანი წლების ნაწარმოებებისადმი; 27. ამერიკული ფილმი-ბლოკბასტერი; 28. ნესტიანი, წყლით გაჟღენთილი; 29. იდუმალებით მოსილი საბედისწერო ქალის სახე კინოსა და ლიტერატურაში — „ქალი ..."; 30. „ლუქსის" კლასის ავტომობილების ინგლისური კომპანია, დაარსებული 1925 წელს ლაიონსის მიერ; 31. გზის საფარი.

**შვეულად:** 1. მხატვრის მშობლიური ქალაქი; 2. XVIIს. ფლამანდიელი ფერმწერი; 3. ნაგებობა ვან-გოგის ტილოზე; 4. სასწრაფოდ მოძრავი სხეულის ასხლეტა გარკვეული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ; 5. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი; 11. კრივის ასპარეზი; 12. გოგენის კუნძული; 14. მთავარი არტერია; 15. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 16. ქართული კვარტეტი „4..."; 17. ძველჩინური ნატურფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ცნება — იანის ანტიპოდი; 21. მუქარანარევი მოთხოვნა; 22. ჩუქურთმა; 24. ვულკანური ქანი, მუქი ფერის მინა; 25. რუსეთის სამეფო დინასტია; 26. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი გუნდის, სოლისტ-მომღერლებისა და ორკესტრისათვის და განკუთვნილი საკონცერტო შესრულებისთვის. **შეადგინა რამაზ ალანიამ**




ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 6 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№6 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 12 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**
**სარედაქციო კოლეგია**
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**
**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".